8(05)
 მ 80

# მ ო ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი

ეროვ. ბიბ.
ინვ. № Р-133965

წელიწადი მეთორმეტე

№ IV № 6

აპრილი, 1905

ბიბლიოთეკა
ისტორიული

ტფილისი
[illegible]
1905

ეროვ. ბ.

Дозволено цензурою. 3 іюня, 1905 г. Тифлисъ.

# შინაარსი


33

I—ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ.—რომანი ექვს ნაწილად თ. მ. დოსტოევსკეისა, ნაწილი მეორე, თავი I—II. თარგმანი ინ-ანისა . . . . . 1

II—ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲑᲘ.—უბის წიგნიდან.—დმერთთან საჩივარი.—სასოებაძისა . 69

III—ᲣᲡᲘᲜᲐᲗᲚᲝ ᲯᲔᲠᲝᲜᲘᲛᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲫᲛᲐ.—არტურ შნიტლერისა.—თარგ. იგ. ᲪᲣᲠᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ . . 72

IV—ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ—თავი III. შემდეგი—ს. გორგაძისა . . . 1

V—ᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲐᲜᲘ ᲮᲝᲚᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.—ექიმას ბადრიძისა . . . 25

VI—ᲡᲐᲠᲔᲕᲘ.—1)ბაქტერიოლოგია სკოლაში.—2) ახალი ბაქ-ტერიანი მცენარე.—3) ნერვების აშლა.—4) საიდან მიეცეს ბალებ-კაცს მისთვის საჭირო მიწა?—5) ხალხის განვითარება და ხარჯის სამართლიანობა.—6) ინგლისური საველჯ წიფო ... ასწყობილება.—7) ალექსანდრე პირველის კონსტიტუცია.—... შილლერის სახსოვრად. . . . . 33


(იხილე მე-2 გვერდი)

VII — შინაური მიმოხილვა. — ნაციონალური პროგრესიული პარტია რუსეთში. — რეფორმი შინაგან საქმეთა სამინისტროში. — სარწმუნოებრივი თავისუფლება. . . . 49

VIII — უცხოეთის მიმოხილვა — რუსეთ-იაპონიის ომი . 62

დამატება:

IX — მინერალური ძიმია. — ს. კლდიაშვილისა . 81 — 96

# დანაშაული და სასჯელი

## ექვს ნაწილად ფ. მ. დოსტოევსკისა

### ნაწილი მეოთხე*)

### V

ეს იყო შუა ხნის, მაღალ-მაღალი, პრუწია, რაღაცა ფრთხილისა და მოთაკილე გამომეტყველების კაცი, რომელიც შემოსვლისათანავე კარებში შედგა განცვიფრებული, თითქოს იწყინა და კითხულობდა: „აქ სად მოვხვდიო?“ უნდობლადა და როგორღაც შეშინებული, თითქმის ნაწყენი, ათვალიერებდა რასკოლნიკოვის ვიწროსა და დაბალ ჭერიანს „საზღვაო ხუხულასა“ („морская каюта“). ასრევე განცვიფრებულმა გადაჰხედა შემდეგ თვითონ რასკოლნიკოვსაც, რომელიც ტანთ გახდილი, დაუბანელი და თმა აბურძგნული იწვა თავისს ჭუჭყიანსა და ვიწრო დივანზედ და უძრავად შეჰყურებდა და ჰსინჯავდა შემოსულსა. ისრევე მძიმედ დაუწყო მერე თვალიერება და სინჯვა დაუვარცხნელსა, გაუპარსველსა და თმა აწეწილს რაზუმიხინსაც, რომელიც თავისს მხრივ უძრავად იდგა ერთს ადგილასა და კაცნიერათა და კითხვით შეჰყურებდა პირდაპირ თვალებშია. ასე დაძაბულად დუმილმა სულ რაღაცა ერთი წამი გასტანა, მერე-კი, როგორც მოსალოდნელიც იყო, გამოიცვალა სანახაობა. მოისაზრა, რასაკვრელია, უთუოდ რაიმე საგულისხმო ანგარიშითა და მოფიქრებით, რომ აქ,

---

*) იხ. „მოამბე“ № 3—1905 წ.

ამ „საზღვაო ხუხულაში“, გაზვიადებულის სასტიკ გამომეტყველებით სრულიად ვერას გახდებოდა და შემოსული უნებურად მორბილდა ცოტად, გათავაზიანდა და მცირედის რამ სისასტიკით დაეკითხა ზოსიმოვსა, თანა სცდილობდა თვითოეული სიტყვა საგანგებოდ გარკვევით ეთქვა:

— როდიონ რომანიჩ რასკოლნიკოვი, ბატონი სტუდენტი თუ ნასტუდენტარი აქ სცხოვრობს?

მძიმედ შეირხა უკვე ზოსიმოვი და უნდოდა ეპასუხნა, რომ რაზუმიხინმა აღარ აცალა:

— აგერა არის, დივანზე წევს! რა გნებავთ?

მოურიდებელმა „რა გნებავთ“-მა მთლად კბილი მოსჭრა პრუწია ვაჟბატონსა. ცოტას გასწყდა კიდევაც არ იბრუნა პირი რაზუმიხინისაკენ, მაგრამ თავი შეიმაგრა და საჩქაროდ ისევ ზოსიმოვს მიჰმართა.

— აი, რასკოლნიკოვი! — წაიდუდუნა ზოსიმოვმა, დააამთქნარა და როგორღაც არაჩვეულებრივ დიდ-ხანსა ჰქონდა უზომოდ დიდად პირი დაღებული. აიღო მერე და მძიმედ ჩაიყო ხელი ჟილეტის ჯიბეში, რომ ვეება დახურული ოქროს საათი ამოეღო. ამოიღო გახსნა, გასინჯა და ისევე მძიმედ და ზარმაცად გააბრუნა უკან ჯიბეში ჩასადებად.

თვითონ რასკოლნიკოვი-კი იყო გაჩუმებული და გულთაღმა გადაწოლილი უაზროდ მისჩერებოდა შემოსულსა. მოეშორებინა თვალი წელანდელ ყვავილისათვის კედლის შპალერზედ და რაღაცა მკრთალად და ტანჯულის სახით გამოიყურებოდა, თითქოს ეს არის საშინელი ოპერაცია გაუკეთებიათ და სატანჯველიდამ გაუნთავისუფლებიათო. მაგრამ შემოსულმა თან-და-თან მეტის ყურადღებით მიიზიდა, მერმე გააკვირა, უნდობლობა აგრძნობინა და ბოლოს-კი თითქოს შეაშინა კიდეც. ზოსიმოვის სიტყვებს შემდეგ-კი: „აი, რასკოლნიკოვიო“, უცბად წამოიწია, თითქოს წამოხტაო, დაჯდა ლოგინზედა და სუსტისა, მაგრამ მკვახე-ხმით, სწრაფად მიაძახა:

— დიახ! მე ვარ რასკოლნიკოვი! რა გინდათ?

სტუმარმა ყურადღებით გადაჰხედა.

— პეტრ პეტროვიჩ ლუჟინი. იმედი მაქვს იცნობთ ჩემს სახელს.

მაგრამ სხვას მოელოდა სრულიად რასკოლნიკოვი. ამიტომაც ჩაფიქრებულმა დაუწყო უაზროდ ყურება, თითქოს ეს არის პირველად გაიგონა პეტრ პეტროვიჩის სახელიო.

— როგორ, ნუ-თუ აქამდის არავითარი ცნობა არ მიგიღიათ შინიდამა? დაეკითხა პეტრ პეტროვიჩი ცოტათი აფხვერილი.

რასკოლნიკოვს პასუხი არ მიუცია. დაეშვა მძიმედ ბალიშზედა, ხელები უკან გადაიწყო და ჭერს მიაშტერდა. ლუჟინს სახეზედ წყენა აღებეჭდა. ზოსიმოვიც და რაზუმიხინიც უფრო მეტად გაიტაცა ცნობის მოყვარეობამა. შეჰრცხვა ბოლოს ლუჟინსა.

— მე-კი მეგონა და ვფიქრობდი, — წაიდუდუნა ლუჟინმა, — რომ თითქმის ორის კვირის წინად გამოგზავნილი წერილი უკვე...

— სუ ხომ აგრე არ იდგებით კარებში? — გააწყვეტინა უცბად რაზუმიხინმა. — თუ სათქმელი და ასახსნელი გაქვთ რამე, დაჯექით, თორემ ნასტასია და თქვენ ორთავე ვიწროდ იქნებით მანდა. ნასტასუშკა, მოეცა, გეთაყვა, გამოატარე! აგერა სკამი, შემოდით აქეთ!

რაზუმიხინმა სკამს ცოტა იქით გასწია, მუხლებსა და მაგიდას შუა პატარა ადგილი უყო და უცდიდა ასე, რომ სტუმარი ამ ვიწროში „გამძვრალიყო“. ისე მოხერხებულად იყო ეს წამი შერჩეული, რომ უარი ველარ აწამა და იძულებული გახდა, რის ვაი-ვაგლახითა და წვალებით გამძვრალიყო საჩქაროდ. მიაღწია, როგორც იყო, მაგიდასა, ჩაჯდა და რაზუმიხინს როგორღაც ეჭვის თვალით გადაჰხედა.

— ნუ გვერიდებით, — წამოაყრანტალა კვალად რაზუმიხინმა, — მეხუთე დღეა, როდიონი ავად არის, ჰბოდავდა სულა. ახლა-კი გონს მოვიდა, მადიანათაცა სჭამა. აის ექიმია, ესეს არის ავადმყოფი გასინჯა; მეც ამხანაგი ვარ როდიონისა,

გვარად რაზუმიხინი, მასავით ნასტუდენტარი; აგერა არის, ახლა ავადმყოფს ვუვლი; ასე რომ უცხოებათ ნუ ჩაგვთვლით, ნუ მოგვერიდებით, საქმე განაგრძეთ.

— გმადლობთ. იქნება ჩემის აქ ყოფნით ან ლაპარაკით შევაწუხო როგორმე ავადმყოფი? მიჰმართა პეტრ პეტროვიჩმა ზოსიმოესა.

— ა-რრა,— წაიდუდუნა ზოსიმოვმა,— პირ-იქით გაარ-თობთ კიდეც,—მიუგო ზოსიმოვმა და კიდევ დაამთქნარა.

— კარგა ხანია გონს მოვიდა, დილიდამვე კარგად არის! —განაგრძობდა ისევ რაზუმიხინი. ამ უბრალო თავაზიანობამ რაზუმიხინის მხრივ თითქოს გაამხნევა პეტრ პეტროვიჩი; იქნება იმიტომაც, ვინ იცის, რომ ამ დაგლეჯილმა და თავხედმა უკვე სტუდენტათ გააცნო თავი.

— დედა თქვენმა...—დაიწყო ლუჟინმა.

— ჰმ! შეიხმიანა ხმა მაღლა რაზუმიხინმა.

ლუჟინმა კითხვითის გამომეტყველებით გადაჰხედა.

— არაფერი, ისე მომივიდა. სთქვით, სთქვით...

ლუჟინმა მხრები შეიშმუშნა.

— ... დედა თქვენმა ჯერ ჩემს იქ ყოფნობისასვე დაიწყო თქვენთან წერილის წერა. რომ ჩამოვედი, რამდენსამე დღეს განგებ შევიგვიანე და არ მოვედი, რომ დარწმუნებული ვყოფილიყავი, წერილი უთუოდ მიღებული გექმნებოდათ. მაგრამ ახლა, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული ვარ...

— ვიცი, ვიცი! წამოიძახა უცბად რასკოლნიკოვმა და თან რაღაცა მოუთმენარობა და ჯავრი აღებეჭდა სახეზედ.— თქვენა ხართ საქმრო? ვიცი, ვიცი!.. კმარა!

იწყინა პირდაპირ პეტრ პეტროვიჩმა, მაგრამ გაჩუმება არჩია. სცდილობდა მოესაზრა როგორმე საჩქაროდ, ყოველივე ეს რასა ჰნიშნავდა. ერთს წამს ასე გაჩუმებულები იყვნენ. რასკოლნიკოვმაც პირი იბრუნა ცოტათი ლუჟინისაკენა და დაუწყო უცბად რაღაცა განსაკუთრებულის ცნობის მოყვარეობითა და ყურადღებით სინჯვა, თითქოს წელან ვერ მოესწრო მთლად დათვალიერება. ახალმა რაღამაც მიიპყრა უნებურად

მისი ყურადღება: ბალიშიდამაც-კი წამოიწია საგანგებოდ ამისათვისა. თითქოს-და მართლაც ეტყობოდა ის განსაკუთრებული იერი, რომელიც მისს „საქმროობას“ ამხელდა. ჯერ ერთი, ეტყობოდა აშკარად, რომ სატახტო ქალაქში ნაადრევად ჩამოსვლით სავსებით ესარგებლა და საპატარძლოს მოლოდინში, რაც-კი შეიძლებოდა, გაკოხტავებულიყო და გალამაზებულიყო, რაიცა არც საიმისოდ გასაკიცხი და დასაძრახია, რასაკვრელია. თვითონ საკუთარი კმაყოფილება და შეგნება სასიამოვნო ცვლილებისაც-კი ეპატიებოდა უთუოდ, რაკი საქმროს სახელს ატარებდა იმ ჟამადა. თავით ფეხთამდე ყველაფერი ახლად შეკერილი და შნოიანად ეცვა, მაგრამ ამხელდა აშკარად, რომ ყველაფერი ეს გარკვეულის აზრით შეეძინა. კოხტა, ახალთ-ახალი, რგვალი შლაპაც-კი ამას ჰმოწმობდა: როგორლაც მეტად პატივით ეპყრობოდა და ფრთხილად ეჭირა ხელში. წყვილი იასამანის ფერი მშვენიერი ხელთათმანიც-კი ამასვე ამტკიცებდა, — სხვა არა იყოს-რა, თუნდ მარტო იმითი, რომ ხელში ტყუილად ეჭირა გამოსაჩენადა და არ იკეთებდა-კი. ტანისამოსის მხიარული ფერიც ასრევე ჰქონდა განგებ ახალგაზდობის შესაფერად შერჩეული. ტანთ ეცვა მშვენიერი, ბაცი ყავის ფერი საზაფხულო პიჟაკი, მხიარული სუბუქი შარვალი, ასეთივე ჟილეტი, ახლად ნაყიდი წმინდა ტილოს საცვლები, ბატისტის ვარდის ფერ ზოლებიანი ჰაეროვანი ყელსახვევი და სხ. ყველაფერი ისე ჰქონდა შეხამებული, რომ უხდებოდა კიდეც პეტრ პეტროვიჩსა. საიმისოდაც საკმაოდ შენახული ლამაზი სახე ახლა სულ ორმოც-და-ხუთი წლისაზედ ნაკლებს აჩენდა. ორად გაყოფილი მოშავო წვერები კატლეტებივითა ჰქონდა ჩამოკიდული და სუფთად გაპარსულს ნიკაპზედ ლამაზად და ხშირად დასხმული. ოდნავ შეჭაღარავებული და პარიკმახერთან დახუჭუჭებულ-დავარცხნილი თმაც-კი სრულიად სასაცილოდ და ტუტუცად არ აჩენდა, როგორაც ეს საზოგადოდ საქორწინოდ გამზადებულ, თმა დახუჭუჭებულ ნემცებს ემჩნევათ ხოლმე. თუ მის ლამაზსა და დარბაისლურს სახეს უსიამოვნო და შემაზიზღებელი რამ ემჩნეოდა, ეს ისევ სხვა მიზეზებით

იყო სულ გამოწვეული. გესლიანად ჩაიცინა რასკოლნიკოვმა, მორჩა თუ არა მოურიდებლად ბატონის ლუჟინის სინჯვასა, დაეშვა ისევ ბალიშზედა და წინანდებურად ისევე ჭერში დაიწყო ყურება.

მაგრამ არად მიიჩნია ლუჟინმა რასკოლნიკოვის ასეთი უცნაური ქცევა და გარდასწყვიტა, ჯერ ხნობით სრულიად არავითარი ყურადღება არ მიექცია, ვითომ არც-კი რამ შეემჩნია.

— ვსწუხვარ ძალიან, რომ ასრე დამიხვდით,—დაიწყო კვალად ლუჟინმა მცირე სიჩუმის შემდეგ. რომ მცოდნოდა, ხომ ადრეც შემოგივლიდით. მაგრამ, იცით, რა არის? საშინელი ბევრი საქმეები მაქვს!.. ერთი იმათგანი მაინც მეტად მნიშვნელოვანია, სენატში მაქვს. იმისას ხომ, რასაკვრელია, არას ვამბობ, რის შესახებაც თქვენც მიხვედრილი იქმნებით. თქვენებს, დედა თქვენსა და თქვენს დას, მუდამ ჟამს ველი.

შეირხა რასკოლნიკოვი და უნდოდა რაღაცა ეთქვა; სახეზედ მღელვარება დაეტყო. ლუჟინიც შედგა და დაუცადა, მაგრამ, რაკი აღარა სთქვა-რა, განაგრძო ისევ:

— ... დიახ, მუდამ ჟამს ველი... სახელდახელოდ ბინაც მოვუძებნე.

— სადა?—ჩაეკითხა სუსტის ხმით რასკოლნიკოვი.

— აქადამ შორს არ არის, ბაკალეევის სახლში...

— ვოზნესენსკი პროსპექტზედ უთუოდ, არა,—გააწყვეტინა რაზუმიხინმა,— ორ-სართულიანი სახლია ნომრებათ. ვაჭარს უშინსა აქვს აღებული. ვყოფილვარ.

— დიახ, ნომრებია...

— საძაგლობა რამ არის, ჭუჭყიანი, ტალახიანი და მასთან საეჭვო ადგილიც: ოინები იციან. და მეორეც, ვინ იცის, ვინ არა დგას იქა... თვითონ მეც რაღაცა სახათაბალო და საოხრო საქმისათვის ვიყავი ერთხელ. ეს-კია ჰო, იაფობაა.

— მე, რასაკვრელია, მაგდენ ცნობებს ვერ შევკრებავდი, როგორც ახალი კაცი,—მიუგო ცოტა წყენით პეტრ პეტრო-

ვიჩმა.—მაგრამ ოთახი ორია, სუფთა და პატარა, მასთან მოკლე ხნითა მაქვს დაქირავებული... რადგან ნამდვილი ბინა ჩვენთვის,—მიუბრუნდა რასკოლნიკოვსა,—უკვე მოძებნილი მაქვს და აკეთებენ კიდეც; მინამდის-კი თვითონ მეც ნომრებში ვარ ვიწროთ, ქ-ნ ლიპპევეხზელისას, ჩემის ახალგაზრდა მეგობრის, ანდრეი სემონიჩ ლებეზიატნიკოვის ბინაში. ბაკალეევის სახლიც იმან მირჩია...

— ლებეზიატნიკოვისა?—გაიმეორა მძიმედ რასკოლნიკოვმა, თითქოს იგონებს რასმეო.

— დიახ, ანდრეი სემონიჩ ლებეზიატნიკოვისა, სამინისტროში მსახურობს. იქნება იცნობთ?

— დიახ... არა... მიუგო რასკოლნიკოვმა.

— უკაცრაოდ, ისე როგორლაც იკითხეთ თქვენა, რომ შეგონა. ოდესმე მისი მზრუნველი ვიყავი... მშვენიერი ახალგაზრდაა... თან ყველაფერს თვალს ადევნებს... ქვეყანაზედ რა ხდება... მე-კი მუდამ მოხარული ვარ ახალგაზრდობისა: თუ-კი რამ ახალია ქვეყნად, არ გამოეპარებათ.

და პეტრ პეტროვიჩმა სამთავეს როგორლაც იმედიანად გადაჰხედა.

— ვითომ რა მხრივა?—ჩაეკითხა რაზუმიხინი.

— რა მხრივა და გონებრივად, არსებითად,—უპასუხა პეტრ პეტროვიჩმა ცოცხლად,—თითქოს გაეხარდა, რომ ჩაეკითხნენო.—ათი წელიწადია აგერ თითქმის, პეტერბურგში აღარა ვყოფილვარ. ყველა ეს ჩვენი ახალი ამბები, რეფორმები, იდეები და სხ. პროვინციამდეც მოაღწევს ხოლმე. მაგრამ ადამიანმა რომ ყველაფერი თავისის თვალითა ნახოს და თავისის ყურით გაიგონოს, პეტერბურგში უნდა იყოს უთუოდა. დიახ, და ჩემი აზრიც ის გახლავთ, რომ ყველაზედ მეტს ახალგაზრდობისაგან, ახალ თაობისაგან გაიგებ, თუ, რასაკვრელია შეგიძლიან ჩააკვირდე ახალგაზრდობასა. გამოგიტყდებით: გავიხარე, როდესაც...

— რა გაიხარეთ?

— თქვენი კითხვა ვრცელია ერთობ. რასაკვრელია, შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ მგონია მაინც, ახალს თაობას უფრო ნათელი შეხედულობა აქვს, უფრო მეტი კრიტიკა და საქმიანობა შეუძლიან..—

— ეგ მართალია,—ჩაილაპარაკა კბილის მოჭერით ზოსიმოვმა.

— სტყუი, საქმიანობა ტყუილია,— მიესია რაზუმიხინი. საქმიანობა ადვილი შესაძენი როდია, ციდამ როდი ვისმე უვარდება პირში. ჩვენ-კი აგერა, ორასი წელიწადია თითქმის, ყოველგვარ საქმეს გადაჩვეულნი ვართ... იდეები იქნებ მართლაც არის სადმე აქა-იქ გაფანტული,—მიჰმართა პეტრ პეტროვიჩსა,—კეთილის სურვილიც, თუნდაც ბავშვურისა, მოიძებნება სადმე. იქნება პატიოსნებაც მოიძებნება სადმე, თუმცა ყოველ მხრივ ურიცხვი გაიძვერა გვახვევია, მაგრამ საქმიანობა-კი მაინც არ არის არსად! საქმიანობა ფეხით გავთელეთ.

— არ გეთანხმებით,—მიუგო როგორღაც კმაყოფილებით პეტრ პეტროვიჩმა.—რასაკვრელია, გატაცება და შეცდომები მუდამ იქმნება. მაგრამ არც აგრე სასტიკად უნდა მოვეპყრათ. გატაცება საქმის მხურვალე სიყვარულს მოასწავებს და გვიჩვენებს, რამდენად შეუფერებელს გარემოებაში იმყოფება საქმე. თუ დღემდის ცოტა გაკეთებულა, იმიტომ, რომ დროც დიდი არა გვქონია. რაც შეეხება საშუალებას, ეს ხომ სახსენებელი არც-კია. ჩემის აზრით, პირ-იქით, ზოგიერთა რამ კიდეც გაკეთდა: გავრცელდა, მაგალითად, ახალი, სასარგებლო აზრები, გავრცელდა წინანდელ საოცნებო, რომანტიულ თხზულებათა ნაცვლად ახალი და სასარგებლო თხზულებანი; მწერლობა თან-და-თან წელში მაგრდება, ვითარდება; ბევრი მავნე და სამარცხვინო ცრუ რწმენა ძირიანად აღმოიფხვრა... ერთი სიტყვით, თითქმის რომ სამუდამოდ ჩამოვცილდით წარსულსა, რაც, ჩემის აზრით, მცირედი საქმე არ არის...

— გაუზეპირებია! თავს გვაცნობს,—წარმოსთქვა უცბად რასკოლნიკოვმა.

— რა არის?—დაეკითხა პეტრ პეტროვიჩი, მაგრამ რასკოლნიკოვმა აღარა უპასუხა-რა.

— ყველა ეს მართალი არის,—დასძინა საჩქაროდ ზოსიმოვმა.

— ხომ მართალია?—განაგრძობდა პეტრ პეტროვიჩი და თან სიამოვნებით გადაჰხედა ზოსიმოვსა.—დამეთანხმეთ,—მიჰმართა ახლა რაზუმიხინსა, მაგრამ რაღაცა გამარჯვებისა და უპირატესობის გრძნობით უკვე; და კინაღამ არ დასძინა კიდეც: „ახალგაზრდა კაცო“,—გამარჯვება, ანუ როგორც ამბობენ, პროგრესსი, თუნდაც იმავ მეცნიერებისა და ეკონომიურ სიმართლის სახელით, ექვს გარეშეა...

— ზოგადი ადგილია...

— არა, ბატონო, არა, ზოგადი ადგილი არ გახლავთ! დღემდის თუ მეუბნებოდნენ: „გიყვარდესო“ და მეც მიყვარდა, რა გამოდიოდა აქედან?—განაგრძობდა პეტრ პეტროვიჩი ცოტათი აჩქარებული.—გამოდიოდა ის, რომ ტანისამოსს შუაზედ ვხევდი და მოყვასს ვუზიარებდი და ანდაზისა არ იყოს: „ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო“, ორივე ნახევრად შიშვლები ვრჩებოდით. მეცნიერება კი ამბობს: უპირველესად ყოვლისა შეიყვარე თავი შენი, რადგან ქვეყნიერებაზედ ყველაფერი კერძო ინტერესზეა დამყარებულიო. თუ თავს არ დაივიწყებ, საქმესაც რიგზედ მოაგვარებ და ტანისამოსიც მთელი შეგრჩებაო. ეკონომიური სიმართლე კი დასძენს: რამდენადაც მეტია საზოგადოებაში რიგზედ მოწყობილი კერძო საქმე და რამდენადაც მეტი ტანისამოსია მთელი, იმდენად თვით საზოგადოებაცა და საზოგადო საქმეც მტკიცეთა და უკედ არის მოწყობილიო. მაშასადამე, როდესაც მხოლოდ და მარტო ჩემთვის ვიძენ რასმე, ამითი ვზრუნავ უთუოდ სხვებისათვისაც და ვცდილობ, მოყვასმა ჩემმა დაგლეჯილ ტანისამოსზედ ცოტა რამ უკეთესი მიიღოს, მაგრამ კერძო თანაგრძნობითა და მზრუნველობით-კი არ მომდის ესა, საყოველთაო სიკეთეზეა ეს ჩემი მისწრაფება დამყარებული. უბრალო და მარტივი აზრია, მაგრამ, საუბედუროდ, დიდხანს არავის მოსდიოდა ფიქრადა, რაღაცა აღტაცებითა და

ოცნებობით იყო დაჩრდილული, თუმცა მისს აღმოჩენას, ეჭვი არ არის, დიდი მახვილი გონება არ უნდოდა...

— ბოდიშს-კი ვიხდი, მაგრამ, იცით, რა არის,—გააწყვეტინა მოურიდებლად რაზუმიხინმა,—მეც დიდი მახვილი გონების პატრონი არა ვარ. სჯობს, მაშ, თავი დავანებოთ. განგებ დავიწყე ლაპარაკი, თორემ მთელი ეს ყბედობა და თავის მოტყუება, ეს დაუსრულებელი ზოგადი ადგილები და სამის წლის განმავლობაში ურიცხვად გამეორებული ერთი და იგივე საბუთები და მოსაზრებანი, გარწმუნებთ, მხოლოდ მძულან და მეზიზღებიან; თითქმის მაშინაც კი, როცა სხვები ლაპარაკობენ. თქვენ, რასაკვრელია, სცდილობდით თავი გაგეცხოთ როგორმე ჩვენთვისა; მისატევებელიც-კია ესა და არც თუ გაგკიცხავთ. მე-კი მინდოდა მხოლოდ გამეგო,—ვინ იყავით. იმიტომ, რომ გესმისთ, საზოგადო საქმეს მეტად მრავლად მიესია ამ ბოლო დროს სხვა და სხვა ჯურის მოხერხებული მწარმოებელი და მთელი საქმე გაასაძაგლეს თითქმის. გვეყოფა, მაშა!

— მოწყალეო ხელმწიფეო,—დაიწყო ბატონმა ლუჟინმა წყენითა და საკუთარის ღირსებით ვითომ,—იქნება გნებავთ განმარტოთ მოურიდებლათა, რომ მეც...

— ოჰ, რასა ბრძანებთ, რას ბრძანებთ... შემიძლიან, განა!.. მაგრამ, კმარა!—მოუჭრა მოკლედ რაზუმიხინმა და ზოსიმოვთან შეწყვეტილ ლაპარაკის განგრძობას შეუდგა.

იქამდის გონიერი გამოდგა პეტრ პეტროვიჩი, რომ განმარტება მაშინვე დაიჯერა. მაინც ორის წამის შემდეგ წასვლა არჩია ისევა.

— იმედი მაქვს, დაწყებული ნაცნობობა,—მიჰმართა რასკოლნიკოვსა,—თქვენის მოკეთების შემდეგ, უკვე თქვენ მიერ ცნობილ გარემოებათა წყალობით, შემდეგში უფრო განმტკიცდება... განსაკუთრებით გისურვებთ ჯანმრთელობასა...

თავი არც კი მოუბრუნებია რასკოლნიკოვსა. პეტრ პეტროვიჩი სკამიდან წამოდგა, გამოეთხოვა.

— უთუოდ დამგირავებელმა ვინმემ მოჰკლა!—ამტკიცებდა ზოსიმოვი.

— უთუოდ, უთუოდ! — დაემოწმა რაზუმიხინი.—პორფირი თავისს აზრს არავის უმჟღავნებს, მაგრამ დამგირავებლებს მაინც იწვევს და ეკითხება...

— დამგირავებლებს ეკითხება?—ჩაეკითხა ხმა-მაღლა რასკოლნიკოვი.

— ჰო, რა არის?

— არაფერი.

— მერე, საიდამა პოულობს ამ დამგირავებლებსა?—ჩაეკითხა ზოსიმოვი.

— ზოგი კოხმა უჩვენა; სხვების სახელი და გვარი ნივთების გასახვევ ქაღალდებზედ ეწერა. ზოგი კი თვითონაც გამოცხადდა, რაკი გაეგო...

— ეტყობა, ძაან გაქნილი და გამოცდილი რამა ყოფილა! რა გამბედავობაა! რა მოხერხებაა!

— საქმეც ეგ არის, რომ არა ყოფილა გამოცდილი და! — გააწყვეტინა რაზუმიხინმა. კიდეც ეგ გიბნევთ გზა-კვალს ყველასა. მე კი ვამბობ: მოუხერხებელი და გამოუცდელი ყოფილა, პირველი ნაბიჯი იყო უთუოდ! თუ გაქნილსა და მოხერხებულს ადამიანსა და მასთან ანგარიშიანობასაც ვიგულისხმებთ, დაუჯერებელი რამ გამოვა. აქ-კი, ეტყობა, გამოუცდელი ყოფილა, მაგრამ შემთხვევას უხსნია. შემთხვევა-კი, ვინ იცის, რას არ იზამს ხოლმე! მოითმინე და, დაბრკოლებაც-კი გათვალისწინებული არა ჰქონია! მერე, როგორ მოიქცა? რაღაცა თუმნიანი და ორ-თუმნიანი ნივთები წაიღო, ჯიბეები იმითი გამოიტენა, ბებრუხანას ყუთი და მჩვრები ამოუქოთა და იქვე-კი, კამოდის ზედა უჯრაში რომ ნაღდი ფული იყო ას ორმოც-და-ათ თუმანზედ მეტი და ბილეთები კიდევ სხვა, ეს-კი ვერ შეჰნიშნა! გეუბნები, პირველი ნაბიჯი ყოფილა-მეთქი, პირველი! მოუკლავს მარტო, თორემ გაძარცვა ვერ მოუხერხებია! დაბნეულა! და თავიც შემთხვევით დაუღწევია და არა ანგარიშითა!

— თქვენ უთუოდ ამ დღეებში მოკლულ ქვრივ ბებრუფანაზედ ჰბრძანებთ, არა?—ჩაეკითხა ზოსიმოვს პეტრ პეტრო-

ვიჩი, რომელიც ფეხზედ იდგა უკვე შლაპითა და ხელთათმნებით ხელში და უნდოდა წასვლის დროს კიდევ ეთქვა რამდენიმე ჭკვიანი სიტყვა.

ეტყობოდა, სცდილობდა ძაან კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა და ამიტომაც თავმოყვარეობამ გონიერებასა სძლია.

— დიახ. თქვენც შეიტყევით?

— როგორ არა, მეზობლათ მოხდა...

— მერე, დაწვრილებით იცით?

— არა, არ ვიცი; მაგრამ აქ სრულიად სხვა გარემოება ანუ სხვა კითხვა იზიდავს მთლად ჩემს ყურადღებასა. არას ვიტყვი იმის შესახებ, რომ ამ ბოლოს წლებში დაბალი წრის ხალხში დანაშაულობათა რაოდენობა თან-და-თან მატულობს; არას ვიტყვი არც იმის შესახებ, რომ ყველგან თითქმის რბევისა და გადაწვის ხმები ისმის მხოლოდ. ყველაზედ უცნაური ჩემთვის აქ ის არის მხოლოდ, რომ ასევე მატულობს დანაშაულობათა და ავკაცობათა რიცხვი მაღალს წრეებშიაცა, თითქმის იმავე თან-და-თანობითა და სისწრაფითა. იქ ნასტუდენტარმა გასტეხა შარა გზაზედ ფოსტაო; აქ დაწინაურებული ხალხი ყალბს ფულსა სჭრისო; მოსკოვში მთელი ამხანაგობა აღმოაჩინეს, რომელიც უკანასკნელ სესხის ყალბს ბილეთებს თურმე ამზადებდა და მონაწილეთა შორის მათში იყო, მაგალითად, ერთი მსოფლიო ისტორიის ლექტორიც. იქ ფულის გულისთვისა და რაღაცა საიდუმლო განზრახვით ჩვენს უცხოელს მდივანსა ჰკლავენ... ხოლო თუ აქაც ბებრუხანა-მევახშე რომელისამე მაღალი წრის წარმომადგენლისაგან არის მოკლული, ვინაიდგან გლეხებს არცა აქვთ ოქროს ნივთები და არც დაგირავება შეუძლიანთ, მაშასადამე, რითი აიხსნება ყველა ეს მაგალითები, თუ არ იმითი, რომ ჩვენის საზოგადოების განათლებული ნაწილი თავგასული და ზნეობა შერყეულია?

— ვინ იცის!.. ეკონომიური ცვლილება მრავალია,—შეჰნიშნა ზოსიმოვმა.

— რით აიხსნება? — დაეკითხა რაზუმიხინი. — რითი და აი, სწორედ ამ ჩვენის უსაქმურობით.

— ესე იგი, როგორ?

— არ გახსოვთ, რა უპასუხა თქვენმა ლექტორმა მოსკოვში მოსამართლეებსა: „ყველა რამ სხვა-და-სხვა საშუალებითა მდიდრდება და მეც ასრეევე მოვინდომე საჩქაროდ გამდიდრებაო.“ მისი სიტყვები დაწვრილებით ვერ მომიგონია, მაგრამ აზრი-კი ეს იყო, — მინდოდა უშრომლად და მალე გავმდიდრებულიყავიო! სხვისა ხარჯზედა და სხვისა მზრუნველობის ქვეშ ცხოვრებას ერთობ მივეჩვიეთ. გვინდა, რომ მუდამ მზად დაღეჭილს ლუკმას გვიდებდნენ პირში. საჭიროების დროს-კი ყველა იმ აზრით მართლულობს თავსა, ვინ როგორ უყურებს საქმესა...

— ეგ კარგი, მაგრამ ზნეობა მერე? წესიერება და რიგიანობა...

— რისთვისა ჰზრუნავთ ნეტა? ჩაერია მოულოდნელად რასკოლნიკოვი. — ყველა ეს თქვენს ტეორიას ეთანხმება!

— როგორ, თუ ჩემს ტეორიასა?

— როგორა და ისე: განაგრძეთ, აბა, წელანდელი თქვენი მოძღვრება და ჰნახავთ, რომ ხალხის ხოცვაც შესაძლებელი შეიქმნება...

— მოითმინეთ! შეჰყვირა ლუჟინმა.

— არა, არა, აგრე არ არის! გამოელაპარაკა ზოსიმოვი.

იწვა რასკოლნიკოვი გაფითრებული, ზედა ტუჩი საშინლად უცახცახებდა, ძლივს-ღა ჰსუნთქავდა.

— ყველას თავისი ზომიერება აქვს, — განაგრძობდა მედიდურად ლუჟინი, — ეკონომიური იდეა მკვლელობას როდი ვისმე აკისრებს, ხოლო თუ წარმოვიდგენთ, რომ...

— მართალია, — გააწყვეტინა უცბად სიბრაზისაგან მთლად აცახცახებულმა რასკოლნიკოვმა, — უთხარით, თქვენს საპატარძლოსა... იმ დროს სწორედ, თანხმობა რომ გამოუცხადებია, ვითომ ყველაზედ მეტად მოხარული ხართ იმის სიღარიბისა... იმიტომ, რომ უკეთესია ღარიბი შეირთოს

ადამიანმა, რომ შემდეგში სრული უფალი შეიქმნეს ცოლისა და საბუთიც ჰქონდეს დააყვედროს ხოლმე, რომ ქმრისაგან არის გაბედნიერებული?..

— მოწყალეო ხელმწიფეო! შეჰყვირა გაბოროტებულმა და აღელვებულმა ლუჟინმა და მთლად აენთო, დაიბნა თითქმის,—მოწყალეო ხელმწიფეო... აზრის აგრე დამახინჯება! მაპატიეთ, მაგრამ მოგახსენებთ, რომ თქვენამდე მოღწეული, ანუ უკეთ ვსთქვათ, განგებ მოტანილი ხმა სრული უგუნურებაა... და ეჭვიცა მაქვს მიტანილი, ვინც... ერთი სიტყვით... დედას... უხარებია... თუმცა წინადვე ვხედავდი, რომ ყველა სხვა ღირსებასთან, ცოტა არ იყოს, აღტაცებული და გრძნობების ამყოლი ადამიანი უნდა ყოფილიყო... ყოველს შემთხვევაში ვერ წარმოვიდგენდი მაინც, თუ ასე დაამახინჯებდა ფაქტსა და ოცნებით შექმნილს ამბავს გაცნობებდათ... დასასრულ... დასასარულ...

— იცით, რა არის? შეჰყვირა რასკოლნიკოვმა და ბალიშზედ წამოიწია, თან ელვასავით აღგზნებული თვალი მრისხანედ თვალში გაუყარა.—იცით, რა არის?

— რა არის?

შედგა ლუჟინი და შეურაცხყოფილი და გულმოსული უცდიდა, რა იქნებოდა. რამდენსამე წამს ასე იყვნენ გაჩუმებულნი.

— რა და ის, რომ თუ კიდევ... გაჰბედავთ და... აწამებთ რასმე... დედიჩემის შესახებ... იცოდეთ, კიბიდამ პანლურის კვრით ჩაგიძახებთ!

— რა დაგემართა?—შეჰყვირა რაზუმიხინმა.

— ჰხედავთ, თურმე როგორ ყოფილა საქმე! გაფითრდა ლუჟინი და ტუჩზედ იკბინა.—ყური დამიგდეთ, ბატონო,— დაიწყო თავდაჭერითა და წყნარად ვითომ; მაგრამ სულს მაინც ძლივს იბრუნებდა, ბრაზი ახრჩობდა,—წელანვე, პირველ შემოსვლისათანავე, შეგნიშნეთ, რომ როგორღაც მტრულად შემეგებეთ, მაგრამ დავრჩი განგებ, რომ უკეთ გამეგო საქმე. როგორც ავადმყოფსა და ნათესავს, ბევრს გაპატიებდით, მაგრამ ახლა-კი... არასოდეს... არასოდეს...

— მე ავად არა ვარ! შეჰყვირა რასკოლნიკოვმა.

— მით უარესი, მაშ...

— დამეკარგეთ აქედამ!

მაგრამ უამისოდაც უკვე მიდიოდა ლუჟინი, მაგიდასა და სკამს შუა ვიწრო საძვრომში გადიოდა. წამოდგა რაზუმიხინიც, რომ გაეტარებინა როგორმე. აღარ შეუხედნია აღარავისთვის, ზოსიმოვისთვისაც-კი, რომელიც ერთ-თავად თავს უქნევდა, რომ ავადმყოფისათვის თავი დაენებებინა, ისე გავიდა შლაპით ხელში მხარ-აწეული. ოდნავად წახრილს წელზედაც-კი ნათლად ეტყობოდა, რომ თან რაღაცა საზარელი შეურაცხყოფა მიჰქონდა.

— ასეც შეიძლება, განა? იმეორებდა გაკვირვებული რაზუმიხინი და თავს აქნევდა.

— თავი დამანებეთ, გეთაყვათ, დამანებეთ ყველამა! შეჰყვირა გაბრაზებულმა რასკოლნიკოვმა.

— რა გინდათ, არ დამეხსნებით? მე თქვენი არ შეშინიან! არავისიც არ მეშინიან! გამშორდით ყველა! მინდა მარტოდ-მარტო ვიყო, მარტო!

— წავიდეთ! უთხრა ზოსიმოვმა და რაზუმიხინს თავით ანიშნა.

— როგორ? მერე? ასე უნდა დავტოვოთ, განა?

— წავიდეთ! გაუმეორა ბეჯითად ზოსიმოვმა და გარეთ გავიდა.

იფიქრა პატარა ხანს რაზუმიხინმა და თითონაც დაედევნა.

— უარესი იყო, რომ არ გაგვეგონა, — ეუბნებოდა კიბეზედ ზოსიმოვი რაზუმიხინსა.

— ცუდია ასეთ დროს ავადმყოფის გაბრაზება...

— რა დაჰმართვნია?

— გარემოებას რომ ხელი შეეწყო, მეტი არა უნდოდა-რა! შეეძლო წელან... იცი, რა არის? რაღაც რამ ფიქრი აწუხებს! მძიმედა სტანჯავს... ცოტა არ იყოს, მეშინიან!

— იცი, რა არის, ეს ვიღაცა პეტრ პეტროვიჩია! ლაპარაკიდამ ეტყობა, დას უნდა ირთავდეს ამისასა, რის შესახე-

ბაც წერილი, სჩანს, სწორედ ავადმყოფობის წინად მიუღია როდიონსა...

— დიახ, დიახ; მაგრამ რაღა ახლა მოეხეტა? იქნება საქმეც ჩაგვიშალა სულ მთლადა. არა, შეჰნიშნე, რომ ყველაფერს გულგრილად ეკიდება, ჩუმათ არის, მაგრამ, როგორც კი მკვლელობას ახსენებენ, მაშინვე შფოთვას უმატებს ხოლმე...

— როგორ არა, როგორ არა,—უპასუხა რაზუმიხინმა,— შევნიშნე და აგრე! საშინლად უნდა ყველაფერი გაიგოს, მაგრამ ეშინიან კიდეც. ეს უთუოდ იმის გამო, რომ ავადმყოფობის დღესვე შეეშინებინათ უბნის ზედამხედველის კანტორაში, პოლიციაში. გულიც შეჰლონებოდა.

— აბა, ერთი ამაღამ დაწვრილებით მიამბე ეგა და მერე მეც გეტყვი რასმე. დიდათ იზიდავს ჩემს ყურადღებასა. ნახევარ საათის შემდეგ კიდევ შემოვივლი, ვნახავ... ანთება მაინც არ ექნება, ვგონებ.

— გმადლობ! მე კიდევ პაშენკასთან მოვიცდი და ნასტასიას დახმარებით ვუგდებ ყურსა.

მოუთმენარად გადაჰხედა მარტოდ დარჩენილმა რასკოლნიკოვმა ნაღვლიანად ნასტასიასა, მაგრამ ნასტასია არა ჩქარობდა წასვლასა.

— ჩაის არ დაჰლევ? დაეკითხა იგი.

— მერე! მეძინება! თავი დამანებე...

მიუგო რასკოლნიკოვმა და ათრთოლებულმა კედლისაკენ იბრუნა პირი. ნასტასიაც მაშინვე გავიდა.

## VI

მაგრამ გავიდა თუ არა ნასტასია, წამოდგა მაშინვე რასკოლნიკოვი, გადარაზა კარები, გახსნა რაზუმიხინის მოტანილი ბოღჩა, ამოიღო ტანისამოსი და ჩაცმა დაიწყო. უცნაური იყო სწორედ: თითქოს უცბად მთლად დამშვიდდა; აღარც წელანდელივით ჰბოდავდა, აღარც შიში რისამე ჰქონდა, როგორც ეს ბოლოს დროს გამოჰიარა. ეს იყო პი-

რველი წამი რაღაცა უცნაურისა და უცების დამშვიდებისა. ყოველივე მოძრაობა ნათლად გარკვეული და სწორე ჰქონდა, მტკიცე განზრახვა ყველა მათგანს აშკარად ეტყობოდა. „დღესვე, დღესვე!...“ დუდუნებდა თავისთვის. თვითონაც ჰგრნობდა, რომ ჯერ კიდევ სუსტად იყო, მაგრამ ძლიერმა სულიერმა მოძრაობამ და მძლავრმა აზრმა დროებით დაამშვიდა როგორღაც, ძალა და რწმენა შესძინა. იმედი ჰქონდა, რომ ქუჩაში მაინც არის არ დაეცემოდა, გულს არ შემოეყრებოდა. ჩაიცვა ახლები, გამოეწყო მთლადა და მაგიდაზედ მდებარე ფულს გადაჰხედა; პატარა ხანს იფიქრა რაღაც, აიღო მერე ფული და ჯიბეში ჩაიდო. სულ ოც-და-ხუთი მანეთი იყო. ჯიბეშივე ჩაიყარა რაზუმიხინის მოტანილი ხურდა შაურიანები. აჰხსნა მერე ფრთხილად რაზა, გამოვიდა ოთახიდამა, ჩამოვიდა კიბეზედა და სამზარეულოს ღია კარებს ჩუმად გაჰხედა: ნასტასიას ზურგი შეექცია და წაკუზული დიასახლისის სამოვარში ცეცხლს აღვივებდა. არა გაუგია-რა. მაგრამ ან-კი ვინ მოიფიქრებდა, თუ ავადმყოფი სადმე წავიდოდა? ერთის წამის შემდეგ რასკოლნიკოვი უკვე ქუჩაში იდგა.

საღამოს რვა საათი იყო, მზე ჩადიოდა. ჰაერი ისევ წინანდებურად შეხუთული იყო, მაგრამ ხარბად დაუწყო სუნთქვა რასკოლნიკოვმა ამ დახშულსა და აყროლებულს ქალაქის ჰაერსა. ცოტა არ იყოს, თავს ბრუ დაეხვია; რაღაც რამ ველურმა ძალამა და მხნეობამ იჩინა უცბად თავი მისს ანთებიანს, ცეცხლის მფრქვევს თვალებსა და გამხდარ-გადაფითრებულს, გაყვითლებულს სახეზედა. არ იცოდა და არცა ფიქრობდა, საით უნდა წასულიყო, მაგრამ ერთი რამ-კი: „რომ ყველაფერი **ეს** დღესვე უნდა გაეთავებინა, ერთადა და ახლავე; რომ უამისოდ არაფრის გულისათვის შინ აღარ დაბრუნდებოდა, იმიტომ, რომ **ასე ცხოვრება აღარ უნდოდა**“, ეს-კი კარგად იცოდა. მაგრამ როგორ და რითი გაეთავებინა? ამისა-კი არა იცოდა-რა და არც თუ უნდოდა ეფიქრა. რამდენიც-კი გაუელვებდა ფიქრი, იმდენი სულ ახლოს არ იკარებდა, სდევნიდა: ფიქრი სტანჯავდა, არ ასვენებდა. ჰგრძნობდა და იცო-

და მხოლოდ ერთი რამ: რომ ასე იქნებოდა თუ ისე, უთუოდ უნდა ცვლილება მოეხდინა. „რაც უნდა მოხდესო“, იმეორებდა სასოწარკვეთილადა და გარდაწყვეტით.

ძველის ჩვეულებისამებრ სათივე მოედნისაკენ გასწია სასეირნოდა. მაგრამ ჯერ სათივეზე არ გასულიყო, რომ ქუჩის პირად, ფილაქანფენილზედ, უცბად შავ-თმა მეარღნე შემოჰხვდა. დამდგარიყო რომელიღაც დუქნის წინა და რაღაცა მეტად საგრძნობელს რომანსს უკრავდა. წინ ედგა ფილაქანფენილზედ ასე თხუთმეტის წლის გამოკოპწიავებული გასათხოვარი ქალი, ხელთათმნებითა და ჩალის შლაპით გამოწყობილი, რომელსაც ზედ ცეცხლის ფერად მოელვარე ფრთა ჰქონდა მიკერებული. რასაკვრელია, ყველა ეს უკვე ნახმარი და ნათრევი იყო. მედუქნისაგან რაღაცა ორ-კაპიკიანის მოლოდინში ხმამაღლა დაჰმღეროდა არღანზედ ჟღრიალა ხმით რაღაცა რომანსსა, თუმცა ხმა საკმაოდ საამო და მძლავრი ჰქონდა. რასკოლნიკოვიც ორიოდ-სამიოდე ყურისმგდებელს ამოუდგა მხარში, პატარა ხანს დაუგდო ყური, ამოიღო მერე ჯიბიდამ შაურიანი და ქალს ჩაუდო ხელში. იგრძნო თუ არა ფულის ჩადება ხელში, ქალმა იმავ წამს სიმღერა შესწყვიტა სულ მაღალსა და საგრძნობელს ნოტაზედ, თითქოს უცბად გასხიპეს რამეო, შეუყვირა მეარღნეს: „კმარაო!“ და ახლა მეორე დუქნისაკენ გასწიეს.

— გიყვართ თქვენ ქუჩის სიმღერა? მიჰმართა რასკოლნიკოვმა იქვე, მის გვერდით, მეარღნესთან მდგომ ვიღაცა ხნიერს გამვლელს, რომელსაც, ეტყობოდა, არავითარი საქმე არა ჰქონდა და ისე, მხოლოდ დროს გასატარებლად, დადიოდა ქუჩა-ქუჩა. გამვლელმა როგორღაც გაკვირვებულმა შეჰხედა.

— მე კი მიყვარს,—განაგრძობდა რასკოლნიკოვი, მაგრამ ისე დინჯადა და დარბაისლურად, გეგონებოდათ, ქუჩის სიმღერაზედ არა აქვს ლაპარაკიო.—მიყვარს არღანზედ რომ დაჰმღერიან შემოდგომის ცივსა, ბნელსა და ნოტიო ღამეში, მაგრამ უთუოდ ნოტიო ღამეში, გამვლელ-გამომვლელს რომ

ყველას გაცრეცილი, მწვანე, სნეულებრივი სახე აქვს; ან კიდევ უქარო ღამეში რომ სველი თოვლი პირდაპირ ცვივა მიწაზედა, გესმისთ? და თოვლის ფიფქის კორიანტელში რომ ფარნები ოდნავ მობჟუტავენ...

— არ ვიცი... უკაცრავად... წაიბუტბუტა რასკოლნიკოვის უცნაურ შესახედავობითა და კითხვით გაკვირვებულმა გამვლელმა და ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა.

წავიდა პირდაპირ რასკოლნიკოვი და სათივის იმ კუთხეში გავიდა სწორედ, სადაც ცოლ-ქმარნი ელაპარაკებოდნენ მაშინ ლიზავეტასა; მაგრამ ცოლ-ქმარნი ახლა აღარსადა სჩანდნენ. იცნო ადგილი, შედგა, მიიხედ-მოიხედა და პურის დუქნის კარებში უსაქმურად მდგომს წითელ ხალათა ახალგაზრდას მიჰმართა.

— ვილაცა ცოლ-ქმარნი ვაჭრობენ აქ, ამ კუთხეშია, არა?

— ყველაცა ვაჭრობს, —მიუგო ახალგაზრდამ დაუდევრადა და მედიდურად აათვალ-ჩაათვალიერა რასკოლნიკოვი.

— რა ჰქვიან სახელათა?

— ისევ ის, რაც დაუნათლებიათ.

— იქნება შენც ზარაისკიდამა ხარ? რომელი გუბერნიისა ხარ?

კიდევ გადაჰხედა და აათვალ-ჩაათვალიერა ახალგაზრდამა.

— ჩვენ, თქვენო ბრწყინვალებავ, გუბერნიიდამ-კი არა მაზრიდამა ვართ, აქეთ-იქით ძმა დადიოდა ხოლმე, მე-კი ერთ-თავად შინ ვიჯექი, ასე რომ არა ვიცი-რა... იხმარეთ ამიტომ დიდსულოვნობა, თქვენო ბრწყინვალებავ, ტ მაპატიეთ...

— ე მაღლა რაღაა, „ხარშოვნაა“?

— „ხარშოვნა“ კი არა „ტრახტირია“ და ბილიარდიცა აქვთ; „პრინცესებიცა „ჰყავთ...

რასკოლნიკოვი მოედანს გადავიდა. იქ, კუთხეში, ხშირი ბრბო იდგა გლეხებისა. შევიდა შიგ შუა გულ ბრბოშია და დაუწყო ყველას პირდაპირ თვალებში ცქერა. უნდოდა როგორღაც ყველას გამოჰლაპარაკებოდა. მაგრამ გლეხები არა-

ვითარს ყურადღებას არ აქცევდნენ, ყველანი ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ აქა-იქ შეჯგუფულნი. იდგა პატარა ხანს ასე, იფიქრა, იფიქრა და პირდაპირ ქვაფენილს დაადგა, ვ — საკენ გასწია მარჯვნივა. მაგრამ გასცილდა თუ არა მოედანსა, მაშინვე ქუჩის შესახვევში მოჰხვდა...

წინადაც ბევრჯერ უვლია ამ მოკლე ქუჩის შესახვევითა, რომელიც ბაღების ქუჩაზედ გადის პირდაპირა. ამ ბოლოსა და ბოლოს დროს ხომ უხშირა კიდეც ამ ადგილებში სიარულსა, რომ გულ ᲐᲛᲦᲕᲠᲔᲣᲚᲡᲐ და დაზიზღებულს „უფრო მეტად შეჰზიზღებოდა ყველაფერი“. მაგრამ ახლა-კი სულ არა უფიქრია-რა, ისე მოჰხვდა როგორღაც უნებურად ამ ქუჩაშია. აქ არის ვეება სახლი, რომელიც თითქმის მთლად სასმელ და სასაზრდოვო, სამხიარულო დუქნებითაა სავსე. ყოველს წამს დუქნებიდამ უბრალოდ—„სამეზობლოთ“—ჩაცმული დედაკაცები გამორბოდნენ. ორ-სამ ადგილას-კი შეჯგუფულიყვნენ კიდეც ფილაქანფენილზედა, განსაკუთრებით იმ ადგილას, საიდამაც სულ ორი-სამი საფეხურით სამხიარულო დუქნებში შეიძლებოდა უცბად გაჩენა. ერთს იმათგან'ში იმ ჟამად სწორედ ყვირილი და ბრახუნი იყო საშინელი; ისმოდა, როგორ უკრავდნენ გიტარასა, დაჰმღეროდნენ ზედ და მხიარულობდნენ. ვეება ჯგუფი დედაკაცებისა ჩასავალთან შეკრებილიყო; ზოგნი კიბის საფეხურებზედ ისხდნენ, ზოგნი ქვაფენილზედ, სხვები ფეხზედ იდგნენ და ლაპარაკობდნენ. იქვე ფილაქანფენილზედ ვიღაცა მთვრალი ჯარის-კაცი დახეტიალობდა, პაპიროსს ეწეოდა, ხმა-მაღლა ილანძღებოდა. ეტყობოდა, სადღაცა უნდოდა შესვლა, მაგრამ სად, ველარ გაეგნო, დაჰვიწყებოდა თითქოს. ერთი ვიღაც დაფლეთილი მეორე დაფლეთილს ეჩხუბებოდა; ვიღაცა გალექებული კიდევ მკვდარივით გაშხლართულიყო ქუჩის შუაგულ. რასკოლნიკოვიც ბლომად შეკრებილ დედაკაცებთან გაჩერდა. ყველა როგორღაც გახრინწიანებულის ხმით ლაპარაკობდა. ყველას ჩითის კაბები და უბრალო ფეხთსაცმელები ეცვათ, თმებიც უბრალოდ ჰქონდათ გადავარცხნილი. ზოგიერთა

ორმოცს წელსაც იყო გადაცილებული, მაგრამ იყვნენ მათ შორის ჩვიდმეტის წლის ახალგაზრდანიც. ყველას თითქმის თვალები ჰქონდათ დალურჯებულ-დაკოჟოჟებული.

გაიტაცა როგორღაც რასკოლნიკოვი ამ სიმღერამა, ყვირილმა და ბრახი-ბრუხმა... ისმოდა სიცილსა და წივილ-კივილში გიტარაზედ როგორ დაჰმღეროდა ვიღაცა წვრილის ხმითა და მისს ხმაზედ მოქეიფეთაგან ერთი როგორ ფიცხად უვლიდა ცეკვასა და ერთგულად უტყაპუნებდა ფეხთსაცმლის ქუსლებს იატაკსა. დაღვრემილი და დაფიქრებული უგდებდა ყურსა და ოდნავ წახრილი ცნობისმოყვარეობით ჩაიცქირებოდა ფილაქანფენილიდამ ჩასავალს კარებშია.

„Ты мой бутошникъ прекрасный,
„Ты не бей меня напрасно!“

გაჰკიოდა წვრილის ხმით მომღერალი. მოუნდა საშინლად რასკოლნიკოვს გაეგონა, რასა მღეროდნენ, თითქოს მეტი საქმე არა ჰქონდაო.

„მოდი, ჩავიდე,“—გაიფიქრა რასკოლნიკოვმა.—„ხარხარებენ! მთვრალები არიან. მერე, რა იქნება, რომ მეც დავითრო, ჰა?“

— არ ინებებთ, ჩამიბრძანდით, საყვარელო ბატონო? დაეკითხა ერთი იქ მდგომ დედაკაცთაგანი, რომელსაც ჯერ კიდევ მთლად არ გაჰხრინწიანებოდა ხმა.

ეს იყო ჯერ სრულიად ახალგაზრდა და საკმაოდ სანდომიანიც—მთელის ჯგუფიდამ საუკეთესო თითქმის.

— ჰხედავთ, რა ლამაზია! მიუგო რასკოლნიკოვმა და წელში გასწორდა, პირდაპირ შეჰხედა.

ქალმა გაიღიმა; ალერსი მოეწონა.

— თქვენ რაღა ნაკლები ხართ,—მიუგო ქალმა.

— რა გამხდარია!—შეჰნიშნა ბოხის ხმით მეორემა.— საავადმყოფოში ხომ არა წოლილხართ!

— გეგონებათ, გენერლის ქალები არიანო და ცხვირი კი ყველას პაჭუა აქვს!—გააწყვეტინა უცბად შესწრებულმა შეზარხოშებულმა და ჯუბ-გადახსნილმა, მაცდურად მომღიმარე გლეხმა.— ჰხედავთ, რა მხიარულობაა!

— მოსულხარ, გაიარე!

— გავიარ! თაფლო, გავიარ!

და უცბად ქვევით მოადინა ბლაძანი.

— გესმისთ, ბატონო! მიაყვირა ქალმა რასკოლნიკოვსა.

— რა იყო?

შეჰრცხვა ქალსა.

— მე, კეთილო ბატონო, მოხარული ვარ მუდამ თქვენთან ვატარო დრო, მაგრამ მრცხვენია როგორღაც თითქოს. მაჩუქეთ, სასურველო, ექვსიოდ კაპიკი, რომ დავლიო რამე!

ამოიღო ჯიბიდან რასკოლნიკოვმა, რაც-კი ამოჰყვა: სულ სამი შაურიანი იყო.

— ოჰ, რა კეთილი ბატონი ყოფილხართ!

— რა გქვიან სახელათა?

— დუკლიდა. ასე მიკითხეთ.

— არა, რასა ჰგავს ესა,—შეჰნიშნა უცბად ერთმა ჯგუფში მდგომთაგანმა და თან თავის ქნევა დაუწყო დუკლიდასა.—არ ვიცი სწორედ, როგორ უნდა გეპატიოს! მე, მგონი, სირცხვილი დამწვამდა მთლათა...

ცნობის მოყვარე თვალით გადაჰხედა რასკოლნიკოვმა მოლაპარაკესა. ეს იყო მთლად დაკენკილი, ასე ოც და ათის წლის სახე დალურჯებული და ზედა ტუჩ შესიებული ქალი. ლაპარაკობდა სრულიად დამშვიდებული და დინჯად, დარბაისლურად.

„სად მახსოვს?“, ფიქრობდა რასკოლნიკოვი და თან მიდიოდა,—„სად წამიკითხნია, რომ სასიკვდილოდ დასჯილი ერთის საათის წინ დასჯამდე ასე ფიქრობს და ამბობს: სადმე თვალუწვდენს სიმაღლეზე, ფეხის დადგმა კლდეზედ ვარჩევდი მთელის საუკუნოების განმავლობაში განმარტოებულად ყოფნასა; თუნდ გარეშემო სამარადისო წყვდიადი, ქარიშხალი და უფსკრულიც ყოფილიყო, ან მხოლოდ უძირო ოკეანეთი ყოფილიყო გარშემორტყმული, ოღონდ-კი სიცოცხლე შემრჩენოდა, არ მოვმკვდარიყავ ახლავე! ოღონდ მეცოცხლა-კი, რა გვარიც უნდა ყოფილიყო ეს ჩემი სიცოცხ-

ლეო!.. რა მართალია! რა ჭეშმარიტებაა, ღმერთო ჩემო! ფლიდი და საძაგელი რამ არის ადამიანი!.. და ასრეკვე საძაგელია იგიც, ვინც მას ამ სახელს უწოდებს“-ო, დასძინა ორი წამის შემდეგ თვითონვე.

და მეორე ქუჩაზედ გავიდა: „ეჰე! „ბროლის სასახლე“! წელან არ იყო რაზუმიხინი ლაპარაკობდა „ბროლის სასახლეზედა“. ჰო, მაგრამ მე რა მინდოდა აქა? ჰო, ჰო, უნდა წამეკითხა!.. ზოსიმოვმა სთქვა, გაზეთებში წავიკითხეო...

— გაზეთები ხო გაქვთ?—იკითხა რასკოლნიკოვმა, შევიდა თუ არა ხალვათსა და სუფთად მოწყობილს, რამდენსამე ოთახიანს ტრაქტირში. შიგ თითქმის არავინ სჩანდა. ორი თუ სამი კაცი ჩაისა ჰსვამდა და შორეულს ოთახში კიდევ ვილაცა ოთხი კაცი იჯდა, შამპანიურს შეექცეოდნენ. ეჩვენა რასკოლნიკოვსა, ვითომ მათ შორის ზამეტოვიც იყო. მაგრამ შორიდამ გარჩევა ძნელი იყო.

„არის და იყოს, რა მენაღვლება!“—გაიფიქრა თავისთვის.

— არაყს ინებებთ?—დაეკითხა შესვლისათანავე მსახური.

— არა, ჩაი მომიტა. და თან ამ ხუთიოდე დღის გაზეთები მოაყოლე, ფულს გაჩუქებ.

— ბატონი ბრძანდებით, ახლავ! აი, დღევანდელებიც. არაყსაც ხომ არ ინებებთ?

ძველი გაზეთებიც და ჩაიც ორივე მალე მოუტანა. ჩაუჯდა რასკოლნიკოვი და დაუწყო ძებნა: „იზლერი—იზლერი—აცტეკი—აცტეკი—იზლერი—ბარტოლა—მასსიმო—აცტეკი—იზლერი... ფუ, დალახვრა ეშმაკი! რა ცნობებია: კიბიდამ გადმოიჩეხაო, იქ ვილაცა წვრილი მოქალაქე დამწვარაო—რიყეზედ, პეტერბურგის მხარეზე ცეცხლი გაჩნდაო, კიდევ ცეცხლია პეტერბურგის მხარეზე—კიდევ იზლერი—იზლერი—მასრიმო... ძლივს, ძლივს“...

იპოვნა ბოლოს, რასაც ეძებდა და კითხვა დაუწყო. სტრიქონები სულ ჭიაყელებივით ერეოდნენ, მაგრამ მაინც ჩაიკითხა და ახლა გაზეთის სხვა ნომრებს დაუწყო ძებნა, რომ დამატებითი ცნობებიც შეეტყო. მოუთმენლობისაგან გულ გადა-

ლეულს თითები მთლად უცახცახებდა, გაზეთებს რომა ჰფურცლავდა. უცბად ვიღაცა მიუჯდა გვერდით. შეჰხედა—ზამეტოვია,—იგივ ზამეტოვი, ბეჭდებითა და ოქროს ძეწკვით გამოჭიმული, ხუჭუჭ-თმიანი, პომადა-წასმული, მშვენიერს ჟილეტსა და ცოტა გახეხილს სერთუქში გამოწყობილი. მხიარულად არის; ღიმილით მაინც მხიარულადა და გულკეთილად უღიმოდა. შამპანიურისაგან ხორბლის ფერი პირისახე მთლად აჭნთებოდა, უხურდა.

— როგორ! აქა ხართ? დაეკითხა გაკვირვებული ისეთის კილოთი, გეგონებოდათ მთელი საუკუნეა ერთმანერთს იცნობენო.—გუშინ-კი იყო მეუბნებოდა რაზუმიხინი, ჯერ კიდევ გონს არ მოსულაო. უცნაურია! ხომ თქვენსაც ვიყავი...

იცოდა რასკოლნიკოვმა, რომ მივიდოდა უთუოდ ზამეტოვი. გადააწყო გაზეთები და ზამეტოვს მიუბრუნდა. ტუჩებზედ დაცინვის ღიმი უქროდა; რაღაცა ახალი რამ მოუთმენრობის ღელვა ეტყობოდა.

— ვიცი, ვიცი, რომ იყავით,—უპასუხა,—გავიგე. წინდას თურმე მიძებნიდით... იცით, რა არის, რაზუმიხინი თითქმის რომ გადარეულია თქვენთვის; ამბობს, ლავიზა ივანოვნასთან ერთათ ვიყავითო. გახსოვთ, მაშინ რომ თოფის წამალა-პორუჩიკს ანიშნებდით თვალითა და ის-კი, ვერ იქნა, დიდხანს ვერ მიგიხვდათ, გახსოვთ? არა, ან-კი როგორ არ უნდა მიხვედრილიყო—აშკარა საქმე იყო... არა?

— ო, რა ჭირვეული რამ არის!

— თოფის-წამალა?

— არა, თქვენი მეგობარი რაზუმიხინი...

— კარგათა სცხოვრობთ, ბატონო ზამეტოვ, განა? რაკი რამ სასიამოვნო ადგილებია, ყველგან უბაჟოდ დაბრძანდებით, განა? ვინ იყო, ახლა რომ შამპანიურს გასმევდათ?

— ჰო, ეს ჩვენა... ვსვამდით... ჩამაცივდა, აღარ მამეშვა!

— საგონორარო იყო, განა! ყველაფრით სარგებლობთ!—გაიცინა რასკოლნიკოვმა.—არა უშავს-რა, კეთილო ბიჭო, არა უშავს-რა!—დასძინა რასკოლნიკოვმა და ზამეტოვს მხარ-

ზედ ხელი დაჰკრა.—მე ხომ ისე სიბოროტით არ მომდის, „სიყვარულით, ხუმრობით“ გეუბნებით, ისე, როგორც თქვენი ხელოსანი მართლულობდა თავსა, მიტკას რომ გვერდებს უთქვეფავდა; არ იცით, აიმ ბებრუხანას საქმისა გამო.

— მერე, თქვენ რა იცით, განა?

— ვინ იცის, იქნება თქვენზედ მეტიც ვიცოდე.

— რას ამბობთ, აბა, რა უცნაური ხართ... ეტყობა, ჯერ ავათა ხართ ისევა. ტყუილად გამოსულხართ გარეთა.

— როგორ, უცნაურათ გეჩვენებით?

— დიახ. რა იყო ეს, გაზეთებს კითხულობდით?

— დიახ.

— ბევრი სწერია ცეცხლზედა, სად ან ვის გასჩენია?

— არა, მე ცეცხლზედ არა ვკითხულობდი,—და როგორღაც მნიშვნელოვანად გადაჰხედა ზამეტოვსა. დაცინვის ღიმმა კვალად შეუთამაშა ტუჩებზედა.—არა, ცეცხლზედ არა ვკითხულობდი,—განაგრძობდა რასკოლნიკოვი და თან თვალს უშვრებოდა ზამეტოვსა.—არა, გამომიტყდით, საყვარელო, რომ გულით გენატრებათ გაიგოთ, რას ვკითხულობდი ახლა; ხომ აგრეა, ჰა?

— სრულიადაც არა; ისე გკითხეთ. ნუ თუ არ შეიძლებოდა მეკითხა? როგორ ყველაფერს...

— მოითმინეთ, თქვენ ხომ განათლებული, ლიტერატურაზედ აღზრდილი კაცი ხართ, არა?

— გიმნაზიის მეექვსე კლასიდანა ვარ,—მიუგო ზამეტოვმა რაღაცა ღირსებით.

— მეექვსიდამა! ჩემო ბელურავ! თმა-ხუჭუჭო, ბეჭდებიანო მდიდარო კაცო! ოჰ, რა საუცხოვო ბიჭი ხართ.

და რასკოლნიკოვი ნერვებ-აშლილივით ჩაბჟირდა. ზამეტოვმა უკან დაიხია უცბადა, მაგრამ წყენით არა სწყენია ისე, როგორც გაიკვირა ნათქვამი.

— ფუჰ, რა უცნაური რამა ხართ!—გაიმეორა ზამეტოვმა თითქმის გულმოსულმა.—მგონია, ჰბოდავთ ისევა.

— ვბოდავ? სტყუი, ბელურავ!.. აგრე, მაშ, უცნაური ვარ, ჰა? სხვა-კი არა გინდათ-რა გაიგოთ? ჰა? არ გინდათ გაიგოთ?

— გავიგო?

— ჰო, აი, თუნდ ისა, რას ვკითხულობდი ახლა, რას ვეძებდი? ჰხედავთ, რამდენი ნომერი მომიტაინებია ერთადა! საეჭვოა, არა, ჰა?

— აბა, რას ამბობთ.

— რასა და იმას, რომ გინდათ ხუთი ყური და თვალი გამოიბათ.

— არ მესმის სწორედ.

— არ გესმისთ და გაგაგებინებთ, მაგრამ შემდეგ, ახლა-კი, აი, ჩემო საყვარელო, რას გამოგიცხადებთ... მაგრამ, არა, გამოგიცხადებთ-კი არა, „გამოგიტყდებით“... არა, არა, არც ეს მინდა: „ჩვენებას მოგცემთ, თქვენ კიდევ ჩამომართმევთ“— ჰხედავთ! გეტყვით, მაშ, რომ ვკითხულობდი... ჩემს ყურადღებას იბყრობდა, ვეძებდი... და დავეძებდი... რასკოლინკოვმა თვალები მოჭუტა და პატარა ხანს შეიცადა.—ვეძებდი,—და იმიტომაც შემოველ აქა,—რომ მოხელის ქვრივ ბებრუხანას მკვლელობის შესახებ გამეგო რამე,—წარმოსთქვა რასკოლნიკოვმა თითქმის ჩურჩულითა და თან პირი მთლად სახეზედ მიადო ზამეტოვსა.

ზამეტოვიც პირდაპირ შეჰყურებდა უძრავად, გაშტერებული, სახეს არ აშორებდა. ყველაზედ უცნაურად-კი ის ეჩვენა ზამეტოვსა, რომ მთელი ერთი წამი ასე უცქეროდნენ ერთმანეთს გაჩუმებულნი.

— მერე, რა არის, რომ კითხულობდით?—შეჰყვირა უცბად მოთმინებიდან გამოსულმა და გაკვირვებულმა.—რა საქმე მაქვს! რა არის, თუ კითხულობდით?

— ეს ის ბებრუხანაა,—განაგრძობდა რასკოლნიკოვი ისევე ისე ჩურჩულითა და უძრავად,—რომლის შესახებაც, გახსოვთ, კანტორაში ლაპარაკობდნენ და მე გული შემიღონდა. ახლა ხომ გესმისთ?

— მერე, რა არის, რომა? რა... „რა მესმის?“ — წარმოსთქვა ზამეტოვმა თითქმის აღშფოთებულმა.

უძრავი და დაფიქრებული სახე უცბად ისევ შეეცვალა რასკოლნიკოვსა და წელანდელივით ჩაბჟირდა, თითქოს თავის შემაგრება ველარ შესძლოვო. და უცბად ნათლად გაახსენდა ის წამი, კარებს უკან რომ იდგა ცულითა და ჩანგალი სარეკელასავითა ხტოდა; ისინი გარედამ ილანძღებოდნენ და ამტვრევდნენ კარებს, ეს-კი შიგნიდან იდგა და უნდოდა გულით დაეყვირა, გაელანძღა, ენა გამოეყო, გაებრაზებინა, ეცინა და ეხარხარა, გულიანად ეხარხარა!

— ან გიჟი ხართ თქვენა, ან არა-და... — უთხრა ზამეტოვმა და შედგა, თითქოს უცბად რაღაც რამ აზრმა გაურბინაო თავში.

— ან არა და, რა? რა, ჰა? აბა, რა? მითხარით, რაღას უყურებთ!

— არასფერი! — უპასუხა გულმოსულად ზამეტოვმა. — სისულელეა.

ორივენი გაჩუმდნენ. უცებ ავარდნილის, ჩაბჟირებით სიცილის შემდეგ რასკოლნიკოვი უცბად ფიქრმა მოიცვა, ისევ დაიღვრიმა. დაიხარა მაგიდაზედა და თავით ხელს დაეყრდნო. ზამეტოვი თითქმის სულ დაავიწყდა. დიდ-ხანს იყვნენ ასრე გაჩუმებულნი.

— ჩაის რასათვის არა ჰსვამთ? გაგიცივდებათ, — გამოელაპარაკა ზამეტოვი.

— რაო? რა-ა? ჩაის?.. ჰო, მართლა...

მოსვა რასკოლნიკოვმა ჩაი, ჩაიდო პატარა ნაჭერი პური და უცბად, რომ შეჰხედა ზამეტოვსა, თითქოს ყველა გაახსენდა, გამოფხიზლდა. სახეზე იმავ წამს წინანდებური დაცინვა აღებეჭდა ისევა. ჩაის სმას განაგრძობდა.

— გამრავლდა მეტად ამგვარი გაქნილობა და გაიძვეროობა, — შეჰნიშნა ზამეტოვმა. — აი, დიდი ხანი არ არის „მოსკოვის უწყებებში“ იწერებოდნენ, მთელი გუნდი დაიჭირეს ყალბი ფულების მჭრელებისაო. მთელი საზოგადოება თურმე არსებობდა. ქაღალდის ყალბს ფულს თურმე სჭრიდნენ.

— ო — ო, ეგ დიდი ხანია იყო! ერთი თვეც არის, მახსოვს. წავიკითხე, — უპასუხებდა მშვიდობიანად რასკოლნიკოვი.

— მაშ, თქვენის აზრით, გაიძვერები და გაქნილები არიან ყველა ისინი! დასძინა და გაიცინა.

— მაშ, რეები არიან თუ არ გაიძვერები?

— არა, არა! ტუტუცები არიან და არა გაიძვერები! ორმოცსა და სამოცს კაცს ამ აზრით, აბა, ვინ შეჰყრის მაშა! განა, ეს შესაძლებელია? აქ სამიც-კი ბევრი არის; ბმიტომ, რომ, როგორც თავისს თავს, ისე უნდა ენდობოდნენ ერთი მეორესა! თორემ საკმარისია ერთმა რომელმამე სიმთვრალით სადმე დაიყბედოს და მორჩა, გათავდა, დაღუპულია საქმე! ტუტუცები! ვილაც-ვილაცეებს ქირაობენ, რომ კანტორებში ფული დაახურდავებინონ; ამისთანა საქმეს, განა, ადვილად ვისმეს ანდობენ? ვსთქვათ, მოახერხეს კიდეცა და თითო მილიონი ყველამ დაახურდავა. მერე, მერე? მერეც ხომ მთელი თავისი სიცოცხლე ერთი მეორისაგან უნდა იყვნენ დამოკიდებულნი?! არა სჯობიან ისევ თავი ჩამოიხრჩოს ყველამა! მაგრამ დახურდავებაც რომ ვერ მოახერხეს: დაახურდავეს კანტორაშია და როგორც-კი ხუთი ათასი მიიღეს, ხელები აუკანკალდათ. ოთხი ათასი დაითვალა, რომელიღაც იყო და მეხუთე-კი დაუთვლელად მიიღო, რომ საჩქაროდ როგორმე ჩაეჯიბა და მოეცოცხა. და ეჭვი ააღებინა. ამ რიგად ერთმა ყურყუტმა ყველა დაჰღუპა. მერე, განა, შესაძლებელია ასე მოიქცეს ადამიანი?

— როგორაო, რა? ისა, რომ ხელი აუკანკალდა? — ჩაეკითხა ზამეტოვი. — არა, არა, შესაძლებელია. მაგაში-კი დარწმუნებული ვარ, რომ შესაძლებელია. ყოველთვის ვერ აიტანო.

— რასა? ამასა?

— ჰო, მაგასა! მერე, რაო, თქვენ-კი შესძლებდით, განა და შეიმაგრებდით თავსა? მე-კი არ შემეძლო! ათი თუმნის გულისათვისა? ყალბი ფული და ისიც ბანკის კანტორაში მივიტანო! სადაც ვერავინ რას გამოაპარებს ხალხსა, — არა, არა,

ვერ შევსძლებდი, გავწითლდებოდი. მერე, თქვენ, თქვენ-კი შესძლებდით, განა?

საშინლად მოუნდა რასკოლნიკოვს, „ენა გამოეყო“ კიდევ. დრო-და-დრო ტანში მთლად ცივი ჟრუანტელი უვლიდა.

— მე აგრე როდი ვიზამდი,—დაიწყო რასკოლნიკოვმა შორიდამ.—დავუწყებდი თუ არა დახურდავებასა, პირველს ათასსვე ერთი ოთხჯერ მაინც გადავითვლიდი და ყველა ქაღალდს ცალკე დავაკვირდებოდი და გავსინჯავდი; მერე ახლა მეორე ათასს შევუდგებოდი. დავუწყებდი თვლასა და, როგორც-კი ნახევრამდის ჩავიდოდი, ამოვიღებდი ერთს რომელსამე ხუთ-თუმნიანსა და სინათლეზე დავუწყებდი სინჯვასა, რამდენჯერმე გადავაბრუნ-გადმოვაბრუნებდი და ახლა კიდევ გავხედავდი, ყალბი ხომ არ არის-მეთქი? „მეშინიან,—ვეტყოდი,—ყალბი არ იყოს; ერთმა ჩემმა ნათესავმა ქალმაც აგრე დაკარგა ამ წინაზედ ოც და ხუთიანი“, მეთქი და თან ისტორიას ვუამბობდი, თუ როგორ მოხდა ესა. მაგრამ დავუწყებდი თუ არა მესამე ათასს თვლასა, ისევ მეორე ათასს მივუბრუნდებოდი და ვეტყოდი: უკაცრაოდ, მგონი, მეშვიდე ათი თუმანი კარგად არ დავითვალე, ეჭვი მაქვს-მეთქი და ისევ მეორე ათასის თვლას შევუდგებოდი. და ასე დავთვლიდი ყველა ხუთ ათასსა. მაგრამ გავათავებდი თუ არა თვლასა, მეხუთე და მეორე ათასიდამ ისევ გამოვიღებდი თითო ქაღალდსა და სინათლეზედ დავუწყებდი სინჯვასა, ვივეჭვიანებდი,—გამომიცვალეთ-მეთქი, გეთაყვათ“, ვეტყოდი,—ასე რომ, სულ ოფლში გავაქანებდი კანტორის გამგესა და თვითონვე მოვანატრებდი, რომ თავიდგან როგორმე მოვეშორებინე! გავათავებდი, მივიდოდი კარებთანა, მაგრამ არ გავიდოდი: შემოვბრუნდებოდი და ახლა სხვა რამ ცნობას მოვთხოვდი,—აი, როგორ მოვიქცეოდი!

— ფუჰ, რა საზარელს რამეებს ამბობთ,—შეჰნიშნა ზამეტოვმა სიცილით.—სიტყვით ამბობთ აგრე, თორემ აბა საქმეზედ მიდგეს, უეჭველია, თქვენც ისევ დაგემართებოდათ.

აქ, ჩემის აზრით, თავზედ ხელაღებულს, გამოჩრჩნილს კაცსაც-კი გაუჭირდებოდა თავის დაფარვა, არამც თუ მე და თქვენ. შორს სად მივდივართ, აი, მაგალითიც: ჩვენს ღბანში რომ ბებრუხანა მოჰკლეს. ეტყობა პირდაპირ, რომ თავზედ ხელაღებული ვინმე ყოფილა, შუადღისას ასეთი საქმე ჩაიდინა და რაღაცა სასწაულით გადარჩა,—თუმცა ხელი მაინც აჰკანკალებია: გაქურდვა ველარ მოუხერხებია, ველარ გაუბედია; საქმიდამ სჩანს...

იწყინა თითქოს რასკოლნიკოვმა.

— ეტყობა, ეტყობა! მაგრამ, აბა, სცადეთ და დაიჭირეთ! — შეჰყვირა ნიშნ-მიგებით რასკოლნიკოვმა, თითქოს უნდა გული მოაყვანინოსო.

— რაო, მერე, არ დაიჭერენ, მაშა?

— ვინა? თქვენა? თქვენ დაიჭერთ? არ დაიღალოთ-კია! ვიცი, როგორცა ჰფიქრობთ გაგებასა: ფულსა ჰხარჯავს კაცი, თუ არაო? აქამდის ფული არ ჰქონდა, ახლა-კი უცბად ფულსა ჰხარჯავსო,—მაშ ვინ არის, თუ არ ისაო? არ იცით, განა, რომ თითის ტელა ბალღიც-კი მოგატყუებთ ასე, თუ მოინდომებს!

— კიდეც ეგ არის, რომ თითქმის ყველანი აგრე შვრებიან,—შეჰნიშნა ზამეტოვმა,— თავს გამოიმეტებენ, ეშმაკურად მოჰკლავენ და მერე-კი დუქანში სადმე გააბამენ. იჭერენ იმ დროს, როცა განაძარცვს სჭამენ. ყველა ხომ თქვენსავით ეშმაკი და მოხერხებული არ არის. თქვენ, რასაკვირველია, დუქანში არ წახვიდოდით?

რასკოლნიკოვმა წარბები შეიკრა. ზამეტოვს გადაჰხედა.

— თქვენ, მგონი, მადა გაგეხსნათ და გინდათ გაიგოთ, ამ შემთხვევაშიაც როგორ მოვიქცეოდი პირადად მე, არა?— დაეკითხა უკმაყოფილოდ რასკოლნიკოვი.

— მართალია, მინდა,—მიუგო მტკიცედ და დინჯად ზამეტოვმა.

— ძალიან გინდათ?

— ძალიანა!

— კარგით, მაშ, რაკი აგრეა. იცით, როგორ მოვიქცეოდი, — დაიწყო რასკოლნიკოვმა ისევე ისრე ჩურჩულითა და პირი თითქმის პირზედ მიადო, ასე რომ შეკრთა კიდევაც ზამეტოვი. თან პირდაპირ თვალებში მიჰშტერებოდა. — წავიღებდი ფულსა და ნივთებსა, არსად თითქმის არ შევუხვევდი, მოვძებნიდი სადმე მივარდნილსა და ყრუ ადგილს, სადაც სულ ფიცრული ღობეები, ან ბოსტანი, ან კიდევ სხვა რამ ამ გვარი იქმნებოდა. ამოვინიშნავდი რომელსამე დიდს, — ასე ფუთიანსა ან ფუთნახევრიანს, — ქვასა, სადმე ფიცრულის ღობის კუთხეშია, ავწევდი ქვასა და ქვეშ, ამოღრმავებულში, ჩავალაგებდი მთლად ნივთებსაცა და ფულსაცა. ჩავალაგებდი და ქვას ისევ ისე მივაგორებდი, როგორც უწინ იყო, თან ფეხით მივატკეპნიდი, რომ არავის რა შეენიშნა და წავიდოდი. ასე მექმნებოდა შენახული წელიწადი, მეორე, მესამე, — სანამ ყველას მიავიწყდებოდა. ეძებეთ მერე, რამდენიც გინდოდეთ! იყო და აღარ გახლავთ, რას იპოვნიდით!

— გადარეულხართ, — უთხრა ასრევე ჩურჩულით ზამეტოვმა და უცბად რაღაცა მიზეზით უკან გაიწია.

რასკოლნიკოვმა თვალები გააკვესა; გაფითრდა. ზედა ტუჩი აუთრთოლდა, აუთამაშდა. მიიწია, რაც-კი შეიძლებოდა ახლოს ზამეტოვისაკენა და დაუწყო ტუჩებს ნძრევა, მაგრამ თავი ვერ შეემაგრებინა. მაშინდელ ჩანგალივით მძლავრად უხტოდა საზარელი სიტყვა ტუჩებზედა და საცა იყო, ჰლამობდა ამოთქმასა; აი, საცაა, თავს ველარ შეიმაგრებს და წარმოსთქვამს!

— მერე, ბებრუხანაცა და ლიზავეტაც, ორივე რომ ჩემი მოკლულები იყვნენ? — ჩაილაპარაკა უცბად და გონს მოვიდა.

შეშინებულმა შეჰხედა ზამეტოვმა, ნაცარივით გაფითრდა. სახე როგორღაც საღიმოდ დაეღრიჯა.

— მერე, განა, ეგ შესაძლებელია? — გაიმეორა მთლად დაბლა, ჩურჩულით.

გაბოროტებულმა რასკოლნიკოვმა მრისხანედ გადაჰხედა.

— გამოტყდით, რომ დაიჯერეთ?.. ხომ? დაიჯერეთ განა?

— სულაც არა! ახლა უფრო ნაკლებ, ვიდრე ოდესმე! — შესძახა საჩქაროდ ზამეტოვმა.

— ეჰე, ხომ დაგიჭირეს! დაგიჭირეს ბელურავ, დაგიჭირეს! სჩანს, მაშ, წინად დარწმუნებული ყოფილხართ, რომ ახლა ალარა გჯერათ, ხომ?"

— აბა, რას ამბობთ, სულაც არა! — უარობდა დარცხვენილი ზამეტოვი. — ამიტომ მაშინებდით, განა?

— არა გჯერათ, მაშა? რაზედა გქონდათ ლაპარაკი მაშინ, კანტორიდამ რომ გამოვედი? რათ მეკითხებოდა, მაშ, თოფის წამალა-პორუჩიკი ისე ეჭვით გულშეღონების შემდეგა, ჰა? შენ ეი, — დაუძახა ლაქიასა და ქუდს დაავლო ხელი, წამოდგა, — რამდენი გერგება?

— ექვსი შაური, — უპასუხა ლაქიამ.

— აჰა, ეს აბაზიც შენი იყოს, არაყი გადაჰკარ. — ჰხედავთ, რამდენი ფული მაქვს და აკანკალებული ხელი, რომელშიაც ლურჯი და წითელი ქაღალდის ფული ეჭირა, ზამეტოვს გაუწოდა, — ჰხედავთ, ოც-და-ხუთი მანეთია. მერე საიდამა? ჰა? ან ეს ახალი ტანისამოსი საიდამ გამიჩნდა? ხომ იცით, კაპიკი ფული არა მქონდა? იმედია, დიასახლისს დაეკითხებოდით კიდევაცა... მაგრამ კმარა! Assez cause! ნახვამდის!.. მშვიდობით!..

რომ გამოვიდა, რაღაცა ბრაზისა და თავდაუჭერელ სიამოვნებისაგან მთლად კანკალებდა, მაგრამ დაღვრემა და საშინელი დაღლილობა მაინც ეტყობოდა. სახეც როგორღაც დაჭღრეჯოდა, თითქოს ეს არის ბნედა ჰქონიაო. დაღლილობა და დაქანცულობა თან-და-თან უფრო ერეოდა. საკმარისი იყო, სულ უბრალო რამ ამაღელვებელ შეგრძნებისა და მიზეზის აჩენა, რომ ძალა უცბად გაორკეცებოდა, მაგრამ მიელეოდა თუ არა შეგრძნება, მაშინვე თვითონ ძალაც მიუსუსტდებოდა.

ზამეტოვიც დიდ-ხანს იჯდა იმავ ადგილას დაფიქრებული: მთლად შეუცვალა რასკოლნიკოვმა შეხედულება იმ ერთის მუხლის შესახებ და საბოლოოვ აზრი შეადგენინა.

„ჩურჩუტია ილია პეტროვიჩი!“ გარდასწყვიტა ბოლოს ზამეტოვმა.

ის-კი იყო ქუჩაში გასავალი კარი გამოაღო რასკოლნიკოვმა, რომ უცბად წინ რაზუმიხინი შეეხეჩა. ისე მოულოდნელი იყო ეს მათი შეხვედრა, რომ კინაღამ თავები არ შეარტყეს ერთმანერთსა. რამდენსამე ხანს ერთმანერთს ასე ჰზომავდნენ თვალითა. გაკვირვებული იყო ამ მოულოდნელ შეხვედრით რაზუმიხინი, მაგრამ უცბად ნამდვილი რისხვა აღებეჭდა თვალებში.

— აი, თურმე სადა ხარ! დაიღრიალა რაზუმიხინმა.— ლოგინიდამ გამოგვექცა, ბატონო, და მე-კი იქ დივან ქვეშაც-კი ვეძებდი! ჩარდახშიაც-კი ავედით. კინაღამ ნასტასიაც შემომელახა შენის გულისათვისა... ამას-კი, ჰყურობთ, სად არის? როდიონ! რას ჰნიშნავს ესა? მითხარი! მართალი მითხარ! გესმის!

— რასა-და იმას, რომ თავი მომაბეზრეთ ყველამა და მინდა მარტოდ ვიყო,—მიუგო დამშვიდებულმა რასკოლნიკოვმა.

— მარტოდ? როცა ჯერ კიდევ სიარული არ შეგიძლიან და ნაცრის ფერი გდევს, სულს ძლივას ითქვამ! ტუტუცო! მითხარ ახლავე, „ბროლის სასახლეში“ რას აკეთებდი?

— გამიშვი! შესძახა რასკოლნიკოვმა და მოინდომა მხარი აექცია, გაეარა.

მაგრამ გააბრაზა ამან რაზუმიხინი და მაგრა ჩასჭიდა მხარში ხელი.

— გამიშვიო? შენ მიბედავ „გამიშვიო?“ იცი, მერე, რას გიზამ ახლავ? დაგავლებ ხელსა, ამოგიდებ იღლიაშია და ისე წაგიყვან შინა და დაგამწყვდევ, გესმის!

— ყური დამიგდე, რაზუმიხინ, დაიწყო სრულიად მშვიდად და წყნარად რასკოლნიკოვმა,— ნუ-თუ ვერ ჰხედავ, რომ შენს კეთილს ზრუნვას არ ვსაჭიროებ? ან რათ გწადია კეთილის მყოფელობა გაუწიო იმათ, ვინც... არად აგდებს ამ შენს სიკეთესა? დასასრულ იმათ, ვისაც საშინლად ემძიმება

ამ კეთილისმყოფელობის ატანა? მითხარ, რათ მიპოვნე თუნდ პირველ ავადმყოფობის დროსა? იქნება მოხარულიც-კი ვყოფილიყავ სიკვდილისა! ან იქნება საკმაოდ ნათლად არ გამოგიტყდი დღესა, რომ მტანჯავ, მაწვალებ... საშინლად შემაძულე თავი! მითხარ, რა სიამოვნებასა ჰგრძნობ, რომ ასრე მტანჯავ? გარწმუნებ, ყველა ეს მხოლოდ ხელს უშლის ჩემს გამოკეთებასა, იმიტომ რომ საშინლად მაღელვებს. აკი ზოსიმოვიც ამიტომ წავიდა წელან; გაიგო, რომ ტყუილად ამაღელვებდა! ღვთის გულისათვის, მომშორდი შენცა! ან რა უფლება გაქვს, რომ ძალათი მიჭერ? ან იქნება ვერა ჰხედავ, რომ სრულიად საღს ჭკვაზედა ვარ და ისე გელაპარაკები? მასწავლე, გეთაყვა, რითი შეიძლება შენი დაყოლიება, რომ თავი დამანებო და ჩემს ზრუნვაზედ ხელი აიღო? დეე, უმადური ვიყო, სულდაბალი, უბედური, ოღონდ თავი დამანებეთ, გევედრებით! მომშორდით, ღვთის გულისათვის!

დაიწყო სრულიად წყნარად და დამშვიდებულმა, თითქმის სიხარულით, რომ ბრაზები გახეთქა, მაგრამ ბოლოს მაინც თავი ველარ შეიმაგრა, მთლად აენთო, გადირია, სულს ძლივსღა იბრუნებდა. გაიმეორა იგივე, რაც ლუჟინთანა ჰქმნა წელანა.

შედგა ერთს წამს რაზუმიხინი, ჩაფიქრდა და ხელი გაღშვა.

— დამეკარგე, მაშა, დამეკარგე! უპასუხა წყნარად დაფიქრებულმა.—მაგრამ, მაიცა! შეჰღრიალა უცბად რაზუმიხინმა, როგორც-კი რასკოლნიკოვი დაიძრა,—ყური დამიგდე. გეუბნები პირდაპირ, რომ ყბედები და ტუტუცები ხართ ყველანი! თუ-კი რამ გტანჯავთ, კვერცხ დასადებ ქათამივით მთლად გზა-კვალი გებნევათ! აქაც-კი უცხო ავტორებს სძარცვავთ. არავითარი დამოუკიდებლობა თქვენს ცხოვრებას არ ეტყობა! რაღაც მალამოსაგანა ხართ შემდგარი თითქოს, სისხლის მაგივრად შრატი გიდგიათ ძარღვებში! არავის თქვენგანს არ ვენდობი! უპირველესად ყოვლისა, სცდილობთ, რომ არასფერში ადამიანს არა ჰგავდეთ. მო-ი-ცა!—დაუყვირა უარესად

გაბრაზებულმა, რომ ნახა კიდევ დააპირა წასვლა,—ბოლომდის მომისმინე! იცი, რომ დღეს ახალს ბინაზედ გადასვლას ვდღესასწაულობ? შინ ბიძაჩემი დავტოვე,—იქნება კიდევაც მოვიდნენ, ვინ იცის,—რომ იმას მიეღო სტუმრები. გესმის მაშ, როდიონ! შენ რომ აგრეთი ტუტუცი, რაღაცა საძაგელი და გამოჩერჩეტებული, უცხოეთიდამ ნათარგმნი არ იყო... ჰხედავ, ვაღიარებ, რომ ჭკვიან ახალგაზრდათა გცნობ, მაგრამ მოიტუტუცებ! გესმის, ტუტუცი რომ არ იყო, შემოხვიდოდი ჩემსასა და იმის მაგივრად, რომ ტყუილად წაღები არა გლიჯო, საღამოს ლამაზად სიამოვნებით გავატარებდით. ორივ ერთია, რაკი გამოხველ გარეთა, გამოხველ! ლამაზს რბილს სავარძელს გამოგითრევდი, დიასახლისსა აქვს... ჩაის დავლევდით, ვისაუბრებდით... არა-და, ტახტზე წამოგაწვენდი. სხვა არა იყოს-რა, ჩვენთან იქნებოდი... ზოსიმოვიც მოვა. შემოივლი?

— არა.

— მიჰ-ქა-რ-რ-ავ! შეუყვირა მოუთმენარად რაზუმიხინმა. რა იცი, მერე? ხომ აღარა გაგეგება-რა! აღარც რა გესმის... მეც ბევრჯელ მიმიფურთხებია და გავბუტულვარ აგრე, მაგრამ მერე ისევ უკანვე მიმირბენია... შეგრცხვება და უკანვე დაბრუნდები! დაიხსომე მაშა: პოჩინკოვის სახლი, მესამე სართული... გესმის?

— აგრე ხომ, კეთილისმყოფელობით, იქნება ცემის ნებაც მისცეთ ვისმე, ბატონო რაზუმიხინ!

— ვისი ცემისა? ჩემი! მარტო ოცნებისთვისაც-კი ცხვირს მოვაჭამდი უთუოდ! დაიხსომე მაშა: პოჩინკოვის სახლი, № 47, მოხელის ბაბუშკინის ბინა...

— არ მოვალ, რაზუმიხინ, არა!

შემობრუნდა რასკოლნიკოვი და წავიდა.

— დავნაძლევდეთ, მაშა, რომ მოხვალ! მიაძახა მიმავალს რაზუმიხინმა. არ იზამ აგრე-და... იცოდე, ძაღლათაც აღარ ჩაგაგდებ. მოიცა, შენ ეი, ზამეტოვი აქ არის?

— მანდ არის.

— ნახე?

— ვნახე.

— ელაპარაკე?

— ველაპარაკე.

— რაზედა? მაგრამ, ეშმაკმა იცის შენი თავი, რა საჭიროა, ნუ მეტყვი. პოჩინკოვის სახლი, 47, ბაბუშკინის ბინა. არ დაივიწყო!

მივიდა რასკოლნიკოვი ბაღების ქუჩამდისა და კუთხეში შეუხვია. დაფიქრებული გაჰყურებდა რაზუმიხინი. გაიქნია ბოლოს ხელი, შევიდა სახლში, მაგრამ შუა კიბეზედ შედგა.

„ეშმაკმა იცის!“ განაგრძობდა თითქმის ხმა-მაღლა,— თითქოს დალაგებითა ლაპარაკობს და ასე-კი... არა, მეც რომ ტუტუცი ვარ! განა, შეშლილები-კი არა ლაპარაკობენ ხოლმე გონივრულათა? ზოსიმოვს-კი, ვგონებ, ამისი ეშინიან სწორედ!“ და შუბლზედ თითი დაიკრა.—„მერე, რო... არა, მარტო როგორ გავუშვი ახლა? ვინ იცის, თავიც დაიხრჩოს... ეჰ, შევცდი! არ შეიძლება!“ და უკანვე გაქანდა, გამოეკიდა. მაგრამ რასკოლნიკოვი უკვე სადღაც მიმალულიყო. მიაფურთხა რაზუმიხინმა და ჩქარის ნაბიჯით ისევ „ბროლის სასახლისაკენ“ გასწია, რომ ზამეტოვისათვის მაინც გამოეკითხა ყველაფერი.

რასკოლნიკოვმა პირდაპირ—სკის ხიდისაკენ გასწია, შედგა შუა ხიდზედ მოაჯირთანა, დაეყრდნო ორთავე ხელზედა და დაუწყო შორს გადაშლილს სანახაობას ცქერა. რაზუმიხინთან გამომშვიდობების შემდეგ ისეთი საშინელი სისუსტე იგრძნო, რომ ძლივს-ღა მოაღწია აქამდისა. მოუნდა საშინლად ქუჩაში სადმე დამჯდარიყო ან დაწოლილიყო. წყალზედ გადაყუდებული გაჰყურებდა მზის დასვლასა და წინ გადაშლილს სახლებს, რომლებსაც თან-და-თან ჩრდილი ჰფარავდა, ბინდ-ბუნდი ეხვეოდა. მოსჩანდა შორს სადღაცა მხოლოდ-ღა ერთი ფანჯარა მაღლა, რომელიც ჩამავალ მზის სხივებით ცეცხლივით გაელვარებული ძირს, არხში, გამომკრთალიყო. ყურადღებით აკვირდებოდა ყველაფერს ამას რასკოლნიკოვი. მაგრამ აგერა, ბოლოს თვალებში რაღაცა წითელი წრეები

აებნა, სახლები, გამვლელ-გამომვლელნი, წყლის პირის ქუჩები და ეტლები, ყველაფერი აერივ-დაერია, ამოძრავდა, აუთამაშდა. შეხტა შემკრთალი უცბად და რაღაცა საძაგელმა, ველურმა სანახაობამ გამოარკვია თითქოს. იგრძნო რასკოლნიკოვმა, რომ გვერდით, მარჯვნივ, ვიღაცა დაუდგა; შეჰხედა: დედაკაცია, მაღალ-მაღალი, თავშალიანი, გაყვითლებული; მოგრძო სახე და სმისაგან დაწითლებული, დასიებული თვალები აქვს. ეტყობოდა პირდაპირ უცქეროდა რასკოლნიკოვსა, მაგრამ ველარას არჩევდა, ველარას ჰხედავდა. დედაკაცი უცბად მარცხენა ხელით მოაჯირს დაეყრდნო, აიწია მარჯვენა ფეხი, გადასდო მოაჯირზედა, მერე მარცხენა და არხში გადაეშვა. შეშხაპუნდა ჭუჭყიანი წყალი და ჩაიძირა მსხვერპლი, მაგრამ ერთის წამის შემდეგ დამხრჩვალი ისევ ზემოდ ამოაგდო და წყნარად წაიღო ქვეითკენ; თავი და ფეხები წყალში ჰქონდა დამალული, წელი მოტივტივებული, ქვედა ტანი და კაბა კიდევ ბალიშისავით წყალ ზემოთ ამობერილი.

— დაიხრჩო! დაიხრჩო! ყვიროდნენ აქეთ-იქიდამა; ყველა მხრიდგან ხალხი მორბოდა, წყლის პირის ქუჩები მაყურებლებით ივსებოდა, რასკოლნიკოვს გარშემოც ხიდზედ ხალხი მოგროვდა, უკანიდამ აწვებოდნენ.

— უი, ჩემს თვალებს, ეს ხომ ჩვენი აფროსინუშკაა! გაისმა სადღაც შორი-ახლოს ქალის ხმა წუწუნითა.—მამავ, უშველეთ! გამოიყვანეთ!

— ნავი! ნავი! ყვიროდნენ ხალხში.

მაგრამ აღარც-კი იყო საჭირო: ვიღაცა პოლიციელს არხის პირად ჩაერბინა კიბით, ჩასულიყო, გაეძრო ტანთა, წაღები და შევარდნილიყო. დიდი შრომაც არ დასჭირებია: დამხრჩვალი სულ ორიოდე ნაბიჯზედ მიჰქონდა წყალსა. სწვდა პოლიციელი მარჯვენა ხელით კაბაში, მარცხენა ამხანაგისაგან ნაპირიდამ მიწოდებულს სარს მოჰკიდა და გამოათრიეს. დედაკაცი წყლის პირად ქივს ფილაქანზედ დასდეს. მალე გონსაც მოვიდა, წამოიწია, დაჯდა და ფრუტუნსა და ცვირცემინებას მოჰყვა; თან უაზროდ სველს კაბას უსვამდა ხელსა. მაგრამ არას ამბობდა.

— გამომთვრალა და გახეთქილა, მამავ, გამომთვრალა! გასწიოდა ისევ ის დედაკაცის ხმა და თან აფროსინუშკასკენ მიიწევდა. —წელანაც თავის ჩამოხრჩობა უნდოდა, თოკიდამ ჩამოვხსენით. მე დუქანში წავედი, მაგას-კი გოგო დავუყენე, ყური ეგდო,—და უყურეთ, რა საცოდავობა ჩაუდენია! მუშა დედაკაცია, ჩვენსავით უბრალო, მეზობლათ ვდგევართ, ბოლოდამ მეორე სახლია, აი, აქვე...

ხალხი ნელ-ნელა იშლებოდა, პოლიცია-კი ისევ დედაკაცს ეხვეოდა. ვიღამაც კანტორა წამოიყვირა... რასკოლნიკოვი-კი ყველა ამას გულგრილად უყურებდა. უცბად შეეზიზღა კიდეცა თითქოს.—„არა, არა, საძაგლობაა... წყალში... არა ღირს“, დუდუნებდა თავისთვისა. „არა იქნება რა“,-დასძინა, —„რას ვუცდი, ნეტა! რაო, კანტორაო?.. მერე, ზამეტოვი რატომ კანტორაში არ არის? მეათე საათზედ კანტორა ღიაა ხოლმე“... ზურგი მოაჯირს მიჰყუდა და გარშემო მიიხედ-მოიხედა.

„მერე, რაო რომ! იქნება აგრეც იყოს!“ წარმოსთქვა გადაწყვეტით, დაიძრა ხიდიდამა და პირდაპირ კანტორისაკენ გასწია. გული სულ არას უგრძნობდა, დაჰხშობოდა, გასცივებოდა; ფიქრი-კი სულ არ უნდოდა. დაღვრემილებაც-კი აღარ ეტყობოდა; წელანდელ მხნეობისა, შინიდამ რომ გამოჰყვა, ნიშნებიც-კი აღარ უჩანდა, თუმცა გარდაწყვეტილი ჰქონდა „ყველაფერი გაეთავებინა!“ მისი ადგილი სრულმა გულგრილობამა და დაუდევრობამ დაიჭირა.

„მერე რაო, ეს არის, განა, ხსნა!“ ფიქრობდა და წყნარად, ნელ-ნელა, ზლოზნით არხის პირად მიდიოდა.— „გავათავებ მაინც, იმიტომ, რომ ასე მინდა... მაგრამ ხსნა არის ესა, განა? ეჰ, სულ ერთია! ადლი მანძილი იქნება,— ხე, ხე! მაგრამ რის ბოლო არის ესა! ნუ-თუ ბოლოა ესა? ვეტყვი ნეტავი, თუ არა? ეჰ... ეშმაკო! დავიღალე კიდეცა, მალე მაინც დავჯდე სადმე ან მივწვე! ყველაზედ სამარცხვინოკი ის არის, რომ საშინელი სისულელეა ესა. მაგრამ ან ეს რა საწუხარია. ფუჰ, რა სისულელე არ მომდის თავში...“

ასე უნდა ევლო პირდაპირა და მხოლოდ მეორე შესახვევში შებრუნებულიყო მარცხნივ კანტორისაკენ: აქედამკი სულ რაღაცა ორიოდე ნაბიჯი-ღა იყო, მეტი არა. მაგრამ მივიდა თუ არა პირველ შესახვევთანა, შედგა, იფიქრა პატარა ხანსა და უცბად სხვა მხარეს შეუხვია, რომ ორის ქუჩით შემოევლო, —იქნება სრულიად უმიზნოთაც, მაგრამ იქნება იმიტომაცა, რომ რამდენისამე წამით კიდევ შეეგვიანებინა საქმე და დრო მოეგო. მიდიოდა და დედამიწას თვალს არ აშორებდა. უცბად თითქოს ყურში ვინმე ჩასჩურჩულაო, თავი აიღო მაღლა და დაინახა, რომ სწორედ **იმ სახლის** ეზოს კარებთანა სდგას. **იმ** საღამოს შემდეგ ჯერ აქეთ აღარსად გაევლო.

რაღაც რამ უძლეველი და გაუგებარი სურვილი მძლავრად იტაცებდა იქით. შეევიდა სახლში, გაიარა მთელი ეზოს შესავალი, მოუხვია მარჯვნივ და დაიწყო ნაცნობის კიბით მეოთხე სართულში ასვლა. ვიწროსა და დაქანებულს კიბეზედ საშინლად ბნელოდა. კიბის ყველა შემოსახვევზედ დგებოდა უთუოდ და ყურადღებით ათვალიერებდა იქაურობასა. პირველი სართულის დერეფანში ფანჯრის ჩარჩოები მთლად ჩამოეხსნათ. „მაშინ ასე არ იყო,“ გაიფიქრა რასკოლნიკოვმა. აი, თვითონ მეორე სართულის ბინაც, სადაც მაშინ ნიკოლაშკა და მიტკა მუშაობდნენ: „დაკეტილია; კარებიც ახლად შეუღებიათ; ეტყობა აქირავებენ “ აი, მესამე სართულიც... აგერ მეოთხეც... „აქ იყო!“ აღარ იცოდა, რა ექმნა: კარები მთლად ყურთამდე ღია იყო, შიგნიდამ ხალხის ხმა ისმოდა. ამას-კი სწორედ არ მოელოდა. პატარა ხანს შეყოყმანდა, მაგრამ აიარა უკანასკნელი საფეხურებიცა და ბინაში შეევიდა.

აქაც აახლებდნენ ბინასა; მუშაობდნენ. ცოტა არ იყოს არ იამა თითქოს. ეგონა როგორღაც, ვითომ ყველაფერს იმავ რიგადა ჰნახავდა, როგორც მაშინ დასტოვა იქაურობა; თვითონ მოკლულებიც-კი იქვე ეგულებოდა იატაკზედა. ახლა-კი: კედლები დაეშიშვლებინათ, აღარავითარი ავეჯი აღარ მოსჩანდა. ეუცნაურა თითქოს! მივიდა ფანჯარასთანა და ფანჯრის ფიცარზედ ჩამოჯდა.

სულ ორი კაცი მუშაობდა, ორივ ახალგაზრდა, რომელთაგანაც ერთი მთლად ახალგაზრდა იყო. ძველის, ყვითელ, დაგლეჯილ შპალერის მაგივრად კედელს ახალს, ლურჯ ყვავილებიანს თეთრს შპალერებს აკრავდნენ. არ მოეწონა როგორღაც ეს რასკოლნიკოვსა და მტრულად დაუწყო ყურება, თითქოს ჰნანობსო, რომ ყველაფერი შეუცვლიათო.

ეტყობოდა დაჰგვიანებოდათ მუშებსა და საჩქაროდ ახვევდნენ ქაღალდსა, საშინაოდ ემზადებოდნენ. რასკოლნიკოვის შემოსვლას თითქმის სრულიად ყურადღება არ მიაქციეს. რაღაზედაც ლაპარაკობდნენ. დაიკრიფა რასკოლნიკოვმა გულ-ხელი და დაუწყო ყურის გდება.

— მოვიდა დილა ადრიან ჩემთანა,—ეუბნებოდა უფროსი მუშა უმცროსსა,—სისხამ დილითა, მორთული. „რა თავს მევლები-მეთქი, ვუთხარი; რას მეხრუკები-მეთქი?“—„მეო, ტიტ ვასილიჩ, მინდა დღეიდგან შენი სურვილის მონა ვიყოვო“, მითხრა. ჰხედავ, როგორ იყო საქმე! ახლა ჩაცმული როგორ იყო, რომ იცოდე: ჟურნალი იყო, რაღა, ჟურნალი!

— მერე, რა არი, ე ჟურნალია, თუ რაღაცა? ჰა, ძია? დაეკითხა უმცროსი მუშა.

ეტყობოდა „ძია“ იყო იმისი ხელმძღვანელი და მასწავლებელი.

— ჟურნალი, ჩემო ძმაო, ფერადი ნახატებია, აქაურ მკერვალებს მოსდით ყოველ შაბათობით „გრანიციდამა“, ფოსტით მოსდით, სადაც ნაჩვენებია ან კაცებს ან ქალებს როგორ უნდა ეცვათ. ჟურნალი, მაშ, ნახატი ყოფილა. კაცებს სულ პალტოებითა და სერთუკებითა ჰხატამენ, ქალებსკი ისე აჭრელებენ, ძმაო, რომ თუნდ ქვეყნის სიმდიდრე გაიღო, მაინც ცოტაა!

— ჰეი, დედი ჩემის ღმერთსა, რა არ არი ამ პიტერში (პეტერბურგში)! შესძახა გატაცებით უმცროსმა მუშამ.—დედამამის მეტი ყველაფერია!

— მაგის მეტი, ჩემო ძმაო, ყველაფერია,—დაუდასტურა ცოდნის კილოთი უფროსმა.

წამოდგა რასკოლნიკოვი და მეორე ოთახში გავიდა, სადაც წინად ყუთი, ლოგინი და კამოდი ედგა ბებრუხანასა. მომცროთ ეჩვენა ოთახი უავეჯოთა. შპალერები-კი ჯერ ისევ ძველი ეკრა. ეტყობოდა კუთხეში, ხატები სად ესვენა. მიათვალ-მოათვალიერა და ისევ ფანჯარასთან მივიდა, ჩამოჯდა. უფროსმა მუშამ ახლა-კი როგორღაც გვერდზედ გადაჰხედა.

— რაო, რა გინდათ? დაეკითხა უცბად რასკოლნიკოვსა.

პასუხის მაგივრად რასკოლნიკოვი დერეფანში გავიდა, წაავლო ზარს ხელი და ჩამოაწკარუნა. ისევ ის ზარი და იგივ ხმა იყო! ჩამოჰკრა მეორედ, მესამედ; თან ყურს უგდებდა, რაღასაც იგონებდა. საზარელი მტანჯველი გრძნობა წარსულისა თან და-თან ცოცხლად აგონდებოდა და რამდენიც ჩამოჰკრავდა, იმდენი შეშინებული ხტოდა, მაგრამ მაინც სიამოვნებდა.

— მაინც, რა გინდათ? ვინა ხართ? შეუყვირა მუშამა და დერეფანში გავიდა.

რასკოლნიკოვი ისევ შიგნით შემოვიდა.

— ბინა მინდა ვიქირავო,—უპასუხა,—ვსინჯავ.

— ბინას ღამე ვინა ქირაობს; და მეორეც, მეეზოვე უნდა ამოგეყვანათ.

— იატაკი კარგად გარეცხეთ? შეჰღებავთ, არა? განაგრძობდა რასკოლნიკოვი.— სისხლი ხომ არსად ატყვია?

— რა სისხლი?

— აი, ბებრუხანა და იმისი და რომ დახოცეს. მთელი გუბე იდგა აქა.

— მერე, რაო, შენ ვინა ხარ?—დაუყვირა გულმოსულმა მუშამა.

— მე?

— ჰო, შენა.

— გინდა გაიგო?.. კანტორაში წავიდეთ და იქ გეტყვი, ვინცა ვარ.

გაშტერებული უყურებდნენ მუშები.

— დროა წავიდეთ, დავგვიანდით. წავიდეთ, ალოშკა, კარები უნდა დავკეტო,—უთხრა უფროსმა მუშამა.

— წავიდეთ,—უპასუხა გულგრილად რასკოლნიკოვმა და წინ გავიდა, კიბეზედ მძიმ-მძიმედ დაეშვა.—ეი, მეეზოვე! გაჰყვირა ეზოს კარების შესავლიდამ.

ეზოს კარებთან, გარეთ, რამდენიმე კაცი იდგა და გამვლელ-გამომვლელს უყურებდა. ესენი იყვნენ: მეეზოვეები, ვიღაცა დედაკაცი, ხალათიანი წვრილი მოქალაქე და კიდევ ორიოდე ვიღაცა. რასკოლნიკოვმა პირდაპირ ამათკენ გასწია.

— რა გინდათ? გამოეხმაურა ერთი მეეზოვეთაგანი.

— კანტორაში იყავი?

— ეს არის, ახლა. რა გინდათ?

— არის ვინმე იქა?

— არიან.

— თანაშემწეც იქ არის?

— იყო. მერე, რა გინდათ?

აღარა უთქვამს-რა რასკოლნიკოვსა, იდგა იმათ გვერდითა და რაღასაც ფიქრობდა.

— ბინის სანახავად იყო,—მიუგო უფროსმა მუშამ, რომელიც ის-ის იყო ეზოდამ გამოვიდა.

— რომელი ბინისა?

— აი, ჩვენ რომ ვმუშაობთ, იმისა. „სისხლი რათ გადარეცხეთო? აქ ხალხი დახოცესო და მოველ, რომ ვიქირავოო.“ ზარსაც დაუწყო რეკვა, კინაღამ ჩამოწყვიტა. „კანტორაში წავიდეთ, ყველაფერს დაგიმტკიცებთო. ჩამოგვეკიდა!“

გაკვირვებული შეჰყურებდა და თან უბღვეროდა რასკოლნიკოვს მეეზოვე.

— მერე, ვინა ხართ, არ იტყვით?—შეუყვირა გაჯავრებულმა.

— მე ვარ როდიონ რომანიჩ რასკოლნიკოვი, ნასტუდენტარი, შილის სახლში ვცხოვრობ, ქუჩის შესახვევში, აქედამ შორს არ არის, № ბინისა 14. მეეზოვესა ჰკითხე... მიცნობს.

ყველაფერი ეს რასკოლნიკოვმა როგორღაც ზარმაცად წარმოსთქვა, დაფიქრებულმა, არც კი შეუხედნია, ისე გაჰყურებდა ჩამობნელებულს ქუჩასა.

— მერე, ი ბინაში რა გინდოდათ?

— გავსინჯევი.

— რა იყო გასასინჯი?

— წაიყვა და კანტორაში წარადგინე! — ჩაერია ლაპარაკში მოქალაქე და გაჩუმდა.

რასკოლნიკოვმა როგორღაც გვერდზედ გადუბღვირა მთქმელსა, შეჰხედა ყურადღებითა და ისევე ისრე ზარმაცადა და წყნარად წარმოსთქვა:

— წავიდეთ!

— წაიყვა, რაღა! — გაუმეორა გამხნევებულმა მოქალაქემ. — რათა და **ჩასთვის** მოვიდა, ან ფიქრათ რა აქვს, გაიგებთ.

— მთვრალია, მთვრალი არ არის, ღმერთმა იცის, — წაიდუდუნა მუშამ.

— მაინც რა გინდათ? — დაუყვირა კვალად გულმოსულმა მეეზოვემ. — რას ჩამოგვკიდებიხარ?

— შეგეშინდა, განა, კანტორა რომ გაგიხსენე? — უპასუხა დაცინვით რასკოლნიკოვმა.

— რისა შემეშინდა? რას ჩამციებიხარ?

— გაიძვერაა! — შეჰნიშნა დედაკაცმა.

— რას ელაპარაკები, — დაუყვირა მეორე მეეზოვემ, ზორბა ტანის გლეხმა, რომელსაც ჯუბა მთლად გადაეღეღა და გასაღებები ქამარზედ ჩამოეკიდა. — წაეთრიე!.. მართლაც რომ გაიძვერაა... წაეთრიე!

და მხარში ხელი ჩაავლო, ქუჩაში გაუძახა. წაიფარფატა რასკოლნიკოვმა, მაგრამ არ წაქცეულა, გასწორდა; ჩუმად გადმოჰხედა მაყურებლებსა და გასწია.

— უცნაურია ვიღაცაა! — ჩაილაპარაკა მუშამ.

— სწორეთ რომ ვეღარ იცნობ ხალხსა, ისე გაუცნაურდა, — დაუდასტურა დედაკაცმა.

— ურიგო არ იქნებოდა მაინც, კანტორაში წაგეყვანათ, — დასძინა მოქალაქემ.

— არა ღირდა, ჩამოგვეკიდებოდა, —გადასწყვიტა ზორბა მეეზოვემ. — არ ეტყობა, გაიძვერაა! თვითონვე აგვკვიატებია, ეჭვი არ არის, თავიდამ ველარ მოვიშორებდით... ვიცნობთ, რა შვილებიც არიან!

„წავიდე მაშა, თუ არა?“ ფიქრობდა რასკოლნიკოვი, ჯვარედინ მოსახვევთან შუა-გულ ქუჩაში მდგომი და თან გარშემო იხედებოდა, თითქოს გადამწყვეტ სიტყვას მოელის საიდამღაცაო. მაგრამ არსაიდამ არავინ პასუხი არ გასცა. მისთვის ყოველივე უტყვი და მკვდარი იყო, იმ ქვებივით, რომლებზედაც იგი იდგა ახლა... უცბად, ასიოდე ნაბიჯზედ იმ ადგილიდან, სადაც რასკოლნიკოვი იდგა, ქუჩის ბოლოში, ბინდბუნდში ბრბო შეჰნიშნა; ხმაურობა და ყვირილი მოესმა... ბრბოს შუა-გულ რაღაცა ეტლიც იდგა... ქუჩის შუაგულ სინათლე გამოკრთა. „რა უნდა იყოს?“... რასკოლნიკოვმა მარჯვნივ შეუხვია და ბრბოსაკენ გასწია. მაგრამ გაეცინდა, რომ თითქოს მიზეზებს იდებდა, თუმცა გარდაწყვეტილი ჰქონდა ნამდვილად, რომ ახლავ კანტორაში მივიდოდა და ყველაფერს გაათავებდა.

## VII

ქუჩის შუა-გულ ვიღასიც საკუთარი, მდიდრული ეტლი იდგა, რომელშიაც წყვილი, ყომრალი ფიცხი ცხენი ება; შიგ არავინა სჩანდა მჯდომი, თვითონ მეეტლეც კოფოდან ჩამოსულიყო და გვერდით უდგა. ცხენები სადავეთი ეჭირათ... გარშემო მრავალს ხალხს მოეყარა თავი, ყველაზედ წინ პოლიციელები იდგნენ. ერთს იმათგანს ხელში პატარა ფარანი ეჭირა ანთებული, რომლითაც ძირს დახრილი რაღასაც ანათებდა ქვაფენილზედ, იმ ადგილას სწორედ, სადაც ეტლის თვლები იყო. ყველა ლაპარაკობდა, ყვიროდა, ოხრავდა; მეეტლე-კი გაშტერებული იდგა და დრო-და-დრო იმეორებდა:

— რა უბედურობაა! ღმერთო, რა საცოდავობა მოხდა!

როგორც იყო, გაძვრა ხალხში რასკოლნიკოვი და დაინახა, რას შეეშფოთებინა და აელელვებინა ასე ხალხი. ძირს ეგდო ცხენებისაგან გათელილი, გრძნობა-დაკარგული, გარეგნობით ღარიბულად, მაგრამ „კეთილშობილურად“ ჩაცმული ადამიანი და სისხლში სცურავდა. პირისახეზედ და თავიდან სისხლი სდიოდა. სახე მთლად დაჭეჭყილი, დაგლეჯილი და დამახინჯებული ჰქონდა. ეტყობოდა, სახუმაროდ არ იყო დაშავებული.

— რა მექნა უბედურსა!—მოსთქვამდა მეეტლე,—როგორ დამენახა! რო გამომერეკა, ან არ დამეყვირა, კიდევ ჰო, თორემ სულ ნელა მომყავდა. ყველა ჰხედავდა, თორემ აი, ხალხი; გამამტყუენონ, თუ ვსტყუი. ეჭვი არ არის, მთვრალი სანთელს არ აინთებს!.. ვხედავ, ქუჩაზედ გადადის, ბარბაცებს, ლამის არის დაეცეს. დავუყვირე ერთხელ, მეორეთ, მესამეთ და ცხენებიც შევაყენე; მაგრამ არ მოჰშორდა და პირდაპირ ფეხებში ჩაუვარდა! განგება ქნა, თუ ძალიან იყო მთვრალი, არ ვიცი... ახალი ცხენებია, მფრთხალები არიან,—გაიწიეს; გაიწიეს და დაიყვირა. დაიყვირა და უარესად შეფრთხნენ... და ასეთი უბედურობა-კი დატრიალდა.

— აგრე იყო, მართალია!—გაისმა ვიღაცა მოწმის ხმა ბრბოში.

— მართალია, უყვიროდა, სამჯერ დაუყვირა,—დაემოწმა მეორე.

— სამჯერ დაუყვირა სწორედ, ყველამ გავიგონეთ!—დაიძახა მესამემ.

მაგრამ არც ძალიან იყო ქედმოხრილი და შეშინებული მეეტლე. ეტყობოდა, ეტლი ვისიმე შეძლებულ კაცისა იყო და უთუოდ დაბარებული ჰყავდა, უცდიდა სადმე. რასაკვრელია, პოლიციელებიც ძაან სცდილობდნენ გამოერკვიათ როგორმე საქმე. გასრესილი პოლიციის ნაწილსა და საავადმყოფოში უნდა წაეყვანათ. მაგრამ სახელი და ვინაობა არავინ იცოდა.

სწორედ ამ დროს რასკოლნიკოვი უფრო ახლოს მივიდა. ფარანმა უცბად მთლად გააშუქა დაშავებულის სახე: იცნო, ვინც იყო.

— მე ვიცნობ, მე ვიცნობ! —შეჰყვირა რასკოლნიკოვმა და წინ წაიწია.—სამსახურს გარეშე მყოფი მოხელეა, ტიტულიარნი სოვეტნიკი მარმელადოვი! აქვე სცხოვრობს, მახლობლად, კოზელის სახლში... ჩქარათ, ექიმი! ფულს მე გადვიხდი!

ამოიღო ჯიბიდან ფული და პოლიციელს დაანახვა. საშინლად აღელდა უცბად რასკოლნიკოვი.

გაუხარდათ პოლიციელებსა, რომ დაშავებულის ვინაობა შეიტყეს. რასკოლნიკოვმა მაშინვე თავისი ვინაობაც აცნობა, ადრესი მისცა და სცდილობდა ყოველის ღონისძიებითა,— თითქოს მშობელი მამა ყოფილიყოსო,—რომ გრძნობა დაკარგული მარმელადოვი საჩქაროდ სახლში წაეყვანათ.

— აი, აქვეა, მესამე სახლია, ცოდვილობდა და ჰზრუნავდა რასკოლნიკოვი,—კოზელის სახლში სდგას, მდიდარი ნემეცის სახლში... უთუოდ მთვრალი იყო და სახლში მიდიოდა. ვიცნობ... ლოთია... ოჯახობა ჰყავს, ცოლი, შვილები, ქალიცა ჰყავს ერთი. საავადმყოფოში წაყვანას შინა სჯობიან, აქვეა და ექიმსაც მალე ვიშოვით! მე მივცემ ფულსა, მე გადავიხდი!.. რაც უნდა იყოს, სხვა არის, შინაურები მოუვლიან. მალე უშველიან; საავადმყოფომდის კი, ვინ იცის, კიდეც მოკვდეს...

შეუმჩნეველად ხელშიც კი ჩაუდო ფული პოლიციელსა. მაინც აშკარა იყო და კანონიერიც: უფრო მალე დაეხმარებოდნენ. ასწიეს დაშავებული და წაიღეს. მალე თანაშემწეები და თანამგრძნობნი სხვებიც გაუჩნდნენ. სულ რაღაცა ოც-და-ათის ნაბიჯით იყო კოზელის სახლი დაშორებული. რასკოლნიკოვი უკან მისდევდა, თავში წაევლო ხელი ფრთხილად და გზას უჩვენებდა.

— აქეთ მოიყვათ, აქეთ! კიბეზედ უნდა თავით ავიყვანოთ, მობრუნდით... ჰო, აგრე, ფულს მე მოგცემთ, მე გადაგიხდით მადლობასა,—დუდუნებდა რასკოლნიკოვი.

ჩვეულებისამებრ, როგორც კი თავისუფლებას იგდებდა ერთის წამით ხელთა, მაშინვე თავისს ვიწრო ოთახში იწყებდა ხოლმე წინ და უკან, ფანჯრიდან ღუმელამდე, გულხელ-დაკრეფილი სიარულსა კატერინა ივანოვნა; დადიოდა ხოლმე ასე და თან თავისს თავს ელაპარაკებოდა, ახველებდა. ბოლოსა და ბოლოს დროს-კი უხშირა აგრეთვე ლაპარაკს თავისს უფროს, ათის წლის ქალ პოლინკასთანა. მართალია, ბევრი რამ ჯერ კიდევ არ ესმოდა პოლინკასა, მაგრამ შეიგნო კარგად, რომ დედისათვის საჭირო იყო იგი და თავისს გონიერ ვეება თვალებს ერთგულად ადევნებდა ხოლმე დედასა და თავს უჩვენებდა ეშმაკურადა, ვითომ ყველაფერი ესმოდა. პოლინკა ამ ჟამად თავისს უქეიფოდ მყოფს უმცროსს ძმას ჰხდიდა ტანთა, რომ დაეძინებინა. მოლოდინში, სანამ პერანგს გამოუცვლიდნენ, რომელიც იმ ღამესვე უნდა გაერეცხათ და გაეშრათ, იჯდა პატარა სკამზედ ჩუმათა და უძრავათა და წყვილად შეტყუპული შიშველი ფეხი წინ გაეშვირა. გაებერა ტუჩები, დაეჭყიტა თვალები და უძრავად უგდებდა ჭკვიანად ყურს დედის ლაპარაკს პოლინკასთანა, ისე სწორედ, როგორც ჭკვიანმა ბავშვებმა იციან ხოლმე, სანამ ტანთ გაჰხდიდნენ და საძილოდ დააწვენდნენ. უფრო პატარა, ძონძებში გამოხვეული გოგო კიდევ ფარდასთან იდგა და რიგს უცდიდა, რომ იმასაც დააწვენდნენ. კიბეზედ გამოსასვლელი კარი ღია იყო, რომ სხვა მდგმურების ოთახებიდამ გამომავალი სქელი თაბაქოს ბოლი ცოტაც არის გაფანტულიყო და საბრალო ჭლექი ადამიანი ხშირსა და მძიმე ხველას ისრე არ ეტანჯნა. თითქოს უარესად გამხდარიყო კატერინა ივანოვნა ამ რაღაცა ერთის კვირის განმავლობაში, წინანდელთან შედარებით ლოყებზედ აქა-იქ წითელი ლაქები მოჰმატებოდა თითქოსა.

— არც დაიჯერებ და ვერც წარმოიდგენ, პოლენკა,— ეუბნებოდა კატერინა ივანოვნა და თან ოთახში გადი-გამოდიოდა,—როგორ მხიარულათა და კმაყოფილათა ვცხოვრობდით მამასთანა; ამ ლოთმა-კი როგორ დაგვღუპა ყველა, მეცა და თქვენცა! მამაჩემი უკვე საერო პოლკოვნიკი იყო და

თითქმის გუბერნატორიც; სულ რაღაცა ერთი ნაბიჯი-ღა უკლდა, ასე რომ ყველანი დაიარებოდნენ და ეუბნებოდნენ: „ისე გთვლით უკვე, ივან მიხეილიჩ, როგორც ჩვენს გუბერნატორსაო.“ როგორ... ეხ! ხე! ეხ! როდესაც... ჰხე-ჰხე-ჰხე!.. ო, დაწყევლილო სიცოცხლევ! შეჰყვირა კატერინა ივანოვნამ და გადააფურთხა, გულზედ ხელი იტაცა.— როდესაც... ეჰ, უკანასკნელ ბალზედ... თავად-აზნაურთა წინამძღოლისას... დამინახა კნეინა ბეზზემელნაიამ,—რომელმაც შემდეგ დამლოცა, მამაშენზედ რომ ვთხოვდებოდი, პოლ,—მაშინვე იკითხა: „ის ხომ არ არის ეს მშვენიერი გოგონა, კურსის დასრულებისას რომ შალიანი სცეკვავდაო?..“ ე გახეული რატომ არ დაგიკერებია. აიღებდი ნემსსა და ახლავე ამოჰბლანდავდი, როგორც გასწავლე, თორემ ხვალ... ჰხე-ჰხე! ხვალ... ჰხე-ჰხე-ჰხე! უარესად გაგეხევა! დაჰყვირა გულ ამოვარდნილმა.— ის-ის იყო მაშინ ჩამოვიდა პეტერბურგიდამ კამერ-იუნკერი თავადი შჩეგოლსკოიც... იცეკვა ჩემთან მაზურკა და უნდოდა თურმე მეორე დღესვე წინადადება გაეკეთებინა, მაგრამ მევე დავასწარ, მადლობა ვუთხარ და გამოვუცხადე, რომ დიდი ხანია სხვას ეკუთვნოდა ჩემი გული. ეს სხვა-კი მამაშენი იყო, პოლია. საშინლად ჯავრობდა მამა... მერე, წყალი-კი მზათა გაქვს? აბა, მოიტა პერანგი; ჩულქები სადღაა?.. ლიდა, მიუბრუნდა პაწიასა, ამაღამ აგრე უპერანგოთ გეძინოს, როგორც იყოს... ჩულქებიც მანდვე დააწყე... ერთად დავრეცხამ ბარემ... ი დაბრანძული ლოთი რატომ აღარ მოდის, ნეტა? ლამის არის პერანგი დასტამლათ ექცეს, მთლად შემოეხევა... სჯობდა ერთად დამერეცხა, რომ ორს ღამეს არ მეწვალა! ღმერთო! ჰხე-ჰხე-ჰხე-ჰხე! კიდევ ამივარდა ე ხველა! რა ამბავია? შეჰყვირა უცბად და დერეფანში გამოჩენილს ხალხს გაჰხედა, რომელსაც თან რაღაცა მოჰქონდა ოთახისაკენ.

— რა არის? რა მოაქვთ? ღმერთო!

— სად დავაწვინოთ? კითხულობდა პოლიციელი და თან გარშემო იყურებოდა, რომ გრძნობა დაკარგული და გასისხლიანებული მარმელადოვი დაეწვინათ.

— დივანზედ! დივანზედ დააწვინეთ! აი ასე, თავი აქეთ უყავით,—უჩვენებდა რასკოლნიკოვი.

— ქუჩაში გასრისეს მთვრალი!—დაიძახა ვიღაცა დერეფნიდამა.

იდგა გაფითრებული კატერინა ივანოვნა და ძლივს-ღა ჰსუნთქავდა. ბავშვებიც შეშინებულიყვნენ. პატარა ლიდოჩკამ მაშინვე ყვირილით პოლინკას მიაშურა, მოჰხვია ხელები და მთლად კანკალმა აიტანა.

დააწვინეს თუ არა მარმელადოვი, რასკოლნიკოვი მაშინვე კატერინა ივანოვნას ეცა.

— ღვთის გულისათვის, დამშვიდდით, ნუ შეშინდებით! ეუბნებოდა სხაპა-სხუპით.—ქუჩაში თურმე გადადიოდა და ეტლმა გადუარა; ნუ სწუხართ, მობრუნდება, მე ვუბრძანე აქ მოეყვანათ... გახსოვთ, ვიყავი ერთხელ თქვენსა... მობრუნდება; ფულს მე გადვიხდი.

— ხომ აგიტანა წერამა! შეჰყვირა სასოწარკვეთილებით კატერინა ივანოვნამ და ქმრისაკენ გაქანდა.

შეჰნიშნა მაშინვე რასკოლნიკოვმა, რომ კატერინა ივანოვნა სხვა სუსტ დედაკაცებს არაფრით ჰგავდა და მაშინვე გულს არ შეუღონდებოდა. უცბად თავ ქვეშ ბალიში გაუჩნდა უბედურსა, რაც სხვას არავის მოჰგონებია და გახდაც დაუწყო კატერინა ივანოვნამ. თანა ჰსინჯავდა და გაფაციცებით ჰზრუნავდა, გულიდან ამოსახეთქად გამზადებულს ტირილსა და აცახცახებულს ტუჩებს ძალით იმაგრებდა. თავი მთლად დაჰვიწყებოდა.

რასკოლნიკოვმა-კი ამ დროს ექიმზედაც გაგზავნა კაცი, რომელიც იქვე მეორე სახლში მდგარიყო.

— ექიმსაც დაუძახებენ,—უმეორებდა რასკოლნიკოვი,— ნუ სწუხართ, ფულს მე გადვიხდი. წყალი არ არის?.. ხელსაწმენდი ან პირსახოცი იქნება, მამეცით ჩქარა; არავინ იცის, როგორ არის დაშავებული... დაშავებულია და არა მკვდარი, მერწმუნეთ... ვნახოთ, ექიმი რას იტყვის!

კატერინა ივანოვნა მაშინვე ფანჯარისაკენ გაქანდა. აქ, კუთხეში, დაძველებულ სკამზედ, თიხის ტაშტით წყალი ედგა, რომ ბავშვებისა და ქმრის საცვალი ღამე დაერეცხა. იქამდის მიაღწია ბოლოს დროს იმათმა გაჭირვებამა, რომ ოჯახის ყოველ წევრს მხოლოდ თითო ხელი საცვალი-ღა ჰქონდა და თუ არ ღამ-ღამობით, სხვაფრივ მათი რეცხვა არ მოხერხდებოდა. და რაკი თვითონ დიდი მოყვარული იყო სისუფთავისა, ისევ ღამ-ღამობით არჩევდა ქმარ-შვილის საცვლების რეცხვასა და ჭუჭყიანათ-კი არ ატარებდა. ამიტომაც კვირაში ორჯელ, ზოგჯერ-კი უფრო ხშირადაც, უთუოდ სარეცხი ჰქონდა ხოლმე და სველს საცვლებს ღამევე უშრობდა შინ გაბმულს თოკზედა, რომ დილით სუფთა საცვალი ჩაეცვათ. წაავლო ხელი ტაშტსა და უნდოდა რასკოლნიკოვისაფვის მიეტანა, მაგრამ კინაღამ იქვე დაეცა, ველარ შესძლო. რასკოლნიკოვმა-კი უკვე იპოვნა პირსახოცი, დაასველა წყლითა და დაუწყო მარმელადოვს გასისხლიანებულ სახის წმენდა. კატერინა ივანოვნაც იქვე იდგა და გულხელ დაკრეფილი ძლივსა ჰსუნთქავდა; გული სტკიოდა. ახლა-ღა მიჰხვდა რასკოლნიკოვი, რომ არ უნდა ამოეყვანინებინა სახლში მარმელადოვი. პოლიციელიც გაშტერებული იდგა და შეჰყურებდა.

— პოლიაო! — დაუძახა კატერინა ივანოვნამა. — ჩქარა, სონიასთან მიირბინე! თუ შინ არ დაგხვდეს, უთხარი, მამა ცხენებმა გაიტანესო-თქო და როგორც-კი მოვიდეს, მაშინვე წამოვიდეს... ნება, ჩქარა! აბა, თავზედ მოიხვიე!

— ლაც სეგიძლიან, გაიქე! მიაძახა უცბად სკამზედ მჯდომმა პატარა ბიჭმა და ისევე ისე გაჩუმდა; მხოლოდ ფეხები წამოეყო წინა და თვალები დაეჭყიტა.

ოთახი მთლად ხალხით გაივსო. პოლიციელები წავიდწამოვიდნენ; დარჩა-ღა მხოლოდ ერთი, რომელიც კიბიდგან მოგროვილს ხალხს უკვე ერეკებოდა. სამაგიეროდ ლიპევეხზელის შიდა ოთახებიდამ თითქმის ყველა მდგმურებმა აქ მოიყარეს თავი. პირველად ჯერ კარებში შემოიყურებოდ-

ნენ, მერე კი იხუვლეს უცბადა და ოთახში შემოიტანეს გრილი. გაბრაზდა კატერინა ივანოვნა.

— ნეტავი, სიკვდილს მაინც არის აღირსებდეთ მოსვენებით ადამიანსა! დაჰყვირა ოთახში შემოსულთ,—წარმოდგენაა, თუ რა არის? პაპიროსებიც რომ ხელში უჭირავთ! ჰხეჰხე-ჰხე! არა, ქუდებითაც შემობრძანდი ბარემ... აგერა, აკი ჰხურავს კიდეცა ერთსა!.. მკვდრის პატივისცემა მაინცა გქონდეთ!

ხველამ კინალამ დააღრჩო, მაგრამ გაჯავრებამ-კი გასჭრა. ეტყობოდა, ეშინოდათ კიდეც კატერინა ივანოვნასი; მდგმურები ნელ-ნელა უკანვე გავიდნენ იმ უცნაურის შინაგან კმაყოფილებით, რომელიც თვით უახლოეს ხალხშიაც-კი იჩენს ხოლმე თავსა მოყვასთა მოულოდნელ უბედურობის დროსა და რომელიც უნებურად ყველას თანა სდევს მუდამ, თუნდაც გულწრფელად თანაუგრძნობდნენ და ებრალებოდეთ კიდეც უბედურობის მსხვერპლი.

კარებს უკანიდამ საავადმყოფოს ახსენებდნენ, თან იძახოდნენ; არ უნდა მოეყვანათ შინა და ხალხი არ შეეწუხებინათო.

— როგორ, სიკვდილიც-კი არ შეუძლიან შინა! შეჰყვირა კატერინა ივანოვნამ და ის იყო კარებს უნდა სცემოდა და გამოელო, რომ ამ დროს სწორედ თვითონ ქალბატონს ლიპპევეხზელისას შეეფეთა წინა. ის იყო გაეგო დიასახლისს, რომ უბედურობა დატრიალდაო და მოდიოდა, რომ წესი და რიგი აღედგინა.

საშინელი უგულო და ჭინჭყლიანი დედაკაცი იყო ქ-ნი ლიპპევეხზელი.

— ოჰ, ღმერთო ჩემო!—გაჰკრა ხელი.—თქვენი ქმარი ცხენმა გათელა! საავადმყოფოში ჩქარა! დიასახლისი ვარ!

— ამალია ლუდვიგოვნა! გთხოვთ გაიხსენოთ, რას ამბობთ,—დაუწყო კატერინა ივანოვნამ მედიდურათა (დიასახლისს მუდამ ამ კილოთი ელაპარაკებოდა, რომ თავისი ვინაო-

ბა არ დაჰვიწყებოდა, ამიტომაც არც ახლა უნდოდა მოჰკლებოდა ამ სიამოვნებასა),—ამალია ლუდვიგოვნა...

— წინათაც რამდენჯერ გითხარი, ამალია ლუდვიგოვნა აღარ დამიძახო-მეთქი; ამალია ივანოვნა და არა ლუდვიგოვნა.

— ამალია ლუდვიგოვნა ხართ და არა ამალია ივანოვნა, და მეორეც, რაკი იმ გაიძკერა მლიქვნელებს არა ვგევარ, როგორიც ბატონი ლებეზიატნიკოვია, რომელიც ახლა უთუოდ კარებს უკანიდამ დაგცინის (მართლაც ამ დროს კარებს უკან სიცილი და შენიშვნა გაისმა: „ეცნენო!“), მუდამ ამალია ლუდვიგოვნას დაგიძახებთ უთუოდ, თუმცა ვერ გამიგია სწორედ, რად არ მოგწონთ ეს სახელი. ხომ ჰხედავთ, რა დაემართა სემონ ზახარიჩსა; კვდება. გთხოვთ ახლავე დაკეტოთ ე კარი და აღარავინ შემოუშვათ. სიკვდილი მაინც არის შეაძლებინეთ მშვიდობიანათა! გარწმუნებთ, უამისოდ ხვალვე თქვენს საქციელს გენერალ-გუბერნატორს ვაცნობებ. თავადი მიცნობდა ჯერ ისევ ქალობისასა და სემონ ზახარიჩსაც მოწყალედ ებყრობოდა. ყველამ იცის კარგათა, რომ სემონ ზახარიჩს მრავალი მეგობარი და მფარველი ჰყავს, მაგრამ თავისს სისუსტისა და კეთილშობილურ სიამაყისა გამო თვითონვე ყველას ჩამოჰშორდა, მაგრამ ახლაც აი, (რასკოლნიკოვზედ მიუთითა) ეს დიდსულოვანი ახალგაზრდა გვშველის, რომელსაც სემონ ზახარიჩი პატარაობიდამვე იცნობდა. მერწმუნეთ, ამალია ლუდვიგოვნა...

ყველაფერი ეს სხაპა-სხუპით წარმოსთქვა კატერინა ივანოვნამ. მაგრამ ხველამ შეაყენა. სწორედ ამ დროს მომაკვდავი გონს მოვიდა, ამოიკვნესა და კატერინა ივანოვნაც მაშინვე ქმრისკენ გაქანდა. გაახილა ავადმყოფმა თვალები და თავით მდგომს რასკოლნიკოვს დაუწყო ცქერა, მაგრამ ვერას არჩევდა, გაბრუებული იყო, ვერავის სცნობდა. იშვიათად და ღრმათა ჰსუნთქავდა. ტუჩის პირად სისხლი სდიოდა. ოფლი მოჰსვლოდა. რასკოლნიკოვი რომ ვერ იცნო, შეშფოთებულმა ახლა სხვა მხარეს დაიწყო ცქერა. დაღვრემილი

შესცქეროდა კატერინა ივანოვნა სასტიკად და თვალებიდამ ლაპა-ლუპით ცრემლები სცვიოდა.

— ღმერთო ჩემო! გულ-მკერდი მთლად ჩანგრეული ჰქონია! როგორ სდის სისხლი! ჩაილაპარაკა სასოწარკვეთილმა.—ეს ზედა ტანისამოსი მაინც გავხადოთ! სემონ ზახარიჩ, მობრუნდი, აბა, თუ შეგიძლიან, დაუყვირა კატერინა ივანოვნამ.

იცნო მარმელადოვმა.

— ღვდელი!—წაიდუდუნა ხრინწიანის ხმით.

კატერინა ივანოვნა ფანჯრისაკენ მიდგა, შუბლი ჩარჩოს მიჰყუდა და სასოწარკვეთილმა შეჰყვირა:

— ო, დაწყევლილო სიცოცხლევ!

— ღვდელი!—გაიმეორა მცირე სიჩუმის შემდეგ მომაკვდავმა.

— წავიდნენ! დაუყვირა კატერინა ივანოვნამა. გაიგონა მარმელადოვმა ყვირილი და გაჩუმდა. მოკრძალებით და ნაღვლიანად ეძებდა ცოლს თვალითა. დაბრუნდა ისევ კატერინა ივანოვნა და თავით დაუდგა ქმარსა. ცოტათი არ იყოს, დამშვიდდა მომაკვდავი, მაგრამ მცირე ხნობით.

მალე პატარა ლიდოჩკას მოჰკრა თვალი (უყვარდა ძაან), რომელიც კუთხეში ატუზულიყო და აცახცახებული გაჰყურებდა ბავშვურად შეშინებული.

— ე... ე.. უჩვენებდა შეშფოთებული მარმელადოვი ლიდოჩკაზედა.

უნდოდა რაღაცა ეთქვა.

— რა იყო, რა გინდა? შეუყვირა კატერინა ივანოვნამა.

— ფეხშიშველა! ფეხშიშველა! დუდუნებდა გონება-დაბნეული და ლიდოჩკას შიშველა ფეხებზედ უჩვენებდა.

— გაჩ-უმ-დი! დაუყვირა გაბრაზებულმა კატერინა ივანოვნამა.—კარგად იცი, რათაც არის ფეხშიშველა!

— მადლობა ღმერთს, ექიმი მოვიდა! შეჰყვირა გახარებულმა რასკოლნიკოვმა.

შემოვიდა ექიმი, დარბაისელი მოხუცი ნემეცი და გარშემო უნდობლად მიმოიხედა. მივიდა მერე ავადმყოფთანა, მაჯა და თავი გაუსინჯა და კატერინა ივანოვნას დახმარებით სისხლში გათხვრილი პერანგი გადაუწია გულიდამა. გულმკერდი მთლად ჩარეგვილი ჰქონდა, მარჯვენა გვერდის რამდენიმე ძვალი ჩამტვრეული. მარცხნივ, ზედ გულზედ, ვეება ბედითი შავი, ჩაყვითლებული ლაქა ჰქონდა: ფეხი ჩაეკრა ცხენსა. ექიმი მოიღრუბლა. უამბო პოლიციელმა, რომ დაშავებული თვალმა ჩაითრია და ასე ოც-და-ათ ნაბიჯამდე ათრია ქვაფენილზედა.

— საკვირველია, ან-კი როგორ-ღა მოვიდა გონსა,—ჩასჩურჩულა ჩუმად რასკოლნიკოვსა.

— მაინც, რას იტყვით? დაეკითხა რასკოლნიკოვი.

— ახლავ მოკვდება.

— არავითარი იმედი არ არის, მაშა?

— არავითარი! სულსა ჰლევს... თავიც საშინლათა აქვს დაზიანებული... ჰმ!.. შეიძლებოდა სისხლი გამოგვეშვა... მაგრამ... უსარგებლოა. ხუთისა ან ათის წამის შემდეგ მაინც უთუოდ მოკვდება.

— სჯობს, მაშ, ისევ გამოუშვათ!

— შეიძლება... მაგრამ გაფრთხილებთ-კი, რომ უსარგებლო იქნება სრულიად.

ამ დროს სწორედ დერეფანში ფეხის ხმა გაისმა, ხალხი გაირღვა და გამოჩნდა მოხუცი მღვდელი. ქუჩიდამვე წასულიყო ვიღაცა პოლიციელი დასაძახებლად. ექიმმა მაშინვე ადგილი დაუთმო, თან მნიშვნელოვანად გადაჰხედა. სთხოვა რასკოლნიკოვმა ექიმსა, ცოტა ხანს კიდევ დარჩენილიყო. ექიმმა მხრები შეიშმუშნა, მაგრამ დარჩა.

ავადმყოფს ყველა მოჰშორდა, ანდერძმა ცოტა ხანს გასტანა. მომაკვდავს თითქმის არა ესმოდა-რა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად შეეძლო მხოლოდ რაღაც უაზრო წამოყვირება. აიყვანა კატერინა ივანოვნამ ლიდოჩკა, პატარა ბიჭიც სკამიდამ ჩამოსვა, მიიყვანა კუთხეში, ღუმელთანა, დაიჩოქა და ბა-

ვშვებიც წინ დააჩოქა. ლიდოჩკა სულ კანკალებდა; პატარა ბიჭს კიდევ დაეჩოქნა შიშველა მუხლის თავებზედ, მძიმედ იწერდა პირჯვარსა, იყრიდა მუხლსა და თავს მიწაზედ ახეთქებდა თითქმის, რაიცა, ეტყობოდა, ძალიან ესიამოვნებოდა. კატერინა ივანოვნა კიდევ ტუჩებს იკვნეტდა და ტირილს ძალით იმაგრებდა. ლოცულობდა თითონაცა და თან იშვიათად ბავშვს უსწორებდა პერანგსა; პატარა გოგოს კიდევ დაჩოქილმა თხელი ქალაღაია ამოუღო კამოდიდამა და შიშველა მხრებზედ წამოასხა. ცნობის მოყვარეებმა კარებს ისევ გამოღება დაუწყეს, რომ შიგნითა ოთახებიდამ გამოეხედნათ. დერეფანშიაც თან-და-თან უფრო მატულობდა მაყურებლების რიცხვი, ყველა კიბეებიდამ იკრიბებოდნენ, მაგრამ კარებს აქეთ არ გადმოდიოდნენ, გარეთ იდგნენ. მთელს ოთახსა და დერეფანს პატარა ნამწვი სანთელი ანათებდა.

უცბად ბრბოდამ საჩქაროდ გამოძვრა პოლინკა, რომელიც დის დასაძახებლად იყო წასული; მოიხადა დაღალულმა თავშალი, მოსძებნა დედა, მივიდა და უთხრა: „მოდის! ქუჩაში შემომხვდა!“ დედამ ესაც მაშინვე თავისს გვერდით დააჩოქა. ბრბოდამ წყნარად და მოკრძალებით გამოაღწია ახალგაზრდა ქალმა, რომლის მოულოდნელი გაჩენაც ამ სიღარიბისა, ძონძებისა, სიკვდილისა და სასოწარკვეთილების შორის უცნაურად ეჩვენა ყველას. მართალია, უბრალო მჩვრები ეცვა, გროშის ფასისა ყველაფერი, მაგრამ ქუჩის გემოზედ იყო აჭრელებული, რომელიც სამარცხვინო განზრახვას მოწონებისას აშკარად ჰხდიდა. სონა იქვე კარებთან შედგა დაბნეული, თითქოს აღარა ეყურება-რა და დაავიწყდა, რომ მეოთხე ადამიანისაგან ნახმარად ნასყიდი, დროისა და გარემოების შეუსაბამო, ყვავილებიანი, გრძელ შლეიფიანი სასაცილო კაბა ეცვა, გაბუებული წამოსასხამი ეგდო და მხიარული ბათინკები ეცვა; თავზედ კიდევ არა ნაკლებ სასაცილო ჩალის რგვალი შლაპა ეხურა, რომელსაც ცეცხლის ფერი ფრთა უმკობდა. ბიჭურად გვერდზედ მოგდებულ შლაპიდამ გამოიყურებოდა გამხდარ-გამხდარი, ფერმკრთალი, შეშინებული, ნახევრად პირ-ღია,

თვალებ დაჭყეტილი სახე. სინა იყო ტანით მომცრო, თვრამეტის წლის გამხდარ-გამხდარი, მაგრამ საკმაოდ ლამაზი, ლურჯ თვალება ქერა ქალი. ყურადღებით უყურებდა ლოგინსა და ღვდელსა. დაღალულიყო. ესაც ძლივას-ღა ჰსუნთქავდა. გაისმა ბოლოს რაღაცა ჩურჩული ბრბოში და ზოგიერთა სიტყვამ მის ყურამდეც მიაღწია. დაჰღუნა თავი, გადადგა ფეხი კარებს შიგნითა, მაგრამ იქვე შედგა.

ანდერძი და ზიარებაც დასრულდა. კატერინა ივანოვნა ისევ ქმართან მივიდა. გადგა უკან ღვდელი, ჩამოეცალა და რამდენიმე სანუგეშო სიტყვა უთხრა.

— ჰო, მაგრამ, ამათ რა ვუყო?—მიუთითა გაბრაზებულმა ბავშვებზედ.

— ღმერთია მოწყალე! უზენაესი არავის დაივიწყებს,— დაიწყო მღვდელმა, მაგრამ მალე ისევ გააწყვეტინა კატერინა ივანოვნამა:

— ჰმ! მოწყალე-კი მოწყალეა, მაგრამ ჩვენთვის როდია!

— ცოდვაა, შვილო, მაგისი თქმა, ცოდვაა,—შეჰნიშნა მღვდელმა თავის ქნევითა.

— ესა, ეს-კი არ არის ცოდვა? დაიყვირა კატერინა ივანოვნამა და მომაკვდავზედ მიუთითა.

— ვინ იცის, იქნება დაგთანხმდეთ კიდეც, ვინც უნებლიეთ მიზეზი გახდა თქვენის უბედურებისა და ზარალი გიზღათ, ნივთიერად მაინც...

— ჩემი აზრი ვერ გაიგევით! შეჰყვირა აღელვებულმა კატერინა ივანოვნამა და ხელი გააქნია.—რის ზარალი, რა უნდა მიზღონ? თვითონ არ ჩაუვარდა მთვრალი ცხენებსა! რის ნივთიერი ზარალი?.. სარგებლობა და დახმარება-კი არა, ტანჯვა მქონდა ამისაგან მხოლოდ. ლოთი იყო, სჭამდა ყველაფერს! სახლსა ჰპარავდა და დუქანში მიჰქონდა! ჩემი თუ ბავშვების სიცოცხლე, ყველა სმაზედ შეილია! მადლობა ღმერთსა, რომ კვდება! ნაკლები ზარალი გვექნება.

— სიკვდილის წინ უნდა ყველაფერი აპატიოთ, შვილო, შურის გება ცოდვაა!

კატერინა ივანოვნა ავადმყოფს დასტრიალებდა: ხან წყალს ასმევდა, ხან ოფლსა და სისხლსა სწმენდავდა, ხან ბალიშს უსწორებდა და თან ღვდელს ელაპარაკებოდა. ახლა-კი გულმოსული მიუბრუნდა უცბად.

— ეჰ, მამაო! სიტყვებია და სიტყვები მხოლოდ! აპატიოთო! იცით, მერე, რომ, არ გაესრისათ, მოვიდოდა გალექებული და ჭუჭყისაგან მთლად შეჭმული და დაძონძილი ერთად-ერთი პერანგი ძალით უნდა გამეხადა და გათენებამდე მისი და ბავშვების საცვლები მეჭეჭყა; მერე გამეშრო და, ინათებდა თუ არა, დავმჯდარიყავი ახლა და მეკერებინა, რომ დილით სუფთა ჩამეცმია? აი, როგორ ვატარებ ღამეს!.. მაშ, რომელ პატიებაზედ-ღა შეიძლება აქ ლაპარაკი! მაგრამ დეე, მიპატიებია!

საშინელმა ხველამ ლაპარაკი გააწყვეტინა. მიიშველა ცხვირსახოცი და ამონახველი განგებ ღვდელს გაუწოდა საჩვენებლათა; თან მეორე ხელით გული ეჭირა ისევა. ცხვირსახოცი მთლად სისხლით იყო მოთხვრილი...

ღვდელმა თავი დაჰლუნა, არარა უთხრა-რა.

მარმელადოვი სულს ებრძოდა, კატერინა ივანოვნას თვალს არ აშორებდა. უნდოდა სულ რაღაცა ეთქვა; ერთხელ კიდევაც სცადა და დაიწყო ენის ცოდვილობა, მაგრამ მიუხვდა კატერინა ივანოვნა, რომ პატიება უნდოდა ეთხოვა და მაშინვე ბრძანების კილოთი შეუყვირა:

— გაჩ-უმ-დი! არ მინდა!.. ვიცი, რაც გინდა სთქვა!..

და ავადმყოფიც გაჩუმდა. მაგრამ თვალი მოჰკრა უცბად, რომ კარებში სონა იდგა.

იმ დრომდის არ შეუნიშნავს: კუთხეში იდგა მოფარებით.

— ვინ არის ესა? ვინ არის? დაიყვირა უცბად ხრინწიანის ხმით შეშფოთებულმა და თან შეშინებული კარებს გაჰყურებდა, სადაც სონა იდგა; ადგომას სცდილობდა.

— იწ-ექ! ი-ი-წ-ექ! დაჰყვირა კატერინა ივანოვნამა.

მაგრამ იხმარა მთლად თავისი ძალ-ღონე და ცალს ხელზედ დაებჯინა, წამოიწია. ერთ ხანად როგორღაც უძრავადა

და ველურად შეჰყურებდა, თითქოს ვერ სცნობსო თავისს ქალსა. არც თუ ენახა სადმე ასრე ჩაცმული. მაგრამ აგერა, იცნო უცბად მოპრანჭული, დამდაბლებული, მკვდარი და შერცხვენილი, მომაკვდავ მამასთან უკანასკნელად გამოთხოვების თავდაბლად მომლოდინე. უსაზღვრო ტანჯვა აღებეჭდა უცბად სახეზედ.

— სონა! შვილო! მაპატიე! დაუყვირა და უნდოდა ხელი გაეწოდა, მაგრამ თავი ველარ შეიმაგრა, გადმოიწია და დივანიდამ ძირს ბრაგვანი მოიღო, პირქვე დაეცა. ეცნენ მაშინვე და დააწვინეს ისევ, მაგრამ სულს ჰლევდა უკვე. ოდნავ შეჰყვირა სონამ, მიჰვარდა მამასა, მოეხვია და ისე დარჩა დიდხანსა; სონას ხელში დალია სული მომაკვდავმა.

— ძლივს! შეჰყვირა კატერინა ივანოვნამ. — რა ვუყო ახლა? რითი დავმარხო! ან ესენი ხვალ რით დავაძღო?

რასკოლნიკოვი კატერინა ივანოვნასთან მივიდა.

— კატერინა ივანოვნა, — დაიწყო რასკოლნიკოვმა, — წარსულს კვირას თქვენმა ქმარმა მთელი თავისი ცხოვრება და გარემოება ამიწერა და მიამბო... დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, სრულის პატივისცემით გიხსენიებდათ. იმ ღამიდამ იყო, რომ მე და ის მეგობრები შევიქმენით; მაშინვე შევიტყე, როგორ ერთგული და მოყვარული იყო იგი, განსაკუთრებით თქვენი, თუმცა ისეთი უბედური ზნე სჭირდა... ნება მიბოძეთ, მაშ... დაგეხმაროთ... ჩემის განსვენებულ მეგობრისადმი უკანასკნელ მოვალეობის მოხდით. აი, აქ... ორი თუმანია, ვგონებ, - თუ რასმე დაგეხმარებათ... ერთი სიტყვით, შემოვივლი, — შემოვივლი უთუოდ... იქნება ხვალაც შემოვიარო... მშვიდობით!

და ოთახიდამ საჩქაროდ გარეთ გავიდა, ხალხი გაარღვია და კიბეზედ დაეშვა. მაგრამ აქ უცბად წინ ნიკოდიმ ფომიჩი შემოეყარა, რომელსაც გაეგო უბედურების ამბავი და მოენდომებინა პირადად თვითონ მოეხდინა საჭირო განკარგულება. მართალია კანტორაში ნახვის შემდეგ აღარსად ერთმანეთს არ შეჰხვედრიან, მაგრამ შეჰხედა თუ არა ნიკოდიმ ფომიჩმა, მაშინვე იცნო.

— ოჰო, თქვენა ხართ? ჩაეკითხა რასკოლნიკოვსა.

— მიიცვალა საწყალი,—უპასუხა რასკოლნიკოვმა.— ექიმიც იყო, მღვდელიც, ყველაფერი რიგზეა. საბრალო დედაკაცს ტყუილად ნურასფერზედ შეაწუხებთ, ისედაც ჭლექიანია. თუ რითიმე შეგიძლიანთ, ანუგეშეთ... კეთილი ადამიანი ხართ ხომა, ვიცი... დასძინა სიცილითა და თან პირდაპირ თვალი თვალში გაუყარა.

— ე სისხლით როგორ მოსვრილხართ, შეჰნიშნა ნიკოდიმ ფომიჩმა, ფარნის სინათლეზედ რომ ჟილეტზედ რამდენიმე ახალი ლაქა დაუნახა სისხლისა.

— დიახ, მოვისვარე... მთლად სისხლში ვარ! უპასუხა როგორღაც განსაკუთრებულის კილოთი რასკოლნიკოვმა, გაიღიმა, დაუქნია თავი და კიბეზედ დაეშვა ქვევით.

კიბე სულ ნელ-ნელა ჩაიარა, მძიმედ და აუჩქარებლივ, მაგრამ სიცხისაგან გავარვარებულს აღარა ესმოდა-რა თითქმის. ჰგრძნობდა მხოლოდ, რომ რაღაცა-რამ ახალი ძალა მოაწვა ტალღასავით, ისე სწორედ, როგორც სასიკვდილოდ დასჯილს აგრძნობინებს ხოლმე მოულოდნელი და უცები პატიება სიცოცხლისა შეღავათსა. შუა კიბეზედ ღვდელი წამოეწია. ჩუმად დაუკრა თავი რასკოლნიკოვმა და გაატარა ღვდელი. კიბის ბოლოში იყო უკვე ჩასული რასკოლნიკოვი, რომ უცბად ზემოდამ აჩქარებული ფეხის ხმა შემოესმა. ვილაცა უკან მოსდევდა. ეს იყო პოლინკა.

— არ გესმისთ? გამიგონეთ!—ეძახდა ზემოდამა.

მიბრუნდა რასკოლნიკოვი. ჩამოირბინა პოლინკამა. ეზოდამ სუსტი სინათლე შემოდიოდა. შეჰნიშნა რასკოლნიკოვმა, რომ მის წინ, ერთი საფეხურით მაღლა, იდგა გამხდარ-გამხდარი, მშვენიერი გოგონა და ბავშვურის აღტაცებითა და სიხარულით შეჰყურებდა პირდაპირა. სჩანდა, რაღაცა დაევალებინათ, მაგრამ, ეტყობოდა, თვითონაც აღტაცებული იყო ამ დავალებითა.

— მითხარით, რა გქვიანთ სახელათა? ან სადა სცხოვრობთ? დაეკითხა აჩქარებულის ხმით პოლინკა.

რასკოლნიკოვმა ორივე ხელი მხარზედ დაადო და როგორღაც ბედნიერად დაუწყო ცქერა. არ იცოდა, რათა, მაგრამ საშინლად იამებოდა მისი ყურება.

— მაინც, ვინ გამოგგზავნათ?

— ვინა და ჩემმა დამ, სონამ,—უპასუხა უფრო მხიარულად გოგონამა.

— აგრე ვფიქრობდი მეცა, რომ უთუოდ სონა გამოგგზავნიდათ.

— დედამაც მთხოვა, დედამაცა. დამ რომ გამომგზავნა, დედაც მოვიდა და მითხრა: „ჩქარა გაიქე, პოლინკაო!“

— მერე, გიყვართ თქვენი და სონა?

— ყველაზედ ძალიან!—უპასუხა რაღაცა შესანიშნავის სიმტკიცითა და ღიმილი უცბად დაუდინჯდა.

— მე, მეც გეყვარებით?

პასუხის მაგივრად ბავშვი მთლად რასკოლნიკოვისაკენ დაიხარა და ფუნჩულა ტუჩებით საკოცნელად მიიწია. ასანთის ჩხირებივით გამხმარი მკლავები უცბად მაგრა შემოჰხვია პატარამა, თავი მხარზედ დაადო და ნელა ატირდა; თან თან-დათან მაგრა და მაგრა ეკვროდა რასკოლნიკოვსა.

— მამა მებრალება!—წამოიძახა პატარა ხანს უკან პოლინკამა და ნამტირალევი თვალები ჩამოიწმინდა.—ასე შემოგვეჩვია უბედურობა,—დასძინა მოულოდნელად და ამ თავისს ნათქვამს რაღაცა დარბაისლური ხასიათი მისცა, როგორც ეს ბავშვებს სჩვევიათ ხოლმე, „დიდებისავით“ რომ მოინდომებენ ლაპარაკსა.

— მამას, მამასაც უყვარდით?

— ყველაზედ მეტად ლიდოჩკა უყვარდა,—განაგრძობდა ისევ დარბაისლურად პოლინკა,—იმიტომ, რომ ყველაზე პატარა იყო და იმიტომ კიდევ, რომ ავადმყოფი იყო; იმას ხილს მოუტანდა ხოლმე, ჩვენ კი წერა-კითხვასა და საღმრთო სჯულს გვასწავლიდა,—დაამატა კვალად,—დედა კი არას გვეუბნებოდა, ვიცოდით მხოლოდ, რომ დედასაც ვუყვარდით, მამამაც იცოდა. დედამ უნდა ფრანგული მასწავლოს, იმიტომ, რომ დრო არის უკვე სწავლისა.

— ლოცვა, ლოცვაც ხომ შეგიძლიანთ?

— როგორ არა, ყველამ ვიცით! დიდი ხანია; მე, როგორც დიდი, ცალკე ვლოცულობ ხოლმე, კოლა და ლიდოჩკა კი დედასთან ერთად ლოცულობენ ხმა-მაღლა. ჯერ „ღვთის მშობელო“-ს წაიკითხავენ ხოლმე, მერე კიდევ ერთს ლოცვასა: „ღმერთო, შეუნდე სონასა“, მერე კიდევ სხვასა: „ღმერთო, შეუნდე ჩვენს მეორე მამასაცა“. იმიტომ, რომ მეორე, უფროსი მამა, მკვდარი გვყავს; ეს-კი სხვა არის; იმისთვისაცა ვლოცულობთ.

— პოლიჩკა, მე როდიონს მეძახიან. ოდესმე ჩემთვისაც ილოცეთ, მაშა. მეტი არა მინდა-რა.

— მთელი ჩემი სიცოცხლე თქვენთვის ვილოცავ სულა,— წარმოსთქვა მხურვალედ პოლინკამ და კვალად გაიღიმა, მოჰხვია ხელები და მაგრა აკოცა.

უთხრა თავისი სახელი და გვარი, მისცა ადრესი და დაჰპირდა, ხვალ უთუოდ შემოვივლიო. პატარა გოგონა მთლად აღტაცებული გაჰშორდა. მეთერთმეტე საათი იყო უკვე, ქუჩაში რომ გამოვიდა. ხუთის წამის შემდეგ ხიდზედ იდგა ისევ, იმ ადგილას სწორედ, საიდანაც წელან დედაკაცი გადავარდა წყალში.

„კმარა!“ წარმოსთქვა გარდაწყვეტით,—„შორს ჩემგან მოჩვენებავ, შიშო!.. მინდა ვიცოცხლო! განა, აი, ახლა კი არა ვცოცხლობდი? ბებრუხანასთან ერთად ჯერ ხომ სიცოცხლე არ დამიკარგავს! ღმერთმა შეუნდოს, დროც იყო მოესვენა! ახლა-კი დროა გონიერება და სინათლე მოვიკრიბო! შემოვიკრიბო... ძალაც... ნებაც... და ვნახოთ მაშინ, რა იქმნება! ვინ ვის აჯობებს!“ დასძინა დიდგულად, თითქოს რომელსამე ბნელეთის ძალს მიჰმართავს და იწვევს საბრძოლველადაო. „მე არ ვიყავი, რომ ფეხის დადგმა მიწაზედ ცხოვრების თანხმობას ვაცხადებდი!“

„... ვგრძნობ, სუსტათა ვარ ამ ჟამადა, მაგრამ... ავადმყოფობამ, ვგონებ, გამიარა. წელანვე ვიცოდი, რომ გამივლიდა, სახლიდან რომ გამოვედი. მართლა: პოჩინკოვის სახლი

აქედან სულ ორ ნაბიჯზეა. უთუოდ წავალ რაზუმიხინისას. დეე, რაც უნდა იყოს... დეე, თუნდ სანაძლეოც მომიგოს... ისიამოვნოს იმანაც, არა უშავს-რა!.. საქმე ძალაა, ძალა, უმისოდ ვერას გახდები. ძალა-კი ძალითვე შეიძინება; აი, ეს არის სწორედ, რომ არ იციან იმათა". დასძინა ამაყად და რწმენით და გასწია. ფეხებს ძლივს მიათრევდა. სიამაყე და თავისის თავის რწმენა თან-და-თან ემატებოდა. თვითოეული შემდეგი წამი ახალსა და ახალს ცვლილებას ახდენდა მისს არსებაში. მაგრამ რა მოხდა, განა, ისეთი, რომ ასე ღრმად შესცვალა იგი? თვითონაც არ იცოდა, რა. წყალ წაღებულივით ეჩვენა უცბად, ვითომ მასაც შეეძლო კვალად ეცოცხლა, რომ ბებრუხანასთან ერთად არ დაემარხა ჯერ თავისი სიცოცხლე'. იქნება აჩქარებულიც იყო ეს მისი დასკვნა, მაგრამ ამაზედ ჯერ არ ეფიქრა.

„არა, რომ ვსთხოვე, ლოცვის დროს მომიგონე ხოლმე-მეთქი", გაიფიქრა უცბად.—„ჰო, მაგრამ... ისე... შემთხვევაა, ვინ იცის!" დასძინა და თავისს ბავშვურს საქციელზედ თვითონვე გაეცინა. თავს მშვენივრადა ჰგრძნობდა.

ადვილად მიაგნო რაზუმიხინის ბინასა. პოჩინკოვის სახლში ახალს მდგმურს თითქმის უკვე ყველა იცნობდა. შუა კიბეზედვე საშინელი ხმაურობა და ლაპარაკი მოესმა. კიბეზედ გამომავალი კარი ყურთამდე ღია იყო. ყვირილი და კამათი ისმოდა. ოთახი საკმაოდ დიდი ჰქონდა, თხუთმეტამდე სული ჰყავდა სტუმრადა. რასკოლნიკოვი შესავალთან შედგა. ფიცრულ გადაღობილთან, იქვე, დიასახლისის ორი მოსამსახურე გოგო ცოდვილობდა: სამოვრებს სდგამდნენ, თეფშებსა და ბოთლებს ალაგებდნენ, დიასახლისის სამზარეულოდამ გამოტანილს პიროგისა და საუზმეულობის თეფშებს აწყობდნენ. რასკოლნიკოვმა რაზუმიხინის დასაძახებლად გაგზავნა, რომელიც იმავ წამს აღტაცებით გამოეგება. პირველ შეხედვაზედვე შეატყობდა ადამიანი, რომ უზომოდ ბლომად დაელია და ცოტა დაძალულიყო კიდეც, თუმცა არასოდეს დათრობას ვერ შეატყობდა ადამიანი.

— გამიგონე,—დაუწყო საჩქაროდ რასკოლნიკოვმა,—მოვედი მხოლოდ გითხრა, რომ სანაძლეო მოიგევი და არავინ იცის მართლაც, ვის რა შეემთხვევა. მაგრამ შემოსვლა არ შემიძლიან: სუსტათა ვარ, ფეხზედ ძლივს ვდგევარ. მშვიდობით, მაშა! ხვალ კი შემომიარე...

— იცი, რას გეტყვი? გაგაცილებ, მაშა! ეჭვი არ არის, ცუდად არის, მაშ, საქმე, თუ შენვე არ ჰმალავ, რომ სუსტათა ხარ...

— სტუმრები მერე? აის ხუჭუჭ-თმა ვინ არის, აქეთ რომ გამოიხედა?

— ისა? ეშმაკმა იცის! ბიძაჩემის ნაცნობია უთუოდ, ან იქნება თავისითაც მოვიდა, რა ვიცი... სტუმრებთან ბიძას დავტოვებ. ოჰ, რომ იცოდე, რა ძვირფასი კაცია. ვსწუხვარ, რომ ვერ გაიცნობ ახლა. მაგრამ, ჯანაბამდის გზაცა ჰქონიათ! ჩემი დარდი არა აქვთ ახლა და მეც მინდა გავიარო, ცოტა გავგრილდე. კაი დროს მოხვედი სწორედ. ერთი ორი წამი რომ კიდევ დავრჩენილიყავ, უთუოდ ჩხუბს ავუტეხდი ვისმე. ღმერთმანი! უცბად... ასეთი სისულელე... გესმის? ვერ წარმოიდგენ, რა რიგ შეუძლიან ადამიანს იცრუოს! მაგრამ როგორ ვერ წარმოიდგენ? ჩვენ-კი არ ვცრუობთ, განა? დეე, იცრუონ: მერე მაინც ალარ იცრუებენ... პატარა ხანს დაჯექ, ზოსიმოვს დავუძახებ.

რალაცა სიხარბით ეცა მაშინვე ზოსიმოვი. ეტყობოდა, რალაცა საგანგებო ცნობის-მოყვარეობით ებყრობოდა. სახე უცბად გაუნათლდა.

— ახლავ დაიძინეთ,—გარდასწყვიტა გასინჯვის უმალ,—მაგრამ დაძინებამდე ერთი რამ უნდა დალიოთ. ხომ დალევთ? წელანვე მოგიმზადეთ... ფხვნილია უბრალო.

— ერთს კი არა, თუნდ ორს დავლევ,—უპასუხა რასკოლნიკოვმა.

ფხვნილი იქვე დაალევინეს.

— ეგ კარგია, რომ შენ გააცილებ,— შეჰნიშნა ზოსიმოვმა რაზუმიხინსა.—ხვალ რა იქნება, ვნახავთ, მაგრამ დღეს-

კი კარგად არის საქმე: წელანდელს აქეთ დიდი ცვლილება ეტყობა. კაცს სიბერემდე სწავლა არ მოსწყინდებაო, ტყუილად კი არ არის ნათქვამი...

— იცი, რა მიჩურჩულა ზოსიმოვმა, სახლიდამ რომ გამოვდიოდით,—წამოროშა რაზუმიხინმა, როგორც კი ქუჩაში გავიდნენ.

— მე შენ, ძმაო, ყველაფერს პირდაპირ არ გეტყვი, იმიტომ, რომ ტუტუცები არიან. მიბრძანა ზოსიმოვმა, რომ გზა-გზა გეყბედო და შენც გაყბედო, მერე-კი ყველაფერი ვუამბო, იმიტომ რომ აზრი აქვს რაღაცა... ვითომ... შეშლილი იყო, ან არა-და, მალე შეიშლებოდე ჭკუიდამა. წარმოიდგინე, აბა, ჯერ ერთი, ძმაო, შენ იმათზედ ჭკვიანი ხარ და მეორეც, თუ მართლა შეშლილისა არა გაქვს-რა, შენთვის ერთია ორივ, რა აზრიც უნდა ჰქონდეთ შენზედა, და მესამეც, რაღაცა ერთი მუჭა ხორცია,—ხელობით დოსტაქარი —სულით ავადმყოფობაზედ გადარეულა: შენ შესახებ-კი დღევანდელმა შენმა ზამეტოვთან ლაპარაკმა შეადგენინა ეს აზრი.

— როგორ, გიამბო, მაშ, ზამეტოვმა? ყველაფერი გიამბო?

— ყველაფერი და მშვენივრადაცა ჰქმნა. ახლა ყველაფერი გავიგე და ზამეტოვმაც გაიგო... ასე, მაშ, ერთი სიტყვით, როდიონ... საქმე ის არის, რომ... მე ცოტა გადაკრულში ვარ... მაგრამ ეს... არასფერია... საქმე ის არის, რომ ეს აზრი... გესმის? მართლაც დაებადათ... გესმის? ესე იგი აზრის ხმა-მაღლა თქმას ვერა ჰბედავდა, იმიტომ, რომ მტკნარი სისულელეა, განსაკუთრებით-კი ი მხატვარი რომ დაიჭირეს, იმის შემდეგ გამოეცალათ ფეხ ქვეშ ნიადაგი. მაგრამ რათ არიან სულელები? მაშინ ცოტა არ იყოს არ მეცემინა კიდეცა ზამეტოვი,—ჩვენ შორის-კი დარჩეს, ძმაო; ანდეც-კი არ ააღებინო, რომ იცი რამე. როგორც შევატყე, წყენა ძაან იცის. ლავიზასთან იყო,—მაგრამ დღეს, დღეს ყველაფერი გემოირკვა. უმთავრესი კი ეს ილია პეტროვიჩია!

მაშინ თურმე ისარგებლა შენის გულშელონებით კანტორაში და მერე კი თვითონვე შერცხვა; ვიცი...

ყველაფერს ამას რასკოლნიკოვი ხარბად უგდებდა ყურსა. ნასვამბოით დაფქვა რაზუმიხინმა.

— გული იმიტომ შემიღონდა, რომ ჰაერი იყო შეხუთული, წამლების სუნი იდგა საშინელი,—შეჰნიშნა რასკოლნიკოვმა.

— რომ მიხსნის კიდეცა! მარტო წამლის სუნი როდი იყო მიზეზი: მთელი თვე ნიადაგი უმზადდებოდა ანთებასა. თორემ ზოსიმოვი აქ არ არის! მაგრამ უნდა იცოდე, როგორ არის ე ბიჭი მოკლული, ვერ წარმოიდგენ! „ამბობს, მაგ კაცის ნეკა თითათ არა ვლირვარო!“ ესე იგი, შენი ვითომ. ხან-და-ხან მართლაც კეთილი გრძნობები აქვს, ძმაო. მაგრამ დღევანდელი „ბროლის სასახლის“ ამბავი არასოდეს არ დაავიწყდება. მშვენივრება თურმე იყო! პირველად თურმე საშინლად შეაშინე, თავს ზარი დაეცა, ცახცახი დააწყებინა! დარწმუნდა თურმე თითქმის, რომ რაღაცა საზიზღარი სისულელე ედო თავში, მართალი იყო, მაგრამ აკი უცბად ენა თურმე გამოუყავი: „აჰა, რა მიირთვი? როგორიაო!“ მშვენივრებაა! მთლად თურმე ჩაითუთქა, მოკვდა! მართლაც რომ დიდი ოსტატი ხარ, ო ღმერთმანი! აგრე უნდა! ეჰ, იქ არ ვიყავ, თორემ! ახლაც საშინლად მიგელოდა. პორფირისაც უნდა შენთან გაცნობა...

— ოჰო... იმასაცა?.. მერე, შეშლილად რაღასთვის მიცნეს.

— ესე იგი შეშლილად-კი არ გიცნეს. მე, ძმაო, ვგონებ, გადავაჭარბე... საშინლად თურმე გააკვირვა წელან იმ გარემოებამა, რომ მხოლოდ ერთად-ერთი მუხლი იზიდავს შენს ყურადღებასა. მაგრამ ახლა ხომ აშკარაა, რად იზიდავს შენს ყურადღებასა: თუ ყველა გარემოებას გავითვალისწინებთ... აგრეთვე იმას, რომ ავადმყოფი ისე საშინლად აგაღელვეს მაშინ... ეჭვი არ არის, მაშინ... მაგრამ, ძმაო, მთვრალი ვარ ცოტა. ეშმაკმა იცის; იცი, რა არის, რაღაცა აზრი აქვს აკვიატებული: სულით ავადმყოფებზეა გადარეული. მაგრამ ღირს, განა, ყურადღებათა...

ერთ ნახევარს წამს ორივე გაჩუმებული იყო.

— ყური დამიგდე, რაზუმიხინ,—დაიწყო რასკოლნიკოვმა,—მინდა პირდაპირ გამოგიტყდე: ეს არის, ძმაო, მკვდრიდამ მოვდივარ, მოხელე გარდაიცვალა ერთი... მთელი ჩემი ფული იქ მივეცი... და გარდა ამისა, ისეთმა არსებამ მაკოცა სულ ამ რამდენისამე წამის წინადა, რომ თუნდაც მართლა მომეკლას ვინმე, მაინც... ერთი სიტყვით, იქვე ვნახე მეორე არსება... ცეცხლივით ელვარე ფრთიანი... მაგრამ რას ვბოდავ, ნეტა... სუსტათა ვარ მეტად, მომეხმარე... აქვე კიბეა, ვგონებ...

— რა დაგემართა? რა იყო? ეკითხებოდა შეშფოთებული რაზუმიხინი.

— თავი მიბრუის ცოტათი, მაგრამ საქმე ეს როდია; მოწყენილი ვარ როგორღაც, გული მიკვნესის! თითქოს დედაკაცი ვიყო... მართლა! მაგრამ უყურე, აბა, რა არის ესა? უყურე! უყურე!

— რა არის?

— ვერ ჰხედავ, განა? ჩემს ოთახში სინათლე მოჩანს, ჰხედავ? ჯუჯრუტანაში....

კიბის უკანასკნელ საფეხურთან იდგნენ უკვე, დიასახლისის კარებთან. სჩანდა მართლა ქვევიდგანვე, რომ რასკოლნიკოვის ხუხულაში სინათლე მოსჩანდა.

— უცნაურია! იქნება ნასტასიაა,—შეჰნიშნა რაზუმიხინმა.

— არასოდეს ამ დროს არა ყოფილა ჩემსასა, რა უნდა. და მეორეც, დიდი ხანია უთუოდ სძინავს კიდეცა, მაგრამ... ერთია ჩემთვის! მშვიდობით!

— რას ამბობ, რაო? შეგაცილებ, ერთად შევიდეთ!

— ვიცი, ჰო, ერთად შევალთ, მაგრამ მინდა ხელი აქვე ჩამოგართო, აქვე გამოგეთხოვო. მოიტა ხელი, ჰა, მშვიდობით!

— რა დაგემართა, როდიონ, რა იყო?

— არასფერი... წავიდეთ... მოწმეთ იყავი...

და კიბეს შეუდგნენ ისევა. გაიფიქრა უცბად რაზუმიხინმა, რომ იქნება ზოსიმოვი არა სტყუოდა მართლაც. „ეჰ გადავრიე მთლად ჩემის ყრედობითა!“ წაიდუდუნა თავისთვის. უცბად შიგნიდამ ხმა შემოესმათ.

— რას ჰნიშნავს ესა? შეჰყვირა რაზუმიხინმა.

რასკოლნიკოვმა პირველმა წაავლო კარებს ხელი, გამოაღო ყურთამდე და ელდა ნაკრავივით შედგა.

დედა და და ჩამოჰსვლოდნენ, ისხდნენ დივანზედა და საათ-ნახევარია თურმე, აგერ, უცდიდნენ. რად მოხდა ასე, რომ სულ არ მოელოდა მათს ჩამოსვლასა, თუმცა დღესაც კი გაუმეორეს, რომ მოდიან და დღეს არა ხვალ, ჩამოვლენო? მთელი საათ-ნახევარია აგერ, ჰაი-ჰარა ეკითხებოდნენ ნასტიას ყველაფერსა და ესეც უამბობდა ყველაფერს, ასე რომ უთქმელი თითქმის აღარც კი რამ დაჰრჩა. აღარ იცოდნენ, რა ექმნათ შიშისაგანა, რომ გაიგეს „გაგვექცა დღესაო“ და ისიც ავადმყოფი, სიცხიანიო! „ღმერთო, რა მოჰსვლია!“ გაიძახოდნენ ორივენი შეშინებულნი და იტანჯებოდნენ, სტიროდნენ. დედა და და მაშინვე გახარებულები ეცნენ რასკოლნიკოვსა. მაგრამ თვითონ მკვდარივით იდგა უძრავადა. რაღაც რამ მძიმე აზრმა მეხივით დაჰკრა, გააშეშა. ხელი ველარ აეწია, ვერ მოჰხვევოდა. გაშრა. დედა და და სჯიჯგნიდნენ, ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ, იცინოდნენ, სიხარულისაგან სტიროდნენ... ის-კი იდგა ისე უძრავადა. გადადგა ბოლოს ნაბიჯი, მაგრამ წაიფარფატა და ძირს, იატაკზედ, რახვანი მოსძვრა. გულს შეუღონდა. მაშინვე ერთი წივილ-კივილი და ვაი-ვაგლახი შეუდგათ... შემოვარდა უცბად გარედ დარჩენილი რაზუმიხინი, დაავლო ხელი და თვალის დახამხამებაზედ დივანზედ დააწვინა.

— არა უშავს-რა! არა უშავს-რა! უყვიროდა დედასა და დასა,—გული შეუღონდა, უბრალო რამ არის! ეს-კია ექიმმა უთხრა, კარგათა ხარ, არა გიჭირს-რაო! წყალი მომაწოდეთ!.. აგერა, საცაა მობრუნდება კიდეცა; აი, მობრუნდა კიდეცა!

და ისე მაგრა მოუჭირა მკლავზედ „ხელი საჩვენებლად დუნეჩკასა, რომ კინალამ ამოაგდებინა. თან დაახედა, რომ მართლა „ბრუნდებოდა.“ დედაც და დაც, ორივენი რაღაცა მოწიწებითა და მადლობის გრძნობით ‘მეჰყურებდნენ რაზუმიხინსა, როგორც განგებისაგან მოვლენილსა. გაგებული ჰქონდათ უკვე ნასტასიასაგან, თუ რა დიდი სიკეთე მიუძღვოდა მას ირროდიონის წინაშე ავადმყოფობის დროს მოვლაში.

ინ-ანა.

# ქართველი ხალხის სიბრძნის ნიმუშები

(უბის წიგნიდან)

## ღმერთთან საჩივარი 1)

შესანიშნავი ძველი სოფლის ერედვის[2]) ახლო მთის ფერდობზედ არის სამი პატარა სოფელი შეფენილი: დიცი, ფრისი და არგვიცი. ძველს დროში, როდესაც ჯერ რუ დიცურა არ იყო გაყვანილი, უწყალოობამ მეტად ძალიან შეაწუხა თურმე ამ სოფლის მცხოვრებლები და მათი საქონელი. ბევრი ივაგლახეს, ბევრს ეცადნენ გლეხები, მაგრამ ბატონები ნებას არ აძლევდნენ პატარა ლიახვიდან რუ გაეყვანათ. დარჩნენ წყაროს ანაბარა. სასამართლოს კარზეც ბევრი იარეს, მიწა სტკეპნეს, ხარჯიც დიდი გასწიეს, მაგრამ საწყლებს არა ეშველათ-რა. მაშინ სოფლელები ქუდზედ კაცი შეიკრიბნენ მარხვა ჭამია ხატის[3]) საყდრის გალავანში და

---

1) ჩაწერილია ქვეშო ნიქოზში.

2) ერედვი—სოფელია ცხინვალის ახლო გორის მაზრაში. ამ სახელწოდებით ჩვენ წინაპართ ჰქონდათ გაშენებული დიდი ქალაქი შუამდინარეში (მესოპოტამიაში), სადაც იგინი ძველად ბინადრობდნენ. ერიდუში იყო სალოცავი ღმერთი ეასი.

3) მარხვა ჭამია ხატი არის კოხის ჯვრის საყდარში, რომლის დღეობა აღდგომის მესამე პარასკევს მოდის. წინათ ამ ხატის დღეობაში მლოცველები კობჩხილას სჭამდნენ. ერთ მლოცავს კობჩხილა ყელზედ დაადგა და დაიხრჩო. ამ შემთხვევის შემდეგ ხალხმა დღეობას გაახსნილა და ხატს კი მარხვა ჭამია დაარქვა. საინტერესოა გამოირკვეს, ამ პარასკების დღესასწაულს ხომ არა აქვს კავშირი რამ იმ აპოკრიფთან, რომლის თქმით ღვთისმშობელს უნახავს სიზმარი, რომ, თუ ქრისტიანე ათ პარასკევს შეინახავს აღდგომის შემდეგ, უთუოდ ცხონდებაო.

გამართეს თათბირი თავის შევიწროებაზედ და შეწუხებაზედ უწყლოობის გამო. ზოგი რას ამბობდა ამ ყრილობაზედ და ზოგი რას. დილიდან დაწყებული თითქმის ხართ გამოშვებამდინ გასტანა მათმა ყაყანმა, მაგრამ თავის გაჭირვებულ მდგომარეობას წამალი ვერ გამოუნახეს. ამ დროს ერთი მოხუცებული გლეხი წამოდგა წინ და ყრილობას შემდეგი რჩევა მისცა: „ხალხო, ჩვენ ხომ უპატრონოები არა ვართ, რომ ეგრე გვჩაგრამენ, ღმერთი თავის გაჩენილს არ დააგდებსო — ნათქვამია, ჩვენც მივმართოთ ცა და ქვეყნის გამჩენელს ღმერთს და ის, იმის მადლის ჭირიმე, არ დაგვტოვებს უნუგეშოთ.“ ხალხმა დაიგრიალა: აი შენ კი გადღეგრძელოს ღმერთმა კარგი სიტყვისთვის,—ეგრე იყოს, ძალიან კარგი იქნებაო. ამოირჩიეს სოფლიდგან თითო სიტყვა-პასუხის მცოდნე კაცი და გაგზავნეს ღმერთთან საჩივრის მოსახსენებლად. ბევრი იარეს, ცოტა იარეს, და როგორც იქნა კითხვა-კითხვით მივიდნენ ესენი მამა ღმერთთან და წარუდგნენ მას. სწორეთ ისეთი ღრმათ მოხუცებული იყო მამა ღმერთი, როგორსაც ეკკლესიებში ხატავენ ხოლმე მას. ჰკითხა მათ ტკბილად მამა ღმერთმა: სადაურები ხართო? გლეხებმა მოწიწებით მოახსენეს: დედა მიწიდგან გიახელით საჩივლელათა, შენი ჭირიმეო. მერე სად არის ეგ დედა მიწა, ან რა ქვეყანაა, ჰკითხა მათ ღმერთმა. გლეხებმა ერთბაშათ ვერ მოახერხეს, როგორ ენიშნებინათ. მერე ერთს მათგანს მოაგონდა და მოახსენა მამა ღმერთს: ჩვენ ქრისტიანები ვართო და იმ ქვეყნიდან გახლავართ, შენი ჭირიმე, სადაც ქრისტე ღმერთი ურიებმა ჯვარს აწამესო.—ჰო ვიცი, ეგ ჩემი შვილის სამფლობელოა, წადით იმასთან და მას მოახსენეთ თქვენი საჩივარიო.

გაუდგნენ გზას, დაიქანცნენ ძებნით საწყალი გლეხები, ძლივს-ძლივობით მიაგნეს იესო ქრისტეს საბძანებელს და მიჰმართეს მას შემდეგის უმდაბლესის თხოვნით: „ჩვენო მხსნელო, მაცხოვარო, ჩვენთვის ჯვარცმულო, გეევედრებით შეისმინო ჩვენი საჩივარი, უწყლოთა ვართ, ლამის ამოწყდეს

სამი სოფლის მცხოვრებლები და მათი საქონელი წყურვილით; ჩვენც ღვთის გაჩენილნი ვართ და უნუგეშოთ ნუ დაგვტოვებთო.“ ეს საჩივარი იესო ქრისტემ რომ მოისმინა, ჰკითხა მათ: რა სოფლებია, თქვენი სოფლებიო? იმათ მოახსენეს: დიცი, ფრისი და არგვიციო. მაშინ ქრისტე ღმერთმა უბრძანა მათ:

დიცი, ფრისი არგვიცი,
არც გამიჩენია, არც ვიცი,
როგორც გაჩნდნენ,
ისრე დარჩნენ.

სასოებაძე

# უსინათლო ჯერონიმო და მისი ძმა

**არტურ შნიცლერისა**

უსინათლო ჯერონიმო ადგა სკამიდამ და აიღო გიტარა, რომელიც იქვე ედო მაგიდაზე ღვინით სავსე ჭიქის გვერდით. შორიდანვე მოესმა მომავალ ეტლების ხმა.

ხელების ქნევით ჩვეულის გზით მივიდა ღია კარამდის, შემდეგ ჩაიარა ხის ვიწრო საფეხურები და ჩავიდა ეზოში. ძმაც ჩაყვა და ორივენი იქვე კიბესთან აეყუდნენ კედელს, რათა თავი დაეფარათ ცივ და სუსხიან ქარისაგან, რომელიც ღია ალაყაფის კარებში მოჰქროდა. ყველა შტილფიერიონში მიმავალ ეტლს ამ ძველ ბნელ თაღიან დუქანზე ჰქონდა გზა. იტალიიდამ ტიროლში მიმავალ მგზავრისათვის აქ იყო უკანასკნელი დასასვენებელი ადგილი შელმართამდე. ეს დუქანი არავის არ უძრავდა დიდის ხნით დარჩენის სურვილს. სწორედ ამ ადგილას გზა ხაზსავით სწორი იყო და ლამაზს სანახავებს მოკლებული. უსინათლო იტალიელი და მისი ძმა კარლო ზაფხულობით აქ იყვნენ ხოლმე და ისე გრძნობდნენ აქ თავიანთ თავს, როგორც საკუთარს სახლში.

მოვიდა ფოსტა, ცოტა ხანს უკან სხვა ეტლებიც მოვიდნენ. პლედებში და მოსასხამებში გახვეული მგზავრები მეტ ნაწილად ეტლებში რჩებოდნენ. ზოგი ჩამოვიდა და მოუთმენლად დადიოდა წინ და უკან. ავდარს უმატებდა, კოკიპურულად სწვიმდა. დიდის ხნის კარგს ამინდს თითქოს ერთბაშად და მეტად ნაადრევად მოჰყვა შემოდგომა. უსი-

ნათლო მღეროდა და თან გიტარას უკრავდა. ხმა ვერ ჰქონდა წმინდა, ხანდახან სიმღერის მაგიერ ყვირილის ხმა ისმოდა, მეტადრე როდესაც მეტს დალევდა. დროგამოშვებით თავს მაღლა იღებდა და ამ დროს შეუსმენელი ვედრება ეხატებოდა სახეზე. მაგრამ სახე, მისის შეკრეჭილის წვერით და გალურჯებულის ტუჩებით უძრავი იყო, უფროსი ძმა თითქმის უძრავად იდგა მის გვერდით და თუ ვინმე ჩაუგდებდა ქუდში ფულს, უკრავდა თავს და ფულის მომცემს ერთს წამს შეაჩერებდა თვალს, შემდეგ ერთბაშად მოარიდებდა, თითქო ეშინიანო, და ძმასავით იყურებოდა წინ. მის თვალებს თითქო სცხვენოდა იმ სინათლისა, რომელიც მათთვის მიენიჭებინათ და რომლის ვერც ერთის სხივის გაზიარება ვერ შეეძლოთ უსინათლო ძმისათვის.

— მომიტანე ღვინო, — სთქვა ჯერონიმომ და მუდამ მორჩილი კარლო წავიდა.

მინამ ის კიბეზე ადიოდა, ჯერონიმომ ისევ დაიწყო სიმღერა. დიდი ხანია ჯერონიმო იმდენად შეეჩვია თავის სიმღერის ხმას, რომ ეხლა აღარც კი ესმის და ამიტომ შეუძლია კიდეც იმღეროს და ყურიც უგდოს ყველაფერს გარშემო. აი, ეხლაც ესმის ორის ადამიანის ლაპარაკი, — ახალგაზდა ქალი და ახალგაზდა კაცი რომ დაბალის ხმით ლაპარაკობენ. რამდენჯელ ჩაუვლიათ და ჩამოუვლიათ ამ გზაზე ამათთან, ფიქრობს ეხლა. უსინათლობისა და მუდმივ სმისაგან ხანდახან ისე ჰგონია, რომ ყოველ დღე ერთნი და იგივენი მიდიან და მოდიან, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ამ ახალგაზდებსაც სწორედ ამნაირად იცნობდა დიდი ხანია. მოვიდა კარლო და ღვინით ჭიქა მისცა ჯერონიმოს. უსინათლომ აიღო ჭიქა, ახალგაზდებისაკენ გაიწოდა და სთქვა:

— თქვენი სადღეგრძელო იყოს, თქვენო წყალობავ!

— გმადლობ, — უპასუხა ახალგაზდა კაცმა; ახალგაზდა ქალმა კი საჩქაროდ მოაშორა, რადგან უსინათლო შიშს ჰგვრიდა.

ეხლა მოვიდა ეტლი, რომელშიაც მხიარული საზოგადოება იჯდა,—მამა, დედა, სამი ბავშვი და გუვერნანტკა.

— გერმანელების ოჯახი,—უთხრა ჯერონიმომ ჩუმად კარლოს.

მამამ სამსავე ბავშვს მისცა ფული და ყოველ მათგანს ნება ჰქონდა თავისი ფული მათხოვრის ქუდში ჩაეგდო. უფროსი ყმაწვილი ცნობისმოყვარეობით და თანაც შიშით მისჩერებოდა უსინათლოს სახეს. კარლო ყმაწვილს უყურებდა. ამის მსგავს ბავშვების დანახვაზე უნებლიედ აგონდებოდა, რომ ჯერონიმო სწორედ ამ ხნისა იყო, როდესაც მოუვიდა ის უბედურება, რომელმაც თვალთა ხედვა წაართვა.

დღემდის, აგერ ოცი წელიწადია, ახსოვს ის დღე ისე, თითქო გუშინ ყოფილიყოს. ეხლაც ყურში უდგას საშინელი ბავშვის შეკივლება, პატარა ჯერონიმომ რომ იკივლა და ბალახში ჩაგორდა. ეხლაც ხედავს მზის სხივებით განათებულს ბაღის თეთრს მოაჯირს, ისევ ესმის კვირა დღის ზარების რეკა, სწორედ იმ წამს რომ რეკავდნენ. შვილდი გაისროლა, რომელსაც მოაჯირთან მდგომ ხეს უმიზნებდა; ამას ხშირად შვრებოდა; ამ დროს ყვირილი მოესმა და იმ წამსვე გაუელვა თავში, ალბად, ჩემს პატარა ძმას მოხვდა, რომელმაც ეს-ეს არის გაირბინაო. შვილდი გაუვარდა ხელიდგან, გადახტა ფანჯარაში და მივარდა პატარა ძმას, რომელიც პირქვე ეგდო ბალახში სახეზე ხელებ აფარებული და სტიროდა. მარჯვენა ლოყაზე და კისერზე სისხლი ჩამოსდიოდა. ამ დროს მამაც დაბრუნდა ყანიდგან; ჭისკარში შემოსულიყო და აი ორივენი დაჩოქებულიყვნენ მტირალ ბავშვის გვერდით და არ იცოდნენ, რა ექნათ. მოგროვდნენ მეზობლებიც. მოხუცებულმა დედაკაცმა ვანეტიმ ძლივს მოაშორებინა ბავშვს ხელები სახისაგან. შემდეგ მოვიდა მჭედელიც, რომელთანაც კარლო ხელობას სწავლობდა და რომელმაც წამლობაც იცოდა. მჭედელმა მაშინვე დაამოწმა, მარჯვენა თვალს აღარა ეშველება რაო. ვერც პოეჩივოდამ მოსულმა ექიმმა უშველა რა. ეს კი არა, მეორე თვალსაც გაუფრთხილდითო, ისიც არ დაემსოსო. მარ-

თალი გამოდგა. ერთის წლის შემდეგ მთელი ქვეყანა ბნელით მოიცო ჯერონიმოსათვის. პირველში არწმუნებდნენ, არა გიშავს რაო, სინათლე დაგიბრუნდებაო და თითქო სჯეროდა კიდეც. კარლო კი, რომელმაც იცოდა ნამდვილი, დაძრწოდა ამ დროს მთელის დღეობით და ღამობით გზებზე, ვენახებში, ტყეებში და თავის მოკვლას ლამობდა. მაგრამ მღვდელმა, რომელსაც მოუთხო თავისი დანაშაული, აუხსნა, შენი მოვალეობაა იცოცხლო და შენი სიცოცხლე ძმას შესწიროვო. კარლომ დაიჯერა. საშინელმა სიბრალულმა აიტანა. მხოლოდ მაშინ სცხრებოდა მისი წამება, როდესაც უსინათლო ბავშვს უჯდა გვერდით, ხელს უსობდა თმაზე, კოცნიდა შუბლზე და ზღაპრებს უამბობდა ან ასეირნებდა ვენახში, სახლის მახლობლად. პირველშივე დაანება თავი მჭედელთან სწავლას, რადგან არ უნდოდა ძმას მოშორებოდა, შემდეგ კი ვეღარ მოჰკიდა თავის საქმეს ხელი, თუმცა მამა უსაყვედურებდა. ერთხელ კარლომ შენიშნა, რომ ჯერონიმო აღარას ამბობდა თავის უბედურებისას. ცოტა ხანს უკან ამის მიზეზსაც მიხვდა: უსინათლო დარწმუნდა, რომ ვეღარასოდეს ვეღარ დაინახავდა ცას, მთებს, ქუჩებს, ხალხს, სინათლეს. ეხლა უწინდელზე უფრო იტანჯებოდა კარლო, თუმცა ძლიერ ცდილობდა თავის თავის დამშვიდებას იმ მოსაზრებით, რომ უბედურება მისდა უნებურად მოხდა. და ხან და ხან, დილა ადრიან დაინახავდა თუ არა მის გვერდით მწოლარე ძმას, ისეთი საშინელი შიში აიტანდა ხოლმე, რომ გარედ გარბოდა; აშინებდა და საზარელი სანახავი ის იყო, რომ უსიცოცხლო თვალები ყოველ დღე თითქო ეძებდნენ სინათლეს, მათთვის სამუდამოდ დამქვრალს. კარლოს აზრად მოუვიდა ჯერონიმოსათვის, რომელსაც სასიამოვნო ხმა ჰქონდა, მუსიკის სწავლება. ტოლელი სკოლის მასწავლებელი მოდიოდა ხან და ხან კვირაობით და გიტარაზე დაკვრას ასწავლიდა. უსინათლოს აზრადაც არ მოდიოდა, რომ ეს ხელოვნება ერთ დროს თავშესანახ ხელობად გადაექცეოდა.

იმ უბედურ ზაფხულის დღიდამ ჭირ-ვარამი თითქო სამუდამოდ დაბინავდა მოხუც ლაგარის სახლში. რამოდენსამე

წელს ზედიზედ მოუსვლელობა; ორიოდ შენახული გროში მოტყვილებით მიისაკუთრა ვიღაც ნათესავმა და ერთ დღეს, შუა ზაფხულში დამბლა რომ მოუვიდა და მოკვდა, ვალების მეტი არა დარჩა-რა. პატარა ეზო ვალებში გაიყიდა, ორივე ძმა უსახლკარონი დარჩნენ და გაშორდნენ სოფელს. კარლო ოცის წლისა იყო მაშინ, ჯერონიმო—თხუთმეტისა. მაშინ დაიწყო მათთვის იმ მათხოვრობისა და მაწანწალობის ხანა, რომელსაც დღესაც ვერ გადარჩენოდნენ. პირველად კარლო სცდილობდა სამუშავო რამ ეპოვნა თავის ძმისა და თავის თავის შესანახად, მაგრამ არა გამოდიოდა-რა. ვერც ჯერონიმო გაჩერდა ერთ ადგილს, სულ ახალსა და ახალ ადგილს მიისწრაფებოდა. აი ოცი წელიწადია, რაც დადიან ხან მთაში და ხან ბარში, ჩრდილო იტალიაში, სამხრეთ ტიროლში, ერთის სიტყვით იქ, სადაც უფროხშირია გამვლელ-გამოვლელი მოგზაური.

დიდი ხანია, მართალია, აღარა გრძნობს კარლო იმ საშინელს გულის ტკივილს, რომელსაც უღძრავდა უწინ მზის ყოველი შუქი, ყოველი ლამაზი სანახავი, მაგრამ მის გულში სამუდამოდ დაებუდნა მღრღნელს სიბრალულს; კარლო თითქო ველარც კი გრძნობდა მას, ის კი გულის ცემასავით, სუნთქვასავით მასში იყო მუდამ. ამიტომ კარლოს ძლიერ უხაროდა, როდესაც ჯერონიმო თვრებოდა.

გერმანელების ეტლი წავიდა.

კარლო ჩვეულებრივ ჩამოჯდა კიბის ქვედა საფეხურზე. ჯერონიმო იდგა ხელებ ჩამოშვებული და თავ მაღლა აწეული.

დუქნიდან გამოვიდა მოსამსახურე ქალი მარიამი.

— ბევრი იშოვეთ დღეს?—გადმოსძახა მაღლიდან.

კარლომ არც კი მიიხედა. უსინათლომ ჭიქის ასაღებად დაიღუნა, აიღო და მარიამის სადღეგრძელო დალია. მარიამი ხან და ხან საღამოობით მიუჯდებოდა ხოლმე გვერდით და ელაპარაკებოდა. ჯერონიმომ იცოდა, რომ მარიამი ლამაზი იყო.

კარლომ ქუჩაში გაიხედა. ქარი ჰქროდა და ისეთს წვიმდა, რომ ხმაურობაში აღარ ისმოდა მომავალ ეტლის ხმა.

კარლო ადგა და თავის ადგილას, ძმას გვერდში ამოუდგა.

ჯერონიმო მოჰყვა თავის სიმღერას, როდესაც ეტლი ეზოში შემოვიდა. ეტლში მხოლოდ ერთი მგზავრი იჯდა. მეეტლემ საჩქაროდ გამოაბა ცხენები და დუქანში შევიდა. მოსასხამში გახვეული მგზავრი ერთ ხანს იჯდა ეტლის კუთხეში; ეტყობოდა სიმღერას არ უსმენდა. მაგრამ ცოტა ხანს უკან გადმოხტა ეტლიდან და დაიწყო იქვე ეტლთან ჩქარი სიარული წინ და უკან. სულ ხელებს იფშვნეტდა, რათა გამთბარიყო. მხოლოდ ეხლა დაინახა მათხოვრები. მგზავრი შეჩერდა მათ პირდაპირ და დიდხანს უყურებდა. კარლომ თავი დაუკრა. მგზავრი სრულებით ახალგაზდა ყმაწვილი იყო, უწვერო, ლამაზის სახისა და თვალმოუსვენარი. ასე იდგა ერთ ხანს, შემდეგ გაეშურა ალაყაფის კარებისაკენ, გაიხედა ქუჩაში და დაინახა, რა რომ გარშემო ნისლი იდგა და წვიმა უწინდებურად ასხამდა, გაჯავრებულმა თავი გაიქნია.

— აბა? — იკითხა ჯერონიმომ.

— ჯერ არაფერი მოუცია, — უპასუხა კარლომ. — წასვლისას მოგვცემს, ალბად.

მგზავრი გამობრუნდა და ისევ ეტლთან დადგა. უსინათლომ დაიწყო მღერა. ყმაწვილმა ყური დაუგდო და ეტყობოდა ეხლა დიდის ყურადღებით უსმენდა. გამოვიდა მეეტლე და ცხენები შეაბა. მხოლოდ ეხლა, თითქო გაახსენდაო, ყმაწვილმა კაცმა ჩაიყო ხელი ჯიბეში და ერთი ფრანკი მისცა კარლოს.

— ო, გმადლობთ, — სთქვა ამან. მგზავრი ჩაჯდა ეტლში და ისევ გაეხვია მოსასხამში. კარლომ აიღო ნიწიდამ ჭიქა და კიბეზე ავიდა.

ჯერონიმო ისევ მღეროდა. მგზავრი გადმოიწია ეტლიდამ და თავი გაიქნია, ამ დროს სახეზე გამოეხატა დაცინვაც

და სევდაც. ერთბაშად, თითქო რაღაც აზრმა გაურბინა თავშიო, გაიღიმა. შემდეგ მიჰმართა იქვე მდგომ უსინათლოს:

— რა გქვია?

— ჯერონიმო.

— მაშ, ჯერონიმო, თავი არ დააჩაგვრინო.

— როგორ თუ დავაჩაგვრინო, თქვენო მოწყალებავ.

— ოც ფრანკიანი მივეცი შენს ამხანაგს.

— ო, გმადლობ, ბატონო, გმადლობ!

— მაშ ეგრე, იცოდე.

— ძმა არის ჩემი, ბატონო, არ დამჩაგრავს.

ყმაწვილი კაცი დაფიქრდა ერთ წამს, მაგრამ ამ დროს მეეტლემ გარეკა ცხენები. ყმაწვილი კაცი დაჯდა და მის მოძრაობაში თითქო გამოიხატა: „რაც გინდა, ის ქენ, ბედო“. ეტლი წავიდა.

უსინათლომ ხელების ქნევით გააცილა ეტლი და ამ რიგად უხდიდა თავის მადლობას. ეხლა კარლოს ხმა მოესმა, რომელიც დუქნიდამ მოდიოდა.

კარლომ ზემოდამ გადმოსძახა!

— ამოდი აქ, ჯერონიმო, აქ თბილა, მარიამმა ცეცხლი დაანთო.

ჯერონიმომ თავი დაუქნია, ამოიღლიავა გიტარა და ხელების ფათურით ავიდა კიბეზე. შუა კიბეზე შესძახა:

— აბა, მომეცი, ხელით გავსინჯო! დიდი ხანია ოქროს ფული არ მჭერია ხელში.

— რაო? — ჰკითხა კარლომ. — რას ამბობ?

ჯერონიმო ავიდა კიდეც ზემოდ და ორივე ხელი მოხვია ძმას თავზე, რასაც სიხარულისა და სინაზის გამოსახატავად შვებოდა ხოლმე.

— კარლო, ჩემო ძვარფასო ძმაო, ჯერ კიდე მოიპოვებიან გულკეთილი არსებანი ამ ქვეყნად.

— რასაკვირველია, — ამბობდა კარლო.

— ეხლა ორი ლირა*) და ოცდა ათი სანტიმი გვაქვს; აი კიდე ავსტრიის ფულიც, ნახევარ ფრანკამდი!

---

*) იგივე ფრანკია იტალიაში.

— და ოცი ფრანკი, ოცი ფრანკი კიდე!—იძახდა ჯერონიმო. —მე ხომ ვიცი.—ბარბაცით შევიდა დუქანში და მძიმედ დაეშვა სკამზე.

— რა იცი?—ჰკითხა კარლომ.

— რა დროს ხუმრობაა! მომეც. რამდენი ხანია ოქროს ფული არა მქონია.

— რა გინდა? საიდან გიშოვო ოქროს ფული? ორი თუ სამი ლირა მაქვს სულ.

უსინათლომ ხელი დაჰკრა მაგიდას.

— კმარა, გეყოფა ეხლა, მაშ, შენ გინდა დამიმალო.

კარლომ გაკვირვებით შეხედა ძმას. მიუჯდა, დაუჭირა თითქო დასამშვიდებლად ხელი და უთხრა:

— არაფერს არ გიმალავ. ეგ როგორ მოგივიდა თავში? არავის აზრადაც არ მოსვლია ოქროს მოცემა.

— მაგრამ რომ მითხრა!

— ვინ?

— აი იმ ყმაწვილმა, წინ და უკან რომ დარბოდა.

— ვერაფერი გამიგია შენი,

— აი ამ სიტყვებით მელაპარაკა: „რა გქვიან?“ შემდეგ კი: „მაშ მარჯვედ იყავი, თავი არ მოატყუილებინო: ოქროს ფული მივეცი;“ არა, ასე სთქვა: „ოც ფრანკიანი მივეცი.“

შემოვიდა სახლის პატრონი.

— რა დაგმართნიათ? გაათავეთ განა საქმე? ეს-ეს არის ეტლი მოვიდა.

— წამო!—უთხრა კარლომ.—წამო! ჯერონიმო არც-კი გაინძრა.

— რისთვის? რისთვის წამოვიდე? რას გამოვრჩები? შენ იქვე არ იქნები...

კარლომ ხელი დაადო მხარზე.

— ჩუმად, ეხლა ქვეით ჩავიდეთ. ჯერონიმო ხმაამოუღებლივ გაჰყვა, მაგრამ კიბეზე უთხრა:

— მერე მოვილაპარაკებთ, ხომ? კარლომ ვერ გაიგო, რა მოხდა. ვაი თუ შეიშალა ჯერონიმო? გულფიცხი კი არის, მაგრამ ასეთის კილოთი ჯერ არასოდეს არ ულაპარაკნია.

ახალ მოსულ ეტლში იჯდა ორი ინგლისელი. კარლომ მოიხადა ქუდი, უსინათლომ კი სიმღერა დაიწყო. ერთ-ერთმა ინგლისელმა რამდენიმე წვრილი ფული ჩაუგდო კარლოს ქუდში. კარლომ მადლობა გადაუხადა, შემდეგ თითქო თავისთვის წაიჩურჩულა: „ოცი სანტიმი.“ ჯერონიმოს სახეზე არა ეტყობოდა რა; ახალი სიმღერა დაიწყო.

ორი ინგლისელი წავიდა. ძმები ხმაამოუღებლივ ავიდნენ ზემოდ. ჯერონიმო ჩამოჯდა სკამზე, კარლო ბუხარს აეყუდა.

— რას გაჩუმებულხარ? ჰკითხა ჯერონიმომ.—რაც გითხარი, ნამდვილია.

ხმა ცოტად უკანკალებდა.

— რა მითხარი?—ჰკითხა კარლომ.—იქნება შეშლილი იყო.

— შეშლილი? რა კარგია! თუ ამბობს ვინმე: „შენს ძმას ოცი ფრანკი მივეცი,“ შეშლილი ყოფილა! ის რიღასთვის მითხრა! „თავი არ მოატყუილებინოო“, აჰ?

— იქნება შეშლილი არ ყოფილიყოს... მაგრამ ხომ არიან იმისთანანი, რომელთაც უყვართ ჩვენისთანას დაცინვა...

— ეხლა ეს!—ჰყვიროდა ჯერონიმო.

— დაცინვა? ეს-ღა გაკლდა! მეც მაგას მოველოდი!

ჯერონიმომ დაავლო ჭიქას ხელი და ერთბაშად დასცალა.

— რას ამბობ, ჯერონიმო!—შესძახა კარლომ და თან გრძნობდა, რომ აღელვებისაგან ძლივს ახერხებს ლაპარაკს.

— რად დამჭირდებოდა... როგორ იფიქრე?

— ხმა რად გიკანკალებს... აჰ... რად?..

— გარწმუნებ, ჯერონიმო, რომ...

— მე კი არა მჯერა; შენ იცინი ეხლა... ვიცი, რომ იცინი ეხლა! ქვემოდამ ვილამაც დაიძახა:—ეი, უსინათლო, ხალხია აქ.

— ორივენი სრულებით მაშინალურად წამოდგნენ და ჩავიდნენ კიბეზე. ორი ეტლი ერთად მოსულიყო; ერთში სამი კაცი იჯდა, მეორეში ცოლ-ქმარი. ჯერონიმო მღეროდა, კარლო გვერდით უდგა. უკანასკნელი ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყო აღელვებისაგან. რა ქნას? ძმას აღარა სჯერა მისი! განა ეს შესაძლებელია? და განიდამ, მოშიშარის -ვალით უყურებდა ჯერონიმოს, რომელიც ჩახლეჩილი ხმით მღეროდა თავის სიმღერას. ასე ეჩვენებოდა, ჯერონიმოს აზრები შუბლ გარედ უქრიალებს და ამ აზრებს თვალით ხედავს, რაღაც ახალ აზრებს, რომელიც აქამდის იენახა.

ეტლი წავიდა კიდეც, ჯერონიმოკი მღეროდა. კარლომ ვერ გაბედა შეეწყვეტინებინა. არ იცოდა, რა ეთქვა.

ეშინოდა, ისევ არ ამიკანკალდეს ხმაო. უეცრად ზემოდამ მარიამის სიცილი მოისმა,

— რაღა გამღერებს? ჩემგან ხომ ვეერას მიიღებ! გადმოსძახა მოახლემ.

ჯერონიმომ შუაზე შესწყვიტა სიმღერა. თითქო სიმები და ხმა ერთად გასწყდნენო. შემდეგ ისევ ზემოდ ავიდა. კარლო მიჰყვა. ოთახში ისევ ძმას მიუჯდა. რა ქნას? სხვა არა დარჩენია, ერთხელ კიდე ეცდება აუხსნას ძმას საქმე.

— ჯერონიმო, — დაიწყო მან, — გეფიცები... შენ თითონ განსაჯე, ჯერონიმო, როგორ გაივლე თავში, რომ მე...

ჯერონიმო ხმას არ იღებდა. თვალები ფანჯრისათვის მიეშტერებინა, თითქო გარედ ნისლს უყურებდა. კარლომ განაგრძო. — შეიძლება შეშლილი არ ყოფილიყო, მაგრამ იქნება შესცდა... კარლო გრძნობდა, რომ თითონაც არ სჯეროდა თავისი სიტყვები.

ჯერონიმომ მოუთმენლად მიიწია იქით. მაგრამ კარლო განაგრძობდა აღელვებულად: — რად დამჭირდებოდა, — ხომ იცი, შენზე მეტს არცა ვჭამ და არც ვსვამ და თუ ტანისამოსს რასმე ვიყიდი ჩემთვის, ისიც ხომ იცი... მაშ რად მინდა ამდენი ფული? რა უნდა ვუყო?

კრიჭა შეკრულმა ჯერონიმომ წაილუღლუღა: — „ნუ სტყუი, ხმაზე გატყობ, რომ სტყუი!“

— არა ვსტყუი, ჯერონიმო, არა!—გულწრფელად წარმოსთქვა კარლომ.

— ეჰე, მიეცი კიდეც, განა? თუ მერე მისცემ?—ჰყვიროდა ჯერონიმო.

— მარიამს?!

— მაშ ვის, თუ არ მარიამს? შენ კი ცრუ ხარ, ქურდი ხარ!—და თითქო მასთან ჯდომა არ უნდოდა, იდაყვი წაჰკრა გვერდში.

კარლო ადგა. ერთ ხანს დააცქერდა ძმას, შემდეგ გავიდა ოთახიდან და ჩავიდა კიბეზე. გაშტერებული უყურებდა ნისლით მოცულ ქუჩას. წვიმამ გადიღო. კარლო ხელებ ჯიბეში ჩაწყობილი გავიდა ქუჩაში. თავში ერთი აზრი უტრიალებდა, ძმამ გამაგდოვო. რა მოხდა?.. ჯერ კიდევ ვერ გაეგო. ვინ იყო ის ყმაწვილი? ერთ ფრანკს იძლევა და ოცი ფრანკი გაჩუქეო—ამბობს. რამე მიზეზი უნდა ჰქონოდა, ასე რომ ამბობდა. და კარლო ცდილობდა გახსენებას, ხომ არ გადამიმტერებია ვინმე და იმის მოგზავნილი ხომ არ ყოფილა ის ახალგაზდა კაციო... მაგრამ ისეთი შემთხვევა არ ახსოვდა, რომ ვისმე წაკიდებოდეს, ან ეწყენინებინოს ვისმესთვის. ხომ აგერ ოცი წელიწადია, რაც გზა-გზა და ეზო-ეზო სიარულის მეტს არას აკეთებს.

იქნება ქალის გულისათვის იყვეს ვინმე გულმოსული მასზე?.. მაგრამ რამდენი ხანია არავისთან საქმე არა ჰქონია... უკანასკნელი „ლა-როზა'ს“ გამყიდველი ქალი იყო; ეს შარშან შემოდგომას იყო... მაგრამ ის არავის არ შეშურდებოდა... საკვირველია... მაშ ვინ უნდა ყოფილიყო ეს კაცი ისეთის წრისა, რომელსაც კარლო ვერ იცნობდა?..

ყოველგნით მოდიოდა ეს ხალხი... რა იცის მათი?.. იმ უცხოელისათვის რამე აზრი ჰქონდა, ალბად, ჯერონიმოსათვის ნათქვამს სიტყვებს: „შენს ძმას ოცი ფრანკი მივეციო“... ჰო, მაგრამ ეხლა რაღა ჰქნას? ჯერონიმოს აღარა სჯერა მისი

და ამას ვერ გადაიტანს! უნდა მოისაზროს რამ... და ერთბაშად უკან გამობრუნდა.

როდესაც კარლო ოთახში შევიდა, ჯერონიმო სკამზე იწვა და თითქო მისი მოსვლა არ გაეგო, არც კი გაინძრა. მარიამმა მოუტანა ორთავეს საჭმელი. ჭამის დროს ორივენი გაჩუმებულები იყვნენ. მარიამი ჭურჭელს რომ ალაგებდა, ჯერონიმომ უცბად გაიცინა და უთხრა:

— აბა, რას იყიდი იმ ფულით?

— რა ფულით?

— აბა, რასა? ახალ კაბას თუ საყურეს?

— რა უნდა ჩემგან?—მიუბრუნდა ქალი კარლოს.

ამ დროს ქვეით, ეზოში დატვირთულ ურმების ხმაურობა იდგა, ისმოდა ხმა მაღლა ლაპარაკი და მარიამი იქით გაეშურა. ცოტა ხანს უკან შემოვიდა სამი მეურმე და მაგიდას მიუსხდნენ. მოვიდა დუქნის პატრონიც. მეურმეები ცუდ დარს უჩივოდნენ.

— ამაღამ ჩამოთოვს,—ამბობდა ერთი; მეორე ამბობდა, ამ ათის წლის წინად მთაზე მომასწრო თოვლმა და კინაღამ გავიყინეო. მარიამი ამათ მიუჯდა. მოვიდა დუქნის ბიჭი და თავისიანები იკითხა, რომელნიც ბარად სცხოვრობდნენ, ბორმიოში.

აი მოვიდნენ ეტლით მგზავრები. ჯერონიმო და კარლო ჩავიდნენ ქვევით. ჯერონიმო მღეროდა, კარლოს ქუდი ეჭირა და მგზავრებმა ფული აჩუქეს. ჯერონიმო სრულებით დამშვიდებულსა ჰგავდა. რამდენიმეჯელ იკითხა, „რამდენი?“ და კარლოს პასუხზე თავს იქნევდა. ამ დროს თითონ კარლო სულ იმას სცდილობდა დაბნეული აზრი მოეკრიბა, მაგრამ რაღაც გამოურკვეველი გრძნობა მოსვენებას არ აძლევდა,— გრძნობდა, რომ მოხდა რაღაც საშინელი, რისი წინააღმდეგობა მას არ ძალუძს.

კიბეზე რომ ადიოდნენ, ზემოდამ მოესმათ ხმამაღალი ლაპარაკი და სიცილი. ყველაზე ყმაწვილმა მეურმემ დაუძახა ჯერონიმოს:

— მოდი ჩვენც გვიმღერე, ჩვენც გაჩუქებთ.

— ხომ ვაჩუქებთ, მიუბრუნდა დანარჩენთ.

მარიამმა მოიტანა ბოთლით ღვინო და სთქვა:

— დაეხსენით, ცუდ გუნებაზეა. პასუხის მაგიერ ჯერონიმო დადგა შუა ოთახში და დაიწყო მღერა. რო გაათავა, მეურმეებმა ტაში დაუკრეს.

— მოდი, კარლო!—დაუძახა ერთმა მათგანმა. ჩვენც ჩაგიგდებთ ქუდში ფულს იმ ბატონებსავით, ქვემოდ რო იყვნენ!—აიღო წვრილი ფული და კარლოს ქუდში აპირებდა ჩაგდებას, მაგრამ უსინათლომ წაავლო მეურმეს ხელში და უთხრა:

— სჯობია მე მომეცი, მე, თორემ დავარდება.

— როგორ თუ დავარდება?

— გეუბნები დავარდება! მარიამს ჩაუვარდება ფეხებს შუა.

ყველამ გაიცინა, სახლის პატრონი და მარიამიც იცინოდნენ, მხოლოდ კარლო იდგა უძრავად, ჯერ არასოდეს არ უხუმრნია ჯერონიმოს ასე!..

— მოდი, დაჯექ ჩვენთან! —ჰყვიროდნენ მეურმეები.— დიდი ხუმარაც რომ ყოფილხარ!—მიიწიენ, რათა ჯერონიმოსათვის ადგილი დაეცალათ. ხმაურობა მატულობდა; ჯერონიმო დაჯდა მათთან, ჩვეულებრივზე მეტს ლაპარაკობდა, მასხრობდა და განუწყვეტლივ სვამდა. შემოვიდა მარიამი. ჯერონიმომ ხელი გაიწოდა და მისი მიზიდვა მოინდომა; მაშინ ერთმა მეურმემ სიცილით უთხრა!

— იქნება ლამაზი გგონია? ბებერია და ულამაზო.

მაგრამ უსინათლომ მიიზიდა მარიამი და მუხლებზე დაისვა.

— ო ქვენ ყველანი სულელები ხართ,—ამბობდა ჯერონიმო.—თქვენა გგონიათ, რაკი უსინათლო ვარ, აღარა ვიცი. მე ვიცი, მაგალითად, სად არის ეხლა კარლო?—აი რომ ვიცი,—ბუხართანა სდგას, ხელები ჯიბეში აქვს ჩაწყობილი და იცინის.

ყველამ კარლოსაკენ გაიხედა; კარლო კი პირდაღებული ბუხართან იდგა და ეხლა ძლივს მოახერხა გაღიმება, რათა ძმის სიტყვები გაემართლებინა.

შემოვიდა ბიჭი. მეურმეებს საღამომდის უნდოდათ ბორმიოში ჩასულიყვნენ და ამიტომ მეტი ცდა აღარ შეიძლებოდა, ადგნენ და გამოესალმნენ. ორი ძმა ისევ მარტონი დარჩნენ ოთახში. ამ დროს ჩვეულებრივად ძმები ისვენებდნენ, ჯერონიმომ მაგიდაზე დადო თავი და თითქო დაიძინა, კარლომ გაიარ-გამოიარა ოთახში და შემდეგ დაჯდა სკამზე. ძრიელ დაიღალა. ათასნაირი ფიქრი აერია თავში ისე, რომ სიზმარში ეგონა თავისი თავი.

ჰფიქრობდა იმას, რაც მოხდა გუშინ, გუშინწინ, წინა დღეებში, საზოგადოდ უწინ; ჰფიქრობდა მხურვალე დღეებზე, და იმ გზებზე, რომლითაც უვლია ძმასთან ერთად, და ყველა ეს ისე გაუგებარი და ისე შორს იყო, რომ იმედი ეკარგებოდა, აწიაც ასე იქნებაო.

დაღამებისას მოვიდა ფოსტა ტიროლიდამ, ფოსტას თითქმის ზედი-ზედ მოჰყვა რამდენიმე სამხრეთისაკენ მიმავალი ეტლი. ბარე ოთხჯერ დასჭირდა ძმებს ქვეით ჩამოსვლა. უკანასკნელად რომ ადიოდნენ კიბეზე, სრულებით ბნელოდა და ჭერზე ჩამოკიდებული ჭრაქი ხჩოლავდა. მოვიდნენ მუშები, რომელნიც აქვე მახლობლად ქვას სტეხდნენ. ჯერონიმო მიუჯდა ამათ; კარლო მარტო დარჩა თავის მაგიდასთან და ისე გრძნობდა თავს, თითქოს დიდის ხნიდამ დაობლებულიყო. ესმოდა, ჯერონიმო რომ ხმა მაღლა, თითქმის ყვირილით, უამბობდა მუშებს თავის ბავშვობაზე. ბევრი რამ მახსოვს ჯერ კიდე იმ დროიდგან, რაც ჩემის თვალით მენახაო, ამბობდა ჯერონიმო, ბაღში მომუშავე მამა, მეწაღის ორი პატარა გოგო, ეკლესიის უკან ვენახი, ჩემი საკუთარი სახეც კი ბავშვობისას, რომელიც ეშმაკურად გამომყურებდა სარკიდანაო. რამდენჯელ გაუგონია ყველა ეს კარლოს.

დღეს გულს უწვავდა ეს მოთხრობა. ამ ამბავს დღეს რაღაც სხვა ხასიათი ეძლეოდა. ჯერონიმოს ყოველ სიტყვას

სულ სხვა აზრი ეძლეოდა და თითქო მის წინააღმდეგ იყო წამოსროლილი. ჩუმად გავიდა კარლო ოთახიდან და შარა გზას გაუდგა. წვიმას გადაეღო, ჰაერში სცივოდა, მხოლოდ ნისლი იდგა. ჯერ ერთი სურვილი დაებადა კარლოს, ვიარ და ვიარ, გავეხვევი ამ ნისლშიო, შემდეგ—ჩავწვები ამ თხრილში და დავიძინებ ისე, რომ აღარ გამომეღვიძოს არასოდეს. ერთბაშად ეტლის ხმა მოესმა და ეტლის სანთლების სინათლე დაენახა. ეტლში ორი კაცი იჯდა. ერთ მათგანს, უწვერო გძელსახიანს შეეშინდა კარლოს დანახვაზე. კარლო შეჩერდა და ქუდი მოიხადა. ეტლი წავიდა. კარლო ისევ ბნელაში დარჩა. უცბად რაღაც შიშმა აიტანა. პირველად მის სიცოცხლეში აშინებდა სიბნელე. ვერც ერთ წამს ველარ ავიტან ამ სიბნელესო, ჰფიქრობდა კარლო.

ამ შიშს შეუერთდა უსინათლო ძმისადმი სიბრალული და ამ ორმა შეერთებულმა გრძნობამ სახლისაკენ გამოაჩქარა. დუქანში რომ შევიდა, დაინახა ის ორი მგზავრი, ეტლით რომ ჩაუარეს ეს-ეს არის. მგზავრები მაგიდასათან ისხდნენ და წინ ბოთლით წითელი ღვინო ედგათ. კარლოს შემოსვლაზე არც კი მოუხედნიათ და თავიანთ ლაპარაკს განაგრძობდნენ. მეორე მაგიდასთან ისევ ჯერონიმო და მუშები ისხდნენ.

— სად დაიკარგე, კარლო, ძმას რად სტოვებ მარტო?— ჰკითხა მედუქნემ.

— რა მოხდა?—იკითხა შეშინებულმა კარლომ.

— ჯერონიმო გამასპინძლებია იმ ხალხს. მე რა მენაღვლება, მაგრამ შენ კი უნდა გახსოვდეს, რომ მალე ცოტა უარესი დღეები დაგიდგებათ.

კარლო საჩქაროდ მივიდა ძმასთან, ხელი მოჰკიდა და უთხრა.

— წამო!

— რა გინდა?—დაიყვირა ჯერონიმომ.

— წამო, ძილის დროა,—უთხრა კარლომ.

— დამეხსენ, მომეშვი! მე ვშოვილობ ფულს და ნებაც მაქვს, როგორც მინდა, ისე დავხარჯო! ყველას ხომ შენ არ მოგაპარვინებ! თქვენა ggრონიათ, ყველას მე მაძლევს!

არა! მე ხომ უსინათლო ვარ! მაგრამ არიან ისეთნი, არის ისეთი კეთილი ხალხი, რომელიც მეუბნება; „ოცი ფრანკი მივეცი შენს ძმას“.

მუშებმა გადიხარხარეს.

— კმარა, წამოდი!—სთქვა კარლომ, მოჰკიდა ხელი და წაათრია ძმა, თითქმის ხელით აიტანა კიბეზე ზემოდ, სადაც სახურავ ქვეშ ლოგინი ჰქონდათ დამზადებული.

ჯერონიმო ამ დროს გაიძახოდა:

— ჰო, ეხლა გამომჟღავნდა; ჰო, ეხლა ვიცი! ჯერ დაიცადეთ. ის სადღაა? სადაა მარიამი? ან შესანახ კასსაში თუ უნახავ ფულს? დიაღ, მე შენთვის ვმღერი, ვუკრავ გიტარას, ჩემის ფულით ინახავ თავს, ქურდი კი ხარ!—უსინათლო დავარდა თივაზე.

დერეფნიდამ ძლივს შემოდიოდა სანთლის მქრთალი სინათლე; პირდაპირ გაღებული იყო კარი ამ დუქნის ერთადერთ ნომრისა, რომელშიაც ამ დროს მარიამი ლოგინს აწყობდა. კარლო დამდგარიყო თავის ძმის წინ და დასჩერებოდა მის გასივებულ სახეს, მის გალურჯებულ ტუჩებს; თმა მიჰკროდა გაოფლიანებულ ტუჩებს; თმა მიჰკროდა გაოფლიანებულ შუბლს; უსინათლო თავის წლოვანებასთან შედარებით ბევრად უფრო ხნიერი სჩანდა. და კარლომ ცოტ-ცოტად იწყო მის გრძნობის გაგება. უსინათლოს უნდობლობა დიდის ხნის ამბავი უნდა იყვეს, ალბად; დიდიხანია ამ უნდობლობასა გრძნობს, მაგრამ შემთხვევა არა ჰქონია, ან კიდე, ვერ გაებედნა მისი გამოთქმა. და რაც კი უშრომნია მისთვის კარლოს, სულ ტყუილად. ამაო იყო მისი ბავშვური სინიდისის ქენჯნა, ამაო ყოფილა მთელის თავის სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვა. მაშ რაღა დარჩენია ეხლა? ნუ თუ ამნაირადვე იცოცხლოს აწიაც, ხვალ, ზეგ, მთელ სიცოცხლეს. ღმერთმა იცის, რამდენ ხანს უნდა ატაროს ეს უსინათლო, ემსახუროს, იმათხოვროს მისთვის და სამაგიეროდ ლანძღვისა და უნდოლობის მეტს ვერაფერს ვერ ეღირსოს. ქურდად თუ სთვლის მისი ძმა, მაშინ ყოველი უცხო მოუვლის მასზე

უკეთესად თუ არა, მასავით შაინც. ყველას ემჯობინებოდა, რომ სამუდამოდ გამოეთხოვოს ძმას და მარტოდ დასტოვოს. ეხოლოდ მაშინ გაიგებს ჯერონიმო მართალს, მხოლოდ მაშინ გაიგებს, რას ნიშნავს ქურდობა და დატყვილება, რას ნიშნავს უბედურება და მარტოობა. თითონ კი, თითონ რაღა ჰქნას? თითონ ჯერ არ მოხუცებულა და ღონე კიდე შესწევს, მოსამსახურის ადგილს ყველგან იშოვის.

ამგვარი ფიქრები უტრიალებდნენ კარლოს თავში და ამავე დროს თვალები ვერ მოეშორებინა ძმისათვის. და აი წარმოუდგა ასეთი სურათი: მისი ძმა მარტოდ ზის მზით განათებულ გზის პირას ქვაზე, თავისის უსიცოცხლო განივრად გაღებულ თეთრის თვალებით მისჩერებია მისთვის უვნებელ ცას და ხელებით ებღაუჭება იმ სიბნელეს, რომლითაც მუდამ არის მოცული. კარლომ იგრძნო, რომ მას არ ჰყოლია ამ ქვეყნად ამ ძმის მეტი არავინ. როგორც მის მეტი არც მის ძმას.

გაიგო, რომ ამ ძმისადმი სიყვარული შინაარსია მთელის მისის სიცოცხლის და ეხლა წარმოუდგა ნათლად, რომ ამ უბედურ ცხოვრებას ამდენ მოთმენას უადვილებდა მხოლოდ ის რწმენა, რომ ძმასაც აგრედვე უყვარდა. კარლო გრძნობდა, რომ ერთნაირად საჭირონი იყვნენ ერთმანერთისათვის, ძმა მისთვის და თითონ ძმისთვის. არ შეუძლია, არ უნდა დასტოვოს ძმა. ან უნდა გაუძლოს მის უნდობლობას ან როგორმე დაარწმუნოს უსინათლო, რომ მისი უნდობლობა უსაფუძვლოა... ჰო, როგორმე რომ იშოვიდეს ერთს ოქროს! რომ შეეძლოს ხვალ დილით უთხრას უსინათლოს: „მხოლოდ იმიტომ დაგიმალე, რომ ღვინოში არ დაგეხარჯა იმ მუშებთან, რომ არავის მოეპარნა შენთვის... ან რამე ამისთანა“... კიბეზე ფეხის ხმა მოისმა. მგზავრები ძილს აპირებდნენ. ერთბაშად გაიფიქრა, მივალ, ვუამბობ დღევანდელ ამბავს და ვსთხოვ ოც ფრანკსაო.

მაგრამ იმწამსვე მეორე ფიქრმა გაურბინა, არა გამოვა რაო, არც კი დაიჯერებენ ამ ამბავს. კარლოს გაახსენდა,

როგორ შეშინდა ერთი მათგანი, ერთბაშად სიბნელეში ეტლთან რომ გაჩნდა.

კარლოც დაწვა. ოთახში სრულებით ბნელოდა. ესმოდა მუშების ლაპარაკი, და მათი ფეხის ხმა კიბეზე, მერე ამოვიდა, შემდეგ ჩამოვარდა სიჩუმე.

ეხლა ჯერონიმოს ხვრინვა-ღა ესმოდა. ჩქარა ძილი მოეკიდა და აზრები სრულებით აერია. როდესაც გამოეღვიძა, გარშემო კიდე ბნელოდა. გაიხედა იქით, სადაც ფანჯარა ეგულებოდა, მაგრამ იქაც ბნელოდა.

ჯერონიმოს ისევ მაგრად ეძინა. კარლო კი ხვალინდელ დღეზე ჰფიქრობდა და ძრწოლამ აიტანა. ჰფიქრობდა იმ ღამეზე, რომელიც ხვალინდელ დღეს მოჰყვებოდა, შემდეგ დღეზე, იმ დღეს რომ ღამე მოჰყვებოდა კიდე, მერმისზე, რომელიც წინ ედვა, და უფრო შეძრწუნდა იმ მარტოობის წარმოდგენაზე, რომელიც მას ელოდა. რად ვერ გაბედა საღამოს?.. რად არ მივიდა იმ უცხოელებთან და არ სთხოვა ოცი ფრანკი? იქნება შებრალებოდათ. მაგრამ იქნება ისა სჯობია, რომ არა სთხოვა. მაგრამ რადა სჯობია?.. უცბად წამოჯდა და აჩქარებული გულის ცემა იგრძნო. იცოდა, რადა სჯობია: უარი რომ ეთქვათ, ეჭვი ექნებოდათ მაინც... ისევ ფანჯრისაკენ მიიხედა, რიჟრაჟი იწყებოდა. ხომ შეუძლებელია, შეუძლებელია ის, რაც მის გონებას მოსვენებას არ აძლევს... კარი დაკეტილა,—გარდა ამისა შეიძლება გაეღვიძოთ... თენდებოდა კიდეც.

კარლო ადგა. მივიდა ფანჯარასთან, თითქო სინათლე იზიდავდა, და შუბლით მიენდო ცივ მინას. რად ადგა? საცდელად? მოსაფიქრებლად? მაშ?.. ეგ ხომ შეუძლებელია და ბოროტმოქმედებაა. ბოროტმოქმედება? რას ნიშნავს ოცი ფრანკი ისეთ ხალხისათვის, რომელიც მხოლოდ სიამოვნებისათვის უცხო ქვეყნებში დადის დროს გასატარებლად? ვერც კი გაიგებენ... მივიდა კართან და ჩუმად გააღო. სულ ორ ნაბიჯზე, პირდაპირ მეორე კარი იყო; დაკეტილ კართან, ლურსმანზე ტანისამოსი იყო ჩამოკიდებული. კარლომ გასინჯა

ტანისამოსი... ო, ფულს რომ ჯიბებში სტოვებდნენ, ცხოვრება გაადვილდებოდა, მათხოვრობა აღარავის დასჭირდებოდა... ჯიბეები ცარიელი იყო.

რაღა დარჩენია? დაბრუნდეს ოთახში, იქნება სხვა საშუალება გამოსძებნოს ოცი ფრანკის საშოვნელად, უფრო კანონიერი და უხიფათო. მართლაც, ყოველ საშოვრიდამ რამდენიმე სანტიმი რომ გადასდოს, მინამ ოცი ფრანკი შეგროვდებოდეს და მაშინ ერთ ოქროში გასცვალოს... მაგრამ ამას რამდენსამე თვეს მოუნდება, თუ მთელ წელიწადს არა; ო, რო შესძლებდეს! ჯერ კიდე დერეფანში იდგა. შეხედა იმ კარს... ეგ რა ზოლია იატაკზე? შესაძლებელია განა? კარი მოხურული ყოფილა და არა დაკეტილი... რად ეუცხოვა ასე ეს გარემოება? რამდენიმე თვეა ეს კარი არ იკეტებოდა კარგად. ან კი რა საჭირო იყო? გაახსენდა, რომ ამ ზაფხულს მხოლოდ სამჯერ ეძინა აქ მოსულებს, ორჯელ ერთ ხელოსანს და ერთხელ მგზავრს, რომელმაც ფეხი გაიფუჭა გზაში. კარი ღიაა,—ეხლა საჭიროა მხოლოდ გაბედულება და ბედი. გაბედულება? ყველაზე უარესი, რაც შეიძლება მოუვიდეს, ეს იქნება, რომ გაეღვიძებათ; მაშინაც მოახერხებს რისამე მოგონებას თავის გასამართლებლად. შეიხედა ჭუჭრუტანაში. ჯერ კიდე ბნელა და ძლივს ხედავს ორ მწოლარე ადამიანს. ყური დაუგდო: მძინარის სუნთქვა ისმის. კარლომ ჩუმად შეაღო კარი და ჩუმადვე ფეხშიშველი შევიდა ოთახში. ორივე საწოლი ერთ და იმავ კედელთან დგას, ფანჯრის პირდაპირ. შუა ოთახში მაგიდაა, კარლო ჩუმად ეპარება. მოუსო ხელი; მაგიდაზე გასაღებებია, ჯიბის დანა, უბის წიგნი—მეტი არაფერი... რასაკვრელია! ან როგორ წარმოიდგინა, რომ ფულს მაგიდაზე დასტოვებდნენ! შეუძლია ეხლავე გაბრუნდეს!.. მაგრამ შეიძლება ბედმა გაუღიმოს... ეპარება საწოლს, რომელიც უფრო ახლოა კართან; აქ სკამზე დევს, რაღაც, მოუსო ხელი—რევოლვერია... ერუანტელმა დაუარა ტანში. იქნება სჯობდეს ეხლავე აიღოს? რად უნდოდა ამ კაცს რევოლვერი რომ დაუმზადებია? რომ გაიღვიძოს და დაინახოს...

მაგრამ რა უშავს, მაშინ ეტყვის: „სამი საათი გახდა, ბატონო, კიდეც, აბძანდით!..“

რევოლვერი თავის ადგილას რჩება. მიდის მეორე საწოლისკენ. აქ, მეორე სკამზე... ოჰ, ღმერთო! აი... აი პორტმონე ხელში უჭირავს!.. ამ დროს რაღაც ტკაცანი მოესმა. უცბად იატაკზე დაეშვა... ისევ ტკაცანის ხმა—ვიღამაც მძიმედ ამოისუნთქა, ჩაახველა—ისევ სიჩუმეა, სრული სიჩუმე. კარლო უძრავადაა იატაკზე, პორტმონე კი ხელში უჭირავს. სამარისებური სიჩუმეა. რიჟრაჟის მქრთალმა სინათლემ შემოანათა. კარლო ვერ ბედავს ფეხზე ადგომას და ფორთხვით მიიპარება კარისაკენ. მხოლოდ დერეფანში ნელ-ნელა გაიმართა წელში და თავისუფლად ამოისუნთქა. გახსნა პორტმონე; პორტმონეს სამი განყოფილება აქვს; აქეთ-იქით ვერცხლის წვრილი ფულია. შუაში სამი ოცფრანკიანი ოქროა. ერთი კი გაიფიქრა კარლომ, მოდი ორს ამოვიღებო, მაგრამ იმ წამსვე სძლია მაცთურს, ამოიღო ერთი ოქრო და დაკეცა პორტმონე. შემდეგ დაიჩოქა და იჭვრიტება ღია კარებში. ოთახში სიჩუმეა. მაშინ გააცურა პორტმონე ისე, რომ მეორე საწოლამდის მივიდა. სკამიდამ ჩავარდნილაო, იფიქრებს მგზავრი. რომ გამოიღვიძებს. კარლო ჩუმად წამოდგა. იატაკი წრიპინებს და ამ დროს ოთახიდან ხმა ესმის: „ვინ ხარ?“ კარლომ სუნთქვა შეიკავა და უცბად შევიდა თავის ოთახში. აქ უშიშრად არის, ყურს უგდებს. იმ ოთახში ერთხელ კიდევ გაისმა ტკაცანის ხმა და შემდეგ ისევ სიჩუმე გამეფდა. ოქრო თითებშუა აქვს. მოახერხა, მოახერხა! ოცი ფრანკი იშოვნა, შეუძლია უთხრას ძმას: „ხედავ, ქურდი არა ვარ!“

ის და მისი ძმა დღესვე წავლენ აქედან—წავლენ სამხრეთისაკენ, ბორმიოში, შემდეგ უფრო შორს, გაივლიან ველტლინს, ტირანოს, ედოლს... ბრენოს... მივლენ იზეის ტბაზე, როგორც შარშან... ეგ არავის არ ეუცხოვება, რადგან გუშინწინაც უთხრა მედუქნეს: „ამ დღეებში სამხრეთისკენ გავწევთ“. უფრო და უფრო თენდება და ოთახიც ნათლდება. ოღონდ ჯერონიმო გაიღვიძებდეს მალე! დილით ისე კარგია

შგზავრობა! გათენებამდის წავლენ, გამოეთხოვებიან მედუქნეს, ბიჭს, მარიამს და მერე წავლენ შორს, შორს აქედამ... და მხოლოდ ერთის-ორის საათის შემდეგ, ქვეით რომ ჩავლენ, ეტყვის ჯერონიმოს. ჯერონიმომ გაიზმორა. კარლომ დაუძახა!

— ჯერონიმო!

— რა იყო?—ჯერონიმო წამოჯდა.

— ავდგეთ, ჯერონიმო.

— რადა?—უსიცოცხლო თვალებს აშტერებს ძმას. კარლო მიმხვდარია, რომ ჯერონიმოს გაახსენდა გუშინდელი ამბავი, მაგრამ კარლომ ისიც იცის, რომ ჯერონიმო კრინტსაც არ დასძრავს, სანამ არ დათვრება.

— აცივდა, ჯერონიმო, წავიდეთ აქედამ. წელს აღარ გამოიდარებს; წავიდეთ სჯობია, სადილობისას ბოლადორაში ვიქნებით კიდეც.

— ჯერონიმო ადგა. სახლი ახმაურდა.— იღვიძებდნენ ქვეით, ეზოში მედუქნე ელაპარაკებოდა ბიჭს. კარლო ადგა და ჩავიდა მათთან. კარლო ყოველთვის ადრე დგებოდა და ხშირად ალიონზე ქუჩაში გადიოდა.

მივიდა მედუქნესთან და უთხრა:

— გეთხოვებით.

— დღეს აპირებთ კიდეც წასვლას?—იკითხა მედუქნემ.

— მეტად აცივდა და ამ ქარში ძნელია დიდ ხანს გარედ დგომა.

— მაშ, ბორმიოში რომ მიხვალ, მომიკითხე ბალბეტტი, უთხარი კარაქის გამოგზავნა არ დაავიწყდეს.

— კარგი, მოვიკითხავ. აი ღამის გასათევი.—კარლომ ხელი ჩაიყო ჯიბეში.

— ნუ ირჯები, კარლო,—სთქვა მედუქნემ.—ეგ ოცი სანტიმი შენის ძმისთვის მიჩუქებია; მეც ხომ მისმენია მის სიმღერისთვის. მშვიდობით იყავი.

— გმადლობთ,—უთხრა კარლომ.—მაგრამ არც ისე გვეჩქარება, კიდევ ვნახავთ ერთმანეთს, აქ რომ მორჩები

საქმეს. ბორშიო ხომ თავის ადგილას დარჩება? გაიცინა კარლომ და ზემოდ ავიდა.

ჯერონიმო შუა ოთახში იდგა.

— მე მზადა ვარ,—სთქვა მან.

— ეხლავე.—უპასუხა კარლომ.

კუთხეში შველი ყუთი იდგა. კარლომ ამოალაგა ყუთიდან რამდენიმე ბარგი და შეჰკრა. შემდეგ მიუბრუნდა ძმას:

— მშვენიერი დღეა, მაგრამ ძლიერ სცივა.

— ვიცი, უპასუხა ჯერონიმომ და ორივენი გავიდნენ ოთახიდამ.

— ჩუმად იარე,—სთქვა კარლომ,—აქ იმ ორ მგზავრს სძინავს, წუხელის რომ მოვიდნენ.—ფრთხილად ჩავიდნენ ქვეით.—მედუქნემ გზა დამილოცა,—ამბობდა კარლო,—ამაღამინდელი არაფერი გამოგვართვა. ეხლა ყანაშია და ორს საათს უკან თუ დაბრუნდება. გაისათ ვნახავთ ხომ.

ჯერონიმომ არა უთხრა რა. გავიდნენ ქუჩაში. კარლომ მარცხენა ხელი დაუჭირა ძმას და ორივენი ჩუმად დაეშვნენ ქვეით. ჩქარა მივიდნენ იმ ადგილამდე ,სადაც აღმართი იწყებოდა. ქვეიდამ ნისლი მოდიოდა და მწვერვალებს ღრუბელი შემოხვეოდა. „ეხლა ვეტყვი," გაიფიქრა კარლომ.

კარლომ არა სთქვა არაფერი, ამოიღო ოქრო და მისცა ძმას. ჯერონიმომ გამოართვა ფული, მოისო ლოყაზე, შემდეგ შუბლზე და ბოლოს სთქვა:

— მე ხომ ვიცოდი.

— ჰო და, მიუგო კარლომ და გაკვირვებით შეხედა ჯერონიმოს.

— იმ კაცსაც რომ არა ეთქვა რა, მაინც მეცოდინებოდა.

— ჰო და,—განიმეორა უაზროდ კარლომ.

— მაგრამ ხომ მიხვდი, რად არ... იქ, იმათთან,—მეშინოდა, რომ შენ ერთბაშად... და მერე ჯერონიმო, დრო არის, ვფიქრობდი მე, ვუყიდო ჩემს ძმას ტანისამოსი, ფეხსაცმელი და ამიტომ... უსინათლომ თავი გაიქნია.

— რა საჭიროა?

ცალი ხელი ტანისამოსზე მოისვა.

— ჯერ კიდე კარგია და თბილიც არის, ეხლა კი სამხრეთისკენ მივდივართ.

კარლოს ვერ გაეგო რად არ უხაროდა ჯერონიმოს, ბოდიშს არ იხდიდა, და განაგრძო:

— განა ცუდად მოვიქეცი, ჯერონიმო? მაშ რად არ გიხარია? ეხლა ხომ გვაქვს ფული? მერე ხელუხლებელი! იქ რომ მეთქვა ეგ შენთვის, ვინ იცის... ო, რა კარგი ვქენი, რომ არ გითხარი.

უეცრად ჯერონიმომ წამოიძახა;

— გეყოფა სიცრუე, კარლო, მომბეზრდა ეგა!

კარლო შეჩერდა, ხელი გაუშვა ძმას.

— მე არა ვსტყუი.

— მე კი ვიცი, რომ სტყუი... შენ მუდამ სტყუი!.. ათასჯერ გითქვამს ტყუილი!.. ამის შერჩენაც გინდოდა, მაგრამ ვერ გაბედე, აი რა!

კარლომ ჩაღუნა თავი და არაფერი არ უპასუხა. ისევ მოჰკიდა ხელი უსინათლოს და გზას გაუდგა. ძმის სიტყვებმა გული დაუკოდა. მაგრამ უკვირდა კი, უფრო რად არ შევსწუხდიო.

ნისლი გადიყარა. ხანგრძლივის სიჩუმის შემდეგ ჯერონიმომ სთქვა:

— დათბა.

ეს ისე გულცივად სთქვა, როგორც უწინაც ეთქვა და კარლომ იგრძნო, რომ ჯერონიმოსათვის არაფერი არ გამოცვლილიყო. ჯერონიმოს აზრით, ის ყოველთვის ქურდი ყოფილა.

— ხომ არა გშიან?—ჰკითხა მან. ჯერონიმომ თავით ანიშნა, მშიანო, ამოიღო ჯიბიდამ პური და ყველი და შეჭამა. შემდეგ გზას გაუდგნენ.

გზაზე ბორმიოდამ მომავალი ფოსტა შემოხვდათ.

— სამხრეთისაკენ კიდეც? შეეკითხათ მეეტლე.

შემდეგ კიდე შეხვდათ რამდენიმე ეტლი.

— სამხრეთის სუნსა ვგრძნობ, სთქვა ჯერონიმომ და მართლაც ცოტა ხანს უკან გამოჩნდა ქვეით ველტლინი.

„მართლაც არაფერი არა შეეცვლილა“, ჰფიქრობდა კარლო.—ქურდობაც კი ჩავიდინე მაგისთვის და სულ ტყუილად.“

ნისლი სულ გაიფანტა და მზემ შეითამაშა გარშემო ველებზე. კარლო კი ჰფიქრობდა: „იქნება ასე საჩქაროდ არ უნდა წამოვსულიყავით დუქნიდამ... პორტმონე საწოლ ქვეშა გდია, და ეს საეჭვოა, რაც უნდა იყოს.“ მაგრამ ეგ სრულიად სულ ერთია მისთვის! რაღა უნდა დამართნოდა კიდე? ძმას, რომელსაც მან დაუბნელა თვალი, ქურდად მიაჩნია, დიდი ხანია ქურდად სთვლის და ეს ყოველთვის ასე იქნება. ამაზე უარესი რაღა უნდა დაემართოს?

აგერ ქვეით დიდი სასტუმრო, მის ქვემოდ კიდე სოფელი. უხმოდ მიდიან ძმები და კარლოს ხელი ჯერ კიდე უსინათლოს ხელშია. ჩაიარეს სასტუმროს ბაღი. კარლომ დაინახა აივანზე ხალხი. ისინი, საზაფხულო ტანისამოსში გამოწყობილნი, საუზმობდნენ.

— სად გინდა დაისვენო?—ჰკითხა კარლომ.

„არწივში“, როგორც ყოველთვის.

გაიარეს სოფელი და იქ ბოლოში შევიდნენ ერთ პატარა დუქანში. მოითხოვეს ღვინო.

— ასე ადრე რამ ჩამოგიყვანათ, იკითხა მედუქნემ.

კარლო შეკრთა ამ კითხვაზედ.

— განა ისე ადრეა? დღეს თერთმეტი თუ თორმეტი ენკენისთვეა.

— შარშან უფრო გვიან ჩამოხვედით.

— ზემოდ ძლიერ სცივა,—სთქვა კარლომ.—ამაღამ კინაღამ გაგვყინა. ჰო, მართლა, იქაურმა მედუქნემ შემოგითვალა, კარაქის გამოგზავნა არ დაგავიწყდესო.

ოთახში შეხუთული და მძიმე ჰაერი იყო. კარლო რაღაც მოუსვენრობამ აიტანა; ჰაერში გასვლა უნდოდა, ისევ

სიარული უნდოდა, ტირანოს და ედოლის გზით, საითკენმე შორს. ერთბაშად წამოდგა.

— მივდივართ კიდეც? იკითხა ჯერონიმომ.

— სადილობისას ბოლადორას მივალთ, იქ „ირმის“ სასტუმროში ამ დროს მოდიან ეტლები; კარგი ადგილია.

წავიდნენ. დალაქი ბეკოჩი თავის სადალაქოსთან იდგა და თუთუნსა სწევდა.

— გამარჯვება თქვენი,—დაუძახა მან.—რა ამბებია ზემოდ? წუხელ მოსთოვდა იქ ალბად?

— დიაღ, დიაღ,—უთხრა კარლომ და ფეხს გაუჩქარა.

გასცდნენ სოფელს, გზა ყანებსა და ვენახებს შუა იდო, განზე მდინარე მოჩუხჩუხებდა. ცა მოწმენდილი იყო.

რად ჩავიდინე ეგა?—ჰფიქრობდა კარლო.—განა ისეთივე სახე არა აქვს, როგორც ყოველთვის?—და განიდგან შეხედა ძმას. ჯერონიმო ყოველთვის ქურდად მთვლიდა და ყოველთვის ოხოლი იყო სულით, - არასოდეს არ ვყვარებივარ.“ კარლო ისეთ გუნებაზე იყო, თითქო მძიმე ტვირთი ეკიდა ზურგზე და ვერ მოეშორებინა; თითქო ხედავდა იმ წყვდიადს, რომელსაც ჯერონიმო მოეცვა, მაშინ როდესაც გარშემო ყველაფერი გაჩაღებული იყო მზის სინათლით.

ასე მიდიოდნენ, მიდიოდნენ რამდენსამე საათს. დროგამოშვებით ჯერონიმო ჩამოჯდებოდა ქვაზე, ან ორივენი მიეყრდნობოდნენ რომლისამე ხიდის მოაჯირს დასასვენებლად. კიდე გაიარეს რაღაც სოფელი, დუქნის წინ რაღაც ეტლები იდგა. მგზავრები გამოდიოდნენ დუქნიდამ და იქვე დასეირნობდნენ, მაგრამ ძმები არ შეჩერებულან. ისევ შარა გზაზე გავიდნენ. მზე მაღლა იდგა; ჩქარა სადილობაც მოაწევს! ისეთივე დღე იყო, როგორც ათასი სხვა.

— ბოლადორის კოშკი უნდა იყვეს,—სთქვა ჯერონიმომ. კარლომ მოიხედა. გაუკვირდა ჯერონიმოს, რომ ასე კარგად გამოეანგარიშნა განვლილი გზა. მართლაც მოშორებით გამოჩნდა ბოლადორის კოშკი. შორს ვიღაც მათკენ მომავალი კაცი გამოჩნდა. კარლოს ეჩვენა, რომ ის კაცი

გზის პირას იჯდა და ერთბაშად წამოდგა. კაცი უახლოვდებოდათ. ეხლა კარლომ იცნო ჟანდარმი, რომელსაც ხშირად შეხვედრია ამ გზაზე. მაინცა-და-მაინც კარლო შეშინდა ცოტათი. მაგრამ სრულებით რომ მიუახლოვდნენ, კარლომ იცნო და დამშვიდდა.

პიეტრო ტენელლი ყოფილიყო; ჯერ კიდე გაზაფხულზე ორივე ძმა და ეს ჟანდარმი რაგაჩის დუქანში მორინიონეში ერთხელ ღვინოს სვამდნენ ერთად; ჟანდარმმა მაშინ ერთი საშინელი ამბავი უამბოთ, როგორ გამოასალმა კინაღამ ერთმა ბოროტ მომქმედმა წუთი სოფელს.

— ვილაც გაჩერდა,—სთქვა ჯერონიმომ.

— ჟანდარმი ტენელლია,—უპასუხა კარლომ. ძმები მიუახლოვდნენ.

— გამარჯვება, ბატონო ტენელლი,—უთხრა კარლომ და გაჩერდა.

— მეტი გზა არ არის,—სთქვა ჟანდარმმა,—ორივენი ბოლადორამი უნდა წაგიყვანოთ, პოლიციაში.

— რას ამბობ!—წამოიძახა უსინათლომ.

კარლო გაფითრდა.

„შეუძლებელია?—გაიფიქრა მან.—იმის შესახებ არ იქნება: ჯერ ხომ ვერ გაიგებდნენ აქ.“

— ვგონებ გზაც იქითა გაქვთ,—სთქვა სიცილით ჟანდარმმა,—მე ხომ სიარულს არშეგიშლით.

— რამ გაგაჩუმა, კარლო?—ჰკითხა ჟანდარმმა.

— ჰო, დიაღ. მე ვამბობ... მიბძანეთ, ბატონო ჟანდარმო, როგორ შეიძლება... რაში გვამ... ესე იგი რაში მამტყუნებენ... გაძლევთ სიტყვას, არ ვიცოდე...

— ერთი საქმეა, იქნება უდანაშაულოც იყვე, მე რა ვიცი, ყოველ შემთხვევაში ტელეგრამით მიბრძანეს თქვენი შეპყრობა, რადგან იქვი აიღეს თქვენზე და დიდი იქვიც, ვი-

თომც თქვენ იქ, ზემოდ, ფული მოგეპაროსთ ვიღაცისთვის. შეიძლება, რასაკვირველია, უდანაშაულონიც იყვეთ. აბა, გზას გავუდგეთ!

რად გაჩუმებულხარ, კარლო?—ჰკითხა ჯერონიმომ.

— მე ვამბობ... ჰო, მე ვამბობ...

— აბა, ჰე, წამოდით, წამოდით! რას გავჩერებულვართ! მზე საშინლად გვაჭერს. ერთს საათში მივალთ კიდეც. აბა, გასწით!

— კარლომ ჩვეულებრივად მოჰკიდა ხელი ჯერონიმოს და ნელ-ნელა გაუდგნენ გზას, უკან ჟანდარმი მიჰყვებოდათ.

— კარლო, რად არ იტყვი არაფერს?—ჰკითხა ისევ ჯერონიმომ.

— რა უნდა გითხრა, ჯერონიმო? ყველაფერი გამოირკვევა; არც მე ვიცი...

კარლომ გაიფიქრა: „ეხლავე ვუთხრა ყველაფერი, მინამ მოსამართლესთან მიგვიყვანენ? არა... ჟანდარმი გაიგონებს... რო გაიგონოს კიდეც, მერე რა? სასამართლოში ხომ სულ ყველაფერს ვიტყვი. „უფალო მოსამართლე,—ვიტყვი მე,—ეგ ხომ ისეთი ქურდობა არ არის, როგორც ყოველივე სხვა. საქმე ასე იყო...“ კარლო სცდილობდა მკაფიოდ გამოერკვია საქმე. „წუხელ ვიღაც კაცი მოვიდა... შეიძლება შეშლილი ყოფილიყო ანა და შეცდომით მოსვლოდეს... იმ კაცმა...“

რა სისულელეა! ვინ დაიჯერებს? ან ვინ დააცლის ამდენ ლაპარაკს.

არავინ არ დაიჯერებს ასეთ სისულელეს... ჯერონიმოსაც რომ არა სჯერა... და კარლომ განიდგან შეჰხედა ძმას. უსინათლო ჩვეულებრივად ყოველ ფეხის გადადგმაზე თავს იქნევდა აქეთ იქით, ხოლო მისი სახე არაფერს არ გამოსთ-

ქვამდა, უსიცოცხლო თვალები კი სივრცეში მიეშტერებინა. და კარლო უცბად მიხვდა, რასაც ფიქრობდა ეხლა მისი ძმა.

„მაშ ასე ყოფილა, ჰფიქრობდა, ალბად, ჯერონიმო. კარლო ჩემს გარდა სხვებსაც ჰქურდავს... მისთვის ხომ ადვილია ეს, თვალები აქვს და სარგებლობს ამით.“ რასაკვირველია ასე ჰფიქრობს ჯერონიმო...

„მართალია მე ვერ მინახვენ ფულს, მაგრამ ეს ვერ მიშველის ვერც მოსამართლესთან და ვერც ჯერონიმოსთან. დამატუსაღებენ, ჯერონიმოსაც დაატუსაღებენ... რასაკვირველია, მასაც, რადგან ოქრო ხომ მას აქვს.“

აზრები აურია კარლოს, ველარაფერი ვერ გაეგო, ერთი იცოდა მხოლოდ,—ის რომ, დიდის სიამოვნებით ჩაჯდებოდა სატუსაღოში მთელის წლით... გინდ ათის წლით, ოღონდ ჯერონიმოს გაეგო, რომ მის გულისათვის ჩაიდინა ქურდობა.

ერთბაშად ჯერონიმო შეჩერდა და კარლოც გააჩერა.

— რა ამბავია?— მწყრალად დაიძახა ჟანდარმმა.—გაიარეთ, გაიარეთ.

მაგრამ გაკვირვებულმა ჟანდარმმა დაინახა, რომ უსინათლოს გაუვარდა ხელიდამ გიტარა და ორსავე ხელით ეძებდა ძმის სახეს. შემდეგ ტუჩებით მიეკრა ძმის ტუჩებს და მინამ კარლო გონს მოვიდოდა, აკოცა.

— შეიშალეთ?—ჰკითხა ჟანდარმმა.—გაიარეთ, გაიარეთ! ამ სიცხეში დგომა არაფერი სასიამოვნოა.

ჯერონიმომ უსიტყვოდ აიღო გიტარა. კარლომ ღრმად ამოისუნთქა და ისევ მოჰკიდა უსინათლოს ხელი. სახეზე ბედნიერების ღიმილმა შეუთამაშა.

— გაიარეთ! — ჰყვიროდა ჟანდარმი. — გაადგამთ ფეხს თუ არა, და ხელი ჰკრა კარლოს გვერდში.

და კარლო მაგრა ხელ ჩაკიდებული გაუდგა გზას; ეხლა უფრო ჩქარა მიდიოდა. ღიმილი არ შორდებოდა მის სახეს. ეხლა აღარაფრის შიში არ ჰქონდა, არც სასამართლოსი, არც მთელის ქვეყნისა. ეხლა ისევ ჰყავდა ძმა... არა, ეხლა პირველად პოვა ძმა.

იგ. ზურაბიშვილი

# საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი

(იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდს უძღვნის ავტორი).

## III

### ქართველთა მოქცევის ქრონოლოგია.

ახლა ვიკითხოთ: როდის „მოიქცენ“ ქართველები, ან უკეთ რომ ვთქვათ, როდის გამოაცხადეს ქართველთა შორის ქრისტიანობა ყველა ქვეშევრდომთათვის სავალდებულო სარწმუნოებად?

უეჭველია, ამ ფაქტის დასაწყისად ის დრო უნდა ჩაითვალოს, როცა იბერთა მეფემ, რუფინის მოწმობით, თვით მიიღო ქრისტიანობა, შეჰკრიბა ერი და წინადადება მისცა — ქრისტეს სარწმუნოება მიეღო. რაც შეეხება სამღვდელოების მოსვლას და ერითურთ მეფის მონათვლას, — ეს მხოლოდ დამთავრება და დაგვირგვინება იყო ამ ფაქტისა და არა მისი დასაწყისი. მაგრამ, საქმეც ის არის, რომ სწორედ ვერც ერთ ამ ორი მომენტის ქრონოლოგიაში ვერ შეთანხმებულან ჩვენნი მკვლევარნი და ისტორიკოსნი.

**დიუბუა**, პლ. იოსელიანის თქმით, ქართველთა მოქცევას 276 წლის მახლობლათ დასდებს,[102]) **ბარანიუსი**, დიმ. ბაქრაძის მოწმობით, 311-სა და 327 წელს, [103]) თვით **დიმ. ბაქრაძე** და ვახუშტი — 317 წელს,[104]) **ბლ. ოსელიანი** — 318

[102]) ნახ. Ил. Іеселіанъ, Кр. Ист. Гр. Церкви. გვ. 18 შენიშვ. 18.

[103]) დიმ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 144.

[104]) იქვე გვ. 144—147.

წელს,[105]) თ. **ჟორდანია** 323 და 325 წლებს შუა,[106]) **მოსე ჯანაშვილი**—მეფის მოქცევას 323 წ., ხოლო ხალხის მონათვლას 324 წელს,[107]) **ნ. ნატროშვილი**—ერთსაც და მეორესაც—326 წელს,[108]) **ბროსსე**—328 წელს,[109]) **ს. ხახანაშვილი**—332 წელს,[110]) **ე. თაყაიშვილი**—332 333 წელს,[111]) **მ. კალ. ტინტაძე**—335 წელს [112]) და, უკანასკნელ, **ივ. ჯავახიშვილი**—„337 წლის ახლო ხანებში.“[113])

რომ დიუბუას თარიღი შესაწყნარებელი არ არის, ეს იმითი მტკიცდება, რომ ქართველთა მოქცევას თვით უუძველესი ბიზანტიური წყარო (რუფინის ისტორია) კონსტანტინეს იმპერატორობის ხანს მიაწერს, ხოლო, როგორც ცნობილია, კონსტანტინე სამეფო ტახტზე 306 წელს ავიდა. ესეც რომ არ იყოს, ჩვენ ვიცნობთ იმავე დიუბუას მეორე გამოთვლას, რომელიც ქართველთა მოქცევას 318 წელს მიაწერს,[114])—მაშასმდამე 276 წელი უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ არც პლ. იოსელიანის 318 წელი შეგვიძლია მივიღოთ, რადგან როცა ამ წელს უჩვენებს, პატივცემული მკვლევარი შემდეგს, ანაქრონიზმებით სავსე წინადადებას ხმაროობს: „Тогда же, въ 318 г. отъ Р. Х., отправилъ онъ (Миріанъ) въ новый Римъ (Константинополь) къ императору

---

105) Кр. Ист. Груз. Церкви. გვ. 12.

106) ქრონიკები I, გვ. 31-32, შენიშვ. 62.

107) М. Джанашвили, Истор. Груз. Церкви. Кн. I, გვ. 47.

108) А. Натроевъ, Мцхетъ и его соборъ Свѣти-Цховели. Тифлисъ. 1900 г. стр. 162.

109) Histoire de la Georgie.—I, p. 128, n. 4.

110) Источники по введ. Хр. въ Грузіи. стр. 42.

111) „ახალი ვარიანტი...“ გვ. XXV.

112) „ივერია“ 1893 წ. ივლისი 28. № 159 ფელეტონი: „რომელს წელს მიიღეს ქრისტიანობა ქართველებმა.“ გვ. 3, სვრელი 5.

113) „მოამბე“ 1900 წ. VI, გვ. 38.

114) ნახ. ალ. ჭყონია, ისტორიული ნარკვევი. გვ. 334 (ამოღებულია დიუბუას Voyage aut. du Caucase t. II).

Константину, испрашивая епископа и священниковъ.“ ცხადია, ისტორიკოსს ხელთ არ ჰქონებია კონსტანტინოპოლის შესახები საისტორიო თხზულება, თორემ ხომ არც ამისთანა ისტორიულ წინა-უკუთქმას დაუშვებდა: 318 წელს არამც თუ „ახალი რომი (კონსტანტინოპოლი)“ არ არსებობდა, არამედ თვით კონსტანტინე ჯერ ისევ ძველ რომში იმყოფებოდა, აღმოსავლეთში კი წარმართობის მომხრე ლიკინი მბრძანებლობდა (323 წლამდე).[115])

ამ მხრით ბატონიშვილი ვახუშტი უფრო მეტს ცოდნას იჩენს საზოგადო ისტორიისას, ვინემ პლ. იოსელიანი. თავის თარიღს, 317 წელს, ვახუშტი იმითი ამართლებს, რომ, როცა ქართველები მოიქცენ, „ჯერეთ კონსტანტინოპოლი არ იყო აღშენებული, არამედ კონსტანტინე ჯერეთ რომსავე იყო“-ო.[116]) სრულიათ ვეთანხმებით მეცნიერ ბატონიშვილს, რომ ქართველთა მოქცევის დროს კონსტანტინოპოლი ჯერ კიდევ აშენებული არ იყო, მაგრამ მაინც ვერ შევიწყნარებთ მის თარიღს, 317 წელს, რადგან ძნელი დასაჯერებელია რომის იმპერიის ვასსალს—მირიანს, ქრისტიანობის მიღებაზე თანხმობა გამოეცხადებიოს და რომში მოციქულები გაეგზავნოს მაშინ, როცა მის მეზობლად, აღმოსავლეთის პროვინციებში ჯერ ისევ წარმართი ლიკინი მბრძანებლობდა და სომხეთის მეფეც მოქცეული არ იყო; ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ საბოლოოთ გადაწყვეტილი არ იყო, თუ ვის ერგებოდა პირველობა რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში—ქრისტია-

---

115) ლიკინი დაამარცხა კონსტანტინემ 323 წელს, ხოლო კონსტანტინოპოლი ააშენა 328—330 წლებში. Lebeau Hist. du Bas. Emp. t I, p. 220 et 296. შეადარე Оск. Іегеръ. Всеобщая Исторія. т. I, стр. 574—575. Спб. 1894 года; აქაც კონსტანტინოპოლის აშენების დასაწყისად 328 წელია ნაჩვენები, ხოლო დასასრულად 11 მაისი 330 წელი.

116) ვახუშტი: ისტორია საქართველოსი. გამოც. დიმ. ბაქრაძისა, გვ. 67

ნობას და ქრისტიანს კონსტანტინეს, თუ წარმართობას და წარმართ ლიკინის.[117])

ჩვენ აღარას ვიტყვით დიმ. ბაქრაძის შესახებ, რომლის თარიღიც იგივე 317 წელია, რადგან თვითონ იგი გადაჭრით არას ამბობს, მხოლოდ ჩვეულებრივის მეცნიერული სიბრთხილით შენიშნავს, რომ „ჯერ-ჯერობით საფუძვლიანადვე მიგვაჩნია ეს 317 წელიო.“ [118])

არას ვიტყვით არც ბბ. თ. ჟორდანიასა, მ. ჯანაშვილისა და ან. ნატროშვილის თარიღებზე, რადგან, როგორც მკითხველი ქვემოთ დაინახავს, ჩვენ თვითონაც დაახლოვებით იმავე თარიღებსა ვსდებთ ქართველთა მოქცევის დროდ, რომელსაც ეს პირნი აღნიშნავენ, თუმცა სავსებით ვერ ვეთანხმებით ყველა იმ საფუძვლებს, რომელთაც იგინი ემყარებიან.

რაც შეეხება ბარონიუსის თარიღს—327 წელს გინა 311 წელს,—ჩვენ არ ვიცით, თუ რაზედ ამყარებს იგი ამ ქრონოლოგიას, ამიტომ ამ საგნის შესახებ მსჯელობა უბრალო წყლის ნაყვა იქნებოდა.

დაგვრჩა განსახილველი, მაშასადამე, ის თარიღები, რომელნიც ქართველთა მოქცევის დროს 327 წელს შემდეგ უჩვენებენ.

ამ თარიღებში პირველი ადგილი უკავია ბროსეს თარიღს, 328 წელს. ამ წელს დასდებს ბროსსე ქართველთა მოქცევის წლად თავის Histoire de la Georgie-ის, ე. ი. „ქართლის ცხოვრების“ ფრანგულ თარგმანის პირველ ნაწილში (p. 128. n. 4), რომელიც 1849 წელს გამოვიდა; ხოლო თავის „საქართველოს ისტორიაში“, რომელიც მას 1858 წელს, ე. ი. სრული ცხრა წლის შემდეგ დაუწერია,[119])

---

[117]) ანნანსკის გამოანგარიშებით სომეხთა მოქცევა 317—318 წელს უნდა მომხდარიყო (Ист. Арм. Церкви. გვ. 11).

[118]) დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი. გვ. 147 შენ. 1.

[119]) მ. ბროსსე, საქართველოს ისტორია. ნაწ. I. რუსულიდამ ნათარგმნი სიმ. ღოღობერიძის მიერ. თბილისი. 1895 წ. ნახეთ.—„წინასიტყვაობა“ მთარგმნელისა.

იგი ამის შესახებ გადაჭრით აღარას ამბობს, მხოლოდ შენიშნავს, რომ ქართველთა მოქცევა დაახლოვებით იმ დროს ეკუთვნის, როდესაც იერუსალიმში ჯვარი-პატიოსანი აღმოაჩინესო. მოგვაქვს ეს ადგილი სიტყვა-სიტყვით.

რო გაათავებს ქართველთა მოქცევის ისტორიას, ქართულ, ბერძნულ და რომაულ წყაროების თანახმათ, ბროსსე განაგრძობს: „რასაკვირელია, ჩვენ ვერ აღვნიშნავთ შეურყეველი სისწორით ქრონოლოგიას ზემო ნაამბობ შემთხვევათა, რომელთაც ზოგნი რამოდენიმე წლით ადრე უჩვენებენ და ზოგნი უფრო გვიან. ზოგიერთ წყაროებში ჩვენ ვპოვებთ იმისთანა ფაქტების დაწვრილებით ამბებს, რომელნიც სხვა მწერლებს არა აქვთ. ჩვენის აზრით ეს არ უნდა იყოს ისე შესამჩნევი, იმიტომ რომ როგორც აღმოსავლეთის, ისრე დასავლეთის ისტორიკოსები თანახმად აჩვენებენ დროს, უმთავრესთ მოქმედებათ და ღირს-შესანიშნავს გარამოებას. თანამედროვე მწერალი რუფინი, რომელმაც ლათინურ ენაზე დაწერა საეკლესიო ისტორია, ამბობს, რომ მან შეკრიბა თავისი ივერიაზედ მოთხრობა ნაამბობიდან ქართველის წარჩინებულის ბაკურისა, რომელიც თვით დამსწრე იყო ქრისტიანობის შემოღებისა საქართველოში და რომელიც მერე საბერძნეთში სამსახურში შესულიყო. ერთის სიტყვით, კრიტიკის მიერ დადგენილია, რომ იმპერატორის კონსტატინე დიდის მეფობაში, დაახლოვებით იმ დროს, როდესაც ჯვარი პატიოსანი იპოვეს იერუსალიმში, ივერია მოიქცა ქრისტეს სჯულზე წმ. ნინოს ქადაგებით, რომელიც ერთ ხმით შერაცხილ არის წმიდად, ვითარცა ივერიის განმანათლებელი.“ [120])

სავსებით ვეთანხმებით იმ აზრს, რომ საბერძნეთიდან **სამღვდელოების მოსვლა** და **ხალხის მონათვლა** დაახლოვებით იმ დროს უნდა მომხდარიყოს, როდესაც ელენე დედოფალმა იერუსალიმში ჯვარი პატიოსანი აღმოაჩინა. მაგრამ აქედან არ შეიძლება მაინც და მაინც ის დასკვნა გამოვი-

---

[120]) იქვე, გვ. 62.

ტანოთ, თითქოს თვით ქართველთა მეფის და მცხეთელების **მოქცევაც** წმ. ნინოს ქადაგებით 326 წლის, ე. ი. ჯვარი-პატიოსანის (ანუ, როგორც ქართული წყაროები უწოდებენ. „ძელი ჭეშმარიტის“) აღმოჩენის შემდეგ ყოფილიყოს და არა იმაზე წინ.[121]) ყოველ შემთხვევაში, ბროსეს დასკვნა, რომელიც, როგორც სჩანს, **უმთავრეს მოქმედებათა და დიდს-შესანიშნავ გარემოებათა კრიტიკულს შესწავლაზეა** დამყარებული, უფრო საბუთიან დასკვნად უნდა ჩაითვალოს, ვინემ იმ მკვლევართა მოსაზრებანი, რომელნიც თავის დასკვნას უმთავრესათ „ქართლის“ მოქცევის ქრონიკისა და წმ. ნინოს „ცხოვრების“ **რიცხვებზე** ამყარებენ.

მაგრამ ნუ-თუ შესაძლებელია „ქართლის მოქცევის“ გინა წმ. ნინოს „ცხოვრების“ **რიცხვებზე** რაიმე საისტორიო დასკვნა დავაფუძნოთ,—იმ რიცვხებზე, რომელთ შესახებაც თვით იგივე მკვლევარნი სრულის მიუდგომლობით აღიარებენ, რომ „აქ,—ე. ი. იმ რიცხვებში,—ყველაფერი არეულია და დაბნეულია“.[122]) სავსებით ვეთანხმებით როგორც წმ. ნინოს „ცხოვრების“ შატბერდისეული ვარიანტის გამომცემელს, ისე მამა კ. ცინცაძეს იმაზე, რომ, როდესაც „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა და წმ. ნინოს „ცხოვრება“ წელთაღრიცხვას „ქრისტეს **ამაღლებიდან**“ იწყებს, ჩვენ ყველგან ქრისტეს დაბადება უნდა ვიგულისხმოთ;[123]) ვეთანხმებით, აგრეთვე, იმაზედაც, რომ კონსტანტინეს მეფობის პირველი

---

[121]) ბარონიუსის ანგარიშით, როგორც ჯვარი-პატიოსანის პოვნა, ისე ელენე დედოფლის გარდაცვალება 326 წელს უნდა მომხდარიყო (Lebeau, Hist. du B.-E. t. I. p. 274).—ელენე დედოფალი იერუსალიმში წავიდა 325 წელს, ხოლო ჯვარი პატიოსანი აღმოაჩინა 326 წელს.(M. Bouillet, Dictionaire Universelle d' Hirt, et de Géogratie. Paris. 1861. ნაწილი I, გვ. 800.)

[122]) ნახ. „ივერია“ 1893 წ. № 159, გვ. 2. სვრ. 4 და გვ. 3, სვრ. 2. ამასვე ამბობს ბ. ე. თაყაიშვილიც. ნახ. „ახალი ვარიანტი“, გვ. XVIII.

[123]) ე. თაყაიშვილი. ახალი ვარიანტი... გვ. XIX, შენიშვნ. 1.— შეადარე „ივერია“ 1893 წ. № 159, გვ. 3, სვრ. 3.

ხნების „ღვაწლი ბრძოლისა მტერთაგან“, ძლევა მტერთა „ძალითა ჯვარისათა და მისითა სასოვებითა“ და ამ ღვაწლთან მჭიდროთ შეკავშირებული თქმულება კონსტანტინეს „მოქცევისა“ და „მონათვლის“ შესახებ,—რომელსაც **ქართლის მოქცევის** ქრონიკა და შატბერდისეული ვარიანტი მოიხსენებს,—მაქსენტისტან ბრძოლასა და მილანის ედიქტს (312—313 წ.) უნდა აღნიშნავდეს და არა კონსტანტინეს **მონათვლას**, რაიც, როგორც ისტორიიდან ვიცით, კონსტანტინეს სიკვდილის წინ მოხდა (337 წ.) და არა 310-სა წელსა, როგორც „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა ამბობს, და არც 311-სა წელსა, როგორც შატბერდისეულ ვარიანტს ჰგონია.[124])—ეს ადგილი „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაში იკითხება ასე: „და იყო დღეთა კონსტანტინე მეფისათა, ქრისტეს ამაღლებითგან **სამს და მეათესა წელსა**, იყო **ღვაწლი ბრძოლისა მტერთაგან** და ფრიად ერეოდეს მეფესა კონსტატინეს, ძესა კოსტაინსა, და გულგდებულ იყო ურვათაგან კოსტანტი კეისარი. იყო ვინმე კაცი ეფესოით და წარმოთქვა წინაშე მეფისა ვითარმედ ქრისტიანენი იგი ჰრომნი და ყოველნი ჰინდონი და, ვისცა ვის აქვს შჯული იგი ახალი ქრისტეს წმიდისა, **ძალითა ჯვარისათა და მისითა სასოებითა სძლევენ მტერთა ძლიერად.** მას ჟამსა აღიძრა მეფე გუნდებითა და წარავლინა მოყვანებად ეპისკოპოსთა იერუსალიმით, ანტიოქიაით, ჰრომით და ალექსანდრიაით და **ნათელ-იღო მან თავადმან და დედამან მისმან ბანაკითურთ**“.[125]) ამ ადგილს მ. კალ. ცინცაძე ასე განმარტებს: „ჩვენ თუ დავაკვირდებით ზემო მოყვანილ ად-

---

[124]) თუმცა თვისი სიყვარული ქრისტიანობისადმი კონსტანტინემ მრავალ გზის დაამტკიცა მთელ თვის მეფობის განმავლობაში, მაგრამ მონათვლით კი უკანასკნელ წლამდე არ მონათლულა. 337 წელს სამოცდა ოთხი წლის მეფე მძიმეთ ავად გახდა ნიკომიდიის სასახლეში, მოიწვია მღვდელ-მთავარნი და ნათელ-იღო. იმავე წელს 20 მაისს იგი გარდაიცვალა. ნახ. Робертсонъ, Исторія хр. Церкви. т. I, стр. 198.

[125]) ქრონიკები I, გვ. 27.—შეად. ე. თაყაიშვილი, სამი ისტ. ხრონიკი. გვ. 12-13.

გილს **ქართლის მოქცევისას,** უეჭველად მივალთ ამ დასკვნაზე, რომ აქ ჩვენი მემატიანე გვეუბნება კონსტანტინე დიდის მაქსენტიესთან ბრძოლაზედ, რომელიც მოხდა 312 წელს. ამ წელს კონსტანტინე-დიდმა მართლადაც რომ **ნათელს იღო,** ე. ი. ჰაერში სასწაულებრივი ჯვარის გამოცხადების შემდეგ საქმით დაამტკიცა,, რომ იგი არის სულით და გულით ჭეშმარიტი ქრისტიანი". [126])

ამავე ფაქტს წმ. ნინოს „ცხოვრების" შატბერდისეული ვარიანტი ასე მოიხსენებს: „მოხედა უფალმან საბერძნეთსა და ჰრწმენა მეფესა კონსტანტინეს და ქრისტე აღიარა მან და დედამან მისმან, და ყოველმან პალატმან მათმან, დასაბამითგან წელთა ხუთ-ათას ოთხას ორმეოც და ოთხსა, ხოლო ქრისტეს ამაღლებითგან სამას და ათერთმეტსა, და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტიანობასა. და მეშვიდესა წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას". [127])

ამ ადგილსაც მ. კ. ცინცაძე ფრიად სარწმუნო განმარტებას აძლევს: „თვით ის გარემოებაო,—ამბობს იგი,—რომ **ჰრწმენა მეფესა კონსტანტინეს** არ იძლევა არავითარ განსაზღვრულ ცნობას. საიდან უნდა სცოდნიყო მემატიანეს, თუ როდის ჰრწმენა მეფესა კონსტანტინეს? ქრისტესადმი რწმენის ნაბერწკალი კონსტანტინეს მაშინაც კი უღვივოდა გულში, როცა მოაშორეს დედას და მძევლად გაგზავნეს დიოკლეტიანეს სასახლეში. მაგრამ როდის გადაექცა ეს ნაბერწკალი სულის და გულის განმატფობელ და განმანათლებელ ცეცხლად,—ეს, ვეჭობთ, სცოდნოდეს ანუ იცოდეს ვინმემ, მაშასადამე, თუ გვინდა გავიგოთ დედა-აზრი ამ ადგილისა, უნდა მოვძებნოთ ნიკეას კრებამდის კონსტანტინე დიდის ცხოვრებაში ისეთი საქმენი და შემთხვევანი, საიდამაც ცხადად სჩანდეს, რომ **კონსტანტინეს ჰრწმენა ქრისტე და აღიარა იგი.** ამგვარი შემთხვევა ჩვენ ერთი ზევით დავასახელეთ,—

---

[126]) ნახ. „ივერია" 1893 წ. № 159, გვ. 2, სვრ. 3.—შეად. ე. თაყაიშვილი, ახალი ვარიანტი... გვ. XIX, შენ. 1.

[127]) „ახალი ვარიანტი..." გვ. 13-14.

ეს ბრძოლა მაქსენტისთან, როდესაც კონსტანტინე დიდმა შექმნა ჯვარი დროშად (labarum) თავის ლაშქრისა და თანამებრძოლის დამარცხების შემდეგ ბრძანა აღეგოთ მისთვის, კონსტანტინესთვის, ძეგლი რომს ჯვარით ხელში... ხოლო თუ მივაქცევთ ყურადღებას იმას, რომ მას შემდეგ, რაც კონსტანტინემ დედით და პალატიტურთ აღიარა ქრისტე, **წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტიანობასა**, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ **ახალი გარიანტი** გვეუბნება მილანის ედიქტზედ 313 წელსა".[128]).

განმეორებით ვიტყვით, რომ, თუ გვსურს აღნიშნულ ადგილებში რაიმე ისტორიული აზრი ვნახოთ, მათ უსათუოთ ისეთი განმარტება უნდა მივცეთ, როგორსაც მამა კ. ცინცაძე იძლევა. მაგრამ დასკვნა, რომელიც აქედან თვით ამ ისტორიული წყაროების შემდენელთა გინდ რედაქტორთა შესახებ გამომდინარებს, სრულიად უმნიშვნელოდ და ისტორიისათვის გამოუსადეგრად ჰხდის ყველა იქ ნაჩვენებ **თარიღებს და წელთა რაოდენობას**. როგორც ვხედავთ, ამ წყაროთა ავტორებს (=რედაქტორებს) არ ცოდნიათ არც ის, თუ საიდან იწყებენ ბერძნები წელთა სათვალავს: ქრისტეს დაბადებიდან, თუ ამაღლებიდან, და არც ის, რომ **„მოქცევა"** (=„რწმენა," „აღსარება") და **მონათვლა** კონსტანტინესი სხვა და სხვა დროის ფაქტები იყო, რომელთაც მთელი 24 წელი აშორებს ერთმანეთს. მსგავსისავე უცოდინარობით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოებაც, რომ წმ. ნინოს „ცხოვრების" შატბერდისეული ვარიანტი რიფსიმიანთა „სივლტოლას" საბერძნეთიდან პირველი მსოფლიო კრების მეორე წელს დასდებს, ე. ი. ჩვეულებრივათ თუ ვიანგარიშეთ, 325+1=326 წ., ხოლო თუ თვით „ცხოვრების" თარიღებს მივყევით, 311+8=319 წელს. აი თვით ეს ადგილი: „მეშვიდესა წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას, და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩვენი (ნინო ლაპარაკობს) საბერძნეთსა, რიფსიმე დედოფალი და

---

[128]) „ივერია" 1893 წ. № 159, გვ. 2, სვრ. 5 და გვ. 3, სვრ. 1.

გაიანე დედა-მძუძე და ორმეოცდაათი სული წარმოვემართენით თთვესა პირველსა, ათხუთმეტსა.“ [129]) აქ, რასაკვირველია, ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ შატშერდისეული ვარიანტი რიფსიმიანთა საბერძნეთიდან გამოქცევას ისეთს დროს მიაწერს, როცა რომის საიმპერატორო ტახტზე ქრისტეს ტრფიალი და ქრისტიანთა მფარველი კონსტანტინე ბრწყინავდა, — რაც, ცხადია, აბსურდია, მით უმეტეს, რომ თვით სომხური წყაროები, საიდანაც აღნიშნულ ვარიანტში ეს თქმულებაა შემოტანილი, წმ. რიფსიმიანთა გამოქცევის მიზეზად დიოკლეტიანე მეფის დევნას აღიარებს და არა კონსტანტინეს მეფობას. [130]) ჩვენ უკვე ნათქვამი გვაქვს, რომ აღნიშნული თქმულება მერმინდელ ჩანამატს წარმოადგენს სწორეთ ისე, როგორც ნინოს მშობლების შესახები თქმულებაც მერმანდელი ჩანამატია. სამწუხაროთ, ეს ყალბი თქმულება „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაშიაც შეპარულა, თუმცა ისე მოხერხებულათ კი ვერა, როგორც წმ. ნინოს „ცხოვრების“ აღწერაში; მაგრამ ამ უხერხული შეპარვითაც ძლიერ გაურყვნია და აურევია წმინდა ადგილობრივი თქმულება ნინოს ვინაობისა და ქართლად მოსვლის მიზეზის შესახებ. როგორც რუფინის მოთხრობიდან ვიცით, თვით ქართველები წმ. ნინოს უყურებდენ როგორც „mulier quaedam captiva“-ს, ე. ი. „**ტყვე ვინმე** დედაკაცს“ და, მაშასადამე, ქართლად მისი მოსვლის მიზეზადაც **ტყვეობას** სთვლიდენ და არა სხვას რასმე. და „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაც არ უარჰყოფს, რომ ქართველთა განმანათლებელი იყო „**ტყეშე ერთი** დედაკაცი შვენიერი, სახელით ნინო,“ თუმცა ამ ცნობას ისეთნაირათ აქსოვს რიფსიმიანთა ლტოლვის ამბავს, რომ ერთის შეხედვით გაგიჭირდებათ გაიგოთ, თუ რა სურდა ქრონიკის შემდგენელს ამითი ეთქვა. მაგრამ, როცა ჩააკვირდებით და

---

[129]) ახალი ვარიანტი... გვ. 14.

[130]) ამაზე ვრცლათ იხ. ივ. ჯავახიშვილის წერილი. „მოამბე“ 1900 წ. VI, გვ. 24-26. აქვე აღნიშნულია თვით სომხურ წყაროთა თქმულების სიყალბეც რიფსიმიანთა ლტოლვის შესახებ.

გაითვალისწინებთ, რომ ყველა დანარჩენი სიტყვები, რომელნიც ამ ექვს სიტყვას აკრავს გარშემო, გვიანდელს მონაყარ სილას წარმოადგენს,-მაშინ ნათლათ წარმოგიდგებათ თვით ამ ობოლი მარგალიტის აზრი და მნიშვნელობა. „ქართლის მოქცევა“ ამბობს:

„მით ჟამითგან,—ე. ი. ჩვენის განმარტებით 312—313 წლიდან, ხოლო თვით ქრონიკის თქმით 310 წლიდან,—მეათესა წელსა წარვიდა ჰელენე იერუსალიმად ძიებად პატიოსნისა ჯვარისა და მეათოთხმეტესა წელსა **ივლტოდა დედაკაცი ვინმე მეფეთა ეგვიპტელი, სახელით რიფსიმე,** რომლისამე მიზეზისათვის, დედა-მძუძეთურთ; **და იყო მისთანა ტყვე ერთი დედაკაცი შუენიერი, სახელით ნინო,** რომლისა საქმე მისი გამოიძია ჰელენე დედოფალმან..., და მოძღვრიდა მთავარსა მას რიფსიმეს. და ვითარცა წარმოივლტოდა რიფსიმე ზღუად, გაიანე და ნინო და სხუანი ვინმე მათთანა გამოვიდეს არეთა სომხითისათა, საყოფელსა თრდატ მეფისასა, და იგინი იმარტვილნეს მუნ; ხოლო ნინო დაშთა და წარმოემართა მთათა კერძო ჩრდილოჲსათა, და მოვიდა მდინარესა მტკუარსა, მოჰყვა და მოვიდა მცხეთად, ქალაქსა დიდსა, მეფეთა საჯდომელსა.“ [131])

საკმავია, ეს ადგილი რუფინის მიერ შენახულს უუძველეს ქართულ თქმულებას შევუდაროთ, რომ გადაჭრით გავიგოთ, თუ რას უნდა მიეწეროს, რომ ამ ნაწყვეტში წმ. ნინო „ტყვედაც“ არის წოდებული და რიფსიმეს მეგობარ-მასწავლებლადაც: ცხადზედ უცხადესია, რომ იმ პირველ ადგილობრივს თქმულებაში, რომელიც წინეთ „ქართლის მოქცევის“ ამ ადგილას ყოფილა მოთავსებული ან, უკეთ რომ ვთქვათ, რომლითაც აღნიშნული ადგილის შემდგენელს უსარგებლნია, წმ. ნინო მხოლოდ „ტყვედ“ ყოფილა ცნობილი; მაგრამ ქრონიკის შემდგენელს, თუ რედაქტორს, ხელში ჩავარდნია მერმინდელი სომხურ-ქართული

---

131) ქრონიკები I, გვ. 27-29.

თქმულება წმ. ნინოსა და რიფსიმიანთა მეგობრობის შესახებ,— და აი დღეს ჩვენს წინ ძევს ფრიად საგულისხმო ნიმუში იმისი, თუ რას ნიშნავს, როცა ადგილობრივს სარწმუნო გარდამოცემას სხვა ყალბ თქმულებას უკრიტიკოთ უერთებენ. როგორც ეტყობა, ქრონიკის შემდგენელს, თუ რედაქტორს, ვერ გაუბედნია უარყოფა იმ წმინდა ქართული თქმულებისა, რომელშიაც ნინო „ტყვედ“ ყოფილა წოდებული, მაგრამ, მეორე მხრით, ნასესხები თქმულებაც სარწმუნოდ მიუღია და, რამდენათაც შეძლება ჰქონებია, ერთმანეთზე მიუწებებია, თუმცა იმდენათ უშნოთ და უხერხულათ კი, რომ მკვლევარი ძლიერ ადვილათ ხვდება, თუ რა არის აქ პირვანდელ-ადგილობრივი და რა არის შემდეგში შეთხზულ-მინამატი.

მაგრამ, როგორც აღნიშნული ნაწყვეტის შინაარსი გვიჩვენებს, რომ ქრონიკის ავტორს ნინოს „ტყვეობის“ შესახები ადგილობრივი თქმულება, რიფსიმიანთა ყალბ ისტორიის გარდა, სხვა საეჭვო თქმულებითაც შეუზავებია, სახელდობრ იმ თქმულებით, თითქოს წმ. ნინო ელენე-დედოფალს საქართველოში მოსვლამდე გაცნობოდეს, რიფსიმე-დედოფალთან ყოფნის დროს. თუ გვსურს ამ თქმულების ნამდვილი მიზეზი და მიზანი გავიგოთ, საჭიროა „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაში ცოტა ქვევით დავიწიოთ და ის ადგილი მოვიგონოთ, სადაც ნათქვამია, რომ საბერძნეთიდან მობრუნებულმა ელჩებმა წმ. ნინოს ელენე დედოფლისაგან წერილი და ძელიჭეშმარიტის ნაწილი მოუტანეს.[132]) საბუთი არა გვაქვს ამ უკანასკნელი თქმულების შესაძლებლობა და სინამდვილე უარვყოთ. პირიქით, თუ მართალია ის ამბავი, რომ უკვე წარმართობის დროს რომის იმპერატორები განსაკუთრებულის ყურადღებით ეექცეოდენ ზოგიერთ ქართველთა მეფეებს და დედოფლებს, უშენებდენ მათ ციხე-სიმაგრეებს,[133])

---

[132]) ქრონიკები I, გვ. 31.

[133]) ნახე წარწერა ბერძნული 1867 წელს მცხეთის მახლობლათ ნაპოვნ ქვაზე. Натроевъ, Мцхетъ и его соборъ Св.-Цховели. стт. 15-16.

ნებას აძლევდენ რომის ტაძრებში მსხვერპლი შეეწირათ და იმავე ტაძრებში პატივის ნიშნად ძეგლს უდგამდენ,[134]) არ ვფიქრობთ ნაკლების პატივით და აღტაცებით შეგებებოდენ ქართველთა მოქცევის ამბავს ქრისტეს თაყვანისმცემელი იმპერატორი კონსტანტინე და მაღალი სათნოებით შემკული დედა-მისი, ელენე-დედოფალი. ამიტომ ადვილათ შესაძლოა, ქრონიკის შემდგენელს ხელთ ქონებოდეს წერილობით ან გარდამოცემით შენახული თქმულება იმაზე, რომ საბერძნეთიდან მობრუნებულმა ელჩებმა ქართველთა განმანათლებელს, სხვათა შორის, ელენე დედოფლის წერილიც მოუტანესო, მაგრამ, რომ ამ თქმულებისათვის უფრო მეტათ სარწმუნო ხასიათი მიეცა, მას საჭიროდ დაუნახავს საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს ელენე დედოფალს წმ. ნინო საქართველოს გარეთაც ცნობებოდეს, სახელდობრ, რიფსიმეს სახლში. ამავე მიზნით უნდა აიხსნებოდეს, რა თქმა უნდა, ის გარემოებაც, რომ ჯვარი-პატიოსანის საძებნელათ ელენე-დედოფალს ქრონიკის ავტორი (=რედაქტორი) ძლიერ ადრე ამგზავრებს იერუსალიმში (320 ან 323 წელს) და ამას შემდეგაც ცოცხლად სთვლის მას მთელი 11 თუ 12 წლის განმავლობაში.[135]) ცხადია, ქრონიკის ავტორი (=რედაქტორი) ცდილობს იმ ისტორიულ ცნობებს და თქმულებებს, რომელთაც იგი თავის ქრონიკაში ათავსებს, შესაფერი თარიღები მოუძებნოს და თვის მოთხრობას მტკიცე ხასიათი მისცეს, მაგრამ თითქმის ყოველ ნაბიჯზე მარცხდება, რადგან მსოფლიო ისტორიის ფაქტთა თარიღების სწორი ცოდნა არ მოეპოება. მიუხედავათ ამისა, „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა დღეს ერთად-ერთი ისტორიული წყაროა, რომლის გარეშეც ყოვლად შეუძლებელია ქართველთა მოქცევის ქრონოლოგიის დადგენა; საჭიროა ამ წყაროში მკვლევარი მხოლოდ იმ საისტორიო ცნობებს დაემყაროს, რომელსაც აღნიშნული ქრონიკა **უმთა-**

---

[134]) სახეში გვაქვს დიონ-კასიუსის თქმულება მეფე ფარსმანსა და იმის მეუღლეზე. Ганъ, Извѣстія... I, стр. 173-174.

[135]) ქრონიკები I, გვ. 27-31.

**ვრეს მოქმედებათა და ისტორიულ გარემოებათა** შესახებ იძლევა, და სრულიად გვერდი აუხვიოს იმ **ქრონოლოგიურ ცნობათა: თარიღებსა და წელთა რაოდენობას**, რომელნიც, თვისი დანიშნულების მიხედვით, ისტორიულ ცნობების გარკვევას და შეგნებას უნდა აადვილებდენ, ნამდვილათ კი — უფრო მეტათ აბნელებენ მათ და გაუგებრად ჰხდიან. ეს უნდა ითქვას უმეტესათ იმ თარიღებზე, რომელნიც ისეთს დროს შეეხებიან, როცა წმ. ნინო საქართველოს გარეშე იმყოფებოდა, რადგან ეს ისეთი ხანაა, რომლის შესახებაც ჩვენ არავითარი სარწმუნო ისტორიული ცნობა არ მოგვეპოვება. ერთ ამგვარ თარიღად უნდა ჩაითვალოს ის „ათოთხმეტი წელი“, რომელსაც, **ქართლის მოქცევის** ქრონიკით, ვითომც კონსტანტინე იმპერატორის „ბრძოლის ღვაწლსა“ და რიფსიმიანთა „სივლტოლას“ შორის უნდა გაევლოს (310+14=324 წ.).

სრული სისწორით შენიშნავს ბ-ნი ე. თაყაიშვილი, რომ „ქართლის მოქცევის“ ქრონიკასა და წმ. ნინოს „ცხოვრების“ შატბერდისეულ ვარიანტში უმთავრესი ფაქტების ქრონოლოგია ნინოს საქართველოში შემოსვლაზეა დამყარებული, ხოლო ამ უკანასკნელის დროდ კი-წმ. ნინოსი და მის თანამგზავრთა, რიფსიმიანთა, საბერძნეთიდან სომხეთს წამოსვლაა აღსარებული, ესე იგი „ქართლის მოქცევის“ ქრონიკით 310+14=324 წელი, ხოლო წმ. ნინოს „ცხოვრებით“ — 311+14=325 წელი[136]).

ამ წელს უმატებენ 4 წელს, რომელმაც, „ქართლის მოქცევით“, წმ. ნინოს მცხეთად მოსვლიდან ქადაგების დაწყებამდე განვლო,[137]) და ღებულობენ ამ უკანასკნელის თარიღს: (310+14)+4=328 ანუ (411+14)+4=329 წ.; უმატებენ 6 წელს და ღებულობენ ნანა დედოფლის მოქცევის ქრონიკონს: 324+6=330 ან 325+6=331 წ.; უმატებენ 7 წელს და ღებულობენ მირიან მეფის მოქცევის წელიწადს:

---

[136]) ნახ. „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“, წინასიტყვაობა, გვ. XVIII—XIX და XXIII—XXV. შეად. იქვე გვ. 30.

[137]) ნახ. ქრონიკები I, გვ. 29.

324+7=331 ან 325+7=332 წ; უკანასკნელ, უმატებენ ერთ წელსაც, რომელსაც სამღვდელოების მოსვლამდე უნდა გაევლო, და ღებულობენ ქართველთა მონათვლის თარიღს: 331+1=332 ან 332+1=334 წელს 138).

მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ისტორია წმ. ნინოს ცხოვრებისა საქართველოს გარეშე ბნელით მოცულია და გაურკვეველი, რომ იგი **ტყვედ** იწოდება როგორც ლათინურსა და ბერძნულ წყაროებში, ისე თვით „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაში, და რომ ცნობა ამ უკანასკნელი წყაროსი რიფსიმიანთა **„სიგლტოლის“**, შესახებ 310-წლითგან „მეათოთხმეტესა წელსა“ ე. ი. 324 წელს, მერმინდელი ჩანამატია, ისე როგორც მერმინდელია რიფსიმეს სახლში წმ. ნინოსი და ელენე დედოფლის ერთმანეთთან გაცნობა. მაშასადამე, ყოვლად შეუძლებელია „ქართლის მოქცევის“ ავტორს თუნდ რედაქტორს მივბაძოთ და ქართველთა მოქცევის ქრონოლოგია რიფსიმიანთა **სიგლტოლის თარიღზე** დავამყაროთ, რომელიც ყველა თარიღებზე უფრო სუსტია და ნაკლებ სარწმუნო.

რაც შეეხება მ. კ. ცინცაძის სინქრონოლოგიურ დატებს ქართველთა მოქცევისა და წმ. ნინოს ცხოვრების შესახებ, იგინი თავისთავათ მეტად მწყობრად არიან ჩამოკინძულნი, მაგრამ, **როგორც ამაგე რიფსიმიანთა „სიგლტოლის“ თარიღზე დამყარებულნა**, აღძრული კითხვის განმარტებაში ვერავითარ სამსახურს ვერ გაგვიწევენ.[139]) მამა კალ. ცინცაძის წერილი წარმოადგენს ბ-ნ ალ. ხახანაშვილის თარიღების შესწორებას, თუმცა საფუძველი ამ უკანასკნელისაც იგივეა, რაც პირველისა, სახელდობრ: **რიფსიმიანთა სიგლტოლის თა-**

---

138) ე. თაყაიშვილი: ახალი ვარიანტი., გვ. XXV.

139) „თუ შევკრებთ ერთად ყოველსავე ზემოდ თქმულს,—ამბობს მ. კ. ცინცაძე,—მაშინ წმ. ნინოს ცხოვრების მეორე ნახევრის ქრონოლოგია უნდა განვსაზღვროთ ამნაირად: ლტოლვა წმიდასი საბერძნეთით მოხდა 326 წელს, მისვლა ქართლად 326 წელს, მოღვაწეობდა საქართველოში 13 წელს...“ და სხვ. ნახ. „ივერია“, 1893 წ. № 159, გვ. 3, სვრ. 3-5.

**რიდზე დამყარებული** ქრონოლოგიური ცნობა „ქართლის მოქცევისა“ წმ. ნინოს გარდაცვალების შესახებ[140]). ამიტომ, რაც ითქვა მ. კ. ცინცაძის ქრონოლოგიაზე, იგივე უნდა ითქვას ბ. ალ. ხახანაშვილის თარიღებზედაც.

„ქართლის მოქცევას“ რომ ზემოთ დასახელებული, შემდეგ ჩანამატი, ორი თქმულება გამოვაკლოთ და ყველა მის თარიღებზედაც ხელი ავიღოთ, — მაშინ ხელთ დაგვრჩება უმთავრეს ისტორიულ ფაქტთა და ღირსშესანიშნავ გარემოებათა შემდეგი საგულისხმო თანდათანობა:

ა) **დვაწლი ბრძოლისა** იმპერატორის კონსტანტინესი და ძლევა „ჯვარითა“ მტერთა ზედა, ე. ი. მაქსენტის დამარცხება 312 წელს;

ბ) შემდეგ, ამ ფაქტთან მჭიდროთ შეკავშირებული **მოქცევა** კონსტანტინესი ბანაკითურთ და ქვეშევრდომთა უმრავლესობით, ან, როგორც ნინოს „ცხოვრება“ ამბობს: „რწმენა მეფესა კოსტანტინეს... და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტიანობასა“, ე. ი. მილანის ედიქტი 313 წელსა;

გ) დაახლოვებით იმავე დროს მცხეთაში **ტაძედ** მყოფის დეკანაკის ნინოს-მიერ ქადაგების დაწყება; რამოდენისამე ხნის შემდეგ დედოფლის განკურნება და რწმენა; შემდეგ კი — თვით მეფის მოქცევაც და ეკლესიის აშენება;

დ) უკანასკელ, სამღვდელოების გამოსათხოვად კონსტანტინესთან მოციქულების გაგზავნა; მოსვლა სამღვდელოებისა, თან ელენე დედოფლის წერილისა და ძელი-ჭეშმარიტის ნაწილების მოტანა; ნათლისღება მეფისა, დედოფლისა, სამეფო სახლისა და, ბოლოს, „ყოველი ქართლისაც“.

საყურადღებოა, რომ ამ გვარათ გაცხრილული ცნობები „ქართლის მოქცევისა“ სავსებით ეთანხმება როგორც მსოფლიო ისტორიის უმთავრეს ფაქტთა თანდათანობას, ისე რუფინისა და რამოდენათმე მოსე ქორენელის თქმულებათაც ივერთა მოქცევის შესახებ. აქედან კი თავისთავათ ცხადდება,

---

[140]) Источники... გვ. 42. შეად. „ივერია“ 1893 წ. № 159, გვ. 1, სვრ. 3 და სხვანი.

თუ რას უნდა დაემყაროს მკვლევარი ქართველთა მოქცევის ქრონოლოგიის დადგენის დროს: „ქართლის მოქცევის“ **რიცხვებს-თარიღებს,** რომელნიც ისე არეულნი არიან და ეწინააღმდეგებიან როგორც ერთი მეორეს, ისე მსოფლიო ისტორიის მიერ დადგენილ თარიღებს, თუ—იმავე წყაროში მოთავსებულ **ისტორიულ ცნობათა** კრიტიკულათ შესწავლისა და გაცხრილვას?..

ჩვენ დაგვრჩენია ახლა, ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის თარიღს შევეხოთ.

როგორც ნათქვამი გვაქვს, ამ მკვლევარის აზრით, „ქართველების ერთმა ნაწილმა მეფის სახლობითურთ ქრისტიანობა 337 წლის ახლო ხანებში მიიღო“.[141]) მაგრამ პატივცემული მკვლევარი გარკვევით არ ასახელებს, თუ **სახელდობრ რომელ წელში** მოხდა ეს ამბავი და არც იმ **საფუძველს** გვიჩვენებს, რომელზედაც მას ეს საზოგადო დასკვნა აქვს დამყარებული. მართალია, იმ ქართულ, სომხურ და ბერძნულ მასალებ შორის, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის შემოღებას შეეხება, იგი ყველაზე მაღლა „ქართლის მოქცევის“ **საისტორიო ცნობებს** აყენებს,[142]) მაგრამ იმავე წყაროს **თარიღებს** შესახებ კი ფრიად სკეპტიკური შეხედულებისაა. მისი აზრით, არც წმ. ნინოს „ცხოვრების“ შატბერდისეულ ვარიანტის და არც „ქართლის მოქცევის“ თარიღებს „ისტორიისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს“.[143]) ცხადია, ამ სიტყვების მთქმელი საკუთარი ქრონოლოგიის დადგენის დროს ამ თარიღებით აღარ იხელმძღვანელებდა, და ამიტომ ჩვენ არ ვიცით, თუ რამ აიძულა მკვლევარი ქართველთა მოქცევის თარიღი იმპ. კონსტანტინეს სიკვდილის წელზე (337 წ.) გადაეტანა. რუფინი და არც სხვა ბიზანტიელნი მწერალნი ხომ ამის შესახებ არას ამბობენ?!. პირიქით, მათი სიჩუმე კონსტანტინოპოლისა და ბერძნების შესახებ ნუ-

141) „მოამბე“ 1900 წ. № VI, გვ. 33.

142) იქვე გვ. 33.

143) „მოამბე“ 1900 წ. № V, გვ. 67 და 68.

თუ მცირეოდენათ მაინც არ ასაბუთებს იმ მოსაზრებას, რომ იმ პირს, სახელდებრ ბაკურ-მეფეს, რომლის ნათქვამზედაც ყველა მათი ცნობებია დამყარებული, გადაჭრით ვერაფერი უთქვამს, კონსტანტინოპოლში იყო უკვე გადმოსული იმპერატორი კონსტანტანე, როცა მას ქართველებმა მოციქული გაუგზავნეს, თუ სატახტო ქალაქად ჯერ ისევ რომი ჰქონდა.[144]) ამ აზრს არ არღვევს არც „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა, სადაც თუმცა საბერძნეთი ნახსენებია, მაგრამ კონსტანტინოპოლის შესახებ კი ერთი სიტყვაც არაა ნახმარი.[145]) ესევე უნდა ითქვას წმ. ნინოს შატბერდისეული „ცხოვრების“ შესახებ. მართალია, აქ ერთ ადგილას ნახსენებია კონსტანტინოპოლი, მაგრამ ეს სახელი ნახმარია მხოლოდ „ჰრომის პატრიაქისაგან“ წიგნის მიღების შემდეგ, ე. ი. გაცილებით უფრო გვიან ქართველთა **მოქცევისა** და საბერძნეთიდან **სამღვდელოების მოსვლისა**; ამავე დროს თვით ეს ადგილიც ძლიერ საეჭვო ღირსების ცნობას წარმოადგენს, სახელდობრ ნინოს მამის მიერ მოქცეულ „ბრანჯთა“ მთავარ დიაკონზე მოგვითხრობს,[146])—ე. ი. დაახლოვებით ისეთსავე ზღაპარს იმეორებს, როგორიც რიფსიმიანთა სივილტოლის ამბავია, რითაც თავისთავათ ცხადდება ამ ადგილის სიყალბე და მერმინდელი ჩამომავლობა.—არა ნაკლებ საყურადღებოა

---

[144]) ნახ. **Источники**... გვ. 6. 8. 10. 11. აქ ყველგან ნახმარია სიტყვები: რომის იმპერია („**Romano imperio**“), რომაელები, რომის მეფე (=კონსტანტინე),—და არც ერთგან—სიტყვა: ბერძენი, საბერძნეთი ან კონსტანტინოპოლი.

[145]) ქრონიკები I, გვ. 31.

[146]) „ახალი ვარიანტი...“ გვ. 54-55: „მათ დღეთა შინა მოიწია წიგნები ჰრომით პატრიარქისაი ნეტარისა სინოისა და მირიან მეფისა და ყოვლისა ერისა ქართველისა და მოევლინა **ბრანჯი** მთავარ-**დიაკონი**... და ჰქონდა წიგნები **ბრანჯთა** **მეფისა** ნეტარისა ნინოისა, რამეთუ მოენათლნეს იგინი მამასა მისსა ზაბილოვნს და ესე ყოველი მოსმენილ იყო მათა იერუსალიმით, ჰრომით და **კოსტანტინოპოლით**, ვითარმედ ქვეყანასა მას ჩრდილოისასა მიწევნილ არს მზე იგი სიმართლისაი, ნათელი მამისა მიერ მოსრული ქრისტე.“—შეადარე იქვე გვ. 43-44 და 50.

ის გარემოებაც, რომ სომხის ისტორიკოსი მოსე ქორენელი, ან. უკეთ რომ ვთქვათ, მისი სახელით ცნობილი „ისტორია სომხეთისა“, ქართველთა მოქცევას კონსტანტინოპოლის აშენებაზე გაცილებით უფრო ადრე მოიხსენებს.[147]) ნუთუ ყოველივე ეს მცირეოდენათ მაინც არ ამართლებს იმ ისტორიულ ჰიპოტეზას, რომ იმ დროს, როცა მირიანი მოიქცა და ქართველებმა კოსტანტინესაგან სამღვდელოება მიიღეს, კონსტანტინოპოლი ჯერ კიდევ აუშენებელი იყო, მაგრამ უმთავრესი რეზიდენცია კონსტანტინესი რომის იმპერიის აღმოსავლეთის ნაწილში იყო გადმოტანილი, სადაც ბერძნული ელემენტი ჭარბობდა. ამ რიგათ, ჩვენ თანდათან ვუახლოვდებით იმ წელს, როდესაც, „ქართლის მოქცევის“ **ისტორიული ცნობების** (და არა თარიღების) თანახმათ, ქართველებს **სამღვდელოება უნდა მიეღოთ** იმპერატორის კონსტანტინესაგან. ლებოს ანგარიშით, კონსტანტინემ ძველი რომი სამუდამოთ დასტოვა 326 წელს, ხოლო კონსტანტინოპოლის აშენებას შეუდგა 328 წელს და გაასრულა 330 წელს.[148]) ამავე თარიღებს სდებს კონსტანტინოპოლის აშენების დროდ ოსკარ იეგერიც.[149]) ხოლო ბროკგაუზის ლექსიკონით კონსტანტინუპოლის საფუძველი ჩაიყარა 20 ნოემბერს 326 წელს.[150]) ცხადია, მაშასადამე, რომ საბერძნეთიდან საქართველოში სამღვდელოების მოსვლა 326 წლის 20 ნოემბერზე გვიან ველარ მოხდებოდა. და „ქართლის მოქცევაც“ მოწმობს, რომ იმ დროს, როცასაბერძნეთიდან სამღვდელოება მოვიდა, ჯვარი პატიოსანი აღმოჩენილი იყო (326 წ.) და ელენე დედოფალი კი ცოცხალიო: „და მისცა მეფემან კონსტანტინემ იოვანე

---

[147]) Исторія Арменіи Моис. Хоренскаго. Нов. пер. Эмина. 1893 г. შეად. გვერდები 132 და 135, ანუ §§ 86 და 88.

[148]) Hist. du Bas-Empire. I, p. 295-196.

[149]) Оск. Іегеръ, Всеобщ. Исторія. т. I. Спб. 1894 г. стр. 574-575.

[150]) ნახ. „Энциклопед. Словарь“ Брокг. и Ефрона. სიტყვა: „Константинополь“.

ეპისკოპოსი და ორნი მღვდელნი და ერთი დიაკონი, **და წიგნი ელენე დედოფლისაჲ და ხატი მცხოვრისაჲ და ძელიცხოვრებისაჲ ნინოჲსთვის**".[151]) მცირეოდენს დაბრკოლებას აქ მარტო იმაში ვპოებთ, რომ ელენე დედოფლის გარდაცვალების თარიღი თვით მსოფლიო ისტორიაში ვერ არის ჯერ კიდევ საბოლოოთ დადგენილი. ბარონიუსი, ფლერი და Bouillet ჯვარი-პატიოსანის აღმოჩენის წლად ერთხმათ 326 წელს თვლიან,[152]) მაგრამ ესევე არ ითქმის ელენე დედოფლის გარდაცვალების ქრონოლოგიაზედაც. ბარონიუსით ელენე დედოფალი გარდაიცვალა იმავე წელს, როცა ჯვარი აღმოაჩინა, ე. ი. 326 წელს[153]), ბროკგაუზის ლექსიკონით ელენეს გარდაცვალება მოხდა 327 წელს,[154]) ხოლო Bouillet-ის „მსოფლიო ლექსიკონით" ეს ფაქტი ეკუთვნის 328 წელს.[155]) ცხადია, ელენეს გარდაცვალების ქრონოლოგია 326 — 328 წლებ შუა ტრიალებს; და, ამიტომ, თუ გვსურს უკიდურეს შეცდომაში არ ჩავვარდეთ, საბერძნეთიდან საქართველოში სამღვდელოების მოსვლის წლად ის 326 წელი უნდა აღვიაროთ, რომლის ადრეც ელენე დედოფლის სიკვდილს არც ერთი ზემოთ დასახელებული წყარო არ იხსენიებს. ამავე წელს უნდა ეკუთვნოდეს მეფის, მისი სახლობისა და მცხეთელ ქართველების **ნათლისღებაც**.

ამას შემდეგ ადვილი გამოსაანგარიშებელია, თუ რომელ წელს უნდა მომხდარიყო მეფის **რწმენა** და ერის **მოქცევა**, ანუ თანხმობის გამოცხადება ახალი სარწმუნოების მიღებაზე, რომელსაც ქართული და ბიზანტიური წყაროები ერთნაირათ მოგვითხრობენ. რუფინისა და „ქართლის მოქცევის" მოწმო-

---

151) ქრონიკები. I, გვ. 31.

152) Lebeau, loc. cit. I, p. 274; Натроевъ, Мцхетъ и его соборъ Свети-Цховели. стр, 160; Bouillet, „Dictionaire universaille..." Paris. 1861. ნაწილი I, გვ. 800.

153) ნახ. Lebeau, Hist. du B.-Empire. t. I, p. 274, არშიაზე.

154) ნახ. სიტყვა „Елена".

155) Diction. Univers." t. I, p. 800.

ბით, ქართველთა მეფემ მოციქული კონსტანტინესთან მხოლოდ **ეკლესიის აშენების შემდეგ გაგზავნა,**[156]) ხოლო ეკლესიის აშენებას, როგორც რუფინი გადმოგვცემს, წინ-ურბოდა **ერის „მოქცევაც“** წმ. ნინოსა და მეფე-დედოფლის ქადაგებით და ჩაგონებით.[157]) უკეთუ ამ ორს ფრიად მნიშვნელოვან საქმეს (ერის ჩაგონებას და ეკლესიის აშენებას) სულ მცირე ორ-წელიწადნახევარს მაინც დავუთმობთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ მირიანის **მოქცევა** 323 წლის მეორე ნახევარში უნდა მომხდარიყო; მაშასადამე მეფე-დედოფლისა და ნინოს ჩაგონებით ერის მხრივ თანახმობის გამოცხადება არა უადრეს 324 წლის პირველი ნახევარისა, ხოლო ეკლესიის აშენება—არა უადრეს 325 წლის დამლევისა ან 326 წლის დამდეგისა, რადგან, თუ რუფინს დავუჯერეთ, ეკლესია უბრალო არ უნდა ყოფილიყო: იგი შენდებოდა „ტყვის“ მიერ ნაჩვენები გეგმის თანხმათ და „დიდებულათაო“—„magnifice“.[158])

საყურადღებოა, რომ ჩვენმიერ ნაჩვენები თარიღი მირიან მეფის **მოქცევისა** (323 წლის მეორე ნახევარი) ძლიერ უახლოვდება იმ, ალბათ, გარდამოცემით შენახულს ცნობას, რომ მირიანის თვალთ-დაბნელება ნადირობის დროს,—რომელსაც ბიზანტიური და ქართული წყაროები თითქმის ერთნაირათ გადმოგვცემენ,—**ივლისის თვის 20 რიცხვს, დღით შაბათს მოხდაო**.[159]). ოც ივლისს შაბათი 316—330 წლებ შუა მხოლოდ 323 წელს მოხვდებოდა.[160])—მსგავსადვე ყურადღების ღირსია მეორე სინქრონოგიული ცნობაც, სახელდობრ ის, რომ საჯვარე ხის მოკვეთა, რომლის ისტორიასაც, ქართულ წყაროებთან ერთათ, გაკვირთ მოსე ქორე-

---

[156]) შეად. Источники... стр. 6; ქრონიკები I, გვ. 31.

[157]) Источники... стр. 5.

[158]) ნახ. Источники... стр. 5, стрк. 25 და стр. 6, стрк. 2.

[159]) შეად. ქ.-ცხოვრება I, გვ. 117; „ახალი ვარიანტი...“ გვ. 40; აგრეთვე საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერი № 160 გვ. 87, სტრიქ. 5-8 და გვ. 274, სტრიქ. 11-13.

[160]) ნახ. თ. ჟორდანია, „ქრონიკები“ I, გვ. 30, შენიშვნა 62.

ნელიც მოგვითხრობს,[161]) წმ. ნინოს „ცხოვრების“ შატ-ბერდისეული ვარიანტის თქმით, **მარტის თვის 25-დღეს, პარასკევს, მოხდა**.[162]) აღნიშნული წყაროების მოწმობით, საჯვარე ხის მოჭრა და ჯვრის აღმართვა იმ ადგილას, სადაც დღეს ეგრეთ წოდებული ჯვარის მონასტერია (არაგვს გაღმა, მცხეთის პირდაპირ, მთაზე), მირიან მეფისა და მცხეთელთა მონათვლის შემდეგ მოხდა,[163]) ე. ი. ჩვენის ანგარიშით იმავე 326 წელს. და ქრონოლოგიური ცხრილებიც ემოწმება, რომ 25 მარტი, 323 და 330 წლებ შუა, პარასკევს მხოლოდ 326 წელს მოდიოდა.[164])

ჩვენ პირადათ მაინც და მაინც დიდს მნიშვნელობას არ ვაძლევთ ამ სინქროლოგიურ ცნობათ წმ. ნინოს „ცხოვრებისას,“ რადგან თავისთავათ იგინი არაფერს არ ამტკიცებენ, და, თუ აქ ამაზე მაინც შევჩერდით, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ ზოგიერთი ჩვენი მკვლევარის ნაწერებში შეგვხვდა ისეთი ადგილი, სადაც იმავე სინქროლოგიური ცნობის ძალით (20 ივლისი, შაბათი) მირიანისმოქცევა 334 წელს არის დადებული, ხოლო ქართველთა მოქცევა კი 335 წელს.[165]) ჩვენ გვსურდა გვეჩვენებია, რომ აღნიშნული ცნობები ჩვენს თარიღებსაც ისეთისავე (თუ არა უფრო მეტის) სისწორით ეთანხმება, როგორც იმ ავტორებისას, თუმცა თავისთავად კი, ვგონებთ, არავითარი ისტორიული მნიშვნელობა არ უნ-

---

[161]) ახალი ვარიანტი... გვ. 56-57; ქართლ.-ცხოვრება I, გვ. 128 129; შეად. **Исторія Арменіи Моис. Хоренскаго, стр. 133.**

[162]) ახალი ვარიანტი... გვ. 56: „და ესე (ხე) მოკვეთეს თვესა მარტსა კე-სა, დღესა პარასკევსა“.

[163]) უკვე ნაჩვენებ წყაროებს გარდა შეადარე კიდევ „მოქცევაი ქართლისაი“: „და ვითარცა მოვიდეს (ეპისკოპოსი და მღვდლები საბერძნეთით), ნათელი მოიღო მირეან მეფემან და დედოფალმან ღა ყოველმან სახლმან მათმან. ითხოვეს ხე, რათა შექმნან ჯვარი...“ (ქრონიკები I, გვ. 31).

[164]) თ. ჟორდანია, ქრონიკები I, გვ. 30, შენიშვნ. 62.

[165]) ნახ. მ. კალ. ცინცაძის წერილის ბოლო. „ივერია“ 1893 წ. № 159, გვ. 3, სვრ. 5.

და ჰქონდესთ.[166]) ამიტომ აღნიშნულ კითხვის გადაწყვეტაში ერთათ-ერთ გამოსადეგ ცნობად ჩვენ „ქართლის მოქცევის“ ის ადგილი მიგვაჩნია, რომელიც საბერძნეთიდან სამღვდელოების მოსვლას ჯვარი-პატიოსანის აღმოჩენის წელს მიაწერს, ე. ი. 326 წელს. მართალია, „ქართლის ცხოვრება,“ ეგრეთ წოდებული „სომხური ქრონიკა“ და წმ. ნინოს „ცხოვრების“ ზოგიერთი ვარიანტები „ძელი-ჭეშმარიტის“ ნაწილთა მოტანას საბერძნეთიდან სამღვდელოების მოსვლისა და მცხეთელთა მონათვლის შემდეგ მოიხსენებს;[167]) მაგრამ რადგან აღნიშნული წყაროები ყველანი „ქართლის მოქცევის“ შემდეგ არიან ზოგნი შევსებულნი და ზოგნი კი შემუშავებულნი, ამის გამო ჯერ-ჯერობით ისევ იმ უუძველეს პირველ წყაროს უნდა დავემყაროთ, რომლის ცნობებიც, თვით უუსასტიკესის მკვლევარის ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი შენიშვნით, „**საუკეთესოდ**“ უნდა ჩაითვალოს საზოგადოდ ყველა იმ მასალებ შორის, რომელიც ჩვენ ქართულად, სომხურათ და ლათინურად საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების და ნინოს შესახებ მოგვეპოება.

ახლა ვიკითხოთ: რა პასუხის გამოტანა შეგვიძლია ყოვლისავე ზემო თქმულებიდან იმ კითხვის შესახებ, რომლითაც ეს თავი დავიწყეთ, სახელდობრ, როდის იქნა ქრისტიანობა გამოცხადებული ჩვენს ქვეყანაში მთავრობის მიერ ნებადართულ და საკანონმდებლო სარწმუნოებად?

---

166) როცა ამას ვამბობთ, სახეში გვაქვს პროფ. ბოლოტოვის აზრი ჩვენი წელთაღრიცხვის შესახებ. ნახ. Христ.-чтеніе, за 1898 г. апрѣль. Журн. Совѣта, стр. 256-257.

167) ქართლ.-ცხ. I, გვ. 126; Brosset, Addition. et èclaircis. p. 28; საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერი № 160, გვ. 127-128: „და ესე უკვე საცნაურ არს, რომელ იოანე კვალადცა წარგზავნეს წინაშე მეფისა კონსტანტინესა, ჭეშმარიტისა ძელისათვის... რომელიცა უკვე თვით მებრ მასოდენ ჟამსა გამოეჩინა ღვთის მოყვარესა დელოფალსა ელენეს“.— ბ. თ. ჟორდანიას მოწმობით, ამასვე ამბობს შიო მღვიმის ხელნაწერი (ქრონიკები I, გვ. 30. შენიშვნა).

ამ კითხვის დაახლოვებითი პასუხი ასეთია: ეს მოხდა მაშინ, როცა ქართველთა მეფემ, მირიანმა, ქრისტე ჭეშმარიტ ღმერთად აღიარა, შემდეგ, რუფინის მოწმობით, შეჰყარა ერი და წინადადება მისცა, ქრისტეს რჯული მიეღო, ე. ი., ჩვენის ანგარიშით, **323 წლის მეორე ნახევარში.**

მაგრამ, რადგან, მართლმადიდებლობითი სწავლის მიხედვით, ეკკლესია მხოლოდ მაშინ იწყებს კანონიერს არსებობას, როცა მას იერარქია უჩნდება, ამიტომ აღმოსავლეთის საქართველოს ეკკლესიის დასაწყისად ჩვენ უნდა ჩავთვალოთ არა 323 წელი, არამედ 326 წელი, როდესაც ქართლში საბერძნეთიდან პირველი სამღვდელოება მოვიდა და ხალხის მონათვლას შეუდგა. დასავლეთის ქართველთა შორის კი, როგორც უკვე ნათქვამი გვაქვს, ქრისტიანობის დასაწყისი მოციქულთა დრომდე აღწევს.

**ს. გორგაძე.**

(დასასრული იქნება)

# ახალი მეცნიერული გამოკვლევანი ხოლერის შესახებ

ხოლერის შესახებაც ისევე ითქმის, რაც ჭლექის და ზოგიერთ სხვა გადამდებ სენის შესახებ, რომლის მიკრობი აღმოჩენილი იქმნა ამა თუ იმ მეცნიერის მიერ.

ასე, მაგალითათ, როდესაც კოხმა ჭლექის მიკრობი აღმოაჩინა, და ამ გვარად გამოირკვა მიზეზი ამ სენისა, ყველა შიშმა შეიპყრო, ეხლა ყველანი იმ აზრისა იყვნენ, რომ საკმარისია ადამიანმა შეისუნთქოს ჰაერთან ერთათ საკმარისი რიცხვი ჭლექის ბაცილებისა, რომ ფილტვები მოეწამლოს, შეიქმნეს ჭლექით ავათო. აქედგან წარმოსდგა შიში როგორც ამ ბაცილებისა, ისე ჭლექით ავათმყოფისა. სამწუხაროდ, ზოგიერთ ადგილას ეს შიში იმ ზომამდინ მიდის, რომ ჭლექიანებს სრულებით უპატრონოდ სტოვებენ, რადგან ეშინიათ მათი სიახლოვე.

შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ეს ბაცილები არც ისე საშიში ყოფილა, რომ თითქმის ყოველ საღ ადამიანის სასუნლეში შეგიძლიანთ ჰპოვოთ სხვა და სხვა გვარი ბაცილები, რომლებთა შორის ძლიერ შხამიანებიცაა, უფრო ხშირად კი ჭლექის ბაცილები, ხოლო ადამიანი კი უვნებელი რჩება. ასეთმა გამოკვლევამ ამ ბოლოს დროს შესცვალა წარმოდგენა ჭლექის შესახებ და ძლიერ შეამცირა წინანდელი შიში ჭლექისა და ჭლექიანების შესახებ.

ესეთივეა ხოლერის ისტორიაც.

**1883 წ.** მეცნიერი კოხი მთელი ექსპედიციით გაგზავნილი იქმნა ეგვიპტეში და ინდოეთში ხოლერის შესასწავლათ და გამოსაკვლევათ. კოხმა ხოლერით ავადმყოფთა გა-

ნავალში აღმოაჩინა ერთ გვარი ბაცილა, რომელიც თავის მოყვანილობით მოგვაგონებს ნიშანს მძიმეს Kommabaeille. ეს ბაცილა მოკლეა ჭლექის ბაცილაზე, ხოლო კი უფრო მსხვილი და ნიშან მძიმესავით მოღუნულია.

ხელოვნურად შესაძლოა მათი გამრავლება ზოგიერთ მასაზრდოვებელ ნივთიერებაზედ მხოლოდ +25 C° — +40 C° სითბოში, ხოლო, თუ სითბო +16 C° ნაკლებია, მათი ზრდა-გამრავლება ჩერდება, დახოცვით კი — 0C° ნაკლებ სიცივეშიაც არ იხოცება.

კოხის აღმოჩენილი ხოლერის ბაცილა ბოლოს ნამდვილად დამტკიცდა და ყველა მეცნიერთა მიერ მიღებულ იქმნა. ყველა ხოლერიან ნაწლევებში შეგიძლიანთ აღმოაჩინოთ ეს ბაცილა, ხოლო საღ ადამიანის ნაწლევებში კი სრულებით არ იპოვება.

მაშ თუ ყოველ ხოლერიან ავათმყოფის ნაწლევებში განავალში შხამიანი ხოლერის ბაცილები ყოფილა, სჩანს, რომ ხოლერა საღ ადამიანს ხოლერით ავადმყოფისაგან გადაედება. აქედგან კი ის დასკვნა გამოდის, რომ ხოლერით ავათმყოფი საშიში და მოსარიდებელია, მაშასადამე, ყოველი ღონისძიება უნდა მივიღოთ, რომ როგორმე ხოლერით ავათმყოფს ახლო არ მივეკაროთ, განსაკუთრებით კი ყურადღება მიექცეს ასეთ ავათმყოფის განავალს, რადგან მასშია ხოლერის შხამი—ცოცხალი შხამიანი ბაცილები.

აი, ასეთი წარმოდგენაა დღესაც ხოლერაზე და ხოლერით ავათმყოფზე. ასეთი აზრი მეფობს საზოგადოებაში და თვით მეცნიერთა უმეტეს ნაწილშიაც!

ჯერ კიდევ ამ ოცდა ათი წლის წინად სახელგანთქმული მეცნიერი პეტენკოფერი იმ აზრისა იყო, რომ ხოლერა ხოლერით ავადმყოფებისაგან არა ვრცელდება, რომ ხოლერით ავადმყოფი არ არის ისეთი საშიში, როგორც, მაგალითად, ყვავილიანი, ხუნაგიანი და სხვა ამ გვარი ავათმყოფი, რადგან ხოლერით ავადმყოფის განავალში მყოფი ხოლერის ბაცილები იმდენად სუსტია, რომ საღ ადამიანის მოწამვლა არ ძალუძს.

ამასავე ამტკიცებდა ცნობილი მეცნიერი ერისმანი თავის სამეცნიერო თხზულებაში, რომელიც მან გამოსცა 1893 წელს,

ამ ბოლოს დროს მრავალი ახალი გამოკვლევანი გამოაქვეყნეს მეცნიერებმა, რომლებიც ნათელს ჰფენენ ამ კითხვას და რომლებითაც მტკიდება ამ ზემოდასახელებულ მეცნიერთა აზრი.

მრავალი ცდა ლაბორატორიაში მოხდენილი უარჰყოფს იმ აზრს, რომ ვითომ განავალში მყოფ ხოლერის ბაცილებს ისეთი შხამი ჰქონდეს, რომ შეეძლოს საღი ადამიანის მოწამვლა.

თვით კოხმა მრავალჯერ სცადა მოეწამლა ხოლერით ავადმყოფის განავალით ძაღლი, თაგვი, ქათამი, მაგრამ ამაოდ.

მარსელის ნაციონალური სამედიცინო კომისია, ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, ბოლოს იმ დასკვნას დაადგა, რომ ხოლერით ავათმყოფის კუჭში და ნაწლევებში არ არსებობს ისეთი შხამი, რომლითაც შესაძლო იყოს საღი ადამიანის მოწამვლა.

1884 წ. ხოლერობის დროს პარიზში **Kochetonatine**-მა გადაყლაპა აბები, ხოლერით ავადმყოფის განავალისაგან მომზადებული, ხოლო სრულებით უვნებელი დარჩა.

**Hueppe**-ს მოჰყავს შემდეგი ფრიად საინტერესო შემთხვევა: ერთმა ბავშვმა სულ მთლად შესჭამა ხოლერით ავათმყოფის განავალი, თურმე ფაფა ჰგონებია, შესჭამა, მაგრამ ავათ მაინც არ გამხდარა.

არც მეცნიერი **Klein**-ი გამხდარა ხოლერით ავათ, რომელმაც ბომბეიაში ისეთი სითხე დალია, რომელიც მოწამლული იყო ხოლერის ბაცილებით.

**Pettenkofer**-მა და **Emwerich**-მა საცდელათ რამდენიმე მილიარდი ხოლერის ბაცილები გადაყლაპეს; ეს ბაცილები, ხოლერით ავათმყოფის განავალიდგან მიღებული, ხელოვნურად მოაშენეს ლაბორატორიაში; თუმცა თვითეულმა, ვიმეორებთ, მილიარდები გადაყლაპეს, ხოლერით მაინც ავათ არ დახდნენ.

პროფ. ერისმანს თავის თხზულებაში შემდეგი ამ-ბავი მოჰყავს: ევროპის ერთ ქალაქის სატუსაღოში გაჩნდა ხოლერა, ტუსაღთა რიცხვის შესამცირებლათ მთავრობამ გადასწყვიტა ზოგიერთ მათგანის განთავისუფლება და შინ დათხოვნა. ამ გამოშვებულთ შორის იყო ერთი ხოლერიანიც; თუმცა ავადმყოფი ცუდად გრძნობდა თავს, მაგრამ გზას მაინც გაუდგა: ხან ფეხით მიჩანჩალებდა, ხან-კი, თუ შემთხვევა ნებას მისცემდა, მიდიოდა ეტლით. რაღა თქმა უნდა, რომ სადაც მან გაიარა, ყველგან დასტოვა თავის განავალი, მაშასადამე, მოსალოდნელიც იყო, რომ ყველა გავლილ სოფლებში ხოლერა უნდა გაჩენილიყო, ხოლო ნამდვილად აღმოჩნდა, რომ არსად იმ ადგილებში ხოლერით არავინ ავად არ გამხდარა.

თუ მართლა ხოლერით ავადმყოფი საშიშია და მოსარიდებელია, თუ მართლა მის ნაწლევებში და განავალში ნამდვილი ხოლერის შხამია, რომელსაც შეუძლიან საღი ადამიანი მოსწამლოს, მაშ ყველაზე ადვილად ვის უნდა შეეყაროს ხოლერა? ექიმებს, ფერშლებს და სხვა იმ პირთ, რომლებიც სწამლობენ და უვლიან ხოლერით ავათმყოფებს, იმათ, ერთი სიტყვით, რომლებსაც ყველაზე უფრო მეტი სიახლოვე აქვთ ხოლერით ავათმყოფებთან.

მართლაც გაიხსენეთ სხვა გადამდები სენი — ხუნაგი, სახადი, წითელა, მაშინვე მოგაგონდებათ, თუ რამდენი ექიმები და სამედიცინო პერსონალის პირნი იღუპება, ნამეტურ უფრო მეტი სახადით იწამლება, რადგან ეს სენი ყველაზე უფრო გადამდებია.

ყოველ ომის დროს ჯარის უმეტესი ნაწილი იხოცება სხვა და სხვა გადამდებ სენით, უმეტესად კი სახადით და სწორედ ამ დროს ექიმები და საავადმყოფოს სხვა პირნიც შეიქმნებიან მსხვერპლათ და იხოცებიან.

ეხლა ხოლერობის დროს რას ვხედავთ?

ძლიერ იშვიათი შემთხვევაა, რომ ხოლერობის დროს

ექიმები და საექიმო პერსონალის სხვა პირნი ხოლერით ავათ გამხდარიყვნენ. ასე, მაგალითად, პროფ. ერისმანს ძლიერ საგულისხმიეროდ მიაჩნია ის ფაქტი, რომ მიუნხენის საავათმყოფოში, სადაც რამდენიმე ათასი ხოლერიანი იწვა, არც ერთი ექიმი და საავადმყოფოს მსახური ხოლერით ავათ არ გამხდარა.

1892 წ. ხოლერობის დროს მთელ რუსეთში მხოლოდ რამდენიმე ექიმი გახდა ხოლერით ავათ.

პროფ. ერისმანს მოჰყავს შინაარსი ბაქოს ქალაქის თავის ტელეგრამისა. ამ ტელეგრამაში ნათქვამია, რომ არც ერთი მიწვეულ ექიმი ავათ არ გამხდარა ხოლერით, თუმცა კი, როგორც მკითხველს ახსოვს, ხოლერა მაშინ ბაქოში ძლიერ მძინვარებდა.

ეს და სხვა მრავალი ფაქტი ნათლად მოწმობენ, რომ ხოლერით ავათმყოფი არ არის საშიში, ხოლერა ხოლერით ავათმყოფისაგან საღ ადამიანზე არ გადადის. ხოლერით ავათმყოფის განავალში მყოფი ხოლერის ბაცილები იმდენად სუსტია და მოკლებულია შხამს, რომ არ ძალსუძს საღი ადამიანის სხეულის მოწამლვა.

სულ უკანასკნელი გამოკვლევანი Emmerich-ის და Pemünd-ისა სავსებით ეთანხმება პეტენკოფერის და ერისმანის მიერ გამოთქმულ აზრს ხოლერის ბაცილების შესახებ.

ამ ზემო დასახელებულ მეცნიერთა გამოკვლევიდგან სჩანს, რომ ხოლერის ბაცილები მხოლოდ მაშინ ხდებიან შხამიანები, როდესაც იგინი ხოლერით ავათმყოფის განავალთან ერთათ მოხვდებიან შესაფერ მიწის ნიადაგს: აი აქ, მიწაში, თუ გარემოებანი, რომლებზედაც ჩვენ ქვემოდ გექნება ბაასი, ხელს შეუწყობენ, იწყებენ გამრავლებას, იძენენ მეტს ძალას და თავიანთ ნამდვილ შხამს

ყოველ გვარ მიწის ნიადაგში როდი შეუძლიანთ მათ გაცოცხლება; ამისათვის საჭიროა ნიადაგი ფხვიერი, მხოლოდ ოდნავ ნესტიანი, მდიდარი გახრწნილ ორგანიულ ნივთიერებით. ხოლერის ბაცილებისთვის სრულებით უვარგისია თიხ-

ნარი და კლდიანი ნიადაგი. საუკეთესო დრო ბაცილების გამრავლებისათვის არის ზაფხულის ცხელი დღეები, როდესაც ნიადაგის ზემო პირი გახურებული და მშრალია.

თუ რომ მიწის ნაჩვრეტები იმდენად ნესტიანია, რომ მათში ჰაერს ადგილი აღარა აქვს, ბაცილების გამრავლება ჩერდება.

როდესაც მიწა მშრალია, სითბოც მეტი აქვს, რაც ბაცილების გამრავლებისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ხოლო ნესტიანი კი უფრო ცივია. ასე, მაგალითად, ნიადაგის ერთ გოჯის სიღრმეზე ზაფხულის თვეში+20 C°—+30 C°-სითბოა. აი ასეთი სითბოა საჭირო მათთვის. გარდა ამისა ასეთ მშრალ ნიადაგში, როდესაც ზემოდგან მხურვალე ზაფხულის მზე აცხუნებს, იხოცება მრავალი სხვა გვარის მიკრობები, რომლებიც ხელს უშლიან ხოლერის ბაცილების გამრავლებას, არსებობისათვის ბრძოლით გამოწვეული.

ამავე მეცნიერთა გამოკვლევიდან სჩანს, რომ ხანგრძლივი წვიმის შემდეგ ხოლერით ავათმყოფთა რიცხვი მცირდება. გარდა იმისა, რომ წვიმის დროს მიწის ნიადაგის ნაჩვრეტები ივსება წყლით, მაშასადამე, იქ ჰაერი აღარ რჩება, წვიმის წყალი რეცხავს ნაჩვრეტებს და ქვემოდ ჩააქვს ყოველგვარი ორგანიული ნივთიერება, რომლითაც საზრდოებს ხოლერის ბაცილები. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ წვიმების დროს ნოტიო მიწას აკლდება სითბო.

ჩვენ ზემოდ ვსთქვით, რომ ხოლერის ბაცილებს უყვარს გამრავლება იმ ნიადაგში, სადაც უფრო მეტი უსუფთაობაა, სადაც ნიადაგი მდიდარია ორგანიულ ნივთიერებით. ამას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის: სჩანს რა დიდი მნიშვნელობა აქვს სისუფთავეს ეზოებისას, ქუჩებისას, საზოგადოდ ყოველ გვარ სანიტარულ ღონისძიებას.

მიწაში გამრავლებული და გაცოცხლებული ხოლერის ბაცილები ეხლა კი ადამიანისთვის საშიშია, სწორედ ეხლაა, რომ ადამიანი მოიწამლება მათი შხამით და გახდება ხოლერით ავათ.

რა გზით და საშუალებით მოიწამლება ადამიანი?

მიწიდგან ხოლერის შხამი გადააქვთ სხვა და სხვა სულიერ არსებათ: თაგვებს, ბუზებს, ჭიანჭველებს, ჭია-ღუებს და სხვებს, ესენი სწამლავენ სანოვაგეს, რომლითაც იწამლება ადამიანი. ძლიერ დიდი მორიდებაა საჭირო ბუზების მხრივ, საჭიროა ხოლერობის დროს სასმელ-საჭმელი დახურული იყოს ბუზებისაგან.

იქ, სადაც სისუფთავეა, ნიადაგი მიწისა სუფთაა ნაგვისაგან და სხვა გვარ უსუფთაობისაგან, სადაც ყურადღებაა მიქცეული, რომ ხოლერით ავათმყოფის განავალით არ მოიწამლოს ნიადაგი, იქ ხოლერა არ გაჩნდება, მოარულის ხასიათს მაინც მოკლებული იქნება, გავიხსენოთ ლონდონი: წინად, ხოლერა გაჩნდებოდა თუ არა, საშინლად მოედებოდა ყველა უბნებს, ხოლო მას შემდეგ, რაც გაიწმინდა ქალაქი, დასუფთავდა უბნები, ხოლერამ სრულებით დაივიწყა ეს ქალაქი.

ასევეა ბაქოშიაც: 1892 წ. ხოლერა ძლიერ მოედო ბაქოს, მრავალი ხალხი გახდა ხოლერით ავათ; ეხლა კი, ამ ხოლერობის დროს, როდესაც ყოველი სანიტარული ღონისძიება იყო მიღებული, ხოლერით თითო-ოროლა ადამიანი ხდებოდა ავათ.

მაშასადამე, ახალი გამოკვლევანი გვიჩვენებენ, რომ ხოლერით ავათმყოფი არ არის საშიში, მისგან საღ ადამიანს არ გადაეედება ეს სენი, მხოლოდ საშიშია ის ადგილი, სადაც ხოლერით ხდებიან ავათ, რადგან იქ ნიადაგი მოწამლულია ხოლერის შხამით.

ამ დღეებში მქონდა შემთხვევა ბაასისა ცნობილ ბაქტერიოლოგ გამალეისთან, რომელიც დიდ მნიშვნელობას აწერს მიწის ნიადაგს ხოლერის გავრცელებაში; ეს მეცნიერი დიდ მნიშვნელობას აძლევს ხოლერის გავრცელებაში დასალევს წყალს: იქ, სადაც მიწის ნიადაგი მოწამლულია ხოლერის შხამით, წყალიც მოწამლულია, ამიტომ ყველასთვის საჭიროა ადუღებული წყლის ხმარება დასალევათო.

პრივატ-დოცენტი ზლატოგორევი დაბრუნდა თავრიზიდგან, სადაც მან რამდენსამე ათასს კაცს აუცრა ხოლერის წინამღდეგ ახლად გამოგონილ სითხით. თვით ეს მეცნიერი დიდ განმკურნავ თვისებას აწერს ამ სითხეს და ამტკიცებს, რომ ვისაც დროზედ აუცრიან, იმას ხოლერა აღარ შეხვდებაო. ამ აცრას კიდევ ხანგრძლივი დაკვირვება სჭირია.

ექიმი ბადრაძე.

# ნარევი

1) ბაქტერიოლოგია სკოლაში.—2) ახალი შაქრიანი მცენარე.—3) ნერვების აშლა.—4) საიდან მიეცეს გლეხ-კაცს მისთვის საჭირო მიწა?—5) ხალხის განვითარება და ხარჯის სამართლიანობა.—6) ინგლისური სახელმწიფო წესწყობილება.—7) ალექსანდრე პირველის კონსტიტუცია.—8) შილლერის სახსოვრად.

**ბაქტერიოლოგია სკოლაში.** ჩიკაგოელი დოქტორი მანვარინგი ამტკიცებს, საზოგადოება რომ ოდნავ მაინც იცნობდეს ბაცილლების ყოფა-ცხოვრებას, მრავალი ავადმყოფობა შეუმსუბუქდებოდა კაცობრიობას და მეტადრე სიჭლექეოვის არ გინახავთ ჭლექი, რომელიც არავითარ ღონისძიებას არ ხმაროობს, რომ თავისი სენი თავისიანებსაც არ შეჰყაროს. ავკაცობით კი არ მოსდის ეს გაუფთხილებლობა, უცოდინაროობით, რადგან სრულიად არა იცის რა ამ საშინელი სნეულების გადადებისა და დაწყებისა. დოქტორი მანვარინგი და მასთან ერთად თანამედროვე ჰიგიენისტები იმ აზრისანი არიან, რომ ბაქტერიოლოგიის გაცნობა ისე შეამცირებს სიჭლექეს, რომ იშვიათად გახდის სიჭლექით ავადმყოფობას; ამისთვის საჭიროა საშუალო სასწავლებელში და სახალხო უნივერსიტეტში ბაქტერიოლოგიის დასაწყისს ასწავლიდნენ, ანბანს ამ მეცნიერებისას; სულ უბრალო ხარჯი დასჭირდება ჭურჭლის შეძენას, რომლის წყალობით ბაქტერიების გამრავლებას აჩვენებენ მოსწავლეთ ჰაერში, წყალში, რძეში, წვენში და აგრეთვე გავლენას სითბო-სიცივისას, მზის სხივისას და სხვა და სხვა წამლებისას ბაქტერიებზედ; უმთავრესი ყუ-

რადღება, რასაკვირველია, მიქცეული იქნება გაფთხილებაზედ, რომ ადვილად აიკდინოს კაცმა ყოველი გადამდები სენი.

**

**ახალი შაქრიანი მცენარე** აღმოჩნდა სამხრეთ ამერიკაში და აქამდე ცნობილ ყველა მცენარეზედ (ლერწამი, ჭარხალი) სამჯერ მეტი სიტკბოება აქვს. ბალახია, 10 ვერშოკის სიმაღლე. მეცნიერული სახელი ამ მცენარისა არის Eupatorium rebaudium. ამ ახლო მომავალში გამოირკვევა მისი მრეწველობითი გამოყენება და, თუ შაქრის გასაკეთებლად ივარგა, მეტად უნდა გაუდვილოს ღარიბ ხალხს შაქრის ხმარება საჭმელ-სასმელში.

**

**ნერგების აშლა.** დოქტორი ჰოზერი ამტკიცებს, საშინლად იმატა ამ უკინასკნელ ხანს ნერვებით ავადმყოფობაო. ნერვების სნეულებანი წინადაც არსებობდნენ, მაგრამ ამდენ ნაირი კი არა, რაც დღეს არსებობს. საფრანგეთში, მაგალითებრ, 1861 წლის პირველ იანვრისთვის ირიცხებოდა 35 ათასი შეშლილი; ათი წლის შემდეგ—39 ათასი; ათი წლის შემდეგ 47558. იდიოტების და კრეტინების რიცხვი 1883 წელს 38 ათასი იყო; შვიდი წლის შემდეგ 65937. განსაცვიფრებელ სისწრაფით იზრდება ლოთობისაგან გამოწვეული სიგიჟე; ინგლისში 1866 წელს 35 ათასი კაცი იყო არყისაგან გაგიჟებული, 1897 წელს 99 ათასი. არყის გარდა მორფინიც სწეწავს ადამიანის ნერვებს. საფრანგეთში გაცილებით ნაკლებსა სმენ არაყს, ვიდრე ინგლისში, მაგრამ ზოგან სულზე 18 ჩარექი იხარჯება წელიწადში, ზოგან 16 ჩრდილოეთით; სამხრეთისკენ ნელ-ნელა მცირდება რაოდენობა დალეული არყისა: ნიცცაში სულზედ 4 ჩარექს ანგარიშობენ და მონპელიეში სამს.

**

**საიდგან შეეტეს გლეხ-კაცს მისთვის საჭირო მიწა?** ძველის-ძველი კითხვაა, რომელმაც არა ერთი ხალხისთვის თავდადებული ვრაკხი იმსხვერპლა, მაგრამ დღესაც ისეთივე

ახალი და მწვავია, როგორადაც უწინ იყო. ამერიკელი ეკონომისტი ანრი ჯორჯი ასეთ პასუხს გვაძლევს ამ კითხვაზე:

საკუთრება წმინდაა და ხელშეუხებელი. ადამიანი რომ თევზს დაიჭერს, ვაშლის ხეს გაზრდის, სახლს აიშენებს, ტანსაცმელს შეიკერავს, **საკუთრებად იქცნს თავისი შრომის ნაყოფს** და მასთან ერთად უფლებას, ვისაც უნდა იმას აჩუქოს, მიჰყიდოს, ან უანდერძოს თავისი საკუთრება. დედამიწა კი ჩვენი შრომის ნაყოფი არ არის და მაშასადამე არავის შეუძლიან დაისაკუთროს იგი; დედამიწა ღვთის გაჩენილია და თანასწორად ეკუთვნის ყველა ადამიანს, დროებით, რასაკვირველია, რადგან წუთი სოფლის სტუმრები ვართ. ყველა ადამიანს აქვს მაშასადამე უფლება მოითხოვოს თავისი წილი მამული და, რადგან საზოგადოებრივ ცხოვრებას თავისი ხარჯი აქვს (სკოლები, გზები და სხვ.), ამ მამულის ხვედრი ხარჯიც გაიღოს.

სახლს რომ ვადებთ ხარჯს, თანხას, ქარხანას, მანქანებს, ჩვენ ვარღვევთ უფლებას საზოგადოების წევრებისას, რადგან ეს სახლი, თანხა, ქარხანა მათი საკუთრებაა და სხვის საკუთრებას არ უნდა ვეხებოდეთ. მიწას რომ ვადებთ ხარჯს, საზოგადოების წევრს ქირას ვახდევინებთ საზოგადოებრივ საკუთრების ესე იგი მამულის ხმარებისას. ამიტომ, საცა სამართალია, ყველა ხარჯი უნდა მოისპოს და დაწესდეს ერთადერთი ხარჯი მამულზე.

წარმოვიდგინოთ, რომ ერთს ქვეყანაში ორს მემამულეს ეკუთვნის მთელი მიწა; ერთი მეტად მდიდარია და პარიზში ქეიფობს; მეორე თავის მამულში ცხოვრობს და მუშაობს; იქვე ცხოვრობს ასი კომლი გლეხკაცი და უმამულო ხელოსნები, ვაჭრები და მოხელეები. დარწმუნდა ეს ხალხი, რომ მიწა საზოგადო კუთვნილებაა და ამისდაკვალად უნდათ მოაწყონ ცხოვრება.

მაგრამ როგორ?

რომ წაართვან, ვისაც რა უჭირავს, და გამოაცხადონ—დაიჭირეთ, ვისაც რა მოგწონთო!—არ ივარგებს, რადგან

კარგ მიწებს მრავალი მსურველი აღმოუჩნდება და უსიამოვნობა ჩამოვარდება. შეერთდნენ და ერთად ხნან, ერთად სთესონ, და მერმე მოსავალი გაიყონ? ძნელია, რადგან ზოგს საქონელი ჰყავს, ზოგს არა, ზოგი შრომის კაცია, ზოგი არა, და წაიჩხუბებიან. იმდენ ნაჭრად რომ გაჰყონ, რამდენნიც არიან, ვერ მორიგდებიან, რადგან ზოგს კარგი მამული შეხვდება, ზოგს მწირი, და, გარდა ამისა, არ შეიძლება სახნავიც იყოს ერთ ალაგას, სათიბიც, ტყეც. ცალ-ცალკე დაურიგონ ყველას სახნავი ცალკე, სათიბი ცალკე? ერთი დღისა რომ აქ ერგოს, ერთი დღისა სამის დღის სავალზე შეხვდება.

რადგან ეგ მოუხერხებელია, ვისაც რა სჭირია, იმასვე უტოვებენ, ოღონდ საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველ ხარჯსაც იმასვე ადებენ. ამ გვარად საზოგადოებრივს მთელ ხარჯს იხდის ის, ვინც მამულს მფლობელობს; სხვანი აღარავითარ ხარჯს არ იხდიან.

გაუჭირდება პარიზში მოქეიფე მემამულეს ხარჯის გაღება და გამოაცხადებს: ოღონდ ხარჯი მომაშორეთ, ისარგებლეთ ჩემი მამულით, მე თუნდა ნურაფერს მომცემთო. მეორე მემამულეც აგრეთვე იზამს, თუ იმაზედ მეტი მამული აქვს, ვიდრე თითონ შეიმუშავებს. და მათგან თავისუფლად გამოცხადებულს მამულს გლეხი კაცი დაუწყებს მოვლას, თითონაც იცხოვრებს და საზოგადოებრივ ხარჯსაც გადაიხდის. გლეხიკაცი უკეთ მოუვლის, რადგან უყვარს და იცის კიდეც მიწის ყადრი; საზოგადოებაც არას წააგებს, რადგან მრავალს, ყოვლად უსამართლო ხარჯისაგან გათავისუფლდება.

**

**ხალხის განვითარება და ხარჯის სამართლიანობა.** საცა იმდენად განვითარდა ხალხი, რომ თავისი მოთხოვნილება გამოაცხადა,—რაკი ხარჯს ვიხდი, ანგარიშიც მაჩვენეთ, რაზედ ხარჯავთ ჩემს ფულსაო?—გადასახადიც შესამჩნევად შემცირებულია და სამართლიანიცაა. ჩვენში კი,—ფული! ფული! უყვირის ხალხს ბიუროკრატია და მუხრუჭს უჭერს, რომ რაც შეიძლება მეტი გაპოალებინოს. რამდენს ართმევს, ან რის-

თვის, რაზედ ხარჯავს, ეგ თითონ იცის: ფული მომეცით და ანგარიში კი თქვენი საქმე არ არისო! ბელგიაში ხალხი თავის შემოსავლისას ასზედ ექვსს იხდის ხარჯად; ინგლისში 7—8; ჩვენს კურთხეულ სახელმწიფოში ასზედ—ოცს.

1903 წელს სახელმწიფო ხაზინას ჰქონდა შემოსავალი 2.203 მილიონი მანეთი; აქედან 542 მილიონი არყისა გახლდათ და 453 მილიონი რკინის გზებისა.

პირდაპირი ხარჯი სულზედ 98 კაპ. იყო და ფარული 5 მანეთი და სამი შაური, პოშლინების გარდა. ფარულ ხარჯში უმთავრესი ადგილი უჭირავს აქციზს, სულზედ 4 მანეთი და 43 კაპ. (სასმელები, ნავთი, თამბაქო, შაქარი, ასანთი და სხ.) აქციზი რომ არ სდებოდა, გაცილებით იაფი იქნებოდა ნავთიც და შაქარიც.

ჩაიზედ დამოკიდებული ბაჟი შემოვიდა 44 მილიონი მანეთი, ესე იგი 1903 წ. განმავლობაში დახარჯული ჩაი რუსეთს 44 მილიონით ძვირად დაუსვეს, ვიდრე ღირდა. რამდენად აძვირებს ჩაის ეს ბაჟი, იქიდან სჩანს, რომ 1897 წელს გირვანქა ჩაიზედ რუსეთი იღებდა 79 კაპეიკს, ინგლისი კი 17 კ. ამიტომ გირვანქა ჩაი ღირდა რუსეთში მანეთ-ნახევარი, ინგლისში კი ათი შაური. ამის პირდაპირი შედეგი ის იყო, რომ თითო სულზედ იხარჯებოდა ჩაი რუსეთში წელიწადში 86 მისხალი, ინგლისში კი 643.

***

**ინგლისური სახელმწიფო წესწყობილება.** „ხელმწიფობა“ ინგლისში ეკუთვნის მეფეს, ლორდთა კრებას და ხალხის წარმომადგენელთა კრებას. მეფის უფლება სასტიკად არის განსაძღვრული კონსტიტუციით. მეფეს თავისად არაფრის უფლება არა აქვს; თავის უფლების განხორციელებას მეფე მიანდობს მინისტრთა კრებულს; მინისტრები პასუხის მგებელნი არიან ხალხის წარმომადგენელთა კრების წინაშე. ამგვარად მეფე მეფობს, მაგრამ სახელმწიფო საქმეებში კი არ ერევა და არას განაგებს. მეფეს შეუძლიან მოიწონოს, ან დაიწუნოს რაი მე კანონი, ორივ კრების მიერ მოწონებული, მაგრამ ამ შემთხვე-

ვაშიც იგი უნდა დაემორჩილოს მინისტრთა კრებულს და მის თავმჯდომარეს, რომელთაც ხალხის წარმომადგენელთა კრების უმრავლესობა ჰყავს თანამოაზრედ. მეფეს უფლება აქვს აგრეთვე თავის ნებით დაითხოვოს მინისტრთა კრებული, მაგრამ ეგ უფლება ცარიელი სიტყვაა და საქმით კი მეფე იძულებულია დაემორჩილოს ხალხის წარმომადგენელთა კრების იმ პარტიას, რომელიც უმრავლესობას შეადგენს და მხარს აძლევს მინისტრებს.

კონსტიტუციის ძალით ორივე კრებას (ლორდებისას და ხალხის წარმომადგენლებისას) აქვს შინიჭებული კანონმდებლობითი უფლება, ოღონდ ერთი უპირატესობა აქვს ხალხის წარმომადგენელთა კრებას: სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა, ახალი ხარკის შემოღება, ან ძველის შეცვლა ეკუთვნის მარტო ქვემო პალატას (ხალხის წარმომადგენელთა კრება,) რომელიც უკვე შედგენილს, მზამზარეულს უგზავნის თავის მოაზრებას ზემოპალატას (ლორდების კრებას); ზემო პალატას ნება აქვს მიიღოს იგი, ან არა, მაგრამ შეცვლით კი არაფრის შეცვლის უფლება არა აქვს. ამ მხრივ ზემო პალატა ქვემო პალატას ემორჩილება და კარგსაც შვრება, რადგან სახელმწიფო შემოსავალ-გასავლისა და ხარკის საქმე ისე კარგად არის მოწყობილი, რომ ინგლისს შენატრის განათლებული კაცობრიობა.

მეცნიერება ამტკიცებს, სახელმწიფომ ხარჯი მარტო იმათ უნდა ახდევინოს, რომელთაც საცხოვრებლად საჭიროზედ მეტი შემოსავალი აქვთო. შემოსავალზედ დადებული სახელმწიფო ხარჯი ინგლისში სწორედ ამ პრინციპზედ არის დამყარებული და ვისაც წელიწადში შემოსავალი ას სამოცი თუმანი აქვს, ან ნაკლები, არავითარ ხარჯს არ იხდის, რადგან ასსამოცი თუმანი არის დადებული საცხოვრებლად საჭირო უმცირეს ნორმად. ვისაც მეტი აქვს შემოსავალი, სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ იხდის ასზედ ხუთს. რაოდენობა ამ ხარჯისა დამოკიდებულია ხაზინის მდგომარეობაზედ: ვიდრე ბურებთან ომი ატყდებოდა, ასზედ $3^3/_4$ იხდიდნენ; ბურებ-

თან ომის დროს 6¼, და ამ ასი წლის წინად ნაპოლეონ-თან ომის დროს 10.

იგივე მეცნიერება ამტკიცებს, ათასი თუმნის პატრონი უფრო ადვილად გაიღებს მეათედს თავის ქონებისას, ვიდრე ასი თუმნის პატრონი, რადგან იმას ცხრაასი თუმანი დარჩება და ცხოვრება არ გაუჭირდება, ასი თუმნის პატრონს კი 90-ღა დარჩება და ღარიბი უარესს სიღატაკეში ჩავარდებაო. ამ მხ-რივ კი სრულიად ვერ განუხორციელებია ჯერ ჯერობით ინგლისს სასურველი პრინციპი და 1600-დგან 7000 მანეთამ-დე ასზედ უფრო ნაკლები გადასახადია დადებული, ვიდრე 7000 მან. ზევით, თუმცა აქ კი განსხვავება აღარ არის და 7000 მ. ექნება კაცს შემოსავალი, თუ ასჯერ მეტი, მაინც თანაბარ ხარჯს იხდის.

დიდი ხარჯი ადევს მემკვიდრეობას: ადამიანი რომ მე-მკვიდრეობას მიიღებს, სრულიად დაუმსახურებელ ჯილდოს იღებს და მაშასადამე ხაზინამაც უნდა ისარგებლოსო, რამ-დენადაც მეტია მემკვიდრეობა, იმდენად მეტია ხარჯი: 1000 მანეთის მემკვიდრეობიდგან 10 მან. იხდის მემკვიდრე 5000-დგან 100 მან., 10000-დგინ 300 და ასი მილიონიდგან 8 მილიონს.

სახაზინო სახარჯო კითხვების გარდა სხვა ყოველი უფ-ლებით ერთნაირად სარგებლობს ორივე პალატა. ზემო პალა-ტას ნება აქვს სრულიად დაიწუნოს ქვემო პალატის დადგე-ნილება, შეასწოროს იგი, ან თავისი ინიციატივა გამოიჩინოს კანონმდებლობაში. ამ უფლებით ხშირად სარგებლობს ზემო პალატა და ხალხის წარმომადგენელთა, ესე იგი ხალხის სუ-რვილის განხორციელებას აბრკოლებს. ზემო პალატის წე-ვრები არ არიან ხალხის ამორჩეულნი და მის სურვილის გა-მომთქმელნი; ზემო პალატის წევრობა მემკვიდრეობით ხვდე-ბა უფროსს შვილს თავადისას, გრაფისას, მარკიზისას, ლორ-დისისას; მათ გარდა ზემო პალატაში ბრძანდებიან ყველა ეპისკოპოსები. ზემო პალატაში 593 წევრია და ეს პალატა ინგლისის წარმომადგენელი კი არა, მდიდარ თავად-აზნაურ-

თა წარმომადგენელი და მათი ინტერესების დამცველია. ამიტომ არის, რომ დიდებულთა ინტერესების დამრღვევ რაიმე კანონს, თუნდა ერთხმივაც მიიღოს იგი ქვემო პალატამ, ზემო პალატა უარჰყოფს და დიდიხნით აჩერებს.

ამ შემთხვევაში მეფეს შეუძლიან დიდი დახმარება გაუწიოს ქვემო პალატას და სასურველ კანონის ვანხორციელებას: მეფეს უფლება აქვს მიანიჭოს, ვისაც უნდა, ლორდის ღირსება; თუ გაჯიუტდა ზემო პალატა და არ დააკანონა ქვემო პალატის მიერ მიღებული რაიმე დადგენილება, მეფე ცარიელი მუქარით სჯობნის ლორდებს: არ გნებავთ? მაშ იმდენს კაცს ვუბოძებ ლორდობას, რომ ზემო პალატაში უმრავლესობა კანონის მომხრე გამოდგესო. ამ მუქარის გამართლებისა ძალიან ეშინიანთ ლორდებს, რადგან ახალი ლორდები ხალხის მომხრენი იქნებიან, რასაკვირველია, და დიდებულ ლორდთა ღირსებასაც დაამცირებენ—რა რომ ტურფა გაიაფდესო, ხომ გახსოვთ?—და ემორჩილებიან მეფეს და ქვემო პალატის დადგენილებას. მაგრამ, რადა მეფემ თავის სასარგებლოდ არ გამოიყენოს ეს უფლება, საქმე ისეა მოწყობილი, რომ მეფე ლორდობას მარტო მინისტრთა კრებულის თავჯდომარის თანხმობით აძლევს.

ქვემო პალატის წევრებს ირჩევს ხალხი. ყოველ სრულწლოვანს კაცს, რომელსაც სახლი უქირავს და ქირას ათ თუმანზედ ნაკლებს არ იხდის, საარჩევნო უფლება ეძლევა, თუ-კი 12 თვეა უკვე, რაც ამა თუ იმ საარჩევნო ოლქში ცხოვრობს. მაგრამ რადგან მუშა კაცი ხშირად იცვლის ბინას და საცა საქმეს იშოვნის, ბინასაც იქ იდებს, 12 თვეს ერთს ალაგას იშვიათად ჩერდება და საარჩევნო უფლებას ჰკარგავს; გარდა ამისა მრავალი მუშა ცხოვრობს თავის დედ-მამასთან, ნათესავებთან და სახლის ქირას 10 თუმანს არ იხდის; ისინიც ჰკარგავენ საარჩევნო უფლებას. წარსულ 1904 წელს სრულ წლოვანი კაცი ირიცხებოდა ინგლისში 10 მილიონი და საარჩევნო უფლებით აღჭურვილი-კი სულ 7 მილ. იყო; დანარჩენთ დაეკარგათ თავიანთი უფლება დეპუტატების ამორჩევისა.

ამ დაბრკოლების გარდა, სხვაც არის ხალხისთვის დადებული, სახელდობრ: ხალხის წარმომადგენელს ჯამაგირი არა აქვს და მაშასადამე ღირსეულს, მაგრამ ღარიბ კაცს ხალხი ვერ ამოირჩევს, რადგან დეპუტატს დიდი შეძლება უნდა, რომ ლონდონში ღირსეულად იცხოვროს. ამ დაბრკოლების ასაცილებლად საჭიროა ხალხის მიერ ფულის გამოღება დეპუტატის დასაჯილდოვებლად, მაგრამ ჯეოჯერობით მარტო ტრედუნიონის წევრ მუშებს აქვთ საკუთარი კასსები. ორ მილიონამდე მუშა ითვლება ამ საზოგადოებათა წევრებად და მარტო იმათა ჰყავთ საკუთარი თავიანთი წარმომადგენელნი, ესე იგი მუშა ხალხის შვილნი და მუშა ხალხის ინტერესების დამცველნი. ქვემო პალატაში 670 წევრი არის და შვიდი წლის ვადით არიან არჩეულნი.

**

**ალექსანდრე პირველის კონსტიტუცია.** სიყმაწვილეში ალექსანდრე I დიდად თანაუგრძნობდა პოლონელებს და თავის მეგობარ ადამ ჩარტორიჟსკისთან ერთად პოლონეთის აღდგენას ოცნებობდა. უმთავრესი ნაწილი პოლონეთისა, ეგრედ წოდებული ვარშავის საგერცოგო, რუსეთს 1815 წ. დარჩა. ამ საგერცოგოს კონსტიტუციის ძალით რუსეთის ხელმწიფეს უნდა მიეღო წოდება „პოლონეთის მეფისა"; პოლონელთ უნდა ჰქონოდათ „ეროვნული დაწესებულებანი" და ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა პარლამენტი. ამისა გამო ალექსანდრე პირველმა კონსტიტუცია მისცა პოლონელთ. პოლონელ დიდებულთაგან შედგენილი კონსტიტუცია არ მოიწონა იმპერატორმა,—მეტად არისტოკრატიული არისო,—და განსაკუთრებულ კომისიას მიანდო მის შედგენა გრ. ოსტროვსკის თავმჯდომარეობით.

ამ კონსტიტუციის ძალით პოლონეთის სამეფოს მართვა-გამგეობაში მეფეს, ესე იგი იმპერატორს რუსეთისას, ეკუთვნოდა აღმასრულებელი ძალა, მართვა ხაზინისა, ჯარისა, მოხელეთა მიღება, დამნაშავეთა პატიება და სხ. კანონმდებელი ძალა კი მეფესთან ერთად ეკუთვნოდა აგრეთვე სეიმსაც.

სეიმი ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ქვემო პალატა, ესე იგი დეპუტატების, ხალხის წარმომადგენლების კამერა, და ზემო პალატა, ესე იგი სენატი. „პოლონელ ხალხს უკუნითი უკუნისამდე ეყოლება სეიმში თავისი წარმომადგენელნი“—ეწერა კონსტიტუციაში. წარმომადგენელთა კამერას შეადგენდა 128 კაცი: 77 თავადაზნაურთაგანი და 51 დანარჩენ წოდებისანი. საარჩევნო უფლება ჰქონდა ყველა 21 წლის კაცს; ამორჩევითი მარტო იმის ამორჩევა შეიძლებოდა დეპუტატად, ვინც 30 წლისა იყო უკვე და ხარჯს იხდიდა არა ნაკლებ 15 მანეთისა წელიწადში. ხალხი მარტო დეპუტატებს ირჩევდა. სენატორებს მეფე ნიშნავდა იმათგან, ვინც 35 წლისა იყო და წელიწადში ხარჯს იხდიდა არა ნაკლებ 300 მანეთისა. სეიმი უნდა შეკრებილიყო ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, 30 დღით. რომელიმე კანონის მიღების უფლება არა ჰქონდა, მაგრამ სურვილის გამოცხადება კი შეეძლო. როდესაც რაიმე წინადადება მოწონებული იყო ორივე პალატისგან, მეფეს წარუდგენდნენ დასამტკიცებლად; და პირიქით მეფეს, რუსეთის ხელმწიფეს, უფლება არა ჰქონდა დაეკანონებინა რამე, თუ მას დაიწუნებდა ზემო ან ქვემო პალატა.

კონსტიტუცია აკანონებდა და უზრუნველ ჰყოფდა თავისუფლებას მწერლობისას, პიროვნებისას. სეიმის წევრნი სხდომის განმავლობაში ხელშეუხებელნი იყვნენ.

პირველი სეიმი მოწვეულ იქმნა 1818 წ. ვარშავაში და თვით იმპერატორმა გაუხსნა ფრანგულად წარმოთქმულ სიტყვით: „წარმომადგენელნო პოლონეთის სამეფოისავს! თქვენს ქვეყანაში არსებულმა წესწყობილებამ შემაძლებინა დაუყოვნებლივ მომენიჭებინა თქვენთვის კანონიერ თავისუფალი დაწესებულებანი, რომელნიც დიდი ხანია ჩემს ოცნებად ქმნილან და რომელთა მადლიან გავლენას, თუ ღმერთი შემეწია, იმედი მაქვს მთელს ჩემს სამფლობელოს მოვფენ. ამგვარად თქვენ მომეცით საშუალება მიმენიჭებინა ჩემი სამშობლოსთვის ეს განძი, რომელსაც დიდი ხანია ვუმზადებ. დაუმტკიცეთ თანამედროვეთ, რომ თავისუფლებაზე

დამყარებულნი დაწესებულებანი გამანათლებელი და გამაუმჯობესებელია ხალხის ცხოვრებისა, და არა მის გამრყვნელი და დამრღვევი! დაუმტკიცეთ, რომ თავისუფლება ხალხისა საშიში ოცნება არ არის, არამედ ერთად ერთი საშუალებაა ხალხის განვითარების და წინსვლისა; ჩაუნერგეთ თქვენს თანამედროვეთ დიდებული მნიშვნელობა ამ ცდისა, და მე— რწმენა, რომ ყოვლად უშიშრად მივანიჭო სხვებსაც ის თვითმართველობა, რომელიც თქვენ მოგართვით“.

სეიმმა მართებლობის მიერ წარდგენილი მარტო ერთი კანონი დაიწუნა. როდესაც ერთის თვის შემდეგ ალექსანდრემ დახურა სეიმის სხდომები, ამ სიტყვით მიმართა პოლონელთ: „თქვენდამი წარმოდგენილ კანონთაგანი უარჰყავით მარტო ერთი. თქვენი რწმენა ეწინააღმდეგებოდა მას და ამიტომ მოიქეცით ასე. მე ეს გარემოება ძალიან მასიამოვნებს, რადგან თქვენთა რწმენათა დამოუკიდებლობას ვხედავ. თავისუფლად არჩეულთ უნდა იცოდნენ თავისუფალი აზრის გამოთქმა... პოლონელნო! მე დიდს მნიშვნელობას ვაძლევ ჩემი აღთქმის ასრულებას...“

ზემოდ მოყვანილი სიტყვა და აგრეთვე ის დიდი მნიშვნელობა, რომელსაც ხელმწიფე აძლევდა თავის „აღთქმის ასრულებას“, ამტკიცებს, რომ ალექსანდრე პირველს სურდა რუსეთისთვის კონსტიტუციური მართებლობა მიენიჭებინა და უბრძანა კიდეც ნოვოსილცოვს, შეედგინა პროექტი რუსეთის კონსტიტუციისა. ნოვოსილცოვს ამ საქმეში შველოდა ფრანგი დეშანი; რუსულად სთარგმნა პროექტი თ. ვიაზემსკიმ. ნაყოფი მათი შრომისა მზად იყო 1818 წ. და ეწოდებოდა „Государственная Уставная Грамота Россійской Имперіи“. აი შინაარსი ამ კონსტიტუციისა:

საფუძველნი ხელმწიფის უფლებისა და მის მოქმედებისა განმარტულ არიან ამ დებულებით, რომელსაც საუკუნოდ ვანიჭებთ ჩვენთ ერთგულ ქვეშევრდომთ. სახელმწიფო უფლება განუყოფელია; იგი ეკუთვნის ხელმწიფეს, რომელიც არის ერთად ერთი წყარო იმპერიის სამოქალაქო, სამხედრო, სა-

კანონმდებლო და საპოლიტიკო გამგეობისა; ხელმწიფეს ეკუთვნის უფლება ომის და ზავისა, მორიგების ხელშეკრულებისა, წინამძღოლობა სამხედრო და საზღვაო ჯარებისა, დანიშვნა ელჩებისა, დანიშვნა მოხელეებისა, დამნაშავეთა პატიება და სხ... მაგრამ ხელმწიფის საკანონმდებლო უფლებას ეხმარება ამ დებულების ძალით დაარსებული სეიმი. ხელმწიფე განაგებს სახელმწიფო შემოსავალს დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვის დაკვალად. საზოგადო კანონებს შემოიღებს ხელმწიფე სახელმწიფო საზოგადო სეიმის დახმარებით და კერძო, ადგილობრივ კანონებს—ხელმწიფის ნაცვალი ადგილობრივ სეიმთა დახმარებით.

ცალკე თავში არის აღნიშნული დაურღვევლობა იმპერატორის მიერ ამ დებულებისა.

სახელმწიფო სარწმუნოებად მართლმადიდებლობა არის აღიარებული, მაგრამ ქრისტიანულ სხვა სარწმუნოების მიმდევართაც იგივე პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლებანი აქვთ მინიჭებული. კანონი მფარველობას უწევს ერთნაირად ყველა მოქალაქეს განურჩევლად მის სარწმუნოებისა. თვითნებობით ვისიმე დაჭერა ისჯება სისხლის სამართლით. დაჭერილს დაუყოვნებლივ უნდა გამოეცხადოს მიზეზი მის დაჭერისა. დასჯილი მარტო კანონით უნდა იყოს დამნაშავე, და ამასთან იმ კანონით, რომელიც მის დანაშაულამდე არსებობდა. მწერლობას თავისუფლება ეძლევა. „ჰყავდეს რუსეთის ხალხს თავისი წარმომადგენელნი ამიერიდან უკუნითი უკუნისამდე“. ხალხის წარმომადგენელნი სახელმწიფო სეიმს შეადგენენ, რომელიც შესდგება ხელმწიფისა და ორ პალატისგან.

რუსეთი განიყოფება სხვა და სხვა ოლქებად და ყოველ ოლქში ხელმწიფის ნაცვალთან ერთად არსებობს საოლქო სეიმი. ესე იგი ის, რასაც დღეს ავტონომიას უწოდებენ.

საზოგადო სახელმწიფო სეიმს ეკუთვნის სახელმწიფო კანონმდებლობა, ხარჯის რაოდენობის და შეცვლის დადგენა, შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა საოლქო სეიმთაგან წარმოდგენილ საოლქო სმეტების შესაფერად. ერთი პალატისგან

მიღებულს პროექტს მეორე პალატა ვერ შესცვლის: მან უნდა მიიღოს უცვლელად, ან მთლად უარჰყოს. ორივ პალატისაგან მიღებული პროექტი ხელმწიფეს უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად, რომელსაც შეუძლიან უარჰყოს მის გაკანონება...

რა მოუვიდა ამ კონსტიტუციას? 1819 წ. გრ. ვიაზემსკი ხელმწიფესთან იყო დაბარებული; იმპერატორმა ჯერ კრაკოვის ამბები ჰკითხა და ერთობ პოლონეთისა; ბრძანა,—ეკატერინე მეტად უდიერად მოექცა პოლონელებს, მე მინდა დაცულ იქმნას პოლონური ეროვნება და ამიტომ მივანიჭე კონსტიტუციური მართებლობაო...—აქედან რუსეთზედ გადავიდა, სთქვა,—თქვენი პროექტი მომწონს და უთუოდ შემოვიღებ რუსეთში ახალს წესწყობილებას, მაგრამ ხაზინის ქესატობა მიშლის ჯერ-ჯერობით... ამას გარდა დიდს წინააღმდეგობას გაგვიწევენ ამ წმინდა საქმის განხორციელებაში ბნელის თაყვანისმცემელნი და უვიცნი, რომელთა რიცხვი ერთობ დიდია იმპერიაშიო...

მაგრამ ვერ განახორციელა ალექსანდრემ „წმინდა საქმე“. 1830 წ. პოლონელთა ამბოხება მოხდა. პოლონეთის დროებითმა მართებლობამ ნოვოსილცოვის ქალალდებში იპოვნა პროექტი რუსეთის კონსტიტუციისა და დაბეჭდა. ამ გარემოებამ მეტად აღაშფოთა იმპერატორი ნიკოლოზი. პასკევიჩმა რომ ვარშავი აიღო, ხელმწიფისაგან კონსტიტუციის შესახებაც მიიღო ბრძანება: „ძალიან მეწყინა ამ ქალალდის დაბეჭდვა: ჩვენმა ოფიცრებმა ასმა რომ წაიკითხოს, ოთხმოცდა ათი ვერას გაიგებს, მაგრამ ათი კი დაიხსომებს, განსჯის და, უმთავრესიც ეს არის—**ადარ დაიგიწყებს.** ყველაზე მეტად მე ეს მაწუხებს“. დაიარეთ ყველა მალაზიები და იყიდეთ, რამდენიც უნდა იყოსო. ამ ბრძანებისამებრ მოგროვილ იქმნა 1578 ცალი „რუსეთის კონსტიტუციისა“ და მოსკოვს იქმნა გაგზავნილი, სადაც იმ დროს იმყოფებოდა ნიკოლოზი; იქვე მიართვეს თვით ხელნაწერიც კონსტიტუციისა... გენერალი ადლერბერგი სწერდა მოსკოვის კომენდანტს,—უმაღლესი

ბრძანებისამებრ მე და თქვენ უნდა დავესწრათ ერთი წიგნის, „რომლის გავრცელება მის შინაარსისა გამო შეუძლებელ არს“,—1578 ცალის დაწვას... იმდენად საშინელი იყო ეს წიგნი, რომ მის სახელის ხსენებასაც კი ვერა ბედავდა მისი აღმატებულება. უმაღლეს თავის მოხსენებაში კი გაბედა და „ორი დაბეჭდილი ყუთი, რომელში 1578 ცალი ეგრედ წოდებული რუსეთის კონსტიტუციისა ელაგა“ თქვენის ბრძანებისამებრ დავწვი არსენალის ეზოშიო, სწერდა.

**

**შილლერის სახსოვრად.** ამ ასის წლის წინად, 27 აპრილს 1905, გარდაიცვალა შილლერი (1759—1805), ავტორი დონ კარლოსისა, ფიესკოს შეთქმულებისა, ორლეანელ ქალისა, ვილჰელმ ტელისა, მარიამ სტიუარტისა და სხვ. შილლერი ცნობილია „კაცობრიობის მეგობრად“ და „თავისუფლების მგოსნად.“ საფრანგეთის კანონმდებელმა კრებამ 1792 წ. შილლერს მიანიჭა წოდება „საფრანგეთის მოქალაქისა“, რადგან იგი თავისი თხზულებებით, თუმცა გერმანულად დაწერილებით, ემსახურებოდა იმავე პრინციპებს, რომლის განხორციელებას ცდილობდა საფრანგეთის დიდი რევოლიუცია. პოლიტიკურად თავისუფალ ერთათვის შილლერს იქნება კიდეც დაჰკარგოდეს მნიშვნელობა; მაგრამ იმ ერისთვის, რომელიც დამონებულია და ჩაგრული, შილლერი უკვდავია თავის ღაღადით—თავისუფალია პიროვნება, აზრი, სინდისიო! ადამიანი თავისუფალი იბადება და თავისუფალი რჩებაო...

# შინაური მიმოხილვა

ნაციონალურ-პროგრესიული პარტია რუსეთში.—რეფორმა შინაგან საქმეთა სამინისტროში.—სარწმუნოებრივი თავისუფლება.

ხალხისაგან არჩეულ წარმომადგენლების მოქმედება სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში, რა თქმა უნდა, ყოვლის უწინარეს საკანონმდებლო უფლების აღსრულებას შეეხება. მაგრამ წარმომადგენლობითი სისტემა მმართველობისა მარტო კანონმდებლობის სარბიელზე არ აჩნევს თავის კვალს, პირიქით, ეს სისტემა ძირიან-ფესვიანად სცვლის მთელს ცხოვრებას და ყველგან ახალი სხივი, ახალი აზროვნება და ინტერესები შეაქვს. ხალხი ესე იგი სახელმწიფოს მკვიდრნი, რომელნიც ბიუროკრატიულ მმართველობის დროს ჩვეულებრივ თითქოს გულგრილად ეპყრობიან სახელმწიფოებრივს და საზოგადოებრივს ინტერესებს, წარმომადგენლობით მმართველობის შემოღებისათანავე საჩქაროდ იცვლიან ქერქს, ივიწყებენ კულანდელს ინდიფფერენტისმს და მთელის თავის სულიერის სიძლიერით ეკიდებიან ამის შემდეგ საზოგადო საქმეებს. ადამიანის ბუნების განცხოველება, თითქმის მკვდრეთით აღდგომა, ამ ძირითადის რეფომისაგან გამოწვეული, არც თუ ძნელი გასაგები და ასახსნელია: წინად ადამიანი თავის თავს სხვათა მოქმედების ობიექტად სცნობდა, თავისი საკუთარი ბედ-იღბალი ბიუროკრატიის ხელში სათამაშო ბურთად მიაჩნდა, შემდეგ კი ადამიანი ჰგრძნობს, რომ იგი

სუბიექტად არის გადაქცეული, რომ წინანდელის ნივთისაგან იგი უკვე პიროვნებად არის გარდაქმნილი; ადამიანი ჰხედავს, რომ ეხლა იგი თითონ არის თავის ცხოვრების ჩარხის დამატრიალებელი და, რასაკვირველია, არაფერს არა ჰზოგავს, არც მეცადინეობას, არც მუყაითობას და არც არა სხვას, ოღონდ კი ეს ჩარხი ისე დაატრიალოს, როგორც იმის ინტერესებს და იდეალებს შეეფერება. რადგან საზოგადოებრივი ცხოვრება სხვა-და-სხვა ჯგუფების, კლასსების და აზრების თანხმობას ანუ ჰარმონიას კი არა, პირიქით, ინტერესთა წინააღმდეგობას და შეუთანხმებლობას წარმოადგენს, ამიტომ წარმომადგენლობით მმართველობასთანავე სახელმწიფოში სჩნდება განცხოველებული ბრძოლა სხვა-და-სხვა მიმართულებისა, სხვა-და-სხვა მოწინააღმდეგე ინტერესებისა. თითოეულის რიგის ინტერესების დამცველნი ანუ თითოეულ იდეალის მატარებელნი გროვდებიან ერთად, უახლოვდებიან ერთმანეთს და ნაყოფიერის მოქმედებისთვის ჰქმნიან თავიანთთვის განსაზღვრულს ორგანიზაციას ანუ შეთანხმებულის და ერთსულოვანის მოქმედების წესებს. ამ გვარად წარმომადგენლობითს სახელმწიფოში აუცილებლად სჩნდება პარტია, რომელიც ერთისა და იმავე იდეალის განსახორციელებლად, ერთისა და იმავე ინტერესების დასაცველად ფართო გეგმით ჰმოქმედობს სახელმწიფოს მთელს ტერრიტორიაზე და საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფერებში. იმ სახელმწიფოებში, სადაც სისტემა წარმომადგენლობითის მმართველობისა დაახლოვებული და მჭიდროდ დაკავშირებულია ხალხთან, ე. ი. სადაც წარმომადგენლების არჩევანში მთელს ხალხს შეუძლიან მიიღოს მონაწილეობაა (საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნები), იქ საკანონმდებლო დაწესებულებას იმდენად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც ფორმალური. ვიდრე პარლამენტი თავის უკანასკნელს სიტყვას იტყვის, სხვა და სხვა პარტიების მოქმედებით და მეცადინეობით ხალხს ყველა თვალსაჩინო საქმის შესახებ უკვე განსაზღვრული აზრი აქვს შედგენილი და გამოთქმული ყრილობებზე მიღებულის რე-

ზოლიუციებით. თითოეულის პარტიის პოზიცია ამ ყრილობებზედვე ირკვევა, აქვე ირკვევა, რა აზრს ადგია ხალხის უმრავლესობა და პარლამენტის საბოლოო სიტყვა მომეტებულ ნაწილად წინასწარ გადაწყვეტილია. პარტია საპარლამენტო სახელმწიფოში იმ ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელიც ჰქმნის და არკვევს კავშირს საკანონმდებლო დაწესებულებისა და ხალხის უმრავლესობის მისწრაფებათა შორის. პარტია აუცილებელი პირობაა პარლამენტის მოქმედების ნაყოფიერებისთვის და უფრო კი იმისთვის, რომ ეს მოქმედება შეთანხმებული იყოს სახლის უმრავლესობის სურვილთან.

წარმომადგენლობით დაწესებულებისა და პარტიის შუა იმდენად მჭიდრო და ბუნებრივი კავშირი არსებობს, რომ რუსეთში, რომელიც უკანასკნელს ხანებში სერიოზულად ემზადება ახალ წესწყობილებისთვის, ეხლავე შეუდგნენ პარტიების შექმნას. პარტიები, როგორც მკითხველს უკვე ეცოდინება, რუსეთში წინადაც არსებობდნენ, მაგრამ ამ პარტიებს დღემდე ისეთი თვალსაჩინო და ძლიერი გავლენა არა ჰქონდათ სახელმწიფო საქმეებზე, როგორიც ახალის წესწყობილების დამყარების შემდეგ ექმნებათ. გარდა ამისა წინანდელი პარტიები, რამდენადაც ამ პარტიებს პოლიტიკური პროგრამმა ჰქონდათ, იმდენად ისინი აუცილებლად სარევოლიუციო პარტიები იყვნენ; საპოლიტიკო პარტიები კი იმ აზრით, როგორც ეს სიტყვა საპარლამენტო ქვეყნებში ესმით, რუსეთში სრულიად არ არსებობდა. მხოლოდ 18 თებერვლის შემდეგ, როდესაც გამოცხადდა ცნობილი უმაღლესი რესკრიპტი, დაიბადა რუსეთში ნიადაგი საპარლამენტო პარტიებისთვის. უეჭველია, უკვე არსებული პარტიები რუსეთის მომავალს წარმომადგენლობითს საკანონმდებლო დაწესებულებაში საპატიო ადგილს დაიჭერენ, ძალას გაიორკეცებენ და გაიათკეცებენ, მაგრამ ჩვენ მკითხველის ყურადღება ეხლა იმ პარტიაზე გვინდა მივაქციოთ, რომელიც ახლადა სდგება და რომელიც თავის თავს „ნაციონალურ პროგრესიულ“ პარტიას უწოდებს. პირველი ნასახი ამ პარტიისა

გამოჩნდა წარსულის წლის ნოემბერში, საერობო მოღვაწეთა კერძო კრებაზე. ამ კრებამ თავის რეზოლიუციების მეათე მუხლში აუცილებელ საჭიროებად აღიარა „დამყარება და დაცვა მუდამ მჭიდრო და ცხოველის კავშირისა და ურთიერთობისა სახელმწიფო უფლებისა საზოგადოებასთან“. ეს აზრი კრებაზე ერთხმად იყო მიღებული, შემდეგ კი საერობო მოღვაწეებმა სხვა და სხვა ნაირად განმარტეს იგი კონკრეტულად. უმრავლესობა (71 კაცი) საჭიროდ სცნობდა „ხალხისაგან არჩეულ წარმომადგენლების წესიერ მონაწილეობას საკანონმდებლო უფლების განხორციელებაში, სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის შედგენაში და ადმინისტრაციის მოქმედებისთვის კანონიერების მხრივ კონტროლის გაწევაში;“ უმცირესობა ასე შორს არ მიდიოდა (17 კაცი) და დაკმაყოფილდა „წესიერის მონაწილეობით სახალხო წარმომადგენლობისა, როგორც ცალკე საარჩევნო დაწესებულებისა, კანონმდებლობაში.“ ნოემბერში ეს განსხვავება აზრებისა დიდ განხეთქილებას არა ჰქმნიდა, მაგრამ თანდათან, გამოირკვა რა, რომ წარმომადგენლობითი მმართველობა ისე შორს აღარ იყო რუსეთზე, როგორც წინად ჰფიქრობდნენ, აზრთა სხვადა-სხვაობამ ერობის წარმომადგენელნი ორს მოპირისპირე ბანაკად დაჰყო. უმცირესობამ ბ. შიპოვის მეთაურობით თანდათან გამოარკვია თავისი პროგრამმა და გადაიქცა იმ ბუდედ, რომელშიაც იზრდება ნაციონალურ-პროგრესსიული პარტია.

ამ ახალის პარტიის მთავარი აზრი რამდენადმე უკვე ნოემბერშივე ცხადი იყო. ბ. შიპოვი და იმისი თანამოაზრენი წინააღმდეგნი იყვნენ, რომ ნათლად და გარკვევით ყოფილიყო აღიარებული ხალხის პოლიტიკური უფლებები. მაგრამ იმავე დროს თხოულობდნენ, რომ წარმომადგენლობითს დაწესებულებას მონაწილეობა მიეღო კანონმდებლობაში. ამ აზროვნებას ორის მხრიდამ აეხადა შემდეგში ფარდა. პირველი სიტყვა ამის შესახებ გამოითქვა მოსკოვში მომხდარ თავადაზნაურთა წინამძღოლების ყრილობაზე. ამ ყრილობას წარედგინა განსაკუთრებული მოხსენება პოლიტიკურ მდგომარეო-

ბის შესახებ, რომელიც იმდენად საინტერესოა, ჩვენს თავს ნებას მივცემთ, მოვიყვანოთ იქიდამ მთავარი ადგილები.

„ომმა გამოამჟღავნა უკარგისობა ჩვენის სახელმწიფოს შეურნეობისაო, —ამბობს მოსსენება, —და არეულობამ კი ჩვენი სულიერი სამოქალაქო მოუწყობლობა. არსებულის წესწყობილების და საერთო წესრიგის დაგმობის ხანამ გაიარა. ეხლა ყველა რუსები უნდა შეეერთდეთ შემოქმედებითის მუშაობით და ამით უნდა მივეგებოთ მეფის მოწოდებას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ მარტო შრომა კი არა, ბრძოლაც მოგველის. საზოგადო მოღვაწეთა წრეში ფრიად თვალსაჩინო, ძლიერი და გაერთიანებული ჯგუფია ისეთის პირებისა, რომელნიც მომხრენი არიან დასავლეთ ევროპის თეორიებისა კონსტიტუციონალურ მმართველობის შესახებ. უეჭველია, ეს ჯგუფი საზოგადოებრივს ყრილობებზე თავის აზრებს გაატარებს და ყოველს ღონეს იხმარს, რომ მომავალ სახელმწიფოებრივს რეფორმებს წმინდა კონსტიტუციონალური ხასიათი მიეცეს. ამის წინააღმდეგ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ბრძოლა და განმტკიცება საზოგადოებაში იმ აზრისა, რომ საჭიროება მოითხოვს შეერთებას 18 თებერვლის რესკრიპტის ნიადაგზე, რომლითაც გამოითქვა აზრი ჩვენის სამშობლოს აღორძინებისა თვითმპყრობელობის საფუძველზე და ხალხის წარმომადგენლების მოწოდებით. დასავლეთ ევროპის კონსტიტუციონალისმის თეორიებით ბევრია გატაცებული, რადგან იგი მზამზარეულია და, როგორც ვითომდა კარგად ნაცადი რეცეპტი, უფრო ხელსაყრელ საშუალებად მიაჩნიათ ჩვენის სახელმწიფო სენის მოსარჩენადაც. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებრივი ფორმები არ ამტკიცებენ, რომ სხვა ფორმა სახელმწიფოებრივობისა შესაძლო არ იყოს, რადგან არა ვვგონია, საფუძვლიანი იყოს აზრი, რომ ხალხთა პოლიტიკურს შემოქმედებას უკვე ნათქვამი ჰქონდეს თავისი უკანასკნელი სიტყვა სახელმწიფო წყობილების საქმეში. ჩვენ ვაღიარებთ, რომ მთელის ქვეყნის უდიდესს სახელმწიფოს ძალუძს შეჰქმნას და კიდეც უნდა შეჰქმნას თავისებური ფორმა მმართვე-

ლობისა, რომელიც ორგანიულად იქნება დაკავშირებული იმის სულიერს, გეოგრაფიულს და სხვა პირობებთან...

„18 თებერვლის რესკრიპტში ნაჩვენებმა სახალხო წარმომადგენლობამ უნდა შეუწყოს ხელი პირდაპირს დაახლოვებას ხელმწიფესთან ხალხის აზრისას და საზოგადოების შეხედულებისას. იგი არ უნდა ჰზღუდავდეს თვითმპყრობელობას, როგორც საკონსტიტუციო დაწესებულება; იმან უნდა მოსპოს თვითნებობა მოხელეებისა და დროით უნდა აცნობებდეს ხელმწიფეს ხალხისა და ქვეყნის საჭიროებას; იგი უნდა შესდგებოდეს არჩეულ პირთაგან; გარდა ყველა კანონ-პროექტის განხილვისა, იმას უნდა მიენიჭოს უფლება, აღძრას ხოლმე საკითხი ახალის კანონების გამოცემისა ან ძველების შეცვლის შესახებ; რათა აღმასრულებელ უფლების მოხელეებს არ შეეძლოთ წარყვნა კანონებისა და რათა დაცულ იქმნას თავისუფლება სინიდისის, პიროვნების და სიტყვისა, იმას უნდა მიეცეს უფლება, შეეკითხოს ხოლმე მინისტრებს, რომელნიც ხელმწიფის წანაშე იქმნებიან კულანდებურად პასუხისმგებელნი; იმას უნდა მიეცეს უფლება სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვისა და შესრულებულის ბიუჯეტის კონტროლისა.“

თავად-აზნაურთა წინამძღოლების ყრილობამ მიიღო ეს მოხსენება, რომელიც ნაციონალურ-პროგრესსიულ პარტიის თეორიულ დასაბუთებას წარმოადგენს. ამ პარტიას **თავისებური** სახელმწიფოებრივი ფორმა ჰსურს გამოიგონოს. ამგვარი მიმართულება აზრისა რუსეთის ცხოვრებაში ახალი რამ მოვლენა არ არის, პირიქით, არც ერთს ისტორიულს მომენტს არ გაუვლია ამ ქვეყანაში ისე, რომ ეგრედ წოდებულ „სლავიანოფილებს“ აუცილებლად წინ რუსეთის ხალხის და ქვეყნის თავისებურება არ წამოეყენებინათ, დასავლეთ-ევროპის წინააღმდეგ არ გაელაშქრნათ და წმინდა ეროვნული, ნაციონალური დაწესებულებები არ მოეთხოვნათ რუსის ხალხის თავისებურობის სახელით. თეორია ახალის პარტიისა იგივე სლავიანოფილობაა: ეს პარტია ევროპის სახელმწიფო ფორ-

შებს ჰგმობს და სხვა უკეთეს თავისებურ ფორმების გამოგონებას აპირობს. რუსეთის ისტორიამ მრავალჯერ დაამტკიცა, რომ სლავიანოფილების მისწრაფება თავისებურობისადმი უბრალო კონსერვატორობაა, არც მეტი, არც ნაკლები! ბევრჯელ დაამარცხა წინმსვლელობის ტალღამ ეს თავისებურობა, მაგრამ სლავიანოფილები მაინც თავისას არ იშლიან: უეჭველია, აქ იმდენად სლავიანოფილების მოძღვრება და თეორია არა ჰმოქმედობს, რამდენადაც ის რეალური პირობები, რომლებიც რუსეთშიაც და სხვაგანაც ერთნაირად ჰქმნიან კონსერვატიულს მიმართულებას.

ნაციონალურ-პროგრესსიული პარტია არ არის კმაყოფილი დღევანდელის წესწყობილებით, ის აშკარად აცხადებს, რომ ომმა დაამტკიცა უვარგისობა რუსეთის ბიუროკრატიისაო. ამ მხრივ ეს პარტია სწორედ იმასვე ამბობს, რასაც ყველა რადიკალური მიმართულება, მაგრამ ამის შემდეგ კი იგი თავისებურს გზას ადგება; ახალს პარტიას არ მოსწონს უფლებრივი დაკანონება ხალხის მონაწილეობისა მმართველობაში, იგი თავის იმედებს რეალურს ურთიერთობის ძალაზე ამყარებს, მაგრამ დღეს ყველას შეგნებული აქვს, რომ კანონი მხოლოდ რეალურ ურთიერთობის გამომხატავია და ამიტომ უცნაურია, რომ ეს ახალი პარტია რეალურად კონსტიტუციონალურ წესის შემოღებას აპირებს, მაგრამ დაწერილს კონსტიტუციას კი ჰგმობს.

რუსეთის პრესსაში ზოგიერთმა რადიკალურ მიმართულების ორგანომ ის აზრი გამოსთქვა, რომ ნაციონალურ-პროგრესიული პარტია ნამდვილად დემოკრატიულ ნიადაგზე დგას, რადგან მომხრეა იმ აზრისა, რომ კანონმდებლობა ხალხის სურვილების თანახმად მიმდინარეობდესო, და მხოლოდ აშკარად არ აცხადებს თავის კონსტიტუციონალისტობას, განძრახ ჰფარავს თავის მისწრაფების ჭეშმარიტს საგანსაო. პირველის შეხედვით, ასეთი შეხედულება კაცს მართალი ეგონება. ახალს პარტიას ახალი და თავისებური ანუ თვისტომებრივ არაფერი არ შეუთხზავს: კანონ-პროექტების განხ-

ხილვა, ბიუჯეტის შედგენა და კანტროლი მინისტრების მოქმედებისა აუცილებლად ყველა კონსტიტუციაშია შეტანილი; თვითმპყრობელობა პრაქტიკულად შეუძლებელია შეურიგდეს წარმომადგენლობითს დაწესებულებას; თუნდაც კონსტიტუცია არ დაიწეროს და სახელით თვითმპყრობელობა ისევ დარჩეს, მაინც წარმომადგენელთა კრებული რეალურად შემზღუდველი იქნება იმისი, ასე რომ ამ მხრივ პროგრამმა ამ პარტიისა აუცილებლად კონსტიტუციონალურის ხასიათისაა, თუმცა კი პარტიის მეთაურნი დიდს წინააღმდეგობას აცხადებენ დასავლეთ ევროპის სახელმწიოფო წყობილების გადმონერგვაზე რუსეთში. რეალურად რომ ნაციონალურ-პროგრესსიული პარტია კონსტიტუციონალური პარტია არის, ეს უეჭველია, მაგრამ იმისი კონსტიტუციონალისმი მაინც თვალსაჩინოდ განსხვავდების ლიბერალების კონსტიტუციონალისმისაგანაც კი.

ბ-ნის შიპოვის მეთაურობით ნაციონალურ-პროგრესსიულმა პარტიამ შეიმუშავა რამდენიმე მთავარი მუხლი იმ წესწყობილებისა, რომლის დამყარებასაც ესწრაფვის პარტია. დღემდე გაზეთებში გამოქვეყნებულის ცნობებით, პარტიის დამახასიათებელ ნიშანდობლივ თვისებად უნდა ჩაითვალოს მისგან განზრახული სისტემა წარმომადგენლების არჩევანისა. „სახალხო წარმომადგენლობა საყოველთაო და პირდაპირ არჩევნებზე არ უნდა იყოს აშენებული; იმის საფუძვლად უნდა გახდეს რეორგანიზაცია წარმომადგენლობისა ადგილობრივს თვითმართველობაში, რომელიც უნდგა გავრცელდეს, რამდენადაც კი ეს მოსახერხებელია, რუსეთის იმპერიის ყველა ნაწილებზე“—აცხადებს შიპოვის პარტია და სწორედ აქ უნდა მოიძებნოს ამ პარტიის სული და გული. თუმცა გარკვევით და ნათლად არ არის ნათქვამი როგორა აქვს პარტიას წარმოდგენილი მომავალი არჩევნები, მაგრამ ცხადია, ეს არჩევნები ისე უნდა მოეწყოს, რომ მხოლოდ რუსეთის ხალხის და საზოგადოების ერთმა პატარა ნაწილმა მიიღოს მონაწილეობა და მაშასადამე მხოლოდ ამ

პატარა ნაწილისთვის ჰსურს პარტიას წარმომადგენლობის შემოღება. ის ბედნიერი ნაწილი რუსეთის ხალხისა, რომლისთვისაც შიპოვის პარტია წარმომადგენლობას იმეტებს, ის ნაწილი სრულიადაც არა ჰსაჭიროებს, რომ მათს ხმას აუცილებლად, კანონის ძალით, მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა; იმისთვის რჩევის ხმა და გადამწყვეტი ხმა—ორივე ერთი იქნება. როგორც დღემდე ახერხებდა უმაღლესი ნაწილი რუსეთის ხალხისა თავის სურვილზე ქვეყნის ბედის დატრიალებას, ისე ამის შემდეგ ჰსურს შიპოვის პარტიას აწარმოვოს საქმეები. თუ ამასთანავე მოვიგონებთ, რომ ნაციონალურ-პროგრესსიულ პარტიის წევრები უდიდესი და უძლიერესი თავად-აზნაურები არიან, ჩვენთვის სრულიად ცხადი იქნება, რომ ეს ახალი პარტია დემოკრატიული კი არა, ლიბერალურიც კი არ არის. მომავალში ეს პარტია წარმომადგენელთა საკრებულოს მარჯვენა მხარეზე დაიჭერს ადგილს და დარაჯად დაუდგება ბრწყინვალე წოდებისა და მდიდარ, მსხვილ ბურჟუების ინტერესს, რამდენადაც კი ამ ორის კლასის ინტერესი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება.

მაისის მეორე ნახევარში, შემდეგ რუსის ფლოტის დაღუპვისა იაპონიასთან ბრძოლაში 14—16 მაისს, მინისტრთა საბჭო ბეჯითად შეუდგა შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინისაგან შედგენილ გეგმის განხილვას მომავალ წარმომადგენლობით დაწესებულებისას. როგორც დეპეშებიდან ვიცით, ამ გეგმით განზრახულია არა საყოველთაო და არა პირდაპირ არჩევნები, არამედ არჩევნები საქალაქო და საერობო თვითმმართველობის დაწესებულებებში; გარდა ამისა, წარმომადგენლობას ექნება მხოლოდ რჩევის ხმა, და არა გადამწყვეტი ხმის უფლება. საფიქრებელია, რომ რეფორმა შეიძლება მართლა ასე განხორციელდეს და მაშინ ბ. შიპოვის ნაციონალურ-პროგრესსიული პარტია შეიქნება სრული ბატონი რუსეთის სახალხო წარმომადგენლობისა.

—

როგორც ზემოდ ვთქვით, მინისტრთა საბჭო შეუდგა შინაგან საქმეთა მინისტრისაგან შედგენილის გეგმის განხილვას, რომელიც 18 თებერვლის რესკრიპტის ძალით საფუძვლად უნდა დაედოს სახელმწიფოებრივ წესწყობილების რეფორმას. 18 თებერვალს უმაღლესად აღიარებული იყო აუცილებელი საჭიროება ბიუროკრატიულ სისტემის შეცვლისა სახალხო წარმომადგენლობით. რამდენადაც უნდა შეკვეცილი ჰქონდეს ფრთა სახალხო წარმომადგენლობას, იგი მაინც და მაინც აუცილებლად მოასწავებს პიროვნების, აზრის, სიტყვის, კრების, ყრილობების და სხვათა თავისუფლებას. ამიტომ სწორედ ეხლა, როდესაც რეფორმის განსახორციელებლად მინისტრთა საბჭო გაცხარებულს მუშაობაშია, სრულიად მოსალოდნელი არ იყო, რომ მმართველობა მოისურვებდა ბიუროკრატიულ მოხელეების უფლებათა გაფართოვებას ხალხის თავისუფალ აზრისა და მოქმედების ასალაგმავად, მაგრამ ეს მოულოდნელი ამბავი დღეს უკვე ფაქტია: შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს ახალი საპოლიციო უფლებები მიენიჭა უმთავრესად პოლიტიკურ ხასიათის მოძრაობის ჩასაქრობად და ამასთანავე იგი მთელის იმპერიის საპოლიციო მოქმედების ცენტრალურ ორგანოდ, პოლიციის უფროსად დაინიშნა, რომელსაც შეუძლიან სხვათა შორის ხელმწიფე იმპერატორთან პირდაპირ წარადგინოს ხოლმე მოხსენებები და ითხოვოს ნება-რთვა ისეთის მოქმედებისთვის, რომლის უფლებაც კანონით იმას მინიჭებული არა აქვს, გარდა ამისა, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს, როგორც პოლიციის უფროსს, მიენიჭა უფლება: დახუროს, როგორც არსებულ კანონის ძალით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, აგრეთვე სხვა დაწესებულებებისაგანაც ნება დართული სიეზდები, თუ მათს მიმართულებას იგი მავნებლად სცნობს სახელმწიფო წესწყობილებისა და საზოგადოებრივ მყუდროებისთვის, დახუროს აგრეთვე დროებით, ერთი წლის ვადამდე, ყოველგვარი საზოგადოებანი, კრებები, კავშირები და სხვა ამგვარი დაწესებულებანი, რა გზითაც უნდა იყვნენ გახსნილი და რაც გინდა დაწესებულებას ექვე-

მდებარებოდნენ იგინი. ამ რიგად ამ ახალის საკანონმდებლო აქტის შემდეგ, რომელიც გამოიცა რუსეთის აღორძინების ხანაში, საპოლიციო ნაწილი თითქმის განსაკუთრებულ სამინისტროს უწყებად გადაიქცა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსეთში აუარებელი საქმე აქვს, იმისი ფარგალი მეტად განიერია და დიდი. ამ სამინისტროს უწყებას ეკუთვნის ყოველივე საქმე, რომელიც კი პირდაპირ სხვა რომელიმე სამინისტროს არა აქვს მიკუთვნილი კანონით. შინაური საქმეები ყოველს სახელმწიფოში საზოგადოებრივ ძალების და საზოგადო მოღვაწეობის ნაყოფია; რუსეთში ბიუროკრატია საჭიროდ სცნობდა და დღესაც საჭიროდ სცნობს, რომ საზოგადოების მოქმედება აუცილებლად სახელმწიფო მოხელეების კანტროლის ქვეშ იმყოფებოდეს. ბიუროკრატია უნდობლად ეჭცევა საზოგადოებრივ ძალებს, ყველგან სახელმწიფო ინტერესების ღალატს და არსებულის წესწყობილების საწინააღმდეგო მოქმედებას ელის და ამიტომ იმას საჭიროდ მიაჩნია, დიდის სიფრთხილით ეჭიროს თავი და ყოველი ნაბიჯი საზოგადო მოღვაწეობისა ოპეკის ქვეშ იყოლიოს. აქედამ წარმოსდგება ის გარემოება, რომ რუსეთში შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყება იზრდება პარალლელურად საზოგადოებრივობის გრძნობის გამტკიცებასთან და საზოგადო მოღვაწეობის გაფართოვებასთან. შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც თავის დანიშნულებით ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებრივ ძალთა განვითარებას, თანდათან გადაიქცა ისეთს დაწესებულებათა სისტემად, რომელნიც იმდენად თავის პირდაპირ დანიშნულებას არ ემსახურებიან, რამდენადაც საზოგადო მოღვაწეობის კონტროლს. ამ კანტროლმა, ამ ოპეკამ იმ გვარი ხასიათი მისცა სამინისტროს, რომ იგი თანდათან საპოლიციო მოქმედების ორგანოდ გადაიქცა. ისეთი უბრალო საქმეც კი, როგორიც არის, მაგალითად, სასოფლო საამხანაგო ბანკის დაარსება, შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვით თუ არა, სხვაფრივ არ იქნება განხორციელდეს. საზოგადო მოღვაწეობის კანტროლმა თანდათან დაჩრ-

დილა შინაგან საქმეთა სამინისტროს პირდაპირი დანიშნულება და გადააქცია იგი ორგანოდ ყოფა-ქცევის ზედამხედველობისა. სამინისტროში გაიზარდა საპოლიციო ნაწილი და შეიბორკა სხვა ნაწილები. ასეთ პირობებში საჭიროება დიაღ მოითხოვს, რომ ამ სამინისტროს საპოლიციო ფუნქციები სრულიად განჰშორდეს და ამ გვარად ეს უწყება ისევ დაუახლოვდეს თავის დანიშნულებას. ამ მხრივ პოლიციის უფროსის თანამდებობის შექმნა და შინაგან საქმეთა სამიხისტროდამ საპოლიციო ნაწილის გამოცალკევება სრულიად ეთანხმება მომწიფებულს საჭიროებას. მაგრამ ამ რეფორმას ორ გვარი ხასიათი, ორ გვარი მიმართულება შეეძლო მიეღო. თუ მთავრობა საყოველთაოდ საადმინისტრაციო ოპეკის გაუქმებას განიზრახავდა, მაშინ პოლიციის უფროსს ჩაჰბარდებოდა მარტოოდენ მზრუნველობა მშვიდობიანობის დასაცველად, ესე იგი, იგი იმოქმედებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ან რაიმე არეულობა, ან რაიმე უწესოება იჩენდა სადმე თავს. პირიქით, თუ მთავრობა წინანდელ ოპეკის სისტემაზე უარს არ იტყოდა, პოლიციის უფროსისთვის აუცილებლად უნდა მიენიჭებინა უფლება, ზედამხედველობა გაეწია ხალხის ყოველგვარის მოქმედებისთვის, თუნდაც ეს მოქმედება არც ეხლა არღვევდეს წესიერებას და არც შემდეგში ჰქონდეს მიზნად წესიერების დარღვევა. ახალის კანონით, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს, როგორც პოლიციის უფროსს, მიენიჭა უფლება ისეთი კრებები, ყრილობები, კავშირები და საზოგადოებათა მოქმედებაც კი აკრძალოს, რომელნიც ნება დართულნი არინ შინაგან საქმეთა ან სხვა რომელიმე სამინისტროსაგან. ეს ცვლილება საადმინისტრაციო ოპეკის უმწვერვალეს განვითარებას აღნიშნავს, ამაზე შორს წასვლა აღარ შეიძლება. პოლიციის უფროსი ეხლა ყველა სამინისტროზე ძლიერია, პოლიციის უფროსს შეუძლიან ყველა სამინისტროს დადგენილება, რომელიც კი საზოგადო მოღვაწეობას ე. ი. საზოგადოებრივ ძალთა მოქმედებას შეეხება, გააუქმოს ან დროებით შეაჩეროს. პოლიცია ამ გვარად მოექცა ბიუროკრატიულ დაწესე-

ბულებათა სათავეში: ეს პირდაპირი ნაყოფია იმ პრინციპისა, რომელზედაც არის აშენებული რუსეთში სისტემა ბიუროკრატიულ დაწესებულებისა; ოპეკის და საადმინისტრაციო მზრუნველობის პრინციპი იმდენად განვითარდა, რომ ეხლა პოლიციის უფროსი სამინისტროების მოქმედებასაც კი ზედამხედველობას უწევს.

რადგან კავკასია, შემდეგ ნამესტნიკობის აღდგენისა, როგორც ადმინისტრატიული ერთეული მართვა-გამგეობის მხრივ სრულიად გამოყოფილია იმპერიიდამ, ამიტომ კავკასიისთვის პოლიციის უფროსიც ცალკე დაინიშნა; ჯერ-ჯერობით ვიცით მხოლოდ ის, რომ კავკასიის პოლიციის უფროსს წელიწადში ასი ათასი მანეთი მიეცემა საიდუმლო ხარჯების დასაფარავად, დაწვრილებით კი იმის თანამდებობის ფუნქციებს მაშინ შევიტყობთ, როდესაც გამოცხადდება კავკასიის მმართველობის ახალი დებულება.

—

წელს აღდგომის დღესასწაული აღინიშნა უმაღლესის მანიფესტით სარწმუნოებრივის თავისუფლების შესახებ. ამ ჟამად არა გვგონია საჭირო იყოს იმაზე ლაპარაკი, თუ რაოდენად ეთანხმება ამ მანიფესტის შინაარსი ხალხის სურვილს. საკმარისია მოვიგონოთ, რომ რუსეთში მრავალი სარწმუნოებრივი სექტა არსებობს, რომელთაც დღემდე კანონი არა სცნობდა და რომლის მიმდევართაც ბევრად თუ ცოტად სდევნიდა. რამდენიმე წლის წინად სარწმუნოებისთვის გადმოასახლეს რუსეთიდამ მრავალი დუხობორი კავკასიაში საცხოვრებლად, ეს სასჯელი იყო დუხობორებისთვის! მაგრამ აქაც არ მოასვენეს და აიძულეს ამერიკაში გახიზნულიყვნენ; გადასახლების წინ მთელი თავისი ნაამაგარი ქონება დუხობორებმა ძალაუნებურად მიატოვეს ან გროშის ფასად გაჰყიდეს და შიშველ-ტიტველნი ესტუმრნენ უცხო ქვეყანას, სადაც საშინელი გაჭირვება გამოიარეს, ვიდრე ფეხს მოიკიდებდნენ. ეს მხოლოდ ერთ-ერთი მაგალითია, ნამდვილად კი რუსეთის ისტორია, განსაკუთრებით უკანასკნელის ხანებისა, სავსეა ასე-

თის მაგალითებით. ჩვენთვის, ქართველებისთვის, სარწმუნოებრივს საკითხს განსაკუთრებითი ხასიათი აქვს. ქართველების მომეტებული ნაწილი მართლმადიდებელია, ესე იგი გაბატონებულს სარწმუნოებას აღიარებს, მაგრამ სარწმუნოებრივი საქმე, როგორც ერთ-ერთი გამოხატულება სინიდისისა, მხოლოდ მაშინ არის დაყენებული საკანონმბრივ ნიადაგზე, როდესაც იმისთვის არავითარი კანონი, არავითარი ძალდატანება, არავითარი რეგლამენტაცია არ არსებობს და მთლად ადამიანის სურვილზეა დამყარებული. რუსის ბიუროკრატიამ კი საგანს დღიდან საქართველოს შეერთებისა რუსეთთან სულ სხვანაირად შეჰხედა: იმან განიზრახა სარწმუნოებრივი ერთობა ქართველებისა რუსებთან გამოეყენებინა როგორც იარაღი ქართველების გარუსებისთვის. ამ აზრით მოსპო საქართველოს ეკლესიის საკუთარი მართვა-გამგეობა, რომელიც ქართველ მეფეების დროს არჩევნების სისტემაზე იყო დამყარებული; დაუმორჩილა ეკლესია მართვა-გამგეობის საერთო სისტემას, შეიტანა ეკლესიაში რუსული ენა, აკრძალა ქართული ენა სასუსულიერო სასწავლებლებში და სხვა. პოლიტიკის გამეფებას ქართულს ეკლესიაში ბუნებრივად მოჰყვა სარწმუნოებრივი ინდიფფერენტისმი ერთის მხრივ და სამღვდელოების სრული გამატერიალისტება და გაკარიერისტება—მეორე მხრივ. ამ ნიადაგზე მღვდლებსა და მრევლს შორის გაჩნდა უკმაყოფილება, რომელიც წლითი-წლობით იზრდებოდა და ბოლოს სრულს განხეთქილებად გადაიქცა. ამ ჟამად სამღვდელოება იძულებული შეიქნა გონიერების თვალით შეჰხედოს თავის მდგომარეობას, გამოიკვლიოს ნამდვილი მიზეზები ხალხთან განხეთქილებისა და იღონოს რამე თავის მდგომარეობის გამოსაკეთებლად.

ქართული ეკლესია მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მძიმე-მძიმედ ამზადებდა ეხლანდელს არეულობას და ამისათვის რუსის სასულიერო ბიუროკრატია ქართულის ეკლესიის მართლმადიდებლობას ჰხმაროობდა იარაღად. უმაღლესის მანიფესტის ძალით 17 აპრილის შემდეგ მთელის რუსეთის

იმპერიის მცხოვრებთ სარწმუნოებრივი თავისუფლება მიენიჭათ, მაგრამ ქართულის ეკკლესიის მდგომარეობას იგი იოტის ოდნავაც კი არა სცვლის. პირიქით, თუ აქამდე ქართველები ზოგიერთის მხრივ ისევე იყვნენ შეეიწროვებულნი სარწმუნოების საქმეში, როგორც სხვა ხალხი, დღეის შემდეგ სარწმუნოებრივი შეეიწროება მარტო ოდენ ქართველის ხალხისთვის-ღა იქნება. 17 აპრილის მანიფესტის მე-14-ე მუხლით ყველა სასწავლებლებში სამღვთო სჯულის სარწმუნოებრივი სწავლა ბავშვების სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდეს, მაგრამ მანიფესტს მხედველობაში მხოლოდ არა მართმადიდებელთა სარწმუნოება აქვს, ასე რომ ქართველი ბავშვები ისევ კულანდებურად რუსულს ენაზე უნდა სწავლობდნენ სამღვთო სჯულს. ყველა ეროვნებას, სომეხს, თათარს, პოლონელს, გერმანელს და სხვას 17 აპრილის შემდეგ სასწავლებლებში სამშობლო ენაზე ასწავლიან სამღვთო სჯულს, მხოლოდ ქართველებს კი უცხო ენაზე, და ამისი ერთად-ერთი მიზეზი ის არის, რომ ქართველების სარწმუნოება მართლმადიდებლობაა, რომელიც გაბატონებულ სარწმუნოებად ითვლება. პოლიტიკამ ისე წაიყვანა საქმე, რომ გაბატონებულ ეკკლესიის ერთს შტოს უფრო ნაკლები უფლებები აქვს, ვიდრე არა გაბატონებულს სარწმუნოებებს. ეს ანორმალური მდგომარეობა პირდაპირი ნაკოფია ქართულის ეკკლესიის გარუსების იარაღად გადაქცევისა.

ბ. რ.

# უცხოეთის მიმოხილვა

## რუსეთ-იაპონიის ომი*)

სრული თექვსმეტი თვეა უანგარიშო სისხლი იღვრება შორეულ აღმოსავლეთში ხმელეთსა, თუ ზღვაზე. ამ ხნის განმავლობაში რუსის ჯარს ერთხელაც არ გაუღიმა ბედმა: დამარცხებას მოდევს დამარცხება სასტიკი, ხანდახან სამარცხვინოც. უზარმაზარი რუსეთი იძულებულია ქედი იხაროს, გზა დაუთმოს შედარებით პატარა იაპონიას. მიზეზი?

რუსეთის იმპერიის ბიუროკრატიული წესწყობილებაო, გვეუბნებიან პასუხად ამ კითხვაზე. როგორც სამოქალაქო სფერაში, ისე სამხედროშიაც სრული უსუსურობა და მოუმზადებლობა გამოიჩინა თანამედროე წესწყობილებამ; საზოგადოებრივი კანტროლი არ იყო და ის უამრავი ფული, რომელიც რუსეთის იმპერიის სამხედრო მომზადებას უნდა მოხმარებოდა, გაიფლანგა და შეიჭამა; საზოგადოებრივი კანტროლი არ იყო და გარეშე საქმეთა სამინისტრო კანცელარიის წესით უძღვებოდა უზარ-მაზარ იმპერიის გარეშე პოლიტიკას; ამიტომაც მოხდა, რომ იაპონიის გაზრდა, მისი ძალა და მნიშვნელობა გამოეპარათ და მოუფიქრებლად, მოუსაზრებლად გააბეს რუსეთი საბედისწერო ომიანობაშიო.

ყველაფერი ეს მართალია; რუსეთის ბიუროკრატიას ესა და უარესი დანაშაულიც მიუძღვის იმპერიის წინაშე, მაგრამ მარტო ბიუროკრატიულის წესწყობილებით ვერ ავხსნით ასეთ საშინელ, თითქმის უმაგალითო დამარცხებას უზარ-მაზარ იმპერიისას.

---

*) რადგან ამ ნომერმა ჟურნალისამ დაიგვიანა, ეს „სტატია“ დაიწერა ივნისში. რედ.

მოვიგონოთ ნაპოლეონ პირველის ისტორია: შეუდარებელი გენიოსი სარდალი და მისი საუკეთესო ჯარი, მალმერთებელი თავის სარდლისა და გამარჯვებებს შეჩვეული, ბოლოს სასტიკად დამარცხდნენ და მერე ვისგან? ბიუროკრატიის წარმომადგენელი პრუსიელი გენერალი ბლიუხერი შეიქნა ომის ღმერთის ნაპელეონ პირველის დამმარცხებელი! და ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ იმ დროინდელი პრუსია ან რუსეთი საფრანგეთზე მაღლა იდგა კულტურით და განათლებით ან იმიტომ კი არა, რომ პრუსიელი ჯარის კაცი უკეთ მომზადებული იყო. ნაპოლეონ პირველის დამარცხების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ თავის ჯარს შეუძლებელი, აუსრულებელი საქმე აკისრა. ჯარი პოლიტიკის იარაღია. ომი უბრალო ხოცვა-ჟლეტა როდია; ომი ხოცვა-ჟლეტაა, მაგრამ განსაზღვრულ პოლიტიკურ მიზნის მისაღწევად. „ჯარი სახელმწიფოს პოლიტიკის იარაღია“, მიგრამ პოლიტიკაც არის და პოლიტიკაც: თუ ეს პოლიტიკა შეუძლებელი და აუსრულებელია, რაც არ უნდა გაწვრთნილი და მომზადებული იყოს ჯარი, საბოლოოდ ვერ გაიმარჯვებს; ჯარი ვერ გახდება ყოველ პოლიტიკის იარაღად.

წარმოვიდგინოთ, რომ ბიუროკრატია არ მოჰკიდებია ასე დედინაცვლურად იმპერიის სამხედრო ძალას, ისიც წარმოვიდგინოთ, რომ გენერალი კუროპატკინი არ იყო ისე უთავო მეთაური რუსის ჯარისა, როგორც ეს აღმოჩნდა. ასეთ პირობებშიც კი რუსეთ-იაპონიის შეტაკება არ გათავდებოდა რუსეთის სასარგებლოდ, რადგან თვით ის „პოლიტიკა“, რომლის სასამსახუროდაც აამოძრავა რუსეთის ბიუროკრატიამ ამოდენა სამხედრო ძალა, სრულიად უნიადაგო და აუსრულებელია. „ნოვოე ვრემია“ სწერდა შარშან გაზეთულზე: „რუსეთში 130 მილიონი ხალხია, მაგრამ იმ რუსეთში, რომელიც წყნარ ოკეანეს კარებთანაა, ერთი მილიონიც არ არის; მტერს კი იქ 50 მილიონი ჰყავს; ეს არ უნდა დაივიწყოთო“. უფრო მარტივად და სამართლიანად რომ ვსთქვათ, წყნარ ოკეანეს კარებთან სრულიად არ მოიძებნება რუსეთი და ‘ისი

ინტერესები. „სად არის პორტ-არტური? ტოკიო? პეტერ-ბურგი? შეხედათ რუსეთს და ადვილად მიხვდებით, რატომ ვმარცხდებითო,“ სწერს ერთი რუსი პუბლიცისტი.

ბრმა „პატრიოტების“ წინააღმდეგ, რომელნიც შორეა-ღმოსავლეთის დღევანდელ ომს ეროვნულ ომს ეძახიან, ზოგი რუსი და უცხოელი პუბლიცისტებიც ამტკიცებენ, რომ ეს ომი საახალშენო ომი არისო, მაგრამ ეს აზრიც ყოვლად უნიადაგოა: იაპონიასთან შეტაკებას საახელშენო ომიანობის ელფერს მხოლოდ ის აძლევს, რომ შორს არი და რუსეთის ტერიტორიას არ ეხება. საახალშენო ომს ეწევა მრეწველობა-განვითარებული სახელმწიფო ჭარბ საქონლის გასასაღებლად. რუსეთს არა თუ ჭარბი საქონელი, რაც საჭიროა საკუთრად მისთვის, იმის მცირე ნაწილიც არ მოეპოვება და საახალშენო ომი რად დასჭირდება? გარდა ამისა იაპონელი „არც ზულუსია, არც ჰერერო, არც ინელი და, წარმოიდგინეთ, არც ბური: იაპონია პირველ-ხარისხოვანი სამხედრო და საზღვაო სახელმწიფოა.“ დღევანდელ ომიანობის უბედურება რუსეთისათვის ის კი არ არის, რომ ბიუროკრატიამ ვერ მოამამზადა ქვეყანა და მისი სამხედრო ძალა ომისათვის, არამედ ის, რომ ბიუროკრატიამ თავის პოლიტიკით მოამზადა ომი და ჯარს თავს მოახვია აუსრულებელი საქმე“. რუსის ჯარი რომ უკეთ ყოფილიყო მომზადებული, ეხლანდელთან შედარებით ის განსხვავება იქნებოდა, რომ დამარცხებას არ ექნებოდა ასეთი დამამცირებელი ხასიათი. ეს დამცირებაა, რომ სავსებით აიხსნება საარაკო მოუმზადებლობითა და სამხედრო წინდაუხედავობით. ამ დამცირების უსაშინელესი და უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი კუნძულ ცუსიმასთან მომხდარი საზღვაო ბრძოლაა. რუსეთის ფლოტი განადგურდა, იაპონიისას კი ისე მცირე ზარალი მოუვიდა, რომ სათვალავში ჩასაგდები არც კი არის. რუსეთის უზარ-მაზარი იმპერია დღეს უფლოტოდ დარჩა და ბევრი დრო და ფული იქნება საჭირო, სანამ ახალს შეიძენდეს.

რუსეთის ფლოტის განადგურებას მეტად მძიმე შედეგი მოჰყვება ჩვენის მდგომარეობისათვისო, სწერს ერთი სამხე-

დრო მიმომხილველი (ს. ო. № 81). „მართალია, ცუსიმასთან მომხდარ ბრძოლის შემდეგ იაპონელებს არ შეუძენიათ იმაზე მეტი ბატონობა ზღვაზე, რამდენიც ამ ბრძოლამდე ჰქონდათ, მაგრამ რუსეთის ფლოტის მეორე ნახევრის მოსპობით მოსპეს სავსებით ჩვენი საზღვაო ძლიერება: ეხლა იაპონელებს შეუძლიათ სრულიად არაფრად მიიჩნიონ რუსეთი, როგორც საზღვაო სახელმწიფო და თუ ამ გარემოებას რა მნიშვნელობა აქვს, კუნძულ სახალინის ეხლანდელ მდგომარეობიდანაც სჩანს. გავგზავნიდით როჟესტვენსკის ესკადრას თუ არ გავგზავნიდით, სახალინს მაინც დავკარგავდით, მაგრამ მეორე შემთხვევაში (ე. ი. თუ ფლოტს არ გავგზავნიდით) ამ კუნძულის დათმობა იქნებოდა ძვირფასი პირობა ზავზე მოლაპარაკების დროს; ეხლა კი ამ დათმობას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან ეს კუნძული ფაკტიურად უკვე ეკუთვნის იაპონიას... სახალინის მდგომარეობაშია კამჩატკა და წყნარ ოკეანეს მთელი ნაპირები...

ბალტიის ზღვის ნაპირები დღეს სრულიად ღიაა და შეუძლებელია, რომ ამ გარემოებამ დიდი გავლენა არ იქონიოს ჩვენ სტრატეგიულ მდგომარეობაზე...

ეჰვს გარეშეა, რომ უკანასკნელი დიდი გამარჯვება იაპონიისა ყოველმხრივ მაღლა ასწევს იაპონიის კრედიტს; ისიც ეჰვს გარეშეა, რომ რამდენად ამაღლდება იაპონიის კრედიტი, იმდენად დაეცემა რუსეთის იმპერიის კრედიტი“..

„როჟესტვენსკიმ უკვე ხელი მოაწერა ზავის პირობებს კუნძულ ცუსიმასთანო“, სწერს როსლავლევი „რაზსვეტ“-ში და ეს ეგრეც არის. კუნძულ ცუსიმასთან როჟესტვენსკის დამარცხება ბევრად უარესია კურაპატკინის მუკდენთან დამარცხებაზე. სანამ ფლოტი ჰყავდა რუსეთს, კიდევ იყო ილლიუზია, რომ ხმელეთის ჯარი გაიმარჯვებდა; დღეს კი ეს ილლიუზიაც გაჰქრა და რუსეთი იძულებული იქნება ზავის ჩამოგდებას ეცადოს.

მაგრამ ზავიც და არის ზავიც. რუსეთის პატრიოტებს ვერ წარმოუდგენიათ, რომ დიდი რუსეთი სამხედრო კონტრი-

ბუციას გადაუხდის პატარა იაპონიას და ამტკიცებენ, რომ იაპონიას უფლებაც არ აქვს მოითხოვოს ეს კონტრიბუციაო: ოიამას რომ ციმბირის ნაწილი ჰქონდეს დაჭერილი, კიდევ გვესმის კონტრიბუციის მოთხოვნა, თორემ დღეს, როცა რუსეთის ტერიტორიაზე ფეხიც არ შემოუდგამთ იაპონელებს, ეს შეუძლებელი არისო. იაპონელები კი თავის მხრივ ამბობენ— ომი ჩვენ არ გვინდოდა, გვაიძულეს იარაღისთვის ხელი მოგვეკიდა, დიდი ხარჯები მოგვივიდა და დამარცხებულმა რუსეთმა, რომელმაც ეს ომი გამოიწვია, კიდეც უნდა გვიზღოს ეს ზარალიო.

რა შედეგი მოჰყვება შორე აღმოსავლეთის ომიანობას საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობაში, ამაზე არა ერთხელ გვექნება ლაპარაკი შემდეგშიაც, მაგრამ ერთი დიდი ცვლილება ეხლავე უნდა აღვნიშნოთ: რუსეთის დამარცხებამ დიდი გავლენა იქონია როგორც საფრანგეთის, ისე გერმანიის მდგომარეობაზედაც.

რუსეთმა მთელი თავისი ძალ-ღონე შორე-აღმოსავლეთის ომიანობას შეალია: დღეს რუსეთს აღარ ჰყავს სამხედრო ფლოტი, გარდა შავი ზღვის სამხედრო ფლოტისა, რომელიც რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობისათვის ანგარიშში მისაღები არ არის; რუსეთის ბალტიის ზღვის სანაპიროები ღიაა გარეშე მტრებისათვის. რუსეთის ფინანსიური მდგომარეობა უკიდურესია: გაღატაკებულ ხალხს აღარ შეუძლია აიტანოს უზარმაზარ იმპერიის უზარმაზარი ბიუჯეტი; სესხის აღება სჭირს, რადგან უცხოელი კაპიტალისტები და ბანკები უნდოთვალით უცქერიან რუსეთის ფინანსებს. ერთის სიტყვით რუსეთის იმპერია აღარ არის ის პირველ ხარისხოვანი დიდი სახელმწიფო, რომელიც შორე აღმოსავლეთის ომამდე უდიდესი ფაქტორი იყო საერთაშორისო პოლიტიკაში—უფლოტო და ღონე-გამოლეული გაუნათლებელი სახელმწიფო, შინაურ არეულობით და სარევოლიუციო მოძრაობით ხელფეხ შეკრული, დიდხანს იქნება ხმასა და გავლენას მოკლებული საერთაშორისო „კონცერტში“. რუსეთის ასეთი დასუსტება პირ-

ველად ყოვლისა მისმა მოკავშირემ საფრანგეთმა იგრძნო: რაკი ძლიერად მიჩნეული რუსეთის იმპერია მეტად სუსტი აღმოჩნდა, ორთა კავშირის ძალა აღარაფერი შეიქნა ევროპაში. საფრანგეთი ისევ განმარტოებული დარჩა ევროპაში. ამით ისარგებლა გერმანიის დიპლომატიამ, ენერგიულად შეუდგა საფრანგეთის წინააღმდეგ მოქმედებას და პარიზი, რომელიც ამ უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში ცენტრი იყო საერთაშორისო პოლიტიკისა, იძულებული გახდა პირველობა ისევ ბერლინისათვის დაეთმო. საფრანგეთს რომ ინგლისთან დაახლოება არ მოესწრო ომიანობის დაწყებამდე, მისი საერთაშორისო მდგომარეობა ისეთივე გაჭირვებული იქნებოდა, როგორიც იყო პრუსია-საფრანგეთის ომიანობიდან გასულ საუკუნის ოთხმოცდა ათიან წლებამდე—განმარტოებული და გავლენას სრულიად მოკლებული.

კიდევ კარგი, რომ უარესი არ დაგვემართა რუსეთთან დაკავშირებითო, ამბობენ დღეს ფრანგები: რუსეთის ძლიერების მოიმედე საფრანგეთს ადვილად შეეძლო რუსეთთან ერთად რამე საერთო საქმე დაეწყო, მაგალითად, რომელიმე სახელმწიფოსათვის ომი გამოეცხადებია, და მაშინ ხომ სულ დავიღუპებოდით, რადგან რუსეთის ძლიერება სულ ყალბი, მოჩვენებითი ყოფილაო; მადლობელი უნდა ვიყოთ იაპონიისა, რომ სინამდვილე დაგვანახვა და დიდ ხიფათს გადაგვარჩინაო.

ერთის მხრივ იზარალა კიდევ საფრანგეთმა რუსეთთან დაკავშირებით: როჟესტვენსკის ესკადრა რომ შორე-აღმოსავლეთისაკენ მიდიოდა, საფრანგეთის ნავთსადგურებში ისვენებდა, ნახშირს უდებდა და სამხედრო მასალას ივსებდა; საფრანგეთმა რუსეთის გულისათვის ნეიტრალიტეტი დაარღვია და იაპონია მტრად გადაიკიდა, რაც საფრანგეთისათვის ძალიან საშიშია: საფრანგეთის დიდი და მდიდარი ახალშენი ინდოჩინეთი შორს არ არის იაპონიისაგან და, როცა დრო მოიტანს, იაპონიას სრული შეძლება ექნება სამაგიერო ერთიათად გადაუხადოს საფრანგეთს.

საფრანგეთის მოწინავე დემოკრატია იმ თავითვე იყო მიმხვდარი, თუ რა ფასი ჰქონდა რუსეთთან კავშირს და ამიტომაც დიდი ხანია მოწადინებული იყო ინგლისთან დაახლოებას. დემოკრატიის გავლენის ზრდასთან ერთად სუსტდებოდა რუსეთთან კავშირი და უმჯობესდებოდა დამოკიდებულება ინგლისთან. დღეს რუსეთ-იაპონიის ომის ზედ-გავლენით, გერმანიის იმპერიის პირისპირ დარჩენილი საფრანგეთი უთუოდ უფრო მტკიცე კავშირს დაიჭერს ინგლისთან, რომელიც თავის კულტურითა და პოლიტიკურ განვითარებით საფრანგეთის ახლობელია, და ამ გვარად მოისპობა მხოლოდ რუსეთისათვის ხელსაყრელი ბუნების წინააღმდეგი კავშირი დემოკრატულ რესპუბლიკისა აღმოსავლეთურ თვითმპყრობელობასთან.

—

შორე აღმოსავლეთში რომ საზარელი სისხლის ღვრა ხდებოდა, ამ დროს ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში სკანდინავიის ნახევარ კუნძულზე მშვიდობიანი რევოლიუცია მოხდა: ნორვეგია მოშორდა შვეციას.

ნორვეგია და შვეცია შეადგენენ ერთ სამეფოს 1815 წლიდან.

ნაპოლეონ პირველმა ერთი თავისი გენერალთაგანი ბერნადოტი შვეციის მეფედ დასვა. უმადურმა ბერნადოტმა უღალატა ნაპოლეონს, როცა მის წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოთა კოალიცია შესდგა, და აი ამ ღალატისთვის ვენის კონგრესმა ნორვეგია უწყალობა შვეციის მეფეს. მაგრამ ნორვეგიის ხალხი თავისუფლების მოყვარე იყო იმ თავითვე და ამიტომ შვეციის უბრალო ქვეშევრდომობას ვერ დასთანხმდებოდა. შვეციისა და ნორვეგიის შეერთება მოხდა ეგრედ წოდებულ „რეალურ უნიის“ საფუძველზე: ნორვეგიაცა და შვეციაც თავის შინაურ საქმეებში დამოუკიდებელი იყვნენ ერთი მეორისაგან; საერთო ჰქონდათ გარეშე პოლიტიკა, სამხედრო წესწყობილება და ჰყავდათ ერთი მეფე.

მართალია, ასეთი თანასწორუფლებიანობა შვეცია-ნორვეგიისა თანდათან დაირღვა შვეციის სასარგებლოდ, მაგრამ

იმ დროისათვის ასეთი წესწყობილება შეეფერებოდა ნორვეგიის ხალხის კულტურასა და ეკონომიურ მდგომარეობას. შვეცია ბევრით მაღლა იდგა ნორვეგიაზე როგორც განათლებით, ისე ეკონომიურ განვითარებითაც. ნორვეგია „ღარიბ მეთევზეთა“ ქვეყანა იყო და ადვილად ურიგდებოდა შვეციის უპირატესობრივ მდგომარეობას. მაგრამ დრონი იცვალნენ. ამ ოთხმოცდა-ათის წლის განმავლობაში ნორვეგია არა თუ გაუსწორდა შვეციას, გაუსწრო კიდეც. დღეს ნორვეგია მეტად განათლებული და ყოველმხრივ დაწინაურებული ქვეყანაა. სულ ორ მილიონამდე ხალხია მთელს ნორვეგიაში, მაგრამ ამ პატარა ერს ისეთი ლიტერატურა შეუქმნია, რომ ევროპის მწერლობაზე დიდი გავლენა შეუძენია. ვის არ გაუგონია, იბსენისა და ბიორნსონის სახელი? ვის არ უნახავს სცენაზე „ნორა“ და „ხალხის მტერი“?

ნორვეგიის სავაჭრო ფლოტს დღეს მეოთხე ადგილი უჭირავს ინგლისის, ამერიკის და გერმანიის შემდეგ.

ასე დაწინაურებული ერი ველარ შეურიგდებოდა მეორე ხარისხოვან მდგომარეობას სახელმწიფოში და მოითხოვა სრული თანასწორობა შვეციასთან: საკუთარი ჯარი, საკუთარი მინისტრი გარეშე საქმეებისა და საკუთარი კონსულები; საერთო შვეციასთან მარტო მეფე უნდოდათ. შვეცია, რასაკვირველია, წინააღუდგა ნორვეგიელების ასეთ მისწრაფებას და უკანასკნელ დრომდე განუწყვეტელი უთანხმოება და შეტაკება იყო სამეფოს ორ ნაწილს შუა. შვეცია-ნორვეგიის მეფესაც შვეციის მხარი ეჭირა. რაკი ნორვერგიის ხალხმა ნებაყოფლობით ვერ მიიღო, რაც სწადდა, სხვა გზა არჩია: ნორვეგიის ხალხის წარმომადგენლებმა გადაყენებულად გამოაცხადეს ნორვეგიის მეფე და დროებითი მთავრობა დააწესეს, სანამ საბოლოო ფორმას მისცემენ ახალ წესწყობილებას.

შვეცია და შვეციის მეფე იძულებული იქნებიან შეურიგდნენ ამ მშვიდობიან რევოლიუციას, რადგან იარაღისა და ჯარის საშუალებით თავისუფლების მოყვარე ნორვეგიელებთან ვერას გახდებიან.

ვენის კონგრესი (1815) იყო გამარჯვება ევროპის ყველა რეაქციონულ ძალებისა; ვენის კონგრესის დადგენილებანი გაჟღენთილი იყო იმ მიზნით, რომ ყოველი ახალი ცოცხალი ძალა მოესპოთ და დახავსებული ცხოვრება უცვლელად დაეტოვებიათ. რასაკვირველია, ცხოვრების ტალღებმა სულ ერთიან წალეკეს მთელი ეს მეცადინეობა ევროპის ბნელ ძალებისა. არც ერთი დადგენილება ვენის კონგრესისა აღარ დარჩენილა ძალაში, ყველა მოისპო. უკანასკნელი იყო შვეცია-ნორვეგიის რეალური უნია; და თუ ეს უნია აქამდე სცოცხლობდა, მხლოდ იმიტომ, რომ იგი არ ყოფილა იმ დროს ისე წინააღმდეგი ბუნებისა, როგორც დანარჩენი დადგენილებანი იმ კონგრესისა.

რედაქტორი
ალ. ჭეოანია.

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი

# ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი

წელიწადი **„ცნობის ფურცელი“** მეათე

**სურათებიანი დამატებით.**

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

| | | |
|---|---|---|
| კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით 6 მან. | წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც პირველ მარტამდე. | საზღვარ გარედ ერთის წლით 9 მან. |

ყოველ თვიური ჟურნალი **„მოამბე“** წელიწადი მეთორმეტე

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | | |
|---|---|---|
| კავკასიაში და რუსეთში 1 წ. 10 მან. ცალკე № — 1 მან. | ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“ | საზღვარ გარედ 1 წლით 13 მან. ცალკე № — 1 მ. 20 კ. |

## უფასოდ გაეგზავნება

მხოლოდ ქალაქ გარეგ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად — 6 მან. ქალაქ გარეგ მცხოვრებთათვის და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე — 3 მან., 1-ლ აგვისტომდე - დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

**როგორც «ცნობის ფურცლის», ისე «მოამბის» მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის**

**დონ-კიხოტი** სურათებით

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ აკალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარლის ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით. ორი ტომი შეიცავს 1700 გვერდს (300 სურათით) პრემიად დარიგებულ

### უკანასკნელი ნაწერების ფორმატისას.

**1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.**

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დასდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრედვე 1906 წ. ახალი ხელის ომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.

პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარეგ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.

**გარდა ამისა «მოამბის» წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ**

## მასალები საქართველოს ისტორიისათვის

**ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.**

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.

**რედაქციის კანტორის აღრესი:** ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. საღვომში.

ფოსტის აღრესი: Тифлисъ. Редакція **„Моамбе“-„Цнобисъ Пурцели“**.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

**1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს**

## პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: „**ივერიის ბიბლიოთეკა**“, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრსტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული

**სურათები და ილლუსტრაციები.**

**გაზეთის ფასი:** 15 თებერვლიდან წლის დამლევამდის 8 მან. 50 კაპ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო აღრესი: Тифлисъ, Редакція газ. „ИВЕРІА“

დრ. რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**

ათასედ პლატინშავისას ჩაჰყრიან, წყალმბადგადაჟანგი ასეთ პირობაში სწრაფად იწყებს ქიმიურად დაშლას ასეთის ენერგიის წარმოშობით, რომ საცადი მილი საგრძნობლად გახურდება, დაშლილ წყალმბადგადაჟანგისაგან სჩნდება წყალი და მჟავმბადი: პირველი ე ი. წყალი, რაღა თქმა უნდა, საცად მილშივე დარჩება, მჟავმბადი კი მილიდგან მაღლა მიისწრაფვის და მისი გამოცნობა ადვილი არის ბჟუტავ ნაფოტის შემწეობით. რადგან წყალმბადგადაჟანგი ოზონსავით არა მჭიდრო, ადვილად დასაშლელი ნივთიერება არის და ქიმიურად დაშლის დროს ანთავისუფლებს მჟავმბადის ატომებს ამიტომ მას შეუძლიან აკტიურ მჟავმბადსავით იმოქმედოს სხვა და სხვა ნივთიერებეებზედ და საზოგადოდ გაჟანგვის, დამჟავების პროცესსები მოახდინოს. მართლადაც წყალმბადგადაჟანგი ძალიან ადვილად უერთებს თავის მჟავმბადის ატომებს მჟავმბადით ღარიბ ჟანგეულობეებს და მათ მჟავმბადით მდიდარ ჟანგეულობეებად გარდააქცევს ხოლმე. მაგალითად, ცნობილი არის ერთგვარი ჟანგეული ლითონ ტიტანუმისა ესრედ წოდებული ტიტანუმის ორჟანგი შემდეგის მოლეკულიარულ ფორმულისა $GiO_2$, რომელიც წმინდა გოგირდის სიმჟავეში წითელ-მოყვითალო ფერათ იხსნება. ასეთი ხსნილი ოდნავის წყალმბადგადაჟანგის ზედგავლენით სწრაფად ჰკარგავს თავის ფერს და ლიმონის მზგავს ღია ყვითელ ფერს იღებს. ასეთ პირობაში ხსნილის ფერის გამოცვლა იმით აიხსნება, რომ ტიტანუმის ორჟანგი ადვილად აერთებს წყალმბადგადაჟანგის მჟავაბადს და ტიტანუმის სამჟანგად იქცევა ე. ი. $GiO_3$ ამ უკანასკნელ რეაქციის შემწეობით წყალში სულ (პოტაოდენ წყალმბადგადაჟანგის აღმოჩენა შეიძლება. მეორე ეფეკტიური გაჟანგვის რეაქცია, რომლის შემწეობითაც ძალიან ადვილი არის წყალში ან საზოგადოდ რაიმე სხვა ხსნილში წყალმბადგადაჟანგის აღმოჩენა, ჰდგომარეობს ხრომის სიმჟავის მჟავმბადით უფრო ძლიერად დაწვა-დაჟანგვაში. ხრომის სიმჟავის ანლიდრიდი ერთ ატომ ხრომზედ მჟავმბადის სამ ატომს შეიცავს, ასე რომ მისი ქიმიური ფორმულა იქნება $CrO_3$. ერთ მოლეკულ წყლის შეთვისებით ეს ანლიდრიდი შესაფერ ხრომას სიმჟავის

$CrO_3+H_2O=CrO_{=4}H_2$. ამ სიმჟავის მარილებს ყვითელი ფერი აქვთ, წყალში ყვითელის ფერით იხსნებიან და გახსნილ მდგომარეობაში სულ ცოტაოდენ წყალმბადგადაჟანგის ზედგავლენით სწრაფად ლილისფერს იღებენ ხოლმე, რადგან გადაჟანგის მჟავმბადის შეთვისებით ანღიდრიდი ($CrO_3$) მჟავმბადით უფრო მდიდარ ჟანგეულად ($Cr_2O_7$)-ად იქცევა. უკანასკნელი ჟანგეული ლილისფერისა არის და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ხრომის სიმჟავის მარილის ყვითელი ხსნილი წყალმბადგადაჟანგის ზედმოქმედებით ლილისფრად იღებება. თუ ლილისფრად შეღებილ სითხეს ცოტაოდენ ეთერს მიუმატებთ და ასეთ ნარევს კარგად შევანჯღვლევთ, ეთერი ადვილად გახსნის ხრომის ლილისფერ ჟანგეულს $Cr\ O_7$-ს, წყალს ზევით მოიყრის თავს და ასეთ პირობეებში კი უფრო ადვილად დავრწმუნდებით წყალმბადგადაჟანგის მოქმედებაში. ამ მიზნისათვის ეთერის ხმარება განსაკუთრებით საჭირო არის, როცა რომელიმე ხსნილში მოსალოდნელია მეტის-მეტად ცოტა წყალმბადგადაჟანგი, იმდენად ცოტა, რომ უეთეროთ სითხე, ვსთქვათ, სულ არ იღებება ლილისფრად. ყველაზედ უფრო საყურადღებო წყალმბადგადაჟანგის ქიმიურ თვისებეებიდგან არის, ესრედ წოდებული ჟანგეულობეების გამოჟანგვა ანუ, უფრო გასაგებად რომ ვსთქვათ, გაჟანგულ ელემენტთა უფრო ნაკლებად გაჟანგულ და ხანაც სულ წმინდა ელემენტებად გარდაქმნა. წყალმბად გადაჟანგის ამგვარი თვისება იმითი არის მეტად საყურადღებო, რომ თვით ეს ნივთიერება მეტად მდიდარი არის მჟავმბადით და სხვა მჟავმბადოვან ნივთიერებეებზედ ზედმოქმედებით ზოგიერთ შემთხვევეებში უფრო გაჟანგვის მაგივრად მათ პირაქვეთ მჟავმბადს ართმევს და მჟავმბადით უფრო ღარიბ ნივთიერებეებად აქცევს ხოლმე. როგორც ზემოდაც ვსთქვით, არის შემთხვევეები, როცა ამგვარი მჟავმბადის წართმევა იმდენად ძლიერია, რომ ესა თუ ის გაჟანგული ელემენტი წმინდა ელემენტად იქცევა. მაგალითად, თუ ჩვენ წყალში გახსნილ წყალმბადგადაჟანგში შავ ვერცხლის ვადაჟანგს $Ag_1O$-ს ჩავყრით, დავინახავთ, რომ წყალმბადგადაჟანგი სწრაფად წყლად და თავისუ-

ფალ მჟავმბადად გარდაქცევას იწყებს. უკანასკნელი კი თავის ორ მიმზიდველოვან მჟავმბადის ატომებით თან წარიტაკებს ორ ერთ მიმზიდველოვან ვერცხლის ატომებთან შეერთებულ მჟავმბადის ატომებს, მათთან ერთად მჟავმბადის მოლეკულებად გარდაიქცევა და თავისუფალ, გაზოვან მდგომარეობაში მაღლისაკენ იწყებს დენას. განთავისუფლებული ვერცხლი წმინდა ლითონიურ მდგომარეობაში გამოსაცდელად აღებულ ჭიქის ჭურჭლის ძირზედ და კედელზედ დარჩება.

ეს თავისებური რეაქცია წყალმბადგადაჟანგის ამრიგად დაშლა-დარღვევის ვერცხლის ჟანგის ზედგავლენით ამრიგად უნდა აღინიშნოს. $H_2O_2 + Ag_2O = H_2O + 2Ag + O_2$. მეორე ამგვარივე რეაქცია მდგომარეობს ქამელეონის ანუ მანგანუმის სიმჟავის კალლიუმ მარილის ქიმიურად დაშლა-დარღვევაში წყალმბადგადაჟანგის ზედგავლენით. როგორც ოზონის შესწავლის დროს დავინახეთ, ქამელეონის მოლეკული შესდგება ერთ ატომ ლითონ კალიუმისაგან, ოთხ ატომ მჟავმბადისაგან და ერთ ატომ მანგანუმისაგან. $KMnO_4$. ეს რთული ნივთიერება, რომელიც წყალში ლურჯ-მოწითალო ფერით იხსნება წყალმბადგადაჟანგის ზედგავლენით ადვილად იშლება ქიმიურად, ადვილად იქცევა მჟავმბადით უფრო ღარიბ და უფერულ რთულ ნივთიერებეებად. ეს საყურადღებო რეაქცია ძალიან ადვილად და ეფექტიურად მიმდინარეობს, თუ წყალმბადგადაჟანგის ხსნილს ცოტაოდენ გოგირდის სიმჟავეს მიუმატებენ, რომელიც რეაქციის დროს გაჩენილ კალიუმის და მანგანუმის უფერულ ჟანგეულობეებს ადვილად უერთდება და მათთან ერთად შესაფერ, უფერულსავე და წყალში ადვილად გასახსნელ მარილებს აჩენს. რეაქციის დროს განთავისუფლებულ წყალმბად გადაჟანგის და გოგირდის სიმჟავის წყალმბადის ატომები უერთდებიან ქამელეონის და წყალმბადგადაჟანგისაგან განთავისუფლებულ მჟავმბადის ატომებს წყლის გასაჩენად; წყლის გაჩენის შემდეგ გადარჩენილი მჟავმბადის მოლეკულები რეაქციის შემდეგ თავისუფალ მდგომარეობაში მაღლა ჰაერისაკენ მიისწრაფვიან ხოლმე. ამ რეაქციის პრაქტიკულად განსახორციე-

ლებლად ქამელეონს საცად მილში გახსნიან ხოლმე და ასეთ ხსნილს ცოტაოდენ გოგირდის სიმჟავეს მიუმატებენ; შემდეგ ამ ნარევს ნელ-ნელა წყალმბადგადაჟანგის ხსნილში ჩაასხამენ და ამრიგად დარწმუნდებიან, რომ რეაქციისა და მიხედვით ქამელეონის ლურჯ-მოწითანო ფერი სწრაფად ჰქრება და საცად მილიდგანაც ბევრი თავისუფალი მჟავმბადი ამოდის. ეს რთული რეაქცია მჟავმბადით მდიდარ ქამელეონის ქიმიურად დაშლისა და მისაგან ახალ, უფერულ ნივთიერებათა გაჩენისა ამრიგად უნდა აღინიშნოს: $2KMnO_4+3H_2SO_4+5H_2O_2=K_2SO_4+2MnSO_4+8H_2O+5O_2$. წყალმბადგადაჟანგის თვისებეების გაცნობის შემდეგ ჩვენ ადვილად გავიგებთ ამ რთულ ნივთიერების მოლეკულის ელემენტარულ და ატომიურ შედგენილების დამამტკიცებელ საბუთებსაც. ამ მხრით მეტად საყურადღებო არის ამ ნივთიერების აღმოჩენის ტენარდის გამოკვლევები. წყალმბადგადაჟანგის ანალიზისათვის ტენარდმა აიღო ვერცხლის წყლით სავსე ჭიქის მასრა, უკანასკნელი ღია ბოლოთი ვერცხლის წყლიანსავე ჯამში ჩაუშვა და ამავე ღია ბოლოდგან ჭიქის მასრაში პაწაწა ჭიქის ჭურჭელში მოთავსებული განსაზღვრულ რაოდენობის წყალმბადგადაჟანგი შეუშვა. შემდეგ შესაფერ საშუალებით ეს პაწაწა ჭიქის ჭურჭელი მასრაშივე გასტეხა და ამრიგად მასრაში ვერცხლის წყლის ზევით მოგროვილ წყალმბადგადაჟანგში ცოტაოდენი მანგანუმის გადაჟანგის შავი მტვერი შეიტანა. უკანასკნელმა თავის კატალიტიურ ზედ მოქმედებით წყალმბადგადაჟანგი ქიმიურად დაშალა, წყლად და მჟავმბადად გარდააქცია, ასე რომ განსაზღრულ რავდენობის წყალმბადგადაჟანგის მაგივრად ეხლა ჭიქის მასრაში შესაფერი რაოდენობის წყალი და მჟავმბადი არის მოთავსებული. ტენარდმა მიღებულ ფაქტებისა და მიხედვით დაამტკიცა, რომ წონით 17 ნაწილ წყალმბადგადაჟანგისაგან ყოველთვის მჟავმბადის 8 ნაწილი სჩნდება. აქედგან ვან ადვილად დასკვნა, რომ ერთ ატომ მჟავმბადის წონითი რაოდენობა ე. ი. მჟავმბადის 16 ნაწილი უნდა გასჩნდეს 34 ნაწილგადაჟანგისაგან; იმ წყლის რაოდენობა კი, რომელიც დაშლის დროს უნდა წარმოშოს

წყალმბადგადაჟანგის 34-მა ნაწილმა, აშკარაა, უნდა უდრიდეს (34—16) ანუ 18 ნაწილს. ასეთ გამოკვლევებისა და მიხედვით წყალმბადგადაჟანგის მოლეკული უნდა შეიცავდეს წყლის ერთ მოლეკულს $H_2O$-ს, რომელიც იწონის 18-ს და ერთ ატომ მჟავმბადისაგან, რომლის წონაც უდრის 16-ს ანუ სულ უმცირეს ერთ ატომ მჟავმბადისაგან და ერთ ატომ წყალმბადისაგან ამრიგად HO, საზოგადოთ კი ამ რთულ ნივთიერების მოლეკულისათვის შესაძლო უნდა ყოფილიყოს ზოგადი ფორმულა (HO) n ე. ი (HO) ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ და საზოგადოდ n ჯერ, რადგან ყოველ ამ ფორმულაში ერთ ნაწილ წყალმბადზედ მჟავმბადის 16 ნაწილი მოუდის. ამ კითხვის გამორკვევისათვის აშკარაა საჭირო იყო წყალმბადგადაჟანგის მოლეკულიარულ წონის გამოანგარიშებაც, მისი სიმჭირნისა დი მიხედვით. სხვა და სხვა გამოკვლევეებმა ამ მხრით დაამტკიცეს, რომ წყალმბადგადაჟანგის მოლეკულიარული წონა უნდა უდრიდეს 34-ს, და მაშასადამე ამ ნივთიერების მოლეკულში (HO) უნდა შედიოდეს მხოლოდ ორჯერ, ამრიგად წყალმბადგადაჟანგის მოლეკულის აღნიშვნა ერთ მიმზიდველობან წყალმბადის და ორმიმზიდველობან მჟავმბადის ატომებისა და მიხედვით შეიძლება მხოლოდ ამრიგად $H-O-O=H$ ან $H—O—O—H$, ბოლოსაც სულ უბალოდ $H_2O_2$. როგორც ამ მოლეკულის მიმზიდველობითი აღნიშვნიდგან სჩანს, წყალმბადგადაჟანგის ბაწაწა ნაწილებშიაც, ისე როგორც ოზონის მოლეკულებში, მჟავმბადის ატომები თითეულ მიმზიდველობით არიან ერთიერთმანეთთან შეერთებულნი და აი სწორედ ამით აიხსნება ამ გადაჟანგის ოზონსავით ენერგიული დაწვა-დაჟანგვის და საზოგადოდ სხვა და სხვა ქიმიურ მოქმედების პროცესები. რეაქციის დროს წყალმბადგადაჟანგის მოლეკულიდგან მჟავმბადის ერთი ატომი სრულებით განთავისუფლდება, მისი მეორე ატომი კი წყალმბადის ორ ატომს უერთდება და ამრიგად წყლის მოლეკულს აჩენს. თუ წყალმბადგადაჟანგის და წყლის მოლეკულთა მიმზიდველობითი ფორმულებს ერთი მეორეს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ეს ორ წყალმბადმჟავმბა-

ლებლად ქამელეონს საცად მილში გახსნიან ხოლმე და ასეთ ხსნილს ცოტაოდენ გოგირდის სიმჟავეს მიუმატებენ; შემდეგ ამ ნარევს ნელ-ნელა წყალმბადგადაჟანგის ხსნილში ჩაასხამენ და ამრიგად დარწმუნდებიან, რომ რეაქციისა და მიხედვით ქამელეონის ლურჯ-მოწითანო ფერი სწრაფად ჰქრება და საცად მილიდგანაც ბევრი თავისუფალი მჟავმბადი ამოდის. ეს რთული რეაქცია მჟავმბადით მდიდარ ქამელეონის ქიმიურად დაშლისა და მისაგან ახალ, უფერულ ნივთიერებათა გაჩენისა ამრიგად უნდა აღინიშნოს: $2KMnO_4+3H_2SO_4+5H_2O_2=K_2SO_4+2MnSO_4+8H_2O+5O_2$. წყალმბადგადაჟანგის თვისებეების გაცნობის შემდეგ ჩვენ ადვილად გავიგებთ ამ რთულ ნივთიერების მოლეკულის ელემენტარულ და ატომიურ შედგენილების დამამტკიცებელ საბუთებსაც. ამ მხრით მეტად საყურადღებო არის ამ ნივთიერების აღმომჩენის ტენარდის გამოკვლევები. წყალმბადგადაჟანგის ანალიზისათვის ტენარდმა აიღო ვერცხლის წყლით სავსე ჭიქის მასრა, უკანასკნელი ღია ბოლოთი ვერცხლის წყლიანსავე ჯამში ჩაუშვა და ამავე ღია ბოლოდგან ჭიქის მასრაში პაწაწა ჭიქის ჭურჭელში მოთავსებული განსაზღვრულ რაოდენობის წყალმბადგადაჟანგი შეუშვა. შემდეგ შესაფერ საშუალებით ეს პაწაწა ჭიქის ჭურჭელი მასრაშივე გასტეხა და ამრიგად მასრაში ვერცხლის წყლის ზევით მოგროვილ წყალმბადგადაჟანგში ცოტაოდენი მანგანუმის გადაჟანგის შავი მტვერი შეიტანა. უკანასკნელმა თავის კატალიტიურ ზედ მოქმედებით წყალმბადგადაჟანგი ქიმიურად დაშალა, წყლად და მჟავმბადად გარდააქცია, ასე რომ განსაზღრულ რავდენობის წყალმბადგადაჟანგის მაგივრად ეხლა ჭიქის მასრაში შესაფერი რაოდენობის წყალი და მჟავმბადი არის მოთავსებული. ტენარდმა მიღებულ ფაქტებისა და მიხედვით დაამტკიცა, რომ წონით 17 ნაწილ წყალმბადგადაჟანგისაგან ყოველთვის მჟავმბადის 8 ნაწილი სჩნდება. აქედგან ვან ადვილად დასკვნა, რომ ერთ ატომ მჟავმბადის წონითი რაოდენობა ე. ი. მჟავმბადის 16 ნაწილი უნდა გასჩნდეს 34 ნაწილგადაჟანგისაგან; იმ წყლის რაოდენობა კი, რომელიც დაშლის დროს უნდა წარმოშოს

წყალმბადგადაჟანგის 34-მა ნაწილმა, აშკარაა, უნდა უდრიდეს (34—16) ანუ 18 ნაწილს. ასეთ გამოკვლევებისა და მიხედვით წყალმბადგადაჟანგის მოლეკული უნდა შეიცავდეს წყლის ერთ მოლეკულს $H_2O$-ს, რომელიც იწონის 18-ს და ერთ ატომ მჟავმბადისაგან, რომლის წონაც უდრის 16-ს ანუ სულ უმცირეს ერთ ატომ მჟავმბადისაგან და ერთ ატომ წყალმბადისაგან ამრიგად HO, საზოგადოთ კი ამ რთულ ნივთიერების მოლეკულისათვის შესაძლო უნდა ყოფილიყოს ზოგადი ფორმულა (HO) n ე. ი (HO) ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ და საზოგადოდ n ჯერ, რადგან ყოველ ამ ფორმულაში ერთ ნაწილ წყალმბადზედ მჟავმბადის 16 ნაწილი მოუდის. ამ კითხვის გამორკვევისათვის აშკარაა საჭირო იყო წყალმბადგადაჟანგის მოლეკულიარულ წონის გამოანგარიშებაც, მისი სიმჭირხნისა დი მიხედვით. სხვა და სხვა გამოკვლევეებმა ამ მხრით დაამტკიცეს, რომ წყალმბადგადაჟანგის მოლეკულიარული წონა უნდა უდრიდეს 34-ს. და მაშასადამე ამ ნივთიერების მოლეკულში (HO) უნდა შედიოდეს მხოლოდ ორჯერ, ამრიგად წყალმბადგადაჟანგის მოლეკულის აღნიშვნა ერთ მიმზიდველოვან წყალმბადის და ორმიმზიდველოვან მჟავმბადის ატომებისა და მიხედვით შეიძლება მხოლოდ ამრიგად H—O—O=H ან H—O—O—H, ბოლოსაც სულ უბალოდ $H_2O_2$. როგორც ამ მოლეკულის მიმზიდველობითი აღნიშვნიდგან სჩანს, წყალმბადგადაჟანგის პაწაწა ნაწილებშიაც, ისე როგორც ოზონის მოლეკულებში, მჟავმბადის ატომები თითეულ მიმზიდველობით არიან ერთიერთმანეთთან შეერთებულნი და აი სწორედ ამით აიხსნება ამ გადაჟანგის ოზონსავით ენერგიული დაწვა-დაჟანგვის და საზოგადოდ სხვა და სხვა ქიმიურ მოქმედების პროცესები. რეაქციის დროს წყალმბადგადაჟანგის მოლეკულიდგან მჟავმბადის ერთი ატომი სრულებით განთავისუფლდება, მისი მეორე ატომი კი წყალმბადის ორ ატომს უერთდება და ამრიგად წყლის მოლეკულს აჩენს. თუ წყალმბადგადაჟანგის და წყლის მოლეკულთა მიმზიდველობითი ფორმულებს ერთი მეორეს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ეს ორ წყალმბადმჟავმბა-

დოვანი რთული ნივთიერებანი ერთი მეორისაგან განსხვავდებიან ესრედ წოდებულ ლიდროქსილურ ჯგუფთა რაოდენობით თავიანთ მოლეკულებში. ლიდრაოქსილს ქიმიაში უწოდებენ ლიპოტეტიურ ჯგუფს, რომელიც შესდგება ერთ ატომ წყალმბადისაგან და ერთსავე ატომ მჟავმბადისაგან და რომელიც რეალურად, თავისუფალ მდგომარეობაში არ არსებობს. ასეთ ჯგუფში HO-ში მჟავმბადის ერთი ატომი მხოლოდ თავის ერთ მიმზიდველობით არის შეერთებული წყალმბადის ერთ ატომთან. მეორე მიმზიდველობა კი მას თავისუფალი აქვს, ასე რომ სხვა და სხვა მოლეკულებში ასეთ გვარ ჯგუფს ერთ მიმზიდველოვან ატომის ან ატომის ერთ მიმზიდველობის ადგილის დაჭერა შეუძლიან. ამისადა მიხედვით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ წყალი წარმოადგენს წყალმბადის მოლეკულს, რომელშიაც წყალმბადის ერთი ატომის მაგივრად ლიდროქსილის ერთი ჯგუფი იმყოფება ე. ი. OH ამრიგად H—(O-H), წყალმბადგადაჟანგი კი იგივე წყალმბადის მოლეკულად შეიძლება ჩაითვალოს, მხოლოდ მასში ორთავე წყალმბადის ატომთა მაგიერ ორი ლიდროქსილის ჯგუფია ერთი მეორესთან შეერთებული ამრიგად (H—O)—(O—H). ასეთ გვარ ლიპოტეტიურ ჯგუფებს, რომლებიც სხვა და სხვა მოლეკულებში ატომთა როლს თამაშობენ, შემდეგში ჩვენ ძალიან ხშირად შევხვდებით; მათის შემწეობით ბევრ ქიმიურ პროცესსებს ჩვენ მეტის მეტად ადვილად წარმოვიდგენთ, გავიგებთ და ამიტომაც კარგი იქნება, რაც შეიძლება, კარგად ჩაუკვირდეთ უკანასკნელ მოკლე განმარტებას ლიდროქსილთა შესახებ.

## გალოგენება ანუ მარილმბადი ელემენტები.

ქლორი Cl=35,45. Cl =71,9. (აღმოაჩინა შვედთა ქიმიკოსმა შეელემ 1774 წ.) გალოგენების სახელს უწოდებენ ოთხ ქიმიურ ელემენტს, რომლებიც თავის თვისებეებით ძალიან წააგავენ ერთი ერთმანეთს და რომლებიც პირდაპირ უერთდებიან ლითონებს საქმელ-მარილის დაგვარ რთულ ნივ-

თიერებეების წარმოშობით. ასეთ გვარ ზედმოქმედების გამო ლითონებზედ და მათთან ერთად მარილისებურ რთულ ნივთიერებეების წარმოშობისათვის ამ ელემენტებს უწოდეს სახელად გალოგენები, რაც ნიშნავ მარილმბადებს. ამ ელემენტების გაცნობას ჩვენ დავიწყებთ ყველაზედ უფრო გავრცელებულ ელემენტ ქლორისაგან, რომელსაც გაკვრით ვეხებოდით სპეციალურ ნაწილის შესავალში მოლეკულებზედ ლაპარაკის დროს. ელემენტი ქლორი თავისუფალ მდგომარეობაში ბუნებაში სულაც არ მოიპოვება, რადგან ის ძალიან ადვილად უერთდება სხვა და სხვა ელემენტებს და მათთან ერთად აჩენს სხვა და სხვასავე ქლორიან რთულ ნივთიერებეებს. უკანასკნელ ნივთიერებათა შორის ყველაზედ უფრო გავრცელებული არის ცხრედ წოდებული საჭმელი მარილი ანუ ქლორნატრიუმი, რომლის მოლეკული, როგორც ქვეით დავინახავთ, შესდგება ერთ ატომ ქლორისაგან და ერთ ატომ ლითონ ნატრიუმისაგან. ქლორნატრიუმი ანუ საჭმელი მარილი განსაკუთრებით ბევრი იმყოფება ზღვის და ლიმანების ე. ი. ზღვისაგან მოწყვეტილ, მოშორებულ ტბების წყლებში და აგრეთვე მიწაშიაც მადნეულ მდგომარეობაში. როგორც უკვე ვიცით, მარილის მიღება ზღვის და საზოგადოდ მარილიან წყლიდგან ადვილი არის წყლის აორთქლების შემწეობით. ასეთ პირობაში მარილიან წყლიდგან წყალი ორთქლად წავა ხოლმე, მარილი კი, როგორც მაგარი, მეტად ძნელად ასაორთქლებელი ნივთიერება, თავისუფალ და მშრალ მდგომარეობაში დარჩება. მარილი აგრეთვე იმყოფება, ხოლო კი მეტად ნაკლებ რაოდენობით, მცენარე და ცხოველ აგებულებეებშიაც, რომლებიდგანაც დაწვის შემწეობით ადვილად შეიძლება მისი მიღება დარჩენილ ნაცრის შესაფერ საშუალებით გაწმენდა-დამუშავებით. ასეა თუ ისე, წმინდა მარილს რამდენიც გვინდა, იმდენს ვიშოვით ბუნებაში და, რაღა თქმა უნდა, ეს გარემოება მეტად ხელსაყრელია წმინდა ელემენტ ქლორის მიღებისათვისაც. ქლორის მიღებად თავდაპირველად საჭირო არის წმინდა ქლორ-წყალმბადის ანუ მარილის სიმჟავის მიღება საჭმელ-მარილისაგან. ამი-

სათვის საკმარისია ქლორნატრიუმს წმინდა გოგირდის სიმჟავე დავასხათ როგორიმე ჭიქის კოლბაში და უკანასკნელი ნელ-ნელა ცეცხლზედ გავახუროთ. ასეთ პირობეებში გოგირდის სიმჟავის მოლეკულში ე. ი. $SO_4H_2$-ში წყალმბადის ორ ერთ მიმზიდველოვან ატომთა ადგილს ქლორნატრიუმის ერთმიმზიდველოვან ლითონ ნატრიუმის ატომები იჭერენ და ამრიგად გოგირდის სიმჟავის ნატრიუმ მარილის მოლეკულებს აჩენენ, განთავისუფლებული ერთ მიმზიდველოვანი წყალმბადის და ქლორის ატომები კი ერთი მეორეს უერთდებიან და ქლორწყალმბადის მოლეკულებს წარმოშობენ. ასეთ რეაქციის დროს წარმოშობილი გაზოვანი მარილის სიმჟავე გაზის გამყვან ჭიქის მილის შემწეობით კოლბიდგან შეგვიძლიან წმინდა წყალში ჩავუშვათ და ამრიგად დავამზადოთ მაგარი ქლორ-წყალმბადის ხსნილი ქლორის მისაღებად. გოგირდის სიმჟავის ქლორნატრიუმზედ მოქმედების რეაქციის აღსანიშნავად ერთ მოლეკულ გოგირდის სიმჟავეზედ ქლორნატრიუმის ორი მოლეკული უნდა ავიღოთ, რადგან თითეულ მარილის მოლეკულში თითო ერთ მიმზიდველოვანი ნატრიუმის ატომი იმყოფება, მაშინ როდესაც გოგირდის სიმჟავის მოლეკულში წყალმბადის ატომები უნდა შეიცვალოს ნატრიუმის ატომებზედ გოგირდის სიმჟავის ნატრიუმ მარილის მოლეკულების გასაჩენად. ამისა და მიხედვით ზევით აღნიშნული ქიმიური რეაქცია ამნაირად უნდა დაიწეროს:

$$2\ NaCL + SO_4H_2 = SO_4Na_2 + 2\ HCL.$$

ქლორ ნატრიუმის ორი მოლეკული. — გოგირდის სიმჟავის ერთი მოლეკული. — გოგირდის სიმჟავის ნატრიუმ მარილის ერთი მოლეკული. — მარილის სიმჟავის ორი მოლეკული.

რასაკვირველია ამავე რეაქციის განსახორციელებლად შეგვიძლიან აგრეთვე გოგირდის სიმჟავის ერთ მოლეკულზედ ქლორნატრიუმის ერთივე მოლეკული ავიღოთ, ხოლო ასეთ პირობაში ორჯერ უფრო ნაკლები იქნება ქლორწყალმბადის სიმჟავის გამოსავალი, რადგან გოგირდის სიმჟავეში ე. ი. მის მოლეკულში მხოლოდ წყალმბადის ერთი ატომი შეიცვლება ნატრიუმის ერთ ატომზედ და ერთსავე ქლორის ატომთან შე-

ერთებით ის მხოლოდ ერთ მოლეკულ მარილის სიმჟავეს წარმოშობს. ერთ მოლეკულ ქლორნატრიუმისადა მიხედვით ზევით მოყვანილი ქიმიური თანასწორობაც ამ ნაირად უნდა შეიცვალოს: $NaCl + SO_4H_2 = NaHSO_4 + HCl$

გოგირდის სიმჟავის ნატრიუმ-მჟავე მარილის მოლეკული.

ასე თუ ისე დამზადებულ ქლორ წყალმბადის სიმჟავიდგან წმინდა ქლორის მისაღებად აშკარა არის მის მოლეკულებს წყალმბადის ატომები სულაც უნდა მოვაშოროთ.

უკანასკნელ მიზნის განსახორციელებლად ხმარობენ მჟავმბადს in statu nascendi-ის ე. ი. წარმოშობის მდგომარეობაში. ასეთ მდგომარეობაში მჟავმბადის ატომები თავიანთ თავისუფალ ორ მიმზიდველობით მეტად ენერგიულად მოქმედნი არიან და ძალიან ადვილად უერთებიან მარილის სიმჟავის წყალმბადის ატომებს წყლის მოლეკულების გასაჩენად დამზადებულს და უკვე გაზომეტრში დაწყვდეულ მჟავმბადს კი არ შეუძლიან ამგვარად იმოქმედოს მარილის სიმჟავის მოლეკულებზედ, რადგან ის მოლეკულიარულ მდგომარეობაში არის და მის მოლეკულებში მჟავმბადის ატომები თავიანთ ორმიმზიდველობეებით ურთიერთშორის მჭიდროდ შეერთებულნი არიან. ენერგიულად მოქმედ თავისუფალ მჟავმბადის ატომთა მიღება ადვილი არის მანგანუმის გადაჟანგზედ $MnO_2$-ზედ გოგირდის ან სხვა რამ სიმჟავეების ზედმოქმედებით. გოგირდის სიმჟავე მანგანუმის გადაჟანგზედ ზედმოქმედების დროს თავის მოლეკულში ერთ-მიმზიდველოვან წყალმბადის ატომებს ლითონ მანგანუმის ორ-მიმზიდველოვან ატომზედ სცვლის და ამრიგად გოგირდის სიმჟავის მანგანუმ მარილს აჩენს, განთავისუფლებულ წყალმბადის და მჟავმბადის ორ-ორი ატომები კი ერთად უნდა შეერთდნენ და წყალმბადგადაჟანგის მოლეკულები უნდა წარმოშონ. მაგრამ უკანასკნელი რთული ნივთიერება, როგორც ვიცით, ოდნავ მანგანუმის გადაჟანგის ზედგავლენითაც ადვილად იშლება ქიმიურად წყლის მოლეკულების და თავისუფალ ორმიმზი-

დველოვან-მჟავმბადის ატომების წარმოშობით; ასე რომ მანგანუმის გადაჟანგის და გოგირდის სიმჟავის ურთიერთშორის ზედმოქმედებს სავსებით აღსანიშნავად ამნაირი ქიმიური თანასწორობა უნდა დაიწეროს: $MnO_2+SO_4H_2=SO_4Mn+H_2O+O$. პრაკტიკულად ქლორწყალმბადის მიღების რეაქცია და ამ სიმჟავის ქლორად გარდაქცევა ერთსა და იგივე კოლბაში უნდა მოხდეს. ჭიქის კოლბაში ჩაჭყრიან კარგად დანაყულს ქლორნატრიუმს, მას შესაფერ რაოდენობის მანგანუმის გადაჟანგს მიუმატებენ, შემდეგ კოლბაში შესაფერ რაოდენობისავე გოგირდის სიმჟავეს ჩაასხამენ და ასეთ ნარევს ცეცხლის შემწეობით ნელ-ნელ გაახურებენ. ასეთ პირობეებში გოგირდის სიმჟავე ქლორნატრიუმზედ ზედმოქმედებით მარილის სიმჟავეს აჩენს, მანგანუმის გადაჟანგი კი გოგირდის სიმჟავისავე ზედგავლენით თავისუფალ მჟავმბადის ატომებს წარმოშობს, რომლებიც კოლბაშივე მყოფ მარილის სიმჟავეს წყალმბადის ატომებს ართმევენ წყლის მოლეკულების გასაჩენად და ამრიგად ქლორის ატომებს სულაც ანთავისუფლებენ. ქლორწყალმბადის და თავისუფალ მჟავმბადის ატომთა შორის ქიმიური ზედმოქმედება ამნაირად უნდა აღინიშნოს: $2\ HCl+O=H_2O+Cl_2$. ამ რეაქციის აღსანიშნავად ჩვენ ავიღეთ ქლორწყალმბადის ორი მოლეკული, რადგან ოთეულ მჟავმბადის ატომს წყლის მოლეკულების გასაჩენად სჭირდება წყალმბადის ორ-ორი ერთ მიმზიდველოვანი ატომები.

თავის თავად იგულისხმება, რომ თავისუფალ მჟავმბადის ატომების მიღება შეიძლება აგრეთვე პირდაპირ ქლორწყალმბადის ზედმოქმედებით მანგანუმის გადაჟანგზედ; ასე რომ შეგვიძლიან კოლბაში ჩავყაროთ მანგანუმის გადაჟანგი, ზევიდგან მას ცოტაოდენი წყალნარევი მარილის სიმჟავე დავასხათ და ამრიგად სიმჟავით დასველებული გადაჟანგი ნელ-ნელ ცეცხლზედ გავახუროთ. უკანასკნელ რეაქციის დროსაც მარილის სიმჟავის მოლეკულებში წყალმბადის ატომთა ადგილს ლითონ მანგანუმის ატომები დაიჭერენ ქლორმანგანუმის მოლეკულთა გასაჩენად, განთავისუფლებული წყალმბადის და მჟავმბადის ორ-ორი ატომები ერთი ერთმანეთს უერთდებიან წყალმბად გადა-

ჟანგის გასაჩენად; ბოლოსაც მანგანუმის გადაჟანგისავე კონტაკტიურ მოქმედებით წყალმბადგადაჟანგი გაჩენისთანავე წყლად და თავისუფალ, ორმიმზიდველოვან მჟავმბადის ატომებად იქცევა, რომლებიც (ე. ი. თავისუფალი მჟავმბადის ატომები) ზევით აღნიშნულ თანასწორობით ზედ მეტ ქლორწყალმბადის მოლეკულებზედ მოქმედებენ და წყალმბადის ატომთა წართმევით მათ წმინდა ქლორად გარდააქცევენ.

რეაქცია ქლორწყალმბადის და მანგანუმის გადაჟანგის შორის ამნაირად უნდა აღინიშნოს: I 2 $HCl + MnO_2 = MnCl_2 + H_2O + O$; და II $2\ HCl + O = H_2O + Cl_2$, ან ერთად:

$$4\ HCl + MnO_2 = MnCl_2 + 2\ H_2O + Cl_2.$$

თუ თქვენ აქ აღწერილ საშუალებებით წმინდა ქლორს დავამზადებთ და გაზის გამყვან ჭიქის მილის შემწეობით მას კოლბიდგან რაიმე ჭიქისავე ჭურჭელში მოვაგროვებთ, დავინახავთ, რომ ეს გაზოვანი ელემენტი სრულებით არა ჰგავს აქამდე გაცნობილ გაზებს: წყალმბადს და მჟავმბადს. ეს გაზოვანი ელემენტი მეტად გლახა, არა სასიამოვნო სუნისაა და ყვითელ-მომწვანო ფერით არის შეღებილი, რის გამოც უწოდეს მას ბერძნული სახელი ქლორი. ქლორი ძალიან მძიმე, მეტად დიდი სიმჭირხნის გაზოვან ნივთიერებას წარმოადგენს: მისი სიმჭირხნე ჰაერთან შედარებით უდრის 2,45-ს (ჰაერის = 1), წყალბადთან შედარებით კი 35,45-ს ასეთ დიდ სიმჭირხნის გამო ქლორის მოსაგროვებლად შეგვიძლიან თავლია ჭურჭელი ვიხმაროთ, ხოლო კი ჭურჭლის ღია თავი ზევითკენ უნდა იყვეს ამართული, რადგან ჰაერზედ უფრო მძიმე გაზოვანი ქლორი ძირისაკენ ეშვება და ჭურჭელში მყოფ ჰაერის ადგილს იჭერს. ჩვეულებრივ ჰაერის ზედდაწოლის მიხედვით ქლორი ადვილად იქცევა ყვითელ სითხეთ, თუ კი მას (— 34)°-ამდე გავაცივებთ. (— 102)°-გრადუსამდე გაცივებით კი ქლორი მაგარ მყგომარეობასაც იძენს და ყვითელ კრისტალლებად იქცევა. ქლორი იხსნება წყალში და ამრიგად დამზადებულ ხსნილს

უწოდებენ სახელად ქლორიან წყალს. უკანასკნელში ტანით ერთ ნაწილ წყალზედ მოუდის დაახლოვებით გაზოვან ქლორის ორი ნაწილი ე. ი. ტანით ერთ ნაწილ წყალს შეუძლიან გახსნას ქლორის ორი ამხელავე ტანი. თუ ჩვენ ქლორიან წყალს 0°-მდე გავაცივებთ, მივიღებთ მაგარ კრისტალლურ ნივთიერებას ესრედ წოდებულ ქლორის ღიდრატს ანუ წყლიან ქლორს, რომლის მოლეკულში ორ ატომ ქლორზედ წყლის რვა მოლეკული მოუდის შემდეგის ფორმულით $Cl_2$, $H_2O$. ამ ნივთიერების შემწეობით ფარადეიმ ადვილად დაამზადა სითხე ქცეული ქლორი. მან ჩაჰყარა ეს ნივთიერება ასო ინივით მოხრილ და ერთის მხრით შეკავშირებულ ჭიქის მილში, შემდეგ მილის მეორე ბოლოც გერმეტიულად შეაკავშირა, კრისტალლებიანი ბოლო თბილი წყლის შემწეობით 30-მდე გაახურა და ამავე დროსვე მეორე ბოლო დანაყულ ყინულით გააცივა (იხილე სურათი). ასეთ პირობეებში წყლიანი ქლორი წმინდა გაზოვან ქლორად და წყლად გარდიქცა, უკანასკნელი ჭიქის მილის გამთბარ ბოლოშივე დარჩა, ქლორი კი გაზიურს მდგომარეობაში თავისავე გავრცნის ძალის ზედგავლენით სითხეთ იქცა და მეორე გაცივებულ ბოლოში მოგროვდა. ჭიქის მილის ყინულიდგან ამოღებისთანავე ამგვარად დამზადებული სითხექცეული ქლორი ისევ გაზიურ მდგომარეობას იღებს და ისევ ისე იხსნება წყალში. ქლორს და საზოგადოდ ყველა გაზიურ ნივთიერებეებს თავიანთი ესრედ წოდებული კრიტიკული სითხეთ ქცევის ტემპერატურა და კრიტიკული შემმკუშვნელი ძალა აქვთ, კრიტიკული ტემპერატურა იმას ნიშნავს, რომ ყოველივე გაზი შეიძლება სითხეთ იქცეს მხოლოდ განსაზღვრულ მაქსიმალურ ტემპერატურამდე. გაზის ამ მაქსიმალურ ტემპერატურაზედ უფრო მაღლა გახურების შემდეგ შეუძლებელია მისი სითხედ გარდაქცევა მიუხედავად იმისა, თუ როგორი ძლიერიც უნდა იყვეს მასზედ ზედდაწოლის ანუ მისი შემკუშვნელი ძალა. ამნაირადვე მოქმედებს კრიტიკული ტემპერატურა სითხეებზედაც ე. ი. მიუხედავად იმისა, თუ რა ძლიერიც უნდა იყვეს სითხეზედ მომქმედი ზედდაწოლის ძალა,

კრიტიკულ ტემპერატურამდე გახურებული სითხე სულ ერთიანად ორთქლად იქცევა. გაზოვან და სითხეულ მდგომარეობის ნივთიერებათა ასეთ მაქსიმალურ ტემპერატურამდე გახურებას უწოდებენ სახელად კრიტიკულ მდგომარეობაში ჩაყენებას. ასეთ კრიტიკულ ტემპერატურამდე გახურების დროს ჭურჭელში დაწყვდეულ გაზებს განსაზღვრულივე მაქსიმალური გავრცნის ძალაც აქვთ, რომელსაც უწოდებენ სახელად კრიტიკულ გავრცნის ძალას. ასეთ კრიტიკულ გავრცნას მდგომარეობაში საკმარისია გაზის კრიტიკული ტემპერატურა თუნდაც ოდნავად შევამციროთ, რომ ამ გაზმა ტემპერატურის შემცირებისა და მიხედვით მაშინვე შესაფერის რაოდენობით სითხეთ ქცევა იწყოს. გაზების იმ ტანის რაოდენობას, რომელსაც ისინი იღებენ კრიტიკულ ტემპერატურის და კრიტიკულ გავრცნის თანაბარ, გარეგან ზედდაწოლის ძალის პირობეებში უწოდებენ სახელად კრიტიკულ ტანს. ქლორის კრიტიკული ტემპერატურა უდრის=146$^0$-ს.

ჩვეულებრივ ოთახის ტემპერატურაში ქლორი აღვილად უერთდება ბევრ სხვა და სხვა ელემენტებს და მათთან ერთად აჩენს სხვა და სხვა ქიმიურ რთულ ნივთიერებეებს. როგორც შესავალშიაც დავინახეთ, ქლორი უბრალო მზის სხივების ზედგავლენითაც კი უერთდება წყალმბადს და მასთან ერთად აჩენს ქლორ წყალმბადის ანუ მარილის სიმჟავეს. ასეთ გვარ გამოცდილების განსახორციელებლად ბნელ ოთახში აურევენ ხოლმე ერთად ტანით ერთ ნაწილ წმინდა ქლორისას და ამხელავე ტანის ელემენტ წყალმბადისას. ამ რიგად შერეულ გაზებს ბნელ ოთახიდგან ხის ან სხვა რამ ბნელ კოლოფის შემწეობით მზის სხივებზედ გამოიტანენ ხოლმე და შესაფერ საშუალებით კოლოფში მოთავსებულ ჭიქის ჭურჭელს სწრაფად მზის სხივებს დაუპირდაპირებენ. ასეთ პირობეებში ქლორწყალმბადის ნარევი, რომელიც ქლორის ფრად შეღებილი არის, მზის სხივების ზედგავლენით სწრაფადვე და ძლიერად იფეთქებს ხოლმე და უფერულ გაზოვანსავე მარილის სიმჟავედ იქცევა. ჩვეულებრივ ოთახის ტემპერატურაშივე ქლორი მეტად ეფეკ-

ტიურად უერთდება აგრეთვე ლითონ ანტიმონიუმს არსენიკუმს. საკმარისია კოლბაში მოგროვილ წმინდა ქლორში მტვრად ქცეული არსენიკუმი ჩავყაროთ, რომ ეს უკანასკნელი ლამაზ ნაპერწკლების წარმოშობით შეუერთდეს გალოგენს და მასთან ერთად ქლორიანი არსენიკუმი წარმოშოს. სხვათა შორის, ეს და სხვა ამგვარივე რეაქციები იმითი არიან საყურადღებო, რომ ისინი უფრო ფართო წარმოდგენას გვაძლევენ ესრედ წოდებულ დაწვის პროცესსებზედ. ყოველდღიურ ცხოვრებაში დაწვას უწოდებენ ხოლმე ნივთიერებათა მჟავმბადთან სწრაფ შეერთებასა, მაშინ როდესაც დაწვა ნაპერწკლების და საზოგადოდ ცეცხლის წარმოშობით შეიძლება აგრეთვე უმჟავმბადოდაც სხვა და სხვა ქიმიურ რეაქციების შემწეობით. ასე რომ დაწვის პროცესსების და საზოგადოდ დაწვის სახელი შეგვიძლიან ვუწოდოთ ყოველ ქიმიურ რეაქციას, რომლის დროსაც კი ნაპერწკლები ან ალია სჩნდება.

ქლორი ადვილად უერთდება აგრეთვე ლითონ ნატრიუმს გამღვალ მდგომარეობაში და მასთან ერთად აჩენს საჭმელ მარილს, ქლორ ნატრიუმს. მარილის სინტეტიურად ელემენტებისაგან მისაღებად მოგრძო და შუა-ადგილას ბურთივით გამობერილ ჭიქის მილში ცოტაოდენ ნატრიუმის ნატეხს ჩასდებენ; ამავე დროსვე მილის ერთ ბოლოდგან წმინდა ქლორს შეუშვებენ და ცეცხლის შემწეობით მილში მოთავსებულ ლითონ ნატრიუმს ნელ-ნელ გაალღვებენ. ასეთ პირობეებში გამღვალი ნატრიუმი ეფეკტიურის ალის წარმოშობით შეუერთდება ქლორს და ამრიგად გაჩენილი ქლორ ნატრიუმი მილის კედლებზედ თეთრად დაილეკება-დაჯდება.

ქლორი უერთდება აგრეთვე, —ხოლო კი უფრო ხანგრძლივის ზედგავლენით —ლითონ სპილენძს, ოქროს, ვერცხლს და სხვებსაც. არალითონებიდგან კი ყველაზედ უფრო ადვილად ქლორს მეტალოიდი ფოსფორი უერთდება, რომელიც მასთან ერთად ყვითელ ალის წარმოშობით აჩენს ახალ რთულ ნივთიერება ქლოროფოსფორს. ქლორის ქიმიურ თვისებეებიდგან ყველაზედ უფრო საყურადღებო არის მისი ოზონის და წყალმ-

ბადგადაჟანგის დაგვარი გადაჟანგის რეაქცია. ქლორი ადვილად უკარგავს ფერს სხვა და სხვა საღებავებს, როგორც არიან, მაგალითად, ლაკმუსი, ინდიგო და სხვები; საზოგადოდ ეს გაზოვანი მარტივი ნივთიერება ადვილად ჟანგავს სხვა-და-სხვა რთულ ნივთიერებეებს, ადვილად სწვავს და სპობს მავნე ლპობის ანუ გახრწნის თვალით უხილავ პაწაწა არსებეებს ესრედ წოდებულ მიაზმებს. საყურადღებო ასეთ დაწვა-დაჟანგვაში ის არის, რომ სრულებით მშრალ, წყალ-მოკლებულ ნივთიერებეებზედ ქლორი ამ მხრით სულაც ვერ მოქმედობს; ასე რომ შის გაჟანგვის თვისებას ადგილი აქვს მხოლოდ წყლის თანადასწრებით. ასეთ შემთხვევეებში ე. ი. ნივთიერებათა ქლორის ზედგავლენით დაწვა-დაჟანგვაშიაც წყლის თანადასწრებით მოქმედობს იგივე მჟავმბადის. თავისუფლად ატომები, რომლებიც ადვილად სჩნდებიან ქლორის წყალზედ ზედმოქმედებით. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქლორიანი წყალი ე. ი. ისეთი წყალი, რომელშიაც ქლორი არის გახსნილი, მზის სხივების ზედგავლენით ძალიან ადვილად და შესამჩნევად ანთავისუფლებს თავის მჟავმბადს; მისი წყალმბადი კი ელემენტ ქლორს უერთდება და მასთან ერთად ქლორწყალმბადის სიმჟავეს აჩენს, რეაქცია ქლორის წყალზედ ზედმოქმედებისა ამრიგად უნდა აღინიშნოს: $CL_2+H_2O=2\ HCL+O$. ამნაირად ქლორის ოზონისებური ზედმოქმედება სხვა-და-სხვა ნივთიერებეებზედ აიხსნება მხოლოდ მისის შუამავლობითი მოქმედებით: ჟანგვის პროცესებს ახდენს მის შემწეობით წყლისაგან განთავისუფლებული მჟავმბადის ატომები. რადგან ჰაერში მყოფი ნივთიერება ყოველთვის შეიცავს ცოტაოდენ წყალს, ამისათვის გასაკვირალიც არ არის, როს მათზედ ქლორი აზონის და წყალმბადგადაჟანგისავით მოქმედობს.

მარილის სიმჟავე HCL=-36,

ქლორწყალმბადის სიმჟავე თავისუფალ მდგომარეობაში ბუნებაშიაც მოიპოვება, მაგალითად, ზოგიერთ ვულკანების გა-

ზებში. ეს სიმჟავე თავისუფალსავე მდგომარეობაში ადამიანის და საზოგადოდ ცხოველთა სტომაკის კანში სჩნდება და ასეთ მდგომარეობაში მას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საჭმლის მონელებისათვის.

ამ სიმჟავის სინტეტიურად მიღება, როგორც ვიცით, შეიძლება პირდაპირ ქლორის და წყალმბადის შეერთებით მზის სხივების შემწეობით. მარილის სიმჟავის სინტეზისათვის შეიძლება აგრეთვე ქლორწყალმბადის ნარევი ჭიქის ცილინდრში მოვათავსოთ და ცილინდრის ღია ბოლოდგან სწრაფად ცეცხლის შემწეობით ავაფეთქოთ;*) ამავე მიზნისათვის შეიძლება წყალმბადი დავსწვათ ქლორში ან ქლორი წყალმბადში. უკანასკნელ სინტეზის განსახორციელებლად ჭიქის მილის შემწეობით გაზომეტრიდგან წინდაწინვე დამზადებულ მშრალ წყალმბადს გამოუშვებენ ნელ-ნელა; გამომავალ გაზს ცეცხლს წაუკიდებენ და მილის ალიან ბოლოს ქლორით სავსე ჭიქის ცილინდრში ჩაუშვებენ. ასეთ პირობეებში წყალმბადი ქლორში იწვის ხოლმე და მასთან შეერთებით გაზოვანსავე, უფერულ რთულ ნივთიერებად, ქლორწყალმბადად იქცევა; უკანასკნელი ჰაერში მყოფ წყლის ორთქლთან შეხვედრით ნისლსავით ბნელს ფერს იღებს და ნელ-ნელა, მძიმედ ჰაერისავე გაზებს ერევა. (იხ. სურ. (ა) მარილის სიმჟავის სწორედ ამგვარივე დაწვითი

*) ცილინდრს სხვა-და-სხვა გაზების აფეთქების დროს სოველ ნაჭერს შემოახვევენ ხოლმე, რადგან შესაძლოა აფეთქების დროს ცილინდრი დაინსხვრეს და ჭიქის ნატეხებმა რაიმე ზიანი მოიტანოს.

VII — **შინაური მიმოხილვა.**—ნაციონალური პროგრესიული პარტია რუსეთში.—რეფორმი შინაგან საქმეთა სამინისტროში.—სარწმუნოებრივი თავისუფლება. . . . . 49

VIII — **უცხოეთის მიმოხილვა** —რუსეთ-იაპონიის ომი . 62

## დამატება:

IX — **მინერალური ქიმია.**— ს. **კლდიაშვილისა** . 81—96

# მოამბე

წელიწადი მეთორმეტე

**გამოდის ყოველ თვე**

**ფასი ჟურნალ „მოამბისა“ გაგზავნით:**

| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში: | | საზღვარ-გარედ: | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით | 10 მან. | ერთის წლით | 13 მან. |
| ექვსი თვით | 6 მან. | ექვსის თვით | 7 მან. |
| სამი თვით | 4 მან. | სამი თვით | 5 მან. |

**ვინც „მოამბეს“ გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ კვირაში ორის სურათებიანის დამატებით უფასოდ დაეთმობა**

**ფასის განაწილება შეიძლება ასე: პირველად 5 მან. 1-ლ მარტამდე—3 მან, და 1-ლ აგვისტომდე—2 მან.**

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაში. № 27.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერმა **ერთი** მანეთი უნდა წარმოადგინოს **დამატებათა** გასაგზავნად.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Тифлисъ, Редакція „Моамбе“**

ჟურნალში დასაბეჭდად მიღებულ წერილებს, თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქციაც შეასწორებს და შეამოკლებს. ხელნაწერები, რომლებიც ამ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში,—მერმე ვეღარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდავ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უეჭველად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

ყველა ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ ნალმა თავისი აზრი წარმოსთქვას, ორ-ორი ეგზემპლიარი უნდა გამოუგზავნოს რედაქციას.

პირ-სპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ ღღე, კვიტა-უმეტეს ვაროა, შუადღიდან ნაშუადღევის ორ საათამდინ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ყველა ხელის მომწერთ, რომელთაც კი ჟურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმოუგზავნონ აგრეთვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

**რედაქტორი**
**ალ. ჭყონია.**

**გამომცემელი**
**ალ. ჯაბადარი**